

A black and white photograph of a woman in profile, looking down. She is carrying a large, heavy sack on her back, which is secured with ropes. Her expression is one of weariness or sadness. The background is a blurred, outdoor setting, possibly a field or a road.

# გაიგე

# ტვირთი

იძულებით  
გადაადგილებულნი  
საქართველოში

ცხოვრებისეული  
ისტორიები აფხაზეთიდან  
და სამხრეთ ოსეთიდან





# მძიმე

# ტვირთი

იძულებით გადაადგილებულნი  
საქართველოში  
ცხოვრებისეული ისტორიები  
აფხაზეთიდან და სამხრეთ  
ოსეთიდან

## მადლობას ვუხდით

ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ წიგნის შექმნაში. ყველას, ვინც მონაწილეობდა ცხვრები-სული ისტორიების შეგროვებაში. განსაკუთრებული მადლობა - დევნილებს, რომლებმაც გული გადაგვიშალეს და თავიანთი ისტორიები გვიაშუეს. წიგნის გამოცემა და მთლიანად პროექტის („იძულებით გადაადგილებულთა ხმები“ იხ. [www.idvoices.org](http://www.idvoices.org)) განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ამ ადამიანების წყალობით.

ჩვენ, ასევე, მადლობას ვუხდით პროექტში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ დიდი დახმარება გაგვინიჭეს, როგორც ადამიანური რესურსებით, ისე თავიანთი კონტაქტებით.

და ბოლოს, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ადამიანებს, რომლებიც თავდადებით ზრუნავენ იძულებით გადაადგილებულ პირებზე საქართველოში: დევნილებზე აფხაზეთიდან და სამხრეთი ოსეთიდან, ესენი არიან:

- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები: „თინათი“, დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, დევნილ პედაგოგთა კავშირი „ლამპარი“.
- ქ-ნი მარგარეტ ვიკი
- ქ-ნი მანანა გაბაშვილი
- ქ-ნი შობხან ვორინგტონი
- ქ-ნი კერენ გიტესი
- ქ-ნი გრეტა ზენდერი
- ბ-ნი მატეას სიმეივი
- ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს საქართველოს ოფისის თანამშრომლები

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით დონორ ორგანიზაციებს, რომელთა მხარდაჭერითაც გამოიცემა ეს წიგნი: სტატოლ/შიდროს (ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსა და იძულებითი გადაადგილების მონიტორინგის ცენტრის მეშვეობით); ავსტრალიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს; კანადის საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო ვაჭრობის დეპარტამენტს; დანიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, სამხრეთ აფრიკისა და შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს; შვედეთის განვითარების სააგენტოს; დანიის ლტოლვილთა საბჭოს; ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს.

ISBN: 978-9941-9021-1-6

## ანა-სოფი ლუსი

იძულებით გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC)  
პროექტის „იძულებით გადაადგილებულთა ხმები“ დირექტორი

## თამარ თავართქილაძე

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC) საქართველოს ოფისი, პროექტის კოორდინატორი

მერი ქუმსიაშვილი, რუსული გამოცემის რედაქტორი

თინათინ ჩხეიძე, ქართული გამოცემის რედაქტორი

პანოს ლონდონი, ოლივია ბენეტი  
პანოს ლონდონი, ვენდი დევისი  
იძულებით გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC)  
ბიატა სვარსკა  
იძულებით გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC)

ედმუნდ ჯენინგსი, ინგლისური გამოცემის რედაქტორი

მაია დარჩია, თარგმანი ქართულიდან ინგლისურად  
მარი მანველიშვილი, თარგმანი რუსულიდან ინგლისურად

ირაკლი ხუციშვილი, დიზაინი

გამომცემლობა „სისეტა“

## ფოტომასალა:

ფოტოებზე არ არიან გამოსახული ისტორიების ნამდვილი მთხრობელები

ფოტო ყდაზე

ჰეილი ბრანდერი, პანოსი

*ქართველ პარტიზანებსა და აფხაზურ ფორმირებებს შორის შეტაკებების შედეგად საკუთარი სახლიდან გამოქცეულ ქართველ ქალს, ენგურის საცალფეხო ხიდის გავლით, ტვირთი გადააქვს ქართულ-აფხაზურ ადმინისტრაციულ საზღვარზე.*

ფოტო უკანა ყდაზე და გვერდებზე: 18 (მარჯვნივ ქვევით), 90, 91, 110, 111:  
იოლა მონაკოვი, პანოსი

ფოტოები გვერდებზე: 17 (მარჯვნივ ქვევით), 19 (მარჯვნივ ქვევით), 56, 57:  
ჰეილი ბრანდერი, პანოსი

ფოტოები გვერდებზე: 19 (მარცხნივ ზევით), 20 (მარცხნივ ზევით), 68, 82, 83:  
ოლეკ კლიმოვი, პანოსი

ფოტოები გვერდებზე: 16, 20 (მარცხნივ ქვევით), 40, 41, 50, 51, 78, 79, 96, 97:  
ჯულია კომისაროვი, პროექტი „ლტოლვილები კავკასიაში“

ფოტოები გვერდებზე: 18 (მარცხნივ ქვევით), 19 (მარცხნივ ქვევით), 30, 31:  
ინგვილ მარტინი

ფოტო გვერდებზე: 17 (მარცხნივ ზევით), 22, 23:  
დარო სულაკაური

ფოტო გვერდებზე: 17 (მარცხნივ ქვევით), 18 (მარცხნივ ზევით), 69:  
მანანა გაბაშვილი

ფოტო გვერდებზე: 17 (მარჯვნივ ზევით):  
თამარ თავართქილაძე

ფოტო გვერდებზე: 20 (მარჯვნივ ზევით):  
კერენ გიტისი

ფოტოები გვერდებზე: 18 (მარჯვნივ ზევით), 19 (მარჯვნივ ზევით), 20 (მარჯვნივ ქვევით), 102, 103, 116, 117:

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს არქივიდან

ტექსტის ნაწილობრივი ან სრული გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მითითებული იქნება წყარო.

გავერცხვებდა უსასყიდლოდ.

# შინაარსი

პროლოგი.....	7
ინტერვიუერების გუნდი .....	10
ისტორიების შერჩევა და რედაქტირება.....	14

## ცხოვრებისეული ისტორიები

### დეენილობაში მყოფი ადამიანების ისტორიები

თეა.....	23
პიტერი.....	31
ენგურდალეული.....	41
ინგა.....	51
თემური.....	57
მზია .....	69
ალექსანდრე .....	79
როზა .....	83
ელისო .....	91

### კონფლიქტის ზონებში მცხოვრები ადამიანების ისტორიები

ზურაბი .....	97
თამარი.....	103
ეკატერინა.....	111
ზურიკო.....	117
ლექსიკონი .....	122



## პროლოგი

თუ მოგისმენიათ ოდესმე დევნილისათვის? თუ წარმოგიდგენიათ იძულებით გადაადგილების მთელი სიმძიმე? თუ დაფიქრებულხართ ოდესმე, რას განიცდის ადამიანი, რომელმაც კონფლიქტის შედეგად დაკარგა ოჯახის წევრები მთელი თავის ქონება, მოსწყდა მშობლიურ კერას? ამ წიგნის მიზანია, გაჩვენოთ გაჭიანურებული დევნილობის რეალობა პიროვნული გადასახედიდან. აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი ცამეტი ადამიანის ნაამბობი გვიხატავს კონფლიქტისა და იძულებითი გადაადგილების რეალურ სურათს. ამ ცამეტ ხმას შესწევს ძალა გაარღვიოს ზღუდეები - როგორც პოლიტიკური პროგრამებით განპირობებული, ისე ადამიანების მიერ აღმართული და ერთმანეთის მიმართ ანტიპატიით გამაგრებული.

ეს წიგნი არ შეეხება პოლიტიკას, ის გაცნობს ადამიანებს და მათს თავგადასავალს, განცდებსა და გრძნობებს. ამ ადამიანების ნაამბობიდან სჩანს, თუ რა ახარებთ მათ, რა აწუხებთ და რა არის მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ისტორიების ჩანერისას, მთხრობელებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, თავად განესაზღვრათ თხრობის მიმართულება და ამ დროს სრულიად მოულოდნელი ფაქტები ამოტივტივდებოდა ხოლმე და ძალიან საინტერესო იდეები ჩნდებოდა. დევნილთა ისტორიები გვიხატავენ კონფლიქტისა და იძულებითი გადაადგილების რეალურ სურათს, რომელიც ხშირად იკარგება ოფიციალური დოკუმენტების ზოგადი ფრაზების მიღმა. მთხრობელები აღწერენ იმას, რაც მოხდა და მდიდარ, ფაქტობრივ და ანალიტიკურ მასალას გვანვდიან. და მაინც, ცხოვრებისეული ისტორიების ხიბლი მათში გადმოცემულ ემოციებში, შეგრძნებებში, განცდებში, ხმებში, იმედებსა და ოცნებებშია.

წიგნის შექმნაში მონაწილეობდნენ იძულებით გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC), ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს საქართველოს ოფისი (NRC) და პანოს ლონდონის ზეპირი ისტორიების პროგრამა. ეს წიგნი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია უფრო დიდი ინიციატივისა, რომლის მიზანს მთელი მსოფლიოს მასშტაბით დევნილთა ხმების მოსმენა წარმოადგენს. ისტორიების მოსმენა და ნაკითხვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: [www.idpvoices.org](http://www.idpvoices.org).

ისტორიებს ინერდა 12 ინტერვიუერი, რომელიც შეირჩა საზოგადოების იმ ნაწილიდან, რომელსაც კონფლიქტი და დევნილობა შეეხო. სამსახურობრივი თუ პირადი გამოცდილებიდან, მათ კარგად იციან, რას ნიშნავს ეს. პროექტმა მათ საშუალება მისცა, განევიტარებინათ ზეპირი ინტერვიუს ჩანერის უნარი, შეეგროვებინათ ისტორიები და თავიანთი წვლილი შეეტანათ ამ წიგნის შექმნაში.

სულ შეგროვდა 59 ინტერვიუ, რომელთაგან 29 განთავსდა ვებ-გვერდზე, 13 — კი ამ წიგნისთვის შეირჩა. ინტერვიუებმა სპეციალური მომზადება გაიარეს ზეპირი ისტორიების ჩანერაში, მათ ისწავლეს ემპათიური მოსმენა და ღია ინტერვიუს წარმართვა. ასევე, გაიარეს ისეთიპოლოგიური ზემოქმედების მართვის ტრენინგი. ინტერვიუებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს თემების იდენტიფიცირებაში, ეთიკური ნორმებისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოს შემუშავებაში. ორი მიმოხილვითი შეხვედრის დროს მათ შესაძლებლობა მიეცათ, გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის მიღებული გამოცდილება, შეთანხმებულიყვნენ მთელ რიგ საკითხებზე, დაეწყათ ისტორიების ანალიზი და სხვა.

პროექტის ფარგლებში ჩავიწერეთ იმ ადამიანე-



ბის ნაამბობი, რომელთაც ჩვეულებრივ არავინ უსმენს. ეს ჩანანერები სიტყვა-სიტყვით გაიშიფრა და წარედგინა მკითხველთა კომიტეტს (იხ. ისტორიების შერჩევა და რედაქტირება).

ჩვენი გამოცდილება უჩვენებს, რომ მსგავს პროექტებში მონაწილეობა აძლიერებს ადამიანებს და ცვლის მათ. ისტორიების ჩანწერა განსაკუთრებულ გამოცდილებად შეიძლება იქცეს როგორც მთხრობელისათვის, ისე მათთვის, ვინც ინტერვიუს იღებს. მათთვის, ვისთვისაც არასდროს მოუსმენიათ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ისტორიის გადმოცემა ისე, როგორც თავად სურდათ და მოსაზრებების გაზიარება ადამიანისათვის, რომელსაც ასევე საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი დევნილობის მთელი სიმძიმე.

ისტორიების ეს ნაკრები ავლენს ისეთ პრობლემებს, რომლებიც სცილდება გადაადგილებისა და მზრუნველობის განწევის აუცილებლობის ჩვეულებრივ ფარგლებს და დაკავშირებულია ფასეულობებებთან, იდენტურობისა და პიროვნების პრობლემასთან, გრძნობებთან და ემოციებთან.

მთხრობელთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ თავისი განცდებისა და გამოცდილების შესახებ საუბარმა მათ შვება მოჰგვარა. ზოგი მათგანი ამბობდა, რომ ეს მათთვის პატივი იყო. თუმცა რამდენიმემ აღიარა, რომ გაუჭირდათ ტკივილის მომგვრელი ამბების გასხენება და მათზე საუბარი. ზოგიერთმა მთხრობელმა აღნიშნა, რომ შიშისა თუ უნდობლობის გამო სხვებთან ბევრს არ საუბრობენ გადატანილის შესახებ და, ამდენად, ეს შესაძლებლობა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ერთმა ინტერვიუერმა აღნიშნა: *„მე მათი ტკივილი მესმის, იმიტომ რომ თავადაც იძულებით გადაადგილებული პირი ვარ“*. შეიქმნა ნდობის ატმოსფერო და სიტუაცია, სადაც ადამიანებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, ესაუბრათ გადატანილზე ისე, რომ არ ჰქონოდათ საფრთხის შეგრძნება ან დისკრიმინაციის შიში.

უსაფრთხოება ჯერ კიდევ რჩება სერიოზული შემფოთების საგნად. ამის გამო, ბევრმა

მთხრობელმა არ გაამხილა თავისი ვინაობა და ფსევდონიმის ალება ამჯობინა. ზოგიერთმა ინტერვიუერმაც გადაწყვიტა ფსევდონიმით წარმდგარიყო მკითხველთა წინაშე, რადგან ამ პროექტში მონაწილეობას შესაძლოა საფრთხე შეექმნა მათი სიცოცხლისათვის. ორმა მათგანმა კი გვთხოვა, საერთოდ არ გვეხსენებინა ფსევდონიმითაც კი.

წიგნის სახელწოდება „მძიმე ტვირთი“ ასახავს ომისა და დევნილობის რეალობას. ეს ნათლად ჩანს ისტორიებშიც. წლები გავიდა, მაგრამ მთხრობელები კვლავინდებურად საჭიროებენ იმას, რომ გაუზიარონ მსოფლიოს თავიანთი განცდები ახლობლების დაკარგვის გამო, შეუმსუბუქებელი დარდი, რომ შესაფერისად ვერ დაიცვეს დაკრძალვის ტრადიციული ცერემონიალი. როგორ უნდა გადაიტანო ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, თუ არ გაქვს შესაძლებლობა მიაბარო ის მშობლიურ მიწას, წინაპრების გვერდით, ისე, როგორც ამას ტრადიცია მოითხოვს? ამ პრობლემას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, რათა ადამიანებმა შესძლონ გამოიტვირონ გარდაცვლილები და გააგრძელონ ცხოვრება. თუ იძულებით გადაადგილებას სათანადო ყურადღებას არ მივაქცევთ და პრობლემებს არ მოვუვლით, ამან შესაძლოა დესტაბილიზაცია გამოიწვიოს და საფრთხე შეუქმნას სამშვიდობო ღონისძიებებს. თუმცა, ამ ისტორიებში მხოლოდ დარდს როდი ვხედავთ. აქ ვხვდებით ძლიერ ქალებსა და მამაკაცებს, რომელთაც მიაგნეს წინსვლის საკუთარ გზას.

ამ პროექტში იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როგორც ერთმა მთხრობელმა აღნიშნა მეორე მხარესთან მიმართებაში: *„ჩვენ-ჩვენი ტრაგედიების შესახებ მას შემდეგ დავინწყეთ საუბარი, რაც ძალიან კარგად გავიცანით ერთმანეთი, ერთმანეთი შევიყვარეთ. დრო დაგვჭირდა ნდობის აღსადგენად. როცა დავრწმუნდით, რომ ერთმანეთის ტკივილს გავიგებთ, როცა ეს მომენტი დადგა – ჩვენ დავსხედით და*

გულწრფელად დავილაპარაკეთ – აგრესიისა და ბრალდებების გარეშე.“ (თეა). დიალოგისათვის საჭირო გარემოს შექმნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ადამიანების ჭრილობების მოსაშუშებლად. აუცილებელია მათი მძიმე გამოცდილების და წუხილის გაზიარება, მათთვის საჭირობო საკითხებისათვის ჯეროვანი ყურადღების დათმობა როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან. ეს საჭიროა ამ ადამიანებისათვისაც და იმისთვისაც, რომ ყველა საშუალება გამოვიყენოთ მშვიდობის განსამტკიცებლად.

იმედი გვაქვს, რომ ეს წიგნი იპოვის თავის მკითხველს და მას წაიკითხავენ სამოქალაქო საზოგადოებისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები, მკვლევარები და სტუდენტები, და, რაც მთავარია, დევნილები. იმედი გვაქვს, რომ ეს წიგნი დაგვეხმარება გავიგოთ და გავიზიაროთ 245,000-ზე მეტი ადამიანის მთავარი სანუხარი საქართველოში.

და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამის გადატანა მოუწევთ მათ მანამ, სანამ ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები – ისინი, ვინც პასუხისმგებელი არიან ამ ადამიანების მომავალზე, გადადგამენ ქმედით ნაბიჯებს დევნილობის პრობლემის გრძელვადიანი მოგვარებისათვის?

ანა-სოფი ლუისი  
პროექტის „იძულებით გადაადგილებულთა ხმები“ დირექტორი  
იძულებით გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (IDMC)

## ინტერვიუების გუნდი

### რიტა მარლანი

#### 48 წლის დევნილი პედაგოგი აფხაზეთიდან, ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში.

“სამი ქალიშვილი მყავს. ჩემი ოჯახი ამჟამად თბილისშია, ჩასახლებული ვართ კოლექტიურ ცენტრში იძულებით გადაადგილებული პირებისათვის. მშობლები და ძმა კვლავინდებურად აფხაზეთში ცხოვრობენ. მე ვმუშაობ ტრენერად ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოში. ამ პროექტში მონაწილეობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ურთიერთობა მიწევდა დევნილებთან, იმ ადამიანებთან, რომლებსაც იგივე სანუხარი აქვთ, რაც მე. მინდოდა, კარგად მომესმინა მათთვის და გამეგო, როგორ ცხოვრობენ, როგორ უმკლავდებიან უამრავ პრობლემას. ისტორიების ჩანერის დროს ჩვენ საშუალებას ვაძლევდით მთხრობელებს თავისუფლად გამოეხატათ თავიანთი გრძნობები და ფიქრები. ჩვენ შევეცადეთ, რომ დავხმარებოდით მათ სხვა თვალთ შეხედვით საკუთარი ცხოვრებისათვის და სხვა მხრიდან დაენახათ საკუთარი თავი. დარწმუნებული ვარ, რომ შევძელით მათი გამხნელება და ამით გაუუადვილეთ ცხოვრებისეულ სიძნელეებთან ბრძოლის გაგრძელება. დიდი სიამოვნება მომანიჭა იმანაც, რომ უცხო ადამიანებს ჩემთან ურთიერთობისა და საკუთარი ცხოვრების გაზიარების სურვილი გაუჩნდათ. პროექტში მუშაობამ დიდი გამოცდილება შემძინა, თუმცა ისიც შემიძლია ვთქვა, რომ დიდი შრომა ჩავდე ამ საქმეში.”

### ლევან არაქანი

#### 23 წლის დევნილი ეკონომისტი აფხაზეთიდან, ცხოვრობდა ქალაქ სოხუმში

“დედასთან ერთად ვცხოვრობ თბილისში. ვმუშაობდი მოხალისედ არასამთავრობო ორგანიზაციაში – დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“. დავამთავრე ეკონომიური ფაკულტეტი და ამჟამად ვმუშაობ ბანკში. ვთვლი, რომ დევნილებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია და ეს ყოველთვის მაინტერესებს. შეიძლება იმიტომ, რომ თავად დევნილი ვარ და კარგად მესმის მათი გულისტკივილი. ამ პროექტში მუშაობისას დიდი გამოცდილება მივიღე. თავდაპირველად ვერც კი წარმომედგინა, რომ ამდენი რამის სწავლას შევძლებდი. ვისწავლე, მაგალითად, როგორ უნდა წარიმართოს დიალოგი. ადრე მეგონა, რომ ბევრი რამ ვიცოდი დევნილების შესახებ, მაგრამ ეს ცოდნა არ აღმოჩნდა საკმარისი. მივხვდი, რომ ადამიანი თურმე მუდმივად სწავლობს, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.”

### თამარიკო (ფსევდონიმი)

#### 47 წლის იურისტი, ცხოვრობს სამხრეთ ოსეთში

“ვცხოვრობ ცხინვალში, ვმუშაობ არასამთავრობო ორგანიზაციაში. ვამაყობ, რომ სამხრეთ ოსეთიდან ამ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა მე მომეცა. დიდი გამოცდილება შევიძინე. შევხდი სხვადასხვა ასაკისა და განსხვავებული ხასიათის ადამიანებს, რომლებმაც ბევრი გასაჭირი გამოიარეს, მაგრამ შეინარჩუნეს ღირსება და იუმორის გრძნობა. ჩემი რესპონდენტები საკმაოდ კარგად გავიცანი და ხანდახან მეჩვენება, რომ მათი ცხოვრებით ვცხოვრობ.”

მათ ისტორიებს სიზმარშიც კი ვხედავ. ეს პროექტი ჩემს ყოველდღიურ მუშაობაშიც დამეხმარა და ბევრი შემძინა, როგორც იურისტს. ვატყობ, რომ ახლა გაცილებით უფრო მეტი თანაგრძნობით ვეკიდები საქმეებს. მახსოვს ერთ-ერთი მთხრობელის ნათქვამი: „მამაჩემმა სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ხეხილი დარგო სამეზობლოში, ყველა მეზობელი შემოიარა და თითო ხე დარგო. მამა ახლაც ახსოვთ იქ.“ ჩემს თავს შეკითხვა დავუსვი – „შენ თუ გააკეთე რამე?“ შევკრიბე ჩემი მეგობრები. ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ შევხვედროდით ქალაქის მერს და გვეთხოვა ბინების შეკეთება დევნილებისათვის: სახურავის, ფასადის და შესასვლელის რემონტი. ჩვენ ავუხსენით მერს, რომ მისგან მხოლოდ კეთილი ნება და სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა იყო საჭირო. დანარჩენი კი – მუშახელი, მომარაგება და ხელმძღვანელობა - ჩვენი საზრუნავი იქნებოდა. მხოლოდ ერთი პირობა გვკონდა, რომ სამშენებლო ჯგუფები დაკომპლექტებულიყო ოსების, ქართველებისა და სომხებისგან, რომ მათ ერთად ემუშავათ. ბედნიერი ვარ, რომ ეს იდეა განხორციელდა. ამ პატარა ამბით შევეცადე, რომ გადმომეცა, თუ რა გავლენა იქონია ჩემზე ცხოვრებისეული ისტორიების პროექტმა.”

## ირაკლი ტაბაღუა

### 24 წლის დევნილი სტუდენტი აფხაზეთიდან, ცხოვრობდა გალში

“ვცხოვრობ ზუგდიდში, კოლექტიურ ცენტრში. ვსწავლობ საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე და თან ვმუშაობ ტრენერად ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს პროექტში „თანატოლი - თანატოლს.“ ამ პროექტში მონაწილეობის შემდეგ გავაცნობიერე, რომ მარტო მე არ ვარ, ვინც ფიქრობს ჩვენს რთულ წარსულზე და აწმყობს და ვისაც, მიუხედავად ყველაფრისა, იმედი აქვს უკეთესი მომავლის. დევნილებს რომ ვუყურებ, ვფიქრობ, რომ ადამიანი ყველაზე ძლიერი ქმნილებაა დედამიწაზე, თუმცა მას ყველაზე მეტი დახმარება ესაჭიროება. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა ჩემთვის რესპონდენტებთან საუბრის დანყება და, ასევე, ინტერვიუების გაშიფვრა, სხვა ყველაფერმა კი - კარგად ჩაიარა. ცხოვრებისეული ისტორიის ჩანერისას, ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებდა იმედის სხივი მთხრობელის თვალებში.”

## ხათუნა გაღელია

### 34 წლის, ცხოვრობს ზუგდიდში, მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციაში

“ამჟამად ვმუშაობ ასოციაციაში „ათინათი“, ადრე ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ტრენერი ვიყავი. პროექტში მონაწილეობა ძალიან საინტერესო იყო, თუმცა ადვილი არ ყოფილა. ძნელია, განაწყო ადამიანი საუბრისათვის. ასევე ძნელია, მოუსმინო მას. პროექტი დამეხმარა ამ ჯადოსნური უნარის შექმნაში. ხუთ დევნილ ადამიანს ვესაუბრე. ერთი მათგანი სიამაყით მიამბობდა თავისი ცხოვრების შესახებ, მეორე ტირიდა, მესამე სინანულით იხსენებდა თავის წარსულს, მეოთხე იცინოდა... ყველა მათგანი განსაკუთრებული იყო. ვიგრძენი, რომ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ადამიანების მოსმენა, რომ ამით ვეხმარებოდი მათ. მიხარია, რომ

ჩემს ცხოვრებაში არის ხუთი ადამიანი, რომელიც მენდო და მიამბო ისეთი ამბები საკუთარი გამოცდილებიდან, რომელიც აქამდე თითქმის არავისთვის გაუმხელია. თითოეული მათგანი ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა, ხოლო მათი ისტორიები - ჩემი მეგობრები. ეს მართლაც საოცარი გრძნობაა.“

## თაა გოგია

### 30 წლის დევნილი აფხაზეთიდან. ამჟამად ცხოვრობს ფოთში და მუშაობს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოში ტრენერად

“მე და მამა ფოთში ვცხოვრობთ, კოლექტიურ ცენტრში. მე ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ტრენერი ვარ. ეს პროექტი მნიშვნელოვანად მიმაჩნია ყველასთვის, ვისაც ადარდებს სხვა ადამიანების ბედი და, რა თქმა უნდა, ყველა მონაწილესათვის, ორგანიზატორისა თუ მთხრობელისათვის. ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანმა იცოდეს, რომ მისი ცხოვრება და მისი გრძნობები სხვებისთვისაც საინტერესოა. ჩვენ ვხედავდით ჩვენი რესპონდენტების გაოცებულ სახეებს ინტერვიუს დაწყებისას. ვხედავდით იმასაც, თუ როგორ იცვლებოდა ეს გაოცება ნდობით და რა სიამოვნებით იწყებდნენ ისინი საუბარს, როგორც კი იგრძნობდნენ, რომ ჩვენი ინტერესი არ იყო ყალბი, რომ ჩვენ ნამდვილად გვაინტერესებდა მათი ისტორია. პროექტმა წარმოაჩინა კონფლიქტის ძალიან მნიშვნელოვანი და აქამდე დაფარული მხარეები. როდესაც ამ ადამიანების ვუსმენდი, ისევ წარსულში ვბრუნდებოდი - კონფლიქტსა და იმ განცდებში, რაც ერთხელ უკვე გამოვიარე. მთხრობელები და მათი ისტორიები ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. პროექტმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე - უფრო მომთმენი და მიმტყვებელი გავხდი. საუბრის შემდეგ მთხრობელებს კმაყოფილების გრძნობა უჩნდებოდათ, ისინი ხედავდნენ საკუთარ ღირსებას. ეს ძალიან სასიამოვნო იყო.”

## ნათია (ფსევდონიმი)

### 29 წლის, უმუშევარი, დაბრუნდა საცხოვრებლად აფხაზეთში, გალის რაიონში

“ბებიასთან ერთად ვცხოვრობ გალის რაიონში. სკოლა გალში დავამთავრე, პროფესიით იურისტი ვარ, უმაღლესი განათლება ქუთაისში მივიღე. ამჟამად უმუშევარი ვარ. არ მეგონა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა ჩემთვის ამ პროექტში მონაწილეობა. ზეპირი ისტორიების ჩანერის მეთოდებში ტრენინგები რომ გავიარეთ, აღფრთოვანებული ვიყავი, თუმცა კონფლიქტის ზონაში დიქტოფონის წაღება და გამოყენება მეშინოდა. ეს სახიფათო შეიძლება ყოფილიყო როგორც ჩემთვის, ისე ჩემი ახლობლებისათვის. ერთმა ქალბატონმა მითხრა: „გთხოვ, ოღონდ ეს დიქტოფონი არ გამოიყენო და რასაც გინდა, იმას მოგიყვები“. მეც სხვა რა გზა მქონდა, ვიჯექი და ვუსმენდი ისტორიას, რომელსაც ვერ ვინერდი და, რეალურად, ვერ გამოვიყენებდი. ისტორიების მოსმენა ძალიან მძიმე აღმოჩნდა, რადგან მე თავად გამოვიარე ომი და ის გრძნობები და ცრემლები, რომლებიც თან ახლდა თხრობას, არ იყო უცხო ჩემთვის. ჩემს მთხრობელებთან ერთად თავიდან განვიცაადე ყველაფერი. საინტერესო იყო, რომ ადამიანებს სურდათ, ესაუბრათ ცხოვრების მძიმე მომენტებზე, თუმცა ყველა მათგანი ოპტიმისტი, მომავლის იმედით სავსე. მიუხედავად იმისა, რომ მათ ამდენი გადაიტანეს, ისინი არ ანსხვავებენ ადამიანებს ეროვნების მიხედვით. მე ეს უდიდეს იმედს მაძლევს.”

## **პიორგი (ფსევდონიმი)**

### **19 წლის, დაბრუნდა საცხოვრებლად აფხაზეთში, გალის რაიონში**

“ჩემს ოჯახთან ერთად დაებრუნდი გალის რაიონში და ახლა იქ ვცხოვრობ. მე მიყვარს სწავლა. პროექტის ფარგლებში ვხვდებოდი დევნილებს და ბევრი რამ გავიგე მათზე და მათს ცხოვრებაზე. მოვიპოვე მდიდარი ინფორმაცია და შევიძინე ბევრი მეგობარი. მუშაობის დროს პრობლემები არ შემქმნია. ყველაზე ძნელი ჩემთვის ალბათ ის იქნება, რომ ჩვენი ჯგუფი აღარ შეიკრიბება. ურთიერთობები ჩვენს შორის ადვილი და სასიამოვნო იყო. მოხარული ვარ, რომ უდიდესი გამოცდილება შევიძინე და ბევრი ახალი რამ გავიგე.”

## **ნანა საბანაძე**

### **43 წლის დევნილი სამხრეთ ოსეთიდან**

“ემუშაობ შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ლტოლვილთა და განსახლების განყოფილებაში. ვარ, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციის “ცხინვალის საზოგადოების” წევრი. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ამ საუბრების დროს დევნილ ადამიანს შეეძლო დაფიქრებულიყო საკუთარ ცხოვრებაზე და მოეხდინა მოვლენების შეფასება. განსაკუთრებით რთული ბავშვებთან მუშაობა იყო. მეგონა, რომ ბავშვებს არაფერი აქვთ დასამალი და ადვილი იქნებოდა მათი ნდობის მოპოვება, მაგრამ თურმე ვცდებოდი. მივხვდი, რომ მათ ბევრად უფრო მეტი აქვთ სათქმელი გადაადგილებაზე, ვიდრე კონფლიქტზე, თუმცა საკმაოდ გამიჭირდა კითხვების დასმა კოლექტიურ ცენტრებზე და საცხოვრებელ პირობებზე. ვფიქრობდი, რომ თუ არასდროს უფიქრიათ ამ თემაზე, რატომ უნდა მოვაბეზროთ თავი ასეთი მტკივნეული კითხვებით-მეთქი? ერთ-ერთი ბავშვი იყო შერეული, ქართულ-ოსური ოჯახიდან, მე ვერ დავუსვი შეკითხვა ამ საკითხზე. მან თქვა, რომ ის ქართველია და მორჩა. ვფიქრობდი, რომ ადვილი იქნებოდა მოზარდებთან საუბარი, მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა.”

## **პასტანა ხუციშვილი**

### **37 წლის ყურნალისტი, ცხოვრობს გორის რაიონში**

“მე ვმუშაობ ყურნალისტიად ადგილობრივ გაზეთში „ხალხის გაზეთი“, აგრეთვე ვასწავლი ისტორიას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ცხოვრებისეული ისტორიების პროექტში მონაწილეობა იყო ჩემი პირველი თანამშრომლობა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოსთან. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩვენს მიერ შეგროვებული მასალა გამოდგომოდა პროექტს. პროექტის დასრულებისას მივხვდი, რომ მე თავად შემეცვალა დამოკიდებულება დევნილებისა და კონფლიქტის მიმართ. ჩემთვის, პირადად, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანია. მე ვესაუბრებოდი ადამიანებს და ვხედავდი, რომ რიგითი მოქალაქეები ოცნებობენ მშვიდობიან თანაცხოვრებაზე. მთხრობელები უდიდესი სიამოვნებით იხსენებდნენ „მონინაალმდეგე“ მხარის დადებით საქციელს.”

## ისტორიების შერჩევა და რედაქტირება

მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის არსებობის პირობებში ისტორიების შერჩევა და „შესაბამისი“ ნაწყვეტების ამორჩევა ძალიან რთული პროცესია. სხვა კრიტერიუმებთან ერთად, დაცული უნდა იყოს ბალანსი კონფლიქტისა და იძულებით გადაადგილების განსხვავებულ შეფასებებს შორის. ჩვენი მიზანი იყო ისეთი მასალის შერჩევა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავდა და ყველაზე ნათლად აღწერდა, რა საშინელება გადაიტანეს ჩვენს მიერ ჩანერილი ისტორიების ავტორებმა, განურჩევლად იმისა, თუ კონფლიქტის რომელ მხარეს იდგნენ ისინი. ქვემოთ აღწერილია ისტორიების შერჩევის მრავალსაფეხურიანი პროცესი, რომლის დროსაც სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის გამოყენება გახდა საჭირო.

თავდაპირველად შევადგინეთ სია, რომელშიც გავეართიანეთ ყველა ჩანერილი ისტორია. სიაში შევიტანეთ მთხრობელთა ძირითადი მახასიათებლები - სქესი, ასაკი და ოჯახური მდგომარეობა. აღვნიშნავდით, ასევე, რომელ ენაზე იყო ჩანერილი ინტერვიუ, სად ცხოვრობდა მთხრობელი დევნილობამდე და მას შემდეგ. ერთიან სიაში შეგვკონდა ინფორმაცია ისტორიაში მოცემული მთავარი თემის შესახებაც.

შემდეგ ეტაპზე შევქმენით მკითხველთა კომიტეტი, რათა შერჩევის პროცესი მაქსიმალურად ყოვლისმომცველი ყოფილიყო. ტექსტების მთელი სიმრავლიდან კომიტეტს უნდა შეერჩია ისტორიების განსაზღვრული რაოდენობა. კომიტეტის წევრები (სულ, შვიდი წევრი) ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს სხვადასხვა პროექტის თანამშრომლები იყვნენ - როგორც დევნილები, ისე ადგილობრივები. ტექსტებზე მუშაობისას მათ უნდა გაეთვალისწინებინათ მთელი რიგი გარემოებები: მთხრობელის საცხოვრებელი პირობები და ადგილი, კონფლიქტსა და იძულებით გადაადგილებაზე დასმული განსხვავებული აქცენტები, კონფლიქტისა და დევნილობის ზეგავლენა მთხრობელის შემდგომ ცხოვრებაზე, ომის ეპიზოდები, „სახლში“ დაბრუნება და მასთან დაკავშირებული პრობლემები, ცხოვრება

იძულებით გადაადგილების შემდეგ, საარსებო წყარო, სტიგმა, ინტეგრაცია, ჯანმრთელობასა და განათლებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ შერჩეულ ისტორიებში წარმოდგენილი ყოფილიყო ასაკობრივი, გენდერული და ეთნიკური მრავალფეროვნება. ისტორიების შერჩევის შემდეგ, კომიტეტის თითოეულ წევრს უნდა დაესაბუთებინათ თავისი არჩევანი საკომიტეტო განხილვაზე. საბოლოოდ, ჩანერილი ისტორიების მთლიანი რაოდენობიდან (სულ, 59 ისტორია) კომიტეტმა შეარჩია 29 ისტორია ვებ-საიტისათვის და 13 - ნიგნისათვის.

შემდეგ საფეხურს შერჩეული ისტორიების რედაქტირება წარმოადგენდა. ეს პროცესი წარმართა იძულებითი გადაადგილების მონიტორინგის ცენტრისა და ზეპირი ისტორიების პროგრამის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით. ვინაიდან ენის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, შეირჩა ორი რედაქტორი, რომელიც პარალელურად მუშაობდა ქართულ და რუსულ ისტორიებზე. მეგრულად ჩანერილი ისტორიები ითარგმნა ქართულ ენაზე. ორივე რედაქტორს ტექსტებზე მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდა, თუმცა ზეპირი მეტყველების გამოფრულ მასალებზე ისინი პირველად მუშაობდნენ. ეს პროცესი კი განსხვავდება წერილობითი ტექსტის რედაქტირებისგან. ამიტომ რედაქტორებს მიეწოდათ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეერჩიათ ყველაზე საინტერესო და შესაბამისი მასალა; როგორ უნდა განემარტათ სპეციფიკური, ადგილობრივი და კულტურული თვალსაზრისით, სიტყვები და სახელები; როგორ უნდა განეხილათ კონფლიქტთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები; როგორ უნდა დაყოფილიყო ტექსტი და გამოყოფილიყო შინაარსი ქვესათაურების მეშვეობით (ქვესათაური შეიძლება ციტატა ყოფილიყო). რაც მთავარია, ხაზგასმით იყო რეკომენდებული ორიგინალის სტილისა და მთხრობელის სუბიექტური შეხედულებების შენარჩუნების მნიშვნელობა.



რედაქტირება უმთავრესად აზრის გამოხატვის სიცხადეს<sup>1</sup> ემსახურებოდა. ამ პროცესის კოორდინირება და მიმდინარე საკითხების განხილვის მიზნით, რედაქტორებსა და პროექტის კოორდინატორს შორის მუდმივი კონსულტაციები ტარდებოდა. ამავე დროს, მიდიოდა მუშაობა დეტალური ლექსიკონის შედგენაზე. იძულებით გადაადგილების მონიტორინგის ცენტრის “ცხოვრებისეული ისტორიების” პროექტის დირექტორი მუდმივად ჩართული იყო პროცესში.

შემდეგ საფეხურზე მუშაობა წარმართა თარგმანზე. ისტორიები ითარგმნა ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე. ინგლისური ვერსიები გაიგზავნა ლონდონში, პანოსში, სადაც მათ რედაქტირებაზე მუშაობდნენ ოლივია ბენეტი და უენდი დევისი. მათი ამოცანა იყო, ერთის მხრივ, თარგმნილი ტექსტების ლექსიკურ-გრამატიკული კორექტირება, ხოლო, მეორეს მხრივ, იმის უზრუნველყოფა, რომ ნებისმიერი კულტურული, პოლიტიკური, გეოგრაფიული თუ ისტორიული ცნება გასაგები ყოფილიყო მკითხველისა თუ მსმენელისათვის. ასევე, მათ უნდა უზრუნველყოთ განმარტებებისა და ფორმატის თანმიმდევრულობა და დაეცვათ სტილი. მთარგმნელებმა მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცეს ორიგინალის შინაარსი. მაგრამ, ვინაიდან ინგლისური არ არის მათი მშობლიური ენა, თარგმანს ზოგ შემთხვევაში აკლდა სასაუბრო ინგლისურისთვის დამახასიათებელი სტილი. ზოგიერთმა ინტერვიუმ თარგმანის ორი ეტაპი კი გაიარა (ითარგმნა ჯერ მეგრულიდან ქართულად, ხოლო შემდეგ ქართულიდან - ინგლისურად), რაც კიდევ უფრო მეტად ზრდიდა რისკს იმისა, რომ ტექსტი ბუნდოვანი გახდებოდა. გარდა ამისა, მასალა დატვირთული იყო სპეციფიკური ცნებებით – ადგილობრივი გეოგრაფიული დასახელებებით თუ კულტუროლოგიური სახელებით. და ბოლოს, ყოველი ისტორია ვითარდებოდა რთული პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტის ფონზე და ესეც გარკვეულად ართულებდა ტექსტების აღქმას.

რედაქტორთა პირველმა გუნდმა (თამარ თავართქილაძე, პროექტის კოორდინატორი თბილისში, ბიატა სკვარსკა იძულებითი გადაადგილების მონიტორინგის ცენტრიდან და „ცხოვრებისეული ისტორიების“ დირექტორი ანა-სოფი ლუსი) ყველაფერი გააკეთა

იმისთვის, რათა სიცხადე შეეტანა ტექსტების ბუნდოვან თუ ორაზროვან მონაკვეთებში. ამის შემდეგ პანოსის გუნდმა დაამუშავა 29 ინტერვიუ და დახვეწა ამ შთამბეჭდავი ისტორიების ენა, კომენტარების, დეტალური ლექსიკონის შედგენისა და საკუთარი ინიციატივით ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად.

„ვიმედოვნებთ, შედეგი სახეზეა. ინტერვიუებზე მუშაობა რთული იყო. ოთხი სამუშაო ენა, რთული პოლიტიკური ფონი და დაუსრულებელი იძულებითი გადაადგილებები თავიდან ძალიან ართულებდა ზოგიერთი მონათხრობის გაგებას. მაგრამ როცა ჩავუღრმავდით მასალას, უამრავი რამ გავიგეთ კონფლიქტებზე, რომელთა შესახებ ინფორმაცია არასაკმარისად მოიპოვება. აგრეთვე, გავიგეთ როგორ შეცვალა კონფლიქტმა, ხშირად კი დაუნგრია, ცხოვრება უამრავ ადამიანს. ყოველივე ამის შემდეგ, ღირსების საქმედ მივიჩნიეთ ამ სულისშემძვრელი ისტორიების მიტანა ფართო აუდიტორიამდე, რათა სხვებიც დარწმუნებდნენ მათ მნიშვნელობაში“ (ოლივია ბენეტი)


„ისტორიების შერჩევაზე მუშაობა და რედაქტირების პროცესი ძალიან საინტერესო იყო. ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, რომ ადამიანებს, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს კონფლიქტისა და იძულებითი გადაადგილების მთელი სიმძიმე, საშუალება მისცემოდათ, ღიად ეთქვათ თავიანთი სათქმელი. ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, რომ ამ ადამიანებისათვის მოესმინათ და მათი სატკივარი გაეგოთ. ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ პროექტში მონაწილეობა. ჩვენ ბევრი რამ გავიგეთ, ვმუშაობდით რა ისტორიების შერჩევაზე ფართო აუდიტორიისათვის წარსადგენად. ახლა კი გვსურს, რომ თქვენც მოუსმინოთ ამ ადამიანებს და უფრო ღრმად გაიზროთ მათი ცხოვრება. დარწმუნებული ვარ, რომ დევნილების უშუალო მონაწილეობით, ჩვენ შევძლებთ დავარწმუნოთ მთელი მსოფლიო, შევცვალოთ სამყარო ამ ადამიანების უკეთესი მომავლისათვის“ (თამარ თავართქილაძე)

თამარ თავართქილაძე და ოლივია ბენეტი




1 საბოლოო რედაქტირებულ ვარიანტებში კვადრატული ფრჩხილები აღნიშნავენ სიციხისთვის ჩართულ ტექსტს; მრგვალი ფრჩხილებში მოცემულია თარგმანი/ინტერპრეტაცია; ხოლო მსხვილი შრიფტით აკრფილი სიტყვები და ფრაზები განმარტებულია გლოსარიუმში.















# ცხთუბრებისეული ისტორიები



# თეა



**30 წლის თეა გალის რაიონიდან არის. მან ადრე დაკარგა დედა, ომმა კი გამზრდელი ბებია-ბაბუა წაართვა. თეა იმ დღეს გახდა ზრდასრული, როცა მიხვდა: ქართულ-აფხაზური კონფლიქტი – ეს არის ტრაგედია, ორივე ხალხის ტკივილი და ცრემლები. ახლა თეა, როგორც იძულებით გადადგილებული პირი, ფოთში, კოლექტიურ ცენტრში ცხოვრობს, სამუშაოსა და სამშვიდის ძიებაში, მან ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქი მოიარა. მაგრამ მერე – დაბრუნდა საქართველოში, რომელიც მთელი ამ დროის მანძილზე ენატრებოდა. ის ოცნებობს ღირსეულ ცხოვრებაზე ქართველებისა და აფხაზებისათვის, რომლებმაც, მისი აზრით, უნდა ერთმანეთს აპატიონ ყველაფერი, რაც მათ შორის მოხდა.**

ისტორია ჩანერილია ქართულ ენაზე.

## „...როცა იქ ჩავდივარ, გული მტკივა“

დავიბადე აფხაზეთში, გალის რაიონის სოფელ ხუმუშკურში – არის ასეთი პატარა სოფელი. იქ ხალხი ძალიან მეგობრულად ცხოვრობდა, ერთმანეთი უყვარდათ და ყოველთვის, როცა იქ ჩავდივარ, გული მტკივა. ახლა ბევრი რამ დანგრეულია, მაგრამ მე ის კი არ მანუხებს, რომ შენობები დაინგრა, არამედ ის, რომ ადამიანური ურთიერთობები შეიცვალა.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სოფელი მიტოვებულია. იქ ძალიან ცოტა ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ისინიც კი, ვინც დარჩნენ, რატომღაც ძალიან მტრულად, აგრესიულად არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილი. არვიცი, რატომ. უნდობლობა და შიშია გამეფებული. სადამობოთ ისინი სახლიდან გარეთ ვერ გადიან, რადგან ძალიან საშიშია. მათ მეზობლების, ერთმანეთის ეშინიათ. ქართველებს ეშინიათ, რომ ვინმემ შეიძლება დაინახოს მათი აფხაზებთან ურთიერთობა და უთხრას, რომ იქითა მხრიდან ნათესავები ხომ არა გყავსო? იგივე ხდება მეორე მხარესაც... ეშინიათ, რომ აფხაზები დაინახავენ და ქართველ ნათესავებთან



ურთიერთობას დააბრალებენ... ორივე შემთხვევაში, არის რალაც რისკი. რალაცნაირი ურთიერთობებია, სრულიად სხვანაირი, ვითომ ჩემს მშობლიურ სოფელში კი არა, სხვაგან ჩავდიოდე.

## „ჩვენ წამოვედით სოფლიდან 1993 წლის სექტემბერში...“

ჩვენ წამოვედით სოფლიდან 1993 წლის სექტემბერში, იმიტომ, რომ ომი დაიწყო. წამოვედით, რადგან აფხაზებმა სოხუმი აიღეს, სამი დღის შემდეგ კი – გალი. ჩვენ თავიდანვე წამოვედით. ის დღე გუშინდელივით მახსოვს, იმის მიუხედავად, რომ უკვე 14 წელი გავიდა... მაშინ კი 16 წლის ვიყავი. მთელი ოჯახი წამოვედით, მარტო ბებია და ბაბუა დარჩნენ იქ. ისინი არ წამოვიდნენ. წამოვედით მე, მამაჩემი, ბიძაჩემი, ბიცოლა და ბიძაშვილები.

დედა უკვე აღარ იყო ცოცხალი, 11 წლისას გარდამეცვალა. ბებია-ბაბუა მზრდიდნენ, მათთან ვცხოვრობდი. მამაჩემიც ჩვენთან ერთად იყო. ჰოდა, ამ კონფლიქტის დროს წამოვედით, ბებია-ბაბუა კი დარჩნენ. ბაბუა





ინვალიდი იყო, მახსოვს, აივანზე იჯდა და ტიროდა. მახსოვს ჩვენი პატარა ძალი, რომელიც დარბოდა ჩვენს გარშემო, თითქოს გრძნობდა, რომ ახლა ნავიდოდით და ძალიან დიდხანს აღარ დავბრუნდებოდით... ჩვენთან ერთად ჩვენი ქართველი მეზობლები იყვნენ, ძალიან ახლობელი ხალხი, ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა... მე ვტიროდი, ზურმი კი, მეზობელმა, დედაჩემის ნათლულმა, მითხრა: „თეა, რატომ ტირი, ჩვენ სამ დღეში დავბრუნდებით.“ შევხედე და...თვითონაც ტიროდა, არ სჯეროდა, რასაც ამბობდა.

### **„ყველას ეგონა, რომ ჩვენ მალე დავბრუნდებოდით...“**

ჩვენ გადავედით **ენგურზე**- ადმინისტრაციულ საზღვარზე, დიხაზურგას გავლით. მახსოვს, მთელი სოფელი შეიკრიბა, ჩემი ბიძაშვილის დიდი მანქანით ყველა ერთად მოვდიოდით. არავის არაფერი არ მოჰქონდა თან, მხოლოდ საბუთები და მეტი არაფერი, რატომღაც ყველას ეგონა, რომ ჩვენ მალე დავბრუნდებოდით. ხალხი ვერ აცნობიერებდა, რომ ეს ომი იყო...

შორეულ ნათესავთან წავედით, ენგურს იქით ახლობელი აბსოლუტურად არავინ არ გვყავდა. ჰოდა, ასე, მთელი სანათესაო ამ კაცს მივადექით, მანქანში ვინც ვიყავით, დაახლოებით 60 კაცი, ყველა ამ ნათესავთან წავედით. ჩვენს მერე, კიდევ სხვებიც ჩამოვიდნენ. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ხდება, როდესაც ერთ სახლში 60 კაცი ცხოვრობს, პატარა ბავშვებიც, ორსული ქალიც, ავადმყოფებიც... ეს იყო კატასტროფა.

### **„...ჩვენი გზა უფრო გრძელი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით“**

მერე მამამ გადაწყვიტა, რომ დასავლეთ უკრაინაში წავსულიყავით. მაგრამ მაშინ საქართველოში სამოქალაქო ომიც იყო. ერთ-

მანეთს ებრძოდნენ- საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და შევარდნაძის მომხრეები, შევარდნაძისა, რომელიც შემდგომ პრეზიდენტი გახდა. ასე რომ, ჩვენი გზა ბევრად უფრო გრძელი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ მოველოდით. ზუგდიდიდან აბაშამდე მატარებლით ვიმგზავრეთ, იმის იქით მატარებელი არ მიდიოდა, იგული-სხმებოდა, რომ გზის გაგრძელება საშიში იყო მონინააღმდეგე მხარეებს შორის საომარი მოქმედებების გამო. ჩვენ დროებით დავივიწყეთ ჩვენი კონფლიქტი აფხაზეთში, რადგან სხვა კონფლიქტთან ახლოს აღვმოჩნდით.

მამამ საჭიროდ მიიჩნია აქედან წასვლა, რათა ბავშვები გადავერჩინეთ. მე მისი მადლიერი ვარ, რომ დროზე წამოგვიყვანა და არ გვინახავს ის საშინელებები, რაც მაშინ ხდებოდა... აი, ასე... აბაშიდან სამტრედიამდე ფეხით ვიარეთ. ეს არის ძალიან დიდი მანძილი. ძლიერი ქარი ქროდა, ციოდა, ჩვენთან ერთად მოდიოდნენ ბავშვები, ქალი, რომელსაც მძიმე ორსულობა ჰქონდა და სიარული უჭირდა. ეს იყო საშინელება. ჩვენ არ მივდიოდით ცენტრალური გზით, გვითხრეს, რომ ეს საშიში იქნებოდა, ჩვენ მივდიოდით სოფლების გავლით... საერთოდ, როგორ ჩავახსნიეთ სამტრედიამდე, არ ვიცი... სამტრედიიდან თბილისამდე მატარებლით ვიმგზავრეთ. თბილისიდან, ისევ მატარებლით, კიევამდე ჩავედით, მერე კიევიდან ჩერნოვცამდე ჩავალწიეთ.

თბილისში მხოლოდ ერთი ღამე გავჩერდით- ჩვენი მატარებლის მოლოდინში. მახსოვს, ღამე სადგურში გავატარეთ, ზღვა ხალხი იყო, ზღვა დევნილებისა, ჩვენნაირებისა. კიდევ მახსოვს, რომ თბილისელები, უბრალო ადამიანები, სრულიად უცნობები, მოდიოდნენ, მოჰქონდათ საჭმელი, ტანსაცმელი, ზოგი სახლში გვეპატიჟებოდა ღამის გასატარებლად.

მე დღემდე ვგრძნობ იმ სიტბოს, რომელიც ჩვენ მაშინ გვაჩუქეს...

**„...როდესაც...ქართული სიტყვა გავიგონე, კინალამ ჭკუიდან შევიშალე! „**

მალე პატარა ქალაქ სტაროჟინეცში ჩავედი, რომელიც პოლონეთის საზღვარზეა. იქ ცხოვრობდნენ დეიდაჩემის რძლის მშობლები – შორეული ნათესავები. ამ ქალაქში ვერც ერთ ქართველს და, საერთოდ, კავკასიიდან, ვერავის ნახავდით. იქ ცხოვრება ჩემთვის საშინელ ნამებად გადაიქცა. ჩემი ცხოვრების 16 წლის მანძილზე, ჯერ არსად არ მემგზავრა, და უცბად მშობლიური მხრიდან მონყეტილი აღვმოჩნდი...

მახსოვს, იმ ქალაქში პირველად რომ ქართული სიტყვა გავიგონე, კინალამ ჭკუიდან შევიშალე! გიამბობთ, როგორ იყო. ქუჩაში, უეცრად ქართულად შეიკურთხა ვილაც ბიჭმა. მივვარდი და ქართულად მივმართე: „ქართველი ხარ?“. მერე დიდხანს ვმეგობრობდით... უკრაინაში ძალიან თბილად მიგვიღეს. ნათესავებს არ ვგულისხმობ, არამედ იმ ხალხს, რომლებიც საერთოდ არ გვიცნობდნენ და ბავშვების სკოლაში მონყობაში მოგვეხმარნენ, ხშირად გვირეკავდნენ: „თქვენ ხომ აფხაზეთიდან ხართ, იქნებ რამე გჭირდებათ, ჩვენ გვინდა, ვაშლები, ყურძენი მოგიტანოთ“. უკრაინაში რვა თვე ვცხოვრობდით...

**„ისინი მოკლეს ... იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ „**

რამდენიმე ხნის შემდეგ, სხვაგან გადასვლა გადავწყვიტეთ. მამას სამსახური, შემოსავალი სჭირდებოდა, ჩვენ ფეხზე უნდა დავდგარიყავით. გადავწყვიტეთ კრასნოდარის მხარეში გადასვლა. იქიდან სულ ორ დღეში შეიძლება საქართველოში ჩასვლა და იმედი გვქონდა, რომ უფრო მალე შევძლებდით ბებისა და

ბაბუის ნახვას. მაგრამ... მათი ნახვა ვეღარ შევძელით...

ისინი... იქ, აფხაზეთში მოკლეს. ადამიანურად მათი დასაფლავებაც კი ვერ შევძელით. ორივე სამოცი წლის იყო. ისინი არაფრის გულისთვის მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ. იმავე დღეს, ჩვენს სოფელში რამდენიმე ადამიანი დანვეს საკუთარ სახლებში. ისინი მეზობლებმა დაასაფლავეს, იმავე დღეს...

დაახლოებით ორი წლის შემდეგ, ბიცოლაჩემმა დაიწყო ჩასვლა საქართველოში. ხშირად ჩადიოდა. ერთხელაც, გამგზავრების წინ, ისტერიულად განვუცხადე: „მეც მინდა წასვლა, აქ არ დავრჩები-მეთქი“, და მეც წამიყვანეს. ზუგდიდში რომ ჩავედი, ცხადია, იქ არ დავრჩი, მინდოდა გზა გამეგრძელებინა, აფხაზეთში ჩავსულიყავი. მზად ვიყავი ფეხით წავსულიყავი, არ ვიცი, როგორ, მაგრამ მე უნდა იქ, ჩემს სახლში მივსულიყავი. და როდესაც ავტობუსში ჩავჯექი, უზომოდ ბედნიერი ვიყავი, რადგან სახლში მივდიოდი... ვიცოდი, რომ იქ ყველაფერი დამწვარი იყო, რომ ბებია და ბაბუა მოკლეს, რომ იქ ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. და მაინც, ეტყობა, ვერ წარმომედგინა, რამდენად მძიმე შეხვედრა მელოდა ჩემს მშობლიურ მხარესთან.

**„ყველაფერი დანგრეულია“**

ავტობუსმა ენგურის ხიდი გადაიარა და დავინახე, რომ ყველაფერი დანგრეული იყო, სახლები თუ, რაც მათგან დარჩა, ყველაფერი - დამწვარი... საშინელი სურათი იყო... როდესაც სოფელ ზემო ბარლებში იმ სკოლას მივუახლოვდით, რომელშიც მე ვსწავლობდი, აღმოჩნდა, რომ იქ სამშვიდობო ძალების პოსტი განლაგებულიყო. სკოლა კი... მთლიანად დანგრეული იყო. ეს იყო პირველი შოკი, რომელიც განვიცადე... მე ხომ, როცა ომი დაიწყო, მეთერთმეტე კლასში ვიყავი, და სკო-

ლის დამთავრება ვერ მოვასწარი... ახლა კი ეს სკოლა აღარ არსებობდა.

მერე ჩვენი ქუჩა მოვიწახულები, სადაც გავიზარდე და ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე. ქუჩა ვერ ვიცანი, მთლიანად შეცვლილი დამხვდა. ყველაფერი სხვანაირი იყო... მე აჩქარებული ნაბიჯებით შინ მივდიოდი და მჯეროდა, რომ იქ, იმავე ადგილას, საიდანაც გავვაცვილა, ბებიჩემი დამხვდებოდა, მაგრამ ყველაფერი, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, და არა ისე, როგორც მე წარმოემდგინა. და მაშინ... ძალიან მრცხვენია, მაგრამ უნდა ვალიაო, რომ შემძულდა ყველა, ვინც კი ამ ომში მონაწილეობდა – აფხაზიც და ქართველიც.

ყველა მძულდა და საშინლად აგრესიული ვიყავი. სახლში მხოლოდ ერთი დღე ვიყავი, მეორე დღეს კი ისევ ზუგდიდში დავბრუნდი, შემდეგ კი – რუსეთში, კრასნოდარში.

### „...ეს აფხაზების და ქართველების ტრაგედია“

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ სოჭში მოხვდი, რომელიც აფხაზეთს ესაზღვრება და აფხაზები იქ ხშირად ჩადიან. ძალიან ბევრი აფხაზი ვნახე და ყველას შავი ტანსაცმელი ეცვა და მკერდზე 3-4 ფოტოსურათი<sup>1</sup> ეკეთა. თითქოს უცებ გამინათდა გონება. დიას, მე ჩემი დიდი ტრაგედია მაქვს, რადგან მომიკლეს ბებია, რომელიც ჩემს ცხოვრებაში მთავარი ადამიანი იყო, მან გამზარდა, მაგრამ, თურმე მარტო მე არ დამატყდა თავს ეს უბედურება, სხვებიც გაუბედურდნენ, ზოგმა ჩემზე მეტი ტკივილი გადაიტანა, ზოგს შვილი მოუკლეს, ზოგს – ძმა..

### „ვცდილობ, ვუთხრა ქართველებსაც და აფხაზებსაც...“

იმ მომენტში საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს უბედურება და ტრაგედია – მარტო ჩემი

და ქართველების კი არა, არამედ, აფხაზებისა და ქართველების საერთო ტრაგედიაა, მე მაშინ 18 წლის ვიყავი. მაშინ გავხდი ზრდასრული... სწორედ იმ მომენტიდან ვცდილობ, ვუთხრა ქართველებსაც და აფხაზებსაც: არ შეიძლება ერთმანეთი გვძულდეს, ჩვენ ისედაც ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვით! უნდა მივუტევოთ ერთმანეთს, უნდა შევუნდოთ საკუთარ მხარესაც, ყველას უნდა ვაპატიოთ. და კიდევ: ნდობა რომ გაცნდეს, ურთიერთობებში რაიმე რომ შეიცვალოს, აუცილებელია ორივე მხარის სურვილი. ერთი მხარე მარტო ვერაფერს გადანყვეტს.

მე ვფიქრობ, უნდა გაიხსნას საზღვრები, რომ ადამიანებს შეეძლოთ ერთმანეთთან ურთიერთობა. ურთიერთობა – ეს პირველია, რასაც შეუძლია ნდობამდე მიგვიყვანოს...

კოლეგებს შორის, ვისთანაც ერთად ვმუშაობ, აფხაზებიც არიან. ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. მათ იციან ჩემი ტრაგედიის შესახებ, მე ვიცი, მათ რა ტრაგედია გადაიტანეს. ისიც მართალია, რომ ჩვენ-ჩვენი ტრაგედიების შესახებ მას შემდეგ დავინწყეთ საუბარი, რაც ძალიან კარგად გავიცანით ერთმანეთი, ერთმანეთი შევიყვარეთ. დრო დაგვჭირდა ნდობის აღსადგენად. როცა დავრწმუნდით, რომ ერთმანეთის ტკივილს გავიგებთ, როცა ეს მომენტი დადგა – ჩვენ დავსხედით და გულწრფელად დავილაპარაკეთ – აგრესიისა და ბრალდებების გარეშე.

ახლა ფოთში ვცხოვრობ, ვმუშაობ აფხაზეთში, გალის რაიონში. მაქვს ნებართვა, ფორმა №9<sup>2</sup>. ამიტომ გადადგილების გამო პრობლემა არ მაქვს.

### „ჩვენ ეს ომი არ გვინდა“

მე ვმუშაობ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოში. სხვა ახალგაზრდა ტრენერებთან

1 აფხაზური ტრადიციის თანახმად, გლოვის დროს გარდაცვლილი ადამიანის ფოტოსურათი მკერდზე უკეთიათ

2 პიროვნების დამადასტურებელი დროებითი მონაწილეობა, რომელიც სამჯერ ერთად აფხაზეთში შესვლის უფლებას იძლევა

ერთად ტრენინგებს ვატარებ ახალგაზრდებისათვის გენდერის საკითხებზე, შიდსისა და ნარკომანიის პრევენციისათვის. გალის რაიონში ახლა ბევრი ახალგაზრდაა. ამის მიუხედავად, პირველ ტრენინგებზე ჯგუფის შეკრება გაგვიჭირდა. ომისა და არაერთი ტრაგედიის გადატანის შემდეგ, ხალხი შეეჩვია უხმაუროდ, თავისთვის, ცხოვრებას, რუსები რომ იტყვიან: „НИЖЕ ТРАВЫ, ТИШЕ ВОДЫ“. ამ დროს ჩვენ გამოვჩნდით, ვეპატიუებით ტრენინგზე. მათ კი ისიც კი არ იციან, ეს რა არის. მაგრამ ეს სირთულე მხოლოდ დასაწყისში არსებობდა. ახლა ტრენინგში მონაწილეთა მსურველებს ვერ ავუდივართ, აქეთ გვეხვებებიან. ორი ტრენინგი ტყვარჩელში ჩავატარეთ. ჩვენი ტრენინგის მონაწილეები ადგილობრივი მცხოვრებლები – აფხაზები იყვნენ. მე მეშინოდა, რომ ჩვენ ქართველ ტრენინგებს არ მიგვიღებდნენ, რომ იქნებოდა რალაც დაძაბულობა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად და სასიხარულოდ, მუშაობა ძალიან ადვილი აღმოჩნდა. ტრენინგმა ბრწყინვალედ ჩაიარა. ერთად გავატარეთ ორი მშვენიერი დღე. საღამოს კი, ტრენინგის შემდეგ დავსხედით, უბრალოდ ვისაუბრეთ, და ისინი - აფხაზები თავად შეეხნენ ქართველებისა და აფხაზების ურთიერთდამოკიდებულების თემას და თქვეს: „როგორ დავილაღეთ ამ ყველაფრისგან! ჩვენ ეს ომი არ გვინდა.“

მე ჩავდივარ გალში, ტრენინგებს ვატარებ და ისევ ფოთში ვბრუნდები. ჩვენ-მე და მამაჩემი დევნილთა კოლექტიურ ცენტრში ვცხოვრობთ. ფოთში ძალიან ძნელად დავიმკვიდრეთ თავი, რადგან დიდხანს გაგვიჭირდა სამსახურის შოვნა. საქართველოში ეს საყოველთაო პრობლემაა, მარტო ჩვენ არ გვანუხებს. ფოთში არავითარი სამუშაო არ იყო, სრულიად არავითარი. მამა რას არ ცდილობდა, რას არ აკეთებდა, რამდენი ინვალა – არაფერი არ გამოუვიდა. მე ერთი წლით ისევ

რუსეთში წავედი, დეიდასთან ვცხოვრობდი. იქ ყველა მუშაობდა, მე კი საქმე არაფერი მქონდა. მქონდა ბევრი დრო და კომპიუტერზე მუშაობის შესწავლა გადავწყვიტე. აი, ასე. არც კი ვფიქრობდი, რომ სამსახურს ვიშოვიდი – უბრალოდ, გადავწყვიტე მესწავლა. და უეცრად, ერთ მშვენიერ დღეს, ფოთიდან დამირეკეს: „თეა, თუ კომპიუტერი იცი, ჩვენ შენთვის სამუშაო გვაქვს“.

### **„მოდით, მივუტევოთ და ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი“**

იმ წამსვე გამოვვარდი საქართველოში. დავინყე მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციაში, თავიდან კომპიუტერზე მუშაობას ვასწავლიდი ჩემივე თანატოლებს, შემდეგ პროგრამის კოორდინატორი გავხდი, ბოლოს კი – ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი. ხუთი წელი საკმაოდ წარმატებულად ვიმუშავე. მამა არ მუშაობდა მაშინ. ახლა თავადაც იპოვა სამსახური, პორტში დასაქმდა. შეიძლება ითქვას, როგორც იქნა, ამოვისუნთქეთ. რამდენ ხანს ვეძებდით... სად არ ვიყავით... დათვლაც კი ძნელია, რამდენჯერ შევიცვალე ადგილსამყოფელი: რუსეთში ვცხოვრობდი – არმავირში, როსტოვში, კრასნოდარში, ასტრახანში, და უკრაინაშიც, მერე საქართველოში დავბრუნდი, მოვიარე – ზუგდიდი, თბილისი, ფოთი... მე კი ჩემს სოფელზე მეფიქრებოდა, იქ ჩასვლას ვნატრობდი.


ახლაც ვოცნებობ იმაზე, რაზეც, ალბათ, ყველა დევნილი ოცნებობს ამ ქვეყნად – დაბრუნდეს საკუთარ მხარეში, თავის სოფელში, და რომ ჩემი სოფელი ისევ ისეთი გახდეს, როგორიც იყო, როდესაც ჩვენ ის დავტოვეთ. ჩემი სოფელი, ზემოთ უკვე ვახსენე, პატარაა, და ყოველ ოჯახს თავისი ტრაგედია აქვს. მაგრამ, ამის მიუხედავად, მე ვოცნებობ იქ დაბრუნებაზე. ხოლო ჩემი ყველაზე სანუკვარი ოცნებაა – ხალხი ღირსეულად

ცხოვრობდეს, ერთმანეთს პატივს სცემდნენ, ყველას ჰქოდას სამსახური, ერთი სიტყვით, ისეთ იდეალურ მხარეზე ვოცნებობ, სადაც ყველა ადამიანი ბედნიერი იქნება.

მე მინდა, ყველას ვუთხრა – გიყვარდეთ ერთმანეთი! მოდით, მივუტევოთ და ხელი ჩამოვართვათ ერთმანეთს. თუ ჩვენ გვინდა ღირსეული ცხოვრება, სუფთა სინდისით – აუცილებელია ამის გაკეთება!



# პიტერი



21 წლის პიტერი<sup>1</sup> აფხაზეთიდან დევნილია. ომის დროს გალში მის ოჯახს სახლი დაენვა და ზუგდიდში წამოვიდნენ. პიტერი მაშინ პატარა იყო, ამიტომ გალში გატარებულ წლებს კარგად ვერ იხსენებს. დღეს იგი სტუდენტია. პიტერი ძმასთან ერთად ზუგდიდში ერთ-ერთ კომპაქტურ ცენტრში ცხოვრობს, მისი მშობლები დაბრუნდნენ სოფელში, გალის რაიონში. თვითონ პიტერი გალში სიარულს ერიდება. ეშინია, ჯარში განვევის პრობლემა არ შეექმნას, ამიტომ იქ იშვიათად ჩადის. ისტორიაში ის ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდების პრობლემებზე, კომპაქტურ ცენტრის მძიმე პირობებზე და თავის განცდებზე.

ისტორიის ნაწილი ჩანერილია ქართულ და ნაწილი მეგრულ ენაზე. მეგრულიდან ქართულად ითარგმნა გაშიფვრის დროს.

## „გალში სახლი დამენვა“

დავიბადე და ვცხოვრობდი გალში. ამჯერად ზუგდიდში ვცხოვრობ. იქ, გალში სახლი დამენვა. ბავშვობის წლები, რაღაცა ფრაგმენტები დარჩა ჩემს მეხსიერებაში. არავის ვიცნობ ჩემს ქუჩაზე. იქ კი ვარ დაბადებული, მაგრამ იქ არ გავზრდილვარ. აქ, ზუგდიდში გავიზარდე.

ბავშვობის წლები არ მახსოვს, თუმცა, რაღაცეებს ვიხსენებ, როგორ ვთამაშობდი, რას ვაკეთებდი. მახსოვს, აღდგომა იყო და მეზობელს შეღებილი ჰქონდა ციცრის კვერცხი. მთელი დღე იმას დავდევი, რომ როგორმე გამეტეხა. ეს მახსოვს. ახალი წელი და სხვა რაღაცეები არ მახსოვს...

ჩემი საუკეთესო მოგონება ჩემი სამეზობლო და საახლობლოა... ერთ-ერთი ჩემი მოგონება, ეს არის ჩემი ქუჩა, ჩემი სამხანაგო, ჩემი თანატოლები...

მყავს დედა, მამა, ერთი ძმა, ბებია და მამიდა. აქ, ზუგდიდში ამჟამად ვცხოვრობთ მე და ჩემი ძმა. მშობლები გვაკითხავენ ხოლმე.

ხან დედაჩემი არის აქ, ხან ბებია გამოდის და ხანაც მარტო ვართ. მამაჩემი სულ იქით არის, სოფელში, რადგან მინაზე მუშაობს და სიმინდი, კიდევ რაღაც-რაღაცეები მოჰყავს.

ჩემებს ტელეფონით ვუკავშირდები. ადრე, ბავშვობის წლებში, სკოლაში იქ ვსწავლობდი. 1998 წლის მაისის მოვლენების შემდეგ, აქეთ გადმოვედი. სანამ სკოლის მოსწავლე ვიყავი, ყოველ კვირას ჩავდიოდი სოფელში, გალის რაიონში, მაგრამ რაც იქ ჯარში განვევები დაიწყო, ველარ ვახერებ ხშირად გადასვლას. თუ რაღაც მოხდება: ან ნათესავი, ან ახლობელი, ან მეზობელი გარდაიცვლება, და თუ უსაფრთხო პერიოდი დაემთხვა, მხოლოდ მაშინ მივდივარ.

## „ახლახან აფხაზეთში ვიყავი, ქორწილში“

ახლახან აფხაზეთში ვიყავი, ქორწილში. მეზობელმა ცოლი მოიყვანა. იქით რომ გადავდიოდით, ენგურის ხიდზე-ადმინისტრაციულ საზღვარზე დავტოვეთ საბუთები, პირადობის მოწმობები. გვითხრეს, რომ ამ საბუთებისთვის ნუ დაბრუნდებით, არ მოგცემთო. არავინ



# რუსეთი



დაგვხვდა და გაბრაზდნენ, ქორწილი თუ აქვთ, თავიანთ ხალხს რატომ არ ელოდებიანო. ამიტომ, საბუთებზე არ მოხვიდეთ, დაკარგული გაქვთო. მაგრამ რომ ჩავედით, გვითხრეს, თქვენ რომ დაბრუნდებით, იქ ცვლა შეიცვლება და სხვები დაგხვდებიან, იმათ კი, ალბათ, ფული უნდოდათ. თუ ძალიან შეშინდებოდით, ფულს მოგთხოვდნენ, საბუთებს მოგცემდნენ და გაგიშვებდნენო. მეორე დღეს, მართლაც, სხვა ცვლა იყო. ვუთხარი, რომ საბუთები დავტოვეთ, მაშინვე მოგვცეს და უპრობლემოდ გამოიგვიშვებს.

ქორწილში აფხაზებიც საკმაოდ იყვნენ, ორ მხარეს შორის არანაირი დაძაბულობა არ იგრძნობოდა. საკმაოდ ნორმალური ლხინი იყო, ისეთი, როგორც საქართველოს ნებისმიერ კუთხეშია. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა და მეორე დღეს სახლებში წამოვედით.

ვიცი ერთი ასეთი შემთხვევა. აქ, ჩვენთან 40 წლამდე კაცი იყო, რომელიც ნათესავებმა დაპატიჟეს იქით - აფხაზეთში. იქ, საზღვარზე არავინ გაუფრთხილებიათ. ის კაცი ქართველი იყო, ოჩამჩირიდან დევნილი. საზღვარზე მანქანა დატოვეს. ორი დღე ის მანქანა იმ საზღვართან იდგა, მერე აფხაზები რომ მოვიდნენ, დაინტერესდნენ, ვინ არის ეს ხალხიო და ყველანი ერთად დაიჭირეს. ამ კაცს ქართული პირადობის მოწმობა რომ უნახეს, დაიჭირეს. როცა აფხაზმა ძალოვანებმა მოიძიეს ფაქტები, რომ იგი ოჩამჩირელი და აფხაზეთის მკვიდრი, დევნილი იყო, საზღვრის უკანონო გადაკვეთაში დაადანაშაულეს. ამ კაცმა მთელი ოთხი თუ ხუთი თვე იქ დაჰყო. მერე გამოუშვეს. საერთოდ ასეა, აქედან ვილაცა რომ გადავიდეს, საზღვრის უკანონო გადაკვეთას მიაწერენ და შეიძლება დაიჭირონ, მაგრამ როდესაც ვილაცა გააფრთხილებთ, რომ ქორწილი მაქვს და ხალხის გადმოყვანა მინდაო, მაშინ ხელს არ ახლებენ... ვილაც

აფხაზი აცხადებს, რომ ეს არის სახელმწიფო საზღვარი, თორემ თუ ეტყვიან, რომ ეს ჩემი ხალხია და გაატარეო, მაშინ ეს საზღვარი აღარ არსებობს. ვილაცის თხოვნით, შეიძლება ნებისმიერი სტუმარი ჩაიყვანო. ხოლო თუ ისე გადახვალ, შეიძლება დაგიჭირონ და ციხეში ჩაგსვან. ის კაცი თვითონ ქართულად მოსაუბრე იყო, გვარიც ქართული აქვს. მეგრული იმდენად არ იცოდა, ესმოდა, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა. როცა აღმოჩნდა, რომ ოჩამჩირიდან დევნილი იყო, გაუშვეს.

### „შიში არსებობს“

როცა აქ, ზუგდიდში ხარ, ძალიან თავისუფლად ხარ და ნორმალურად გრძნობ თავს, არ გეშინია. იქით რომ ხარ, პირიქით... მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა, სადღეგრძელო წარმოთქვეს: გაუმარჯოს ჩვენს კუთხესო. ვინც იყო თამადა, იმან თქვა, გაუმარჯოს აფხაზეთსო. სხვა შეეპასუხა, საქართველოს რატომ არ ამბობო? ჰოდა, ამნაც ვერ თქვა, საქართველოს გაუმარჯოსო, საქართველოსთან ერთად ამ აფხაზეთს გაუმარჯოსო... არის რაღაც შიშები, და იმიტომ.

როცა მე დამპატიჟეს აფხაზეთში, ქორწილში, ეს პირველი შემთხვევა იყო, ძალიან სასიამოვნო შეგრძნება მქონდა, რომ ჩემს მიწა-წყალზე და თან ქორწილში ვიყავი. ჩემთვის სასიამოვნო ფაქტი იყო, მაგრამ თავს ისე ჩვეულებრივ არ ვგრძნობდი, როგორც სხვაგან, მაგალითად, ზუგდიდში. მაინც არ ვიყავი თავისუფალი, თუმცა ვიცოდი, რომ ისეთი არაფერი მოხდებოდა. იქ ვერ იტყვი, ვერ გააკეთებ და ვერ მოიმოქმედებ იმას, რაც გინდა. ვთქვათ, შეიძლება ქორწილში ადგე და რაღაცა ქართულად თქვა ან იმღერო. იქ, აფხაზეთში კი ამას ყველა ვერ გაბედავს...

### „მანამდე თმაში ჭალარა არ მქონდა...“

1998 წლის 24 მაისი. მაშინ მეოთხე კლასს ვამთავრებდი. 24-ში სოფლების საზღვარზე პირველი შეტაკება მოხდა. ჰოდა, დილის 6 საათი იყო, კარზე რაღაც ბრახუნნი გავიგეთ. მამაჩემი ადგა, რუსულად უთხრეს, გააღეთ კარი. შემოგვიცვივდნენ აფხაზები, 15-20-მდე იქნებოდნენ, შემოცვივდნენ, იქით-აქეთ ყველაფერი მოსინჯეს. იარაღი ხომ არ გაქვთო? მამაჩემი ინვალიდი კაცია, არ შეუძლია, სადღაც დადგეს და იბრძოლოს, საამისო ფიზიკური შესაძლებლობა არ აქვს... რომ ნახეს ასეთი კაცი, მერე არც მოუთხოვიათ იარაღი და ცუდად არ მოქცეულან, არავის არ დამუქრებინან... ქუჩაზე ყველას სახლში შევიდნენ... გასვლისას, მამას უთხრეს: არსად არ წახვიდეთ, არ დაიძალოთ და არ გაიქცეთ, თორემ თუ გნახეთ, ოჯახის უფროსს მოვკლავთო, მაგრამ როგორც კი ისინი წავიდნენ და მოგვეცა იმის საშუალება, რომ გავქცეულიყავით, ეგრევე გავიქცით. მახლობლად რაღაც მეზობლის ნასახლარი და ხეები იყო დაბარდნილი. ტურა ვერ შეაღწევდა, ისეთ ადგილას შევძვერით და იქ რაღაც ძველ „კანავო“-ში ვინეკით დილის 6-დან დღის 4 საათამდე.

ფაქტობრივად, ისე ინტენსიურად ისროდნენ, თავს ვერც ამოწევდი. არ ვიცი, ყველაფერმა ამან იმოქმედა თუ სხვა რამემ, მანამდე თმაში ჭალარა არ მქონდა, მერე და მერე გამერია. შეიძლება ეს გენეტიკურია, რადგან მამაჩემს ღია თმები აქვს, შეიძლება ერთ-ერთი ფაქტორი იყოს ისიც, რომ შიშმა იმოქმედა, მეოთხეკლასელი ბავშვი ვიყავი და შემეშინდა... ვკანკალებდი და საკუთარ თავს ვერ ვაკონტროლებდი. მეშინოდა.

4 საათზე ფაქტობრივად შეწყდა სროლები, აფხაზებმა უკან დაიხიეს და გასვლის საშუალება მოგვეცა, ხალხი მასობრივად გავიდა

იქიდან და მას მერე სულ აქ ვართ. ერთი სოფლიდან მეორემდე ფეხით გამოვედით და მერე ავტობუსით. მაშინ დადიოდა ავტობუსები და ვინც რეისებზე დადიოდა, ჩვენც იმან გამოგვიყვანა...

**დაბალი ზონის** სოფლებში პარტიზანები იყვნენ მოდებული, რაღაცა ზოლი შექმნეს, რომლის აქეთ აფხაზები ვერ გადიოდნენ და, ამ ზოლს აქეთ ხალხმა გამოასწრო. ჩვენ რომ გამოვედით, აქეთ უკვე ჩვენები დაგვხვდნენ და არავინ არ გაგვაჩერა, ჩვენს ზონაში ვიყავით...

### „მეორედ გავხდით დევნილები“

1995 წლის პირველი გადმოსვლისა ბევრი რამ არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის, რომ ტრაქტორით გადმოვედით. ვიცი, რომ რუსეთში წავედით, მერე იქიდან დავბრუნდით. 1995 წლიდან ისევ აფხაზეთში გადავედით და 1998 წლამდე იქ დავყავით და ავანყვეთ ცხოვრება. იქ ვცხოვრობდით 1998-მდე, მერე ისევ ყველაფერი დაგვარგეთ და მეორედ გავხდით დევნილები. მაშინ, 1995-ში ხალხი ფაქტობრივად დაბრუნებული იყო, აფხაზები აქეთ დადიოდნენ... თხილის სეზონის დროს მანქანებით მოდიოდნენ, თხილს ყიდულობდნენ, პროდუქტები მოჰქონდათ გასაყიდად და ჩვეულებრივად იყვნენ. ახლა უბრალოდ საკუთარი თავი რესპუბლიკად აღიარეს და სახელმწიფოებრივ ჭრილში რაღაცეებს აკეთებენ, თორემ მაშინ ყველა თავისი თავის პატრონი იყო. მოდიოდნენ, არ გერჩოდნენ, მაგრამ თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. ახლა ცოტა სხვანაირი სიტუაციაა — გადასახადებია, ვისაც 1 ნაკვეთი აქვს, უნდა გადაიხადოს 100 კილო თხილი. ჩვენს სოფელში არ არის ისეთი შემოსავლიანი მიწა, რომ 200 ძირი თხილიდან 800 კილო ან მაქსიმუმ 1 ტონა აიღო. ჩვეულებრივ, თხილის მოსავალი 350 ან 400 კილოა. ჰოდა, აფხაზებს უნდა მისცე 100 ან 120 კილო, ვისაც 2 ნაკვეთი აქვს, 200-საც იხდის.

## „იქ სულ სხვანაირად ვსუნთქავ“

სანამ ჯარის ასაკი მომიწევდა, გადასვლის პრობლემა არ მქონდა. შემდეგ უკვე გართულდა. ახლა ძალიან სიმკაცრეა. მოდიან აფხაზები და სოფელში თარეშობენ. თუ იციან, სად ცხოვრობს ჯარის ასაკის ახალგაზრდა, სახლში უვარდებიან. მე, მაგალითად, არ მიცნობენ და ჩემთან არც მოვლენ, მაგრამ არ მინდა იქ ხშირად ვიარო, იმიტომ რომ ერთი-ორჯერ რომ მნახონ, არ ვარ დაზღვეული, რომ ვინმე მამაჩემთან არ მოვა და სად არის შენი შვილი, ჯარში რატომ არ მიდის და შენ აქ რატომ ცხოვრობო, ჰკითხავს... ამიტომ ვარიდებ თავს, თორემ მეც მინდა, ჩემს სოფელში რომ ვიყო, იქ მაინც სხვანაირი ბუნება, ტყეა. სადაც ტყეა, იქ კარგი ჰავაა და სასიამოვნოა... იქ სულ სხვანაირად ვსუნთქავ.

## „ცხოვრების პირობები საკმაოდ რთული გვაქვს“

ცხოვრების პირობები საკმაოდ რთული გვაქვს... ჩემი ძირითადი საარსებო წყარო ის არის, რომ მშობლები სოფელში არიან, მსხვილფეხა საქონელი ჰყავთ, თხილი, სიმინდი, დევენილის 11-ლარიანი დახმარება და ბებიის და მამის პენსია. ამით ვარსებობთ. საკუთარ თავს დიდი ეკონომია უნდა გავუკეთოთ, უნდა შევიზღუდოთ, მაგალითად, საკვების თვალსაზრისით. ძალიან მინდა, რომ ყოველდღე ხორციანი და რალაც კარგი საქმელი, კარგი სალათები ვჭამო. პირის გემო ყველას კარგი გვაქვს, მაგრამ არ გამოდის... ეს ძალიან იშვიათად არის შესაძლებელი. ჩვეულებრივ გლეხური საქმელი გვაქვს: ღობი, ყველი, ლობიო და ა.შ.

საცხოვრებელი პირობების მხრივ, კოლექტიური ცენტრის შენობა ავარიულია. ჩვენ თვითონ ვცდილობთ, როგორმე გავამყაროთ ძალიან ძველი, მერყევი შენობაა, ათას ადგი-

ლას იატაკი ჩამპალია. ერთ ადგილას ამ დამპალ იატაკში ქალს ფეხი ჩაუვარდა... როცა წვიმს, ქვემოთ, საძირკველთან წყალი გუბდება, ნესტია და მორიელები ბუდობენ. მორიელებისათვის კარგი პირობებია და მრავლდებიან. კიდეც სადენებია ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ერთი კვირის წინათ, სადენებს ცეცხლი გაუჩნდა და უკან საცხოვრებელი დაინვა. ხანდახან როცა ქარია, ღამით შუქს ვთიშავთ, ცეცხლი რომ არ გაჩნდეს, და ვართ ღამე უშუქოდ.

კიბეც ძალიან საშიშია, მისი საფეხურები ხისაა და უკვე დიდი ხანია დამპალია, ჩვენ ყოველ დღე ვცდილობთ შეკეთებას. ამ კიბის საფეხურებსა და სახელურებს შორის ცოტა დიდი შუალედია. სამი წლის ბავშვმა გამოირბინა, წვიმიანი დღე იყო, ბავშვს ფეხი დაუცდა, ამ შუალედში გაძვრა და მეორე სართულიდან ჩამოვარდა. იმ ბავშვს ელენთა ამოაჭრეს, ახლა ელენთა არა აქვს, სიკვდილს გადაურჩა. შენობაში ანტისანიტარია სუფევს. რაიმე დაავადების შემთხვევები არ ყოფილა, თუმცა ამისგან არც ხარ დაზღვეული. ანყობენ შაბათობას, შეაგროვებენ ნაგავს. რამდენჯერ მივმართეთ *გამგეობას*, რომ წაეღოთ ეს ნაგავი, მაგრამ ამაოდ. ძალლი და ღორი კვლავ მიმოფანტავს ამ ნაგავს, და არის ისევ დაბინძურებული.

## „აქაური ცხოვრების ყოველი დღე ერთნაირია“

ერთ დღეს მეორისგან დიდად ვერ განვასხვავებ იმიტომ, რომ აქაური ცხოვრების ყოველი დღე ერთნაირია, ერთმანეთს ჰგავს. ჩვეულებრივ, ჩემი დღე იწყება: დილით ადრე ადგომით, უნივერსიტეტში წასვლით, მერე დაბრუნებით... თუ მეზობლები ჩუმიად არიან და სიმყუდროვეა, მეცადინეობას ვახერხებ. მაინც საერთო საცხოვრებელია, მძიმე პირობებია, მაგარი ნერვები გჭირდება, რომ ყოველ

დღე ამას გაუძლო... მერე მოდის საღამო, მერე ღამდება. ეს არის ჩემი ყოველდღიური ცხოვრება, რაღაც განსაკუთრებული არაფერი ხდება. თუ ზოგჯერ რაღაც ტრენინგები ტარდება, ძალიან მოხარული ვარ.

ზოგჯერ ახალგაზრდები ვიკრიბებით. ან ვინმეს დაბადების დღეა ან დღესასწაული და როგორც შეგვიძლია, ისე ვილხნით.

ერთ წელს საინტერესო ახალი წელი გვქონდა. ახალი წლის შემოსვლამდე სინათლე გაგვითიშეს დავალიანების გამო. თურმე მრიცხველმა ოთხი დღის განმავლობაში რაც დაწერა, იმის მიხედვით გამოიანგარიშეს დანარჩენი თვეების დავალიანება და მორჩა, გაგვითიშეს შუქი. გადახდას ვერ ვახერხებდით და ახალი წლის ღამე სანთლის შუქზე შემოვიდა...

### **„ახალგაზრდები ყველაფერს მოკლებულნი არიან“**

ხოლო, თუ გაინტერესებთ აფხაზეთში, გალში, ქართველების ცხოვრება, იქ ხალხი კი ცხოვრობს, მაგრამ თუ იქ ხარ — შენთვის უნდა იყო, შენი საქმელისთვის. თუ რამემ შეგანუხა ან რამე არ მოგწონს, ან ვინმე ცუდად გეპყრობა, ვთქვათ, თხილის გამო, ხმას ვერ ამოიღებ, გეშინია. ფაქტობრივად დაჩაგრულები, უფულებოდ არიან. აქ, თუ უკმაყოფილო ხარ, პროტესტის გამოხატვა შეგიძლია, იქ კი ასეთი რამ არ არსებობს...

გალში, ჩვენს სოფელში, ახალგაზრდები კი არიან, მაგრამ არაფერს არ აკეთებენ. მათი საქმე მხოლოდ გაზაფხულზეა, როცა ყანაში უნდა იმუშაონ. სხვა დროს არაფერი საქმე არა აქვთ და ფაქტობრივად ან უნდა დალიონ ან რაღაცა ჯანდაბა ნარკოტიკით უნდა გაერთონ. რაღაცნაირად, ცხოვრების ცუდ პირობებში არიან. არაფერი გასართობი არა აქვთ. იჩაგრებიან, ერთ ადგილზე არიან ჩაკეტილები და თან ბევრი ახალგაზრდა თანატოლი

არ ჰყავთ. დაჯდებიან, კარტს ითამაშებენ, მაგრამ ამას ყოველთვის ხომ ვერ გააკეთებ? მერე ან უნდა დალიონ ან პლანით და ჯანდაბით გაერთონ... აქვთ მერე ან კუჭის ან ღვიძლის პრობლემა. ერთს ძალიან ბევრი დაღვევისაგან კუჭი გაუსკდა, სხვებს ღვიძლი აქვთ საშინელ მდგომარეობაში და დღითიდღე უარესდება მათი ცხოვრება.

განსხვავებაა ისაა, რომ აქაური - ზუგდიდში მცხოვრები ახალგაზრდების უმრავლესობა ცდილობს, ან დასაქმდეს, ან ისწავლოს სადმე, ან ელემენტარულად თავისი ფიზიკური ან გონებრივი შესაძლებლობები გამოავლინოს. რაღაცას ცდილობენ, მეტი შესაძლებლობებიც აქვთ. იქაური ახალგაზრდები ყველაფერს მოკლებული არიან. დღეს რა ვჭამო, ხვალ რითი ვიკვებო და მორჩა, მეტი არაფერი მათთვის არ არსებობს. ჯარის გამოც პრობლემები აქვთ. თუმცა, როცა ჯარში წავლენ, მათ იქ ცუდად არ ექცევიან და არ ჩაგრავენ. პირიქით, თუ ერთხელ იმ ჯარში წახვედი, მერე იქ არავინ გერჩის...

მაგრამ მე არ მინდოდა აფხაზეთისთვის მემსახურა, რადგან ერთი სახელმწიფოს შიგნით ერთი ჯარი უნდა არსებობდეს, მაგრამ აფხაზი თავის თავს რესპუბლიკას უწოდებს. იმათ რომ ემსახურები, აქვთ, საქართველოს კანონმდებლობა არ გალიარებს, აქვთ ნამსახურებს კი ის არ ალიარებს და ასეა. მე ქართველი კაცი ვარ და საქართველოში ყოფნა მირჩევნია, ვიდრე აფხაზეთში სამსახურის შემდეგ ქართულმა კანონმდებლობამ და ქართველებმა არ მალიარონ. ამიტომ არ მინდა აფხაზეთის ჯარში წასვლა.

### **„გაჭირვებამ გვასწავლა ცხოვრება“**

ჩვენი მშობლები იტყვიან, ჩვენ რაც გვინახავს, იმას მაინც მოსწრებოდითო, ჩვენმა მშობლებმა იცოდნენ კარგი ცხოვრების გემო, მშვიდობიან დროში ცხოვრების მნიშვნელობა,

ჩვენ კი ბავშვობის წლებიდან ტანჯვა-წამება გვახსოვს, მერე უკვე აქ, ამ ცუდ პირობებში ვართ. დევნილთა უმრავლესობას მხოლოდ ასეთ კომპაქტურ დასახლებებთან აქვს კავშირი. შეიძლება იმ ახალგაზრდის მშობელი უფრო მეტს შრომობდეს და წვალობდეს, რომ თავის შვილს ცოტა დაეხმაროს, მაგრამ მან ჩვენს ასაკში გაცილებით მეტი ნახა, ვიდრე ჩვენ. ჩვენ გაჭირვება ვიცით და გაჭირვებამ გვასწავლა ცხოვრება. მაგრამ შეიძლება ჩვენ, ამდენ გაჭირვებანანახმა, გამოწონობილმა ხალხმა უკეთ ვიცოდეთ, თუ რა და როგორ გავაკეთოთ, სამომავლო პერსპექტივას განსხვავებულად ვსახავდეთ, მაგრამ კარგი ცხოვრების გემო მაინც არ ვიცით...

მე რომ იქ, გალში ვყოფილიყავი და კარგი პირობები მქონოდა, ომი რომ არ მომხდარიყო, შესაძლებელია, ჩემგან სულ სხვანაირი პიროვნება გამოსულიყო. მე ხატვის, სიმღერის ნიჭი მქონდა. სახსრები კი არ გამაჩნდა, რომ ხატვის ან სიმღერის კურსებზე, თუნდაც, გიტარაზე მევლო. საკმაოდ დიდი ნიჭი იყო ჩემში, მაგრამ ეს დაიჩაგრა, არ განვითარდა, რადგან მეცადინეობის სათანადო პირობები არ მქონდა...

### **„შევეცდები, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ შევცვალო“**

ალბათ, ყველა ადამიანი ცდილობს, რომ უკეთეს პირობებში ცხოვრობდეს, სადღაც ფეხი რომ მოიკიდოს. რაც დრო გადის, მით უფრო ვფიქრობ, როგორ უნდა შეიცვალოს ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ? რა უნდა გავაკეთო, რა უნდა შევცვალო? არ მინდა, მთელი ჩემი ცხოვრება ისეთ პირობებში გავატარო, როგორშიც ახლა ვცხოვრობ. მეც მინდა, რომ კარგად ვცხოვრობდე, თუნდაც, მანქანით ვიარო და თუნდაც დავოჯახდე, მომავალზე ვიფიქრო...

რას შევცვლიდი და, უპირველეს ყოვლისა, აქაურობას დავტოვებდი. ისეთ ადგილზე დავსახლდებოდი, სადაც ნორმალურად ცხოვრებას შევძლებდი. ნორმალურ პირობებში ვიარსებებდი. მშვიდად და ნორმალურად რომ იცხოვრო, ნერვები გჭირდება, მე კი ნერვები მოშლილი მაქვს. ბევრჯერ მითქვამს, ოღონდ აქ, ამ კომპაქტურ ცენტრში არ ვიყო და სადმე სხვაგან ჩემთვის მარტოც ვიქნებოდი. საერთო საცხოვრებელია და, მოგნონს თუ არა, მაინც არის ხმაური. ძალიან მინდა, სხვაგან ვცხოვრობდე, ვმუშაობდე, ნორმალურად ვცხოვრობდე, მაგრამ ჯერჯერობით ბევრს ვერ მოვთხოვ საკუთარ თავს, მომავალი წინ მაქვს და შევეცდები, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ შევცვალო.

მე მოვალეობები მაქვს საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების მიმართ. ჩემი ყოველდღიური მოვალეობა ის არის, რომ ჯერ ერთი, სასწავლებელში წავიდე, მერე კიდევ ის, რომ წყალი შემოვიტანო დღეში, ვთქვათ, 20 ვედრო... ამას მე ვაკეთებ. საერთოდ, უმრავლეს ოჯახებში შემომტანი ქალია. არიან მამაკაცებიც, მაგრამ უმეტესად — ქალებია. ვინც სახლშია, დიასახლისის მოვალეობებსაც ითავსებს — შვილების მოვლას, ჩაცმას, სკოლაში გაშვებას. ვისაც ოჯახში ფული შემოაქვს, ისინი, ძირითადად, ბაზარში მუშაობენ... ზოგჯერ ისეც მომხდარა, რომ აქ მარტო მე ვყოფილვარ, ყოველგვარი ოჯახური საქმიანობა — სახლის დასუფთავება, ჭურჭლის გარეცხვა, წყლის შემოტანა, შარვლის გარეცხვა... ჩემი გასაკეთებელი ყოფილა.

### **„ეს ყველაფერი გარემოებამ, პირობებმა შექმნა“**

აქ გართობის არანაირი საშუალება არ არის. ამის გამო, ნერვებზე ვიშლები, აქ არიან მე-7, მე-8 კლასელი ბავშვები, რომლებიც, ძირითადად, ქალაქში გაიზარდნენ, მაგრამ მეტისმე-



ტად სადისტური აზრები აქვთ: ერთს მშვილდ-ისარი გაუკეთებია, ისრის წვერზე ლურსმანი დაუმაგრებია. უცებ დავინახე, რომ ეს ისარი ლეკვს ესროლა და ზურგში მოახვედრა, მე-7 კლასელი ბავშვია, გავვიფიქრე, ასეთი რამ როგორ უნდა ჩაედინა?. ქალაქში გაზრდილი ბავშვები არიან, მაგრამ არავითარი განსხვავება არ არის, ტყეში და მთებში გაზრდილი ბავშვებივით იქცევიან. ვუთხარი: თქვენი ხნის რომ ვიყავი, თავი მომწონდა, გოგონებს ვუყურებდი, თქვენ კი ამდენი არ გესმით-მეთქი. თუ ვინმე ნაცნობთან ერთად მომავალ გოგოს დაინახავენ, დაინწყებენ სახელის დაძახებას, კვიან, წივიან. როცა ბავშვს ნორმალური გართობის პირობები არა აქვს, ყურადღება სხვა რაღაცაზე გადააქვს. აქ ბავშვებს გასართობი არა აქვთ, თუნდაც მოედანი რომ მისცენ, სულ სხვანაირად განვითარდებოდნენ. აქ ფაქტობრივად ერთ ეზოში არიან ჩაკეტილები და, რაც დრო გადის, სულ უფრო ტყიურდებიან.

უკეთესი პირობები რომ ჰქონდეთ, სადღაც სხვაგანაც რომ დადიოდნენ, დაფუშვით, სამეცადინოდ ქალაქში ან სპორტზე, სხვა ბავშვებთანაც რომ ჰქონდეთ ურთიერთობა, შეიძლება სხვა კუთხით განვითარდნენ. აქ ერთმანეთის მეტს ვერავის ხედავენ, ჩაკეტილები არიან ამ ეზოში. სკოლაში მიდიან და მოდიან. ბევრი იქაც არ დადის და ჩაკეტილად ცხოვრობს. ელემენტარული ბურთიც არა აქვთ გასართობად და ამიტომაც ჯოხებისგან მშვილდ-ისრებს ამზადებენ და პაპუასებივით იზრდებიან. თუმცა, მთლად ბავშვების ბრალი არ არის, დაჩაგრულები არიან. ვერც მოსთხოვ სხვანაირად მოქცევას. ეს ყველაფერი გარემოებამ, პირობებმა შექმნა...

## „ეს ბავშვები საქართველოს ისტორიის შესწავლას ითხოვენ“

იქ, გალში, სწავლის მხრივ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა, თუნდაც პროგრამის თვალსაზრისით. აქ საკონსულტაციო ცენტრში დადიან ბავშვები. ხოლო ვინც აფხაზეთში სწავლობს, ისინი ამბობენ, რომ საქართველოს ისტორია არ ვიცითო. განათლების სამინისტროდან რომ მოდიან და ბავშვებს ეკითხებიან, რა მოსწონთ, რა არ მოსწონთ და ა.შ. მაშინ ეს ბავშვები ითხოვენ საქართველოს ისტორიის შესწავლას. როგორი წიგნი გინდათო, რომ ჰკითხეს, ნებისმიერი, სადაც შეგვეძლება საქართველოს ისტორიის შესახებ ცოტა რაღაც გავიგოთო. იმის მიუხედავად, რომ აფხაზეთში ვცხოვრობთ, ქართველები ვართ და საქართველოს ელემენტარული ისტორია არ ვიცითო, რაღაც წარმოდგენა მაინც ხომ უნდა გვქონდესო.

ურთიერთობის მხრივ, აქაური ბავშვები უფრო განვითარებული არიან. იქაურები კი სკოლიდან სახლში მიდიან, სახლიდან სკოლაში და მორჩა. ფაქტობრივად, იგივე პირობებში არიან, როგორც ზემოხსენებული, მშვილდ-ისარს გამოდევნებული ბავშვები. აქაური სკოლა და ბავშვები განვითარებული არიან, იქ კი დამოუკიდებლად აზროვნების უნარიც არა აქვთ. აქაური ბავშვი ხან იქ, ხან აქ, ხან ტრენინგზე მოხვდება და გონებრივად განვითარებისა და დამოუკიდებლად აზროვნების უფრო მეტი შანსი აქვს, იქ კი სკოლის პროგრამა სტერეოტიპებით არის დატვირთული. ბავშვი იქიდან რომ გამოდის, იმას დამოუკიდებლად აზროვნება და რაღაცა დისკუსიაში მონაწილეობა ძალიან უჭირს. ისინი დაჩაგრულები არიან ამ მხრივ.

## „ჩემში უფრო მეტად დარდია“

მე, თვითონ, ბავშვობაში სულ ომთან, აფხაზეთთან მქონდა შეხება და ერთხელ ჯარისკაცი დავხატე. სოფელში აფხაზები შემოიჭრნენ, ალბათ იმიტომ, რომ რამე მოეპარათ ან წაეღოთ. ჩვენ მეზობლის სახლში ვიყავით, ამ დროს ჩვენთან შესულან და რაღაცეები გამოუტანიათ. კედელზე ჩემი ნახატი ეხატა — ჯარისკაცი, და რაღაც მიუწერიათ აფხაზურად, დღესაც არ ვიცი, რას ნიშნავს ის სიტყვები...

ბავშვობიდან აქამდე, მთელმა ამ მოვლენებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. ზოგჯერ ახალგაზრდობა რომ იკრიბება, ერთად გამოდის, მეც მხიარული, ძალიან მეგობრული ვხდები, მაგრამ მართო რომ ვრჩები, ზედმეტად სერიოზულად გამოვიყურები. დათრგუნული ვარ და მგონია, რომ ჩემს ასაკთან შედარებით, უფრო სერიოზული ვარ. ჩემში კი უფრო მეტად დარდია...

ალბათ, უდარდელი და უზრუნველი ბავშვობა დავკარგე, და ეს ჩემს ცხოვრებაში მწვავე მოგონებად დარჩა...





# ენგურდალოელი



ენგურდალოელი 23 წლის ბიჭია, რომელიც აფხაზეთიდან **დევნილია** და ცხოვრობს ზუგდიდში, ნაქირავებ ბინაში. მისი მშობლებში ამჟამად აფხაზეთში, **გალის რაიონის** ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობენ. ენგურდალოელის ისტორიაში მოთხრობილია კონფლიქტის ზონაში დაბრუნებული ოჯახების ყოველდღიური ყოფა, ადამიანის უფლებების დარღვევისა და ჩაგვრის ფაქტები, იქაური კრიმინალური სიტუაცია. იგი მოგვითხრობს, თუ რა რთულია მისთვის გაყოფილ ოჯახში ცხოვრება, როდესაც მშობლები გალში არიან, თავად კი — კონფლიქტის ზონის გარეთ.

ისტორიის ნაწილი ჩანერილი იყო მეგრულ ენაზე, ქართულად გადაითარგმნა გაშიფერის დროს.

## „ჩემთვის, საერთოდ, ყველაფერი დაინგრა...“

ჩემი ერთი დღე, ნებისმიერი სხვა ადამიანის მსგავსად, ჩვეულებრივ, ასე იწყება — გათენდება, ავდგები, ვისაუზმებ, გავალ ქალაქში. თუ რაღაცა სამუშაოა, ვმუშაობ, თუ არადა, ან ძმაკაცს ვნახავ, ან შეყვარებულს შევხვდები, ასეთი რაღაცეებით გამყავს დრო საღამომდე. მერე ისევ ვბრუნდები და განსაკუთრებული არაფერი ხდება.

გართობა, მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენთან არ არსებობს, გართობა არ ჰქვია, ჩვენთან რაც არის, იმას. ნორმალურად, ცივილიზებულად კაცმა რომ სადმე დრო გაატაროს და კარგად გაერთოს, ასეთი რამ ჩვენთან არ არის.

გადაადგილებას და კონფლიქტს ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი უკავია. აფხაზეთის კონფლიქტამდე, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ჩემი მშობლები დაშორებული იყვნენ. თანაც მე ერთადერთი შვილი ვარ. რამხელა ტრაგედიაა ეს ბავშვისთვის, უზარმაზარი, ენით აღუწერელი. თუ

არ განგიცდია, ვერც გაიგებ. ამას დაემატა გადაადგილება და, საერთოდ, ჩემთვის ყველაფერი დაინგრა. ეს კონფლიქტი ჩემთვის კატასტროფა იყო.

არ ვიცოდი, ეს ყველაფერი რა შედეგით დასრულდებოდა, რაღაც საშიშროება რომ არსებობდა, ვგრძნობდი, მაგრამ ამას თუ ასეთი საშინელი შედეგები მოჰყვებოდა, იმ დროს ეს არ გამიზარებია. მე 10 წლის ვიყავი მაშინ. ომის მიმდინარეობა მახსოვს. ისიც მახსოვს, რომ ხალხი მასობრივად გადმოდებოდა აქეთ — კონფლიქტს-გარეთა ზონაში.

## „გადმოსვლის პროცესი“

გადმოსვლის პროცესი... მანქანით მოვედით საზღვრამდე-ენგურის ხიდამდე, მაგრამ საზღვარი დაკეტილი აღმოჩნდა. შემოვლითი გზებიც იყო, სადაც დიდი ტრაქტორები იდგა, ტრაქტორებს ხალხი გადაჰყავდა, და მახსოვს, რომ ჩვენც იმ ტრაქტორით გადმოვედით ზუგდიდში. მერე ზოგი ნათესავთან მიდიოდა, ზოგიც ცარიელ შენობაში შედიოდა საცხოვრებლად. ჩვენ ნათესავებთან ვიყავით.

ნათესავეები ოჯახის წევრებით, ძალიან თბილად, გვექცეოდნენ, რაც ჰქონდათ, იმას გვინანილებდნენ.

ასეთი შემთხვევა მახსენდება: იმ ოჯახში ზუსტად 40 კაცი დავმსხდარვართ სადილზე. მინდორში გავშლიდით დიდ მაგიდას, რადგან ადგილი ყველას არ ჰყოფნიდა. მასპინძლებს რაც ჰქონდათ, სულით და გულით გვინანილებდნენ. წარმოიდგინეთ, 40 კაცი ერთ ოჯახში, ერთ სახლში ვცხოვრობდით. მართლაც, უმაღლეს დონეზე მიგვიღეს.

### „ჩემი მომავალი აქეთაა, იქ არანაირი პერსპექტივა არ არის“

ოჯახში სამნი ვართ: მე, მამაჩემი და დედაჩემი. მე აქეთ გამოვალ ვარ-ზუგდიდში. ისინი კი აფხაზეთში არიან. ზოგჯერ მეც დავდივარ იქით. მიზეზი იმისა, რომ მე აქეთ ვცხოვრობდა ჩემი მშობლები იქით, ის არის, რომ ჩემი მომავალი აქეთაა, იქ არანაირი პერსპექტივა არ არის. მეორე

ფაქტორი — მე ჯარის ასაკის ვარ, შეიძლება აფხაზეთში დამიჭირონ და იქით წამიყვანონ. თანაც, ბავშვობიდან აქ გავიზარდე, სკოლა აქ დავამთავრე, აქაურობას შევეჩვიე.

აფხაზეთში ხშირად დავდივარ, თუ სიტუაცია გამწვავებული არაა და შედარებით სიმშვიდეა, მაშინ საკმაოდ ხშირად დავდივარ.


### „პირველი გადასვლა...“

მახსოვს პირველი გადასვლა. მამაჩემმა და ბებიაჩემმა წამიყვანეს, მერვე კლასში ვიყავი. შემოვლითი გზით მივდიოდით და ასეთი რამ მოხდა: მე და მამაჩემი ფერდობზე მივდიოდით. მამაჩემმა ხელი გადმომხვია. მე ვკითხვე: მამიკო, ახლა აფხაზეთში რომ დავგინახონ, რას იზამ-მეთქი? წარმოიდგინე, მამაჩემმა ხუმრობით მიპასუხა - რას ვიზამ და ყურს მოვაჭრი და ჯიბეში ჩავიდებო. ჰოდა, უცებ ორი ნაბიჯიც არ გადაგვედგა, რომ აღმართი დამთავრდა, და რას ვხედავთ- ორი მანქანით აფხაზები დგანან. რა რეაქცია გვექნებოდა? — გავიყინეთ რალაცნაირად, თითქოს ვიღაცამ ცივი წყალი გადაგვასხა. ეტყობა, ჩვენი საუბარი მათ არ გაუგიათ და უბრალოდ გამარჯობა — გაგიმარჯოს, სად მიდიხართო, გვკითხეს. მამაჩემმა უთხრა, სადაც მივდიოდით და გავაგრძელებთ გზა. შინ რომ მივედით, სახლი მთლიანად გაპარტახებული დაგვხვდა, ყველაფერი წაეღოთ. მახსოვს, იმ დღესვე დავბრუნდით აქეთ.

### „წყალში დახრჩობას გადავურჩი...“

გადასვლას რისკს უკავშირდება. თუ დამიჭიროეს, აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა ჯარში მიკრავს თავს და ორი წელი იქ უნდა გავატარო. დეზერტირობის, გამოქცევის შემთხვევაში, ოჯახს დანაოკება არ ასცდება.

ერთხელ ასეთი შემთხვევაც მოხდა: შემოვ-



ლითი გზებით მინდოდა წასვლა და ენგურზე გადასვლა, მაგრამ მდინარე ადიდებული დამხვდა. გაზაფხული იყო, როდესაც მთებში თოვლი დნება და ენგური დიდდება. მარტო ვიყავი. ტრასიდან სამი კილომეტრია ენგურის ამ გადასასვლელამდე. მდინარე ადიდებული იყო, მაგრამ უკან დაბრუნება დამეზარა, ვიფიქრე, რაც იქნება, იქნება-მეთქი...

წარმოიდგინე, როცა ამდენ მანძილს გაივლი, მეორე ნაპირზე შენს სახლს ხედავ და ისევ უკან უნდა დაბრუნდე, რაღაც ცუდია... ჰოდა, ვიფიქრე, გადავალ-მეთქი. იმის იმედი მქონდა, რომ გადავცურავდი. შევედი წყალში, მაგრამ ვერ გავცურე. დაახლოებით სამი მეტრი იქნებოდა წყლის სიმაღლე... სამასი მეტრი მათრია წყალმა, რაღაც კუნძულამდე ძლივს მივაღწიე. ავედი და დავინყე ყვირილი, მიშველეთ-მეთქი. მეზობლებმა გაიგეს და მთელი სოფელი შეგროვდა. ოთხი საათის განმავლობაში ვიყავი ამ კუნძულზე. თოვდა. ზუსტად მახსოვს, ექვსი მარტი იყო. ოთხი საათის განმავლობაში ვიყავი სველი ტანსაცმლით, წყალში დახრწობას გადავურჩი, მაგრამ კინალამ ყინვამ მომიღო ბოლო. ვინც დამინახა, ისინი თურმე დარბოდნენ საშველად, მაგრამ ვერავინ ვერ ბედავდა მოსვლას. აფხაზებს ზევით, ჩვენს სოფელში შტაბი აქვთ. ამ შტაბის უფროსისთვის - აფხაზისთვის დაურეკავთ. მან დიდი ტრაქტორი მოიყვანა და მდინარიდან იმით გამომიყვანეს. ასეთი რამ შემემთხვა ამ გადასვლის დროს.

### **„მამა დაბრუნდა, იმიტომ რომ... რამე შეენარჩუნებინა“**

აფხაზეთის დაკარგვიდან დაახლოებით სამი თვის შემდეგ. მამაჩემი იქით დაბრუნდა, რომ სახლი არ დაზიანებულიყო ან რამე შეენარჩუნებინა.

ორჯერ იყო ასეთი შემთხვევა, რომ მოვიდ-

ნენ აფხაზები და უნდა მოეკლათ, კედელთან მიაყენეს და მერე ისევ აფხაზებმა შეუშალეს ერთმანეთს ხელი. არ მოკლათ, უთქვამს ერთს მეორისათვის და ერთმანეთისთვის აუტეხავთ ჩხუბი. მაშინ რომ ტყვია გავარდა, ის ახლაც ამჩნევია ჩემს სახლს. ის ტყვია მამაჩემისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ღვთის წყალობით, მეორე აფხაზმა აარტყა იარაღს და ტყვია ზევით, სახლის მეორე სართულს მოხვდა. ასეთი უამრავი მაგალითი კიდევ შემიძლია გითხრათ.

ნელ-ნელა გაშინაურდნენ აფხაზები ჩვენს სოფელში... იყო ასეთი შემთხვევა, სახლში მოსულან ჩვენთან და მამაჩემს უთქვამს, არც თქვენზე ნაკლები მეომარი ვარ და არც თქვენზე ნაკლები მსროლელი. მაშინ აფხაზს მიუცია ავტომატი და უთქვამს, ესროლე რამე სამიზნეს და ვნახავთ, როგორი მსროლელი ხარო. ჩვენი ეზოს ჭიშკარს ქვევით რკინის ცურცლები აქვს და იმას ესროლა თურმე მამაჩემმა ერთი ტყვია. შემდეგ დაუქადნია -ნატყვიარიდან ერთი ასანთის კოლოფის რადიუსში მეორე ტყვისავე მოვარტყამო. აფხაზებს უთქვამთ, ვერ შეძლებ, რადგან ავტომატიარასოდეს გჭერიაო. ისევ გამოურთმევია მამაჩემს ავტომატი და ზუსტად იმ ნატყვიარს შორის, ხუთ სანტიმეტრზე მეტი არ იქნებოდა დაშორება, მოურტყამს. ახლაც ამჩნევია ეს ნატყვიარი ჩემს ჭიშკარს.

### **„იქ დრო გაჩერებულია...“**

ძალიან მენატრება ჩემი სოფელი, ყოველთვის მენატრება. მაგრამ ახლა რომ მითხრან, იქ მუდმივად იცხოვრეო, ამაზე ნამდვილად არ დავთანხმდები, რადგან იქ საიმისო პირობები არ არის, რომ შენი მომავალი მოძებნო.

იქ დრო გაჩერებულია, უმოძრაო ხანაა, რეგრესის გარდა, პროგრესი არ შეინიშნება. ახალგაზრდას საკუთარი ჭიშკრიდან

გასვლის ეშინია, რომ ვინმემ არ დაიჭიროს. ფინანსური სახსრები არ არის, ბიზნესს ვერ ააწყობ, განათლების პრობლები არ არის. ერთი სიტყვით, არაფერი არ არსებობს. ახალგაზრდისთვის მუდმივად ცხოვრების პრობლები ამჟამად იქ - აფხაზეთში არ არის.

### **„ყველაზე დიდი ბედნიერება“**

ჩემთვის ბედნიერებაა ჩემი მშობლების და ახლობლების კარგად ყოფნა. კიდევ ის, რომ რა პატარ-პატარა მიზნებიც მაქვს, ავისრულო. მერე ყველაზე დიდი ბედნიერება ჩვენი ქვეყნის გამთლიანება იქნება, და რომ ამ ქვეყანაში ყველამ ბედნიერად იცხოვროს. აი, მაშინ ბედნიერი ვიქნები. ჩემთვის ალბათ მთავარი ბედნიერება ისიც იქნება, რომ ჩემს შეყვარებულთან ისე ავანყო ურთიერთობა, როგორც მე მაქვს ჩაფიქრებული. ჩვენ არანაირი უთანხმოება არ გვაქვს. ერთმანეთზე ვგიჟდებით, მაგრამ უბრალოდ ცხოვრება არ გვაძლევს ერთად ყოფნის საშუალებას და ეს ჩვენთვის - ორივესთვის დიდი ტრაგედიაა... ჩემი შეყვარებული დევნილობის მერე გავიცანი აქ.

შეყვარებულის მშობლებმა მიანიშნეს იმაზე, რომ მე დევნილი ვარ. ჩვენ არ გვინდა აფხაზეთიდან იყოს ჩვენი სასიძოო, აშკარად არ უთქვამთ, მაგრამ იგრძნობოდა... უბრალოდ მაინც არსებობს სტერეოტიპები, რომ აფხაზეთიდან დევნილები და აქაურები განსხვავდებიან მენტალიტეტით, მაგრამ მე ამას მართებულად არ მივიჩნევ.

### **„ერთი ადგილიდან მეორეში... მიწვედა ადაპტაცია“**

საკმაოდ კარგად მახსოვს ჩემი ბავშვობა, როგორ დავდიოდი სოხუმში, ოჩამჩირეში, მახსოვს ზღვა, მშობლებს რომ დავყავდი ზღვაზე. აგრეთვე, ჩემი სკოლის ამხანაგები. თითზე

ჩამოსათვლელია ალბათ ისეთი ადამიანი, ვინც ჩემსავით ერთი სკოლიდან მეორეში გადარბოდა. შვიდი სკოლა გამოვიცვალე. არა მგონია, ასეთი რეკორდი ვინმემ მოხსნას.

დევნილობის დროს ხშირი ადგილმონაცვლეობა ბავშვისთვის ტრავმაა. ჩემთვისაც ასე იყო. სადაც ჩავდიოდი, ერთი ადგილიდან მეორეში, იქ თავიდან მიწვედა ადაპტაცია - საცხოვრებელ პრობლებთან, სკოლასთან. ადაპტაცია კი, ჩემი აზრით, ყოველთვის უარყოფითი პროცესია, რამაც, გარკვეულწილად, ცხოვრება ამირია. შეუძლებელია, მყარად რალაცა მიზანი დაისახო, როცა ერთი საცხოვრებელი ადგილი არ გაქვს და ყოველდღე იმას ფიქრობ, რომ აქედან უნდა აიბარგო და სხვაგან გადახვიდე.

### **„განსხვავება ჩვენსა და იმათ თაობას შორის“**

ყველა თაობაში შეიძლება პლუსების და მინუსების მოძებნა. ჩემი მშობლების თაობაში პლუსი ის იყო, რომ მათ არ უწევდათ ფიქრი იმაზე, „როგორ გადავრჩეთ“, მაგრამ, მე მგონი, ისინი უფრო შეზღუდულები იყვნენ იმ ავადსახსენებელი საბჭოთა წყობის გამო. ჩვენ უფრო თავისუფლები ვართ, მაგრამ მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილები, მგონი, ეს არის განსხვავება ჩვენსა და იმათ თაობას შორის.

### **„ახლა დებრესიის საწინააღმდეგო იმუნიტეტი მაქვს“**

ბავშვობაში ასეთი პრობლემები არ არსებობდა. არ იყო კონფლიქტი, ომი, ნგრევა, უფრო მხიარულება იყო. ბავშვობაში უფრო სხვა თვალთ უყურებს ადამიანი ცხოვრებას და მისთვის სულ ცოტაც კი საკმარისია, რომ თავი უბედნიერეს ადამიანად იგრძნოს. მოზრდილი ადამიანი კი ათას რალაცაზე ფიქრობს.

ეს არის განსხვავება ბავშვობასა და დღევანდელობას შორის.

უნივერსიტეტში რომ ჩავირიცხე და ვსწავლობდი, რატომღაც ისეთი წარმოდგენა მქონდა, რომ დავამთავრებდი თუ არა, რაღაც უზრუნველი მომავალი და კარიერა გარანტირებული მექნებოდა. მაგრამ როგორც კი დავამთავრესწავლა, უცებ უფსკრულისწინაშე აღმოვჩნდი. თითქოს დასრულდა გარკვეული პერიოდი. ჩემს წინ დიდი კითხვის ნიშანი გაჩნდა — რა უნდა ვაკეთო? სამწუხაროდ, მაშინ ამ კითხვაზე პასუხი არ მქონდა. ერთი პერიოდი დეპრესია დამეუფლა. ვფიქრობდი, რა მეშველება, სად წავიდე-მეთქი? ეს კითხვა ძალიან მანუხებდა. მერე ამას თანდათანობით შევეჩვიე და ახლა უკვე დეპრესიის საწინააღმდეგო იმუნიტეტი გამომიმუშავდა.

### **„უამრავი რამ დავკარგე“**

უამრავი რამ დავკარგე. დავკარგე ის, რომ სახლში და სოფელში ნორმალურად ვერ დავდივარ. დავკარგე უკეთესი მომავლის პერსპექტივა. რომ არა გადაადგილება, შეიძლება უფრო წარმატებული ვყოფილიყავი, ეს პრობლემები არ მექნებოდა და იმიტომ. დარწმუნებული ვარ, გაცილებით მეტს მივალწევდი ცხოვრებაში, არა მარტო მე, ნებისმიერი ადამიანი უკეთესად იცხოვრებდა. მხოლოდ ჩემი ოჯახისათვის კი არა, ბევრი ოჯახისთვის გადაადგილება დამანგრეველი აღმოჩნდა.

წარმოიდგინეთ ოჯახები, სადაც არცერთი წევრი არ მუშაობს. არანაირი ეკონომიური პირობები არ არსებობს, რომ მომავალი უზრუნველყო. მთელ დღეებს ატარებ იმის ფიქრში, რა მოიმოქმედო ხვალინდელი დღისთვის. ადამიანი ფიქრობს იმაზე, რომ შვილს რაღაცა მიურბენინოს და მშვიერი არ დატოვოს. ნებისმიერ მშობელს უნდა, რომ თავის შვილს კარგი პირობები ჰქონდეს. მშობლი-

სათვის დიდი ტრაგედიაა, თუ შვილი ისე ვერ არის, როგორც მას უნდა.

### **„ჩვენს საკუთარ ქვეყანაში დევნილები აღმოვჩნდით“**

ჩემს ცხოვრებაში რთული იყო ის, რომ ჯერ ერთი, მშობლები ერთმანეთს დამორდნენ, მერე ის, რომ ჩვენს საკუთარ ქვეყანაში აღმოვჩნდით დევნილები. ვერ ვიტყვი, რომ ამ ტკივილს გავუმკლავდი, ჯერ კიდევ ვერა. რა ვიცი, ადამიანი ისეთი არსებაა, ყველაფერს ეგუება, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შევეგუე. ზოგჯერ ჩემი სულიერი მდგომარეობა ისეთია, რომ ვიფიქრებ, ნეტა, ახლა მკვდარი ვყოფილიყავი-მეთქი. ამის მიზეზი უპერსპექტივო ცხოვრებაა.

### **„აფხაზებს მე ჩემი საზოგადოების ნაწილად მივიჩნევ“**

მე ვიტყვოდი, რომ კონფლიქტს თავისი დადებითი მხარეებიც აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ცოტა გაძნელდა დადებითი მხარეების აღმოჩენა. აფხაზებს მე ჩემი საზოგადოების ნაწილად მივიჩნევ. ჩვენ ერთი ქვეყნის ნაწილი და ერთი საზოგადოება ვართ. ეს საზოგადოება ორად გაიხლიჩა და ორ დაპირისპირებულ ბანაკად იქცა. თხუთმეტი წელია უკვე ასე გახლენილი ვართ და ქვეყანა თავზე დაგვეწვრა. ამ კონფლიქტის გარეშე გაცილებით უკეთ ვიცხოვრებდით და უფრო მეტის შანსი გვექნებოდა მომავალში.

ბოლოს აღდგომა აფხაზეთში აღვნიშნეთ. ვინც აქეთ არის ჩემი სამეზობლო, სანათესაო გადმოსული, იქაური აფხაზი მეზობლები... ყველა ერთად შევიკრიბეთ. მაშინ ჯარში განვევის სეზონი არ იყო. შევიკრიბეთ აღდგომა დღეს ერთად, შევაგროვეთ საქმელ-სასამელი, რაც შეგვეძლო, ბოლომდე მოვილხინეთ და ვიმზიარულეთ. ასე ვთქვათ, იქაური ნოსტალგია ცოტათი მაინც გავიქარვეთ.



### „...მშვიდობა, რომელიც ომს სჯობია“

ჩვენს ოჯახს აქვს აფხაზებთან კონტაქტი, რომელიც ვერტიკალურ ურთიერთობებზეა დამყარებული ანუ ბატონისა და ყმის ურთიერთობის მსგავსად. ჩვენ იძულებული ვართ, თავის გადარჩენის მიზნით, მათ ველაქუცოთ, რომ ცუდად არ მოგვექცნენ. აფხაზეთში ისეთი სიტუაციაა, რომ არ არსებობს კანონიან კანონის დამცავი სტრუქტურა. ყველა თავისთვის უბერავს და, როგორც უნდა, ისე დათარეშობს. ერთი სიტყვით, მაფიოზური სისტემაა. ამჟამად არის ვასალური, მონური, დამამცირებელი ურთიერთობა. თუმცა ადრე უფრო მწვავე პერიოდი იყო. ახლა არ არის ისეთი ვითარება შექმნილი, რომ ხალხი მასობრივად დააზიანონ ან მოკლან. წინანდელთან შედარებით ახლა უფრო სტაბილურობაა, მაგრამ ეს არის მშვიდობა, რომელიც ომს სჯობია.

### „მოდით, ვიცხოვროთ ერთად...“

აფხაზებს ვეტყოდი იმას, რომ მოდით, ვიცხოვროთ ერთად! მოდით, ვიცხოვროთ ერთად და მომეცი ხელი!

სხვათაშორის, ამაზე ერთ ისტორიას მოგიყვებით. აქ, ზუგდიდში, ახალგაზრდებმა საინიციატივო ჯგუფი შექმენით. გექონდა იდეა, ამ პროექტით თბილისიდან აფხაზეთის საზღვრამდე, ენგურის ხიდამდე შეკრულიყო ცოცხალი ჯაჭვი. ცოტა დიდი მანძილია და ხალხის რაოდენობას ვერ შევკრებდით, ამის გამო, ეს მანძილი შევამოკლეთ და გადავწყვიტეთ, ზუგდიდიდან აფხაზეთის საზღვრამდე ცოცხალი ჯაჭვის გაკეთება. გვინდოდა, პრეზიდენტისთვის მიგვემართა და ეს იდეა საქვეყნოდ გაგვეხმინებინა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს იდეა ვერ განხორციელდა. არადა, ეს იქნებოდა მესიჯი აფხაზებისთვის, როგორც ზემოთ გითხარი: „მომეცი ხელი, ვიცხოვროთ

ერთად!“

მე აფხაზებთან გამოვრიცხავდი კატეგორიულ ტონს, რომელიც გვაქვს ერთმანეთის მიმართ. დავამყარებდი პირდაპირ კონტაქტს საშუალო ფენასთან და, ვილაცხვებო ჩაურევლად, „ვაი პოლიტიკოსების“ მიზნებისა და ამოცანების გარეშე, გავმართავდი მათთან დიალოგს. უბრალო ხალხთან დავამყარებდი კონტაქტს, უბრალო ხალხი უფრო გაუგებს ერთმანეთს. ჩემი ოცნებაა, რომ საქართველო იყოს მთლიანი და ამ საქართველოში ყველა ბედნიერად ცხოვრობდეს.

### „ეს ორი სხვადასხვა სამყაროა“

ხდება ასეთი რამეც, აქედან აფხაზეთში რომ გადავდივართ, იქ მაცხოვრებელი ახალგაზრდები გვეუბნებიან, რომ ზუგდიდელები მოვიდნენო.

ამის გამო, მე და ჩემს ნათესავ ბიჭს კონფლიქტიც კი მოგვივიდა: სუფრასთან ვიყავით, ზუგდიდელებიო, ჩვენზე თქვეს. შევეწინააღმდეგეთ, რატომ ზუგდიდელები, ჩვენც ხომ აქ - აფხაზეთში დავიბადეთ და აქაურები ვართ, რატომ უნდა მოემართათ ასე? ალბათ, რაღაც მიზეზი აქვს ამას — არ ვიცი, რა. იგივე სიტუაციაა აქაც. აქეთ როცა ვართ, მაშინ გალელებს გვეძახიან. რაღაც გაორებული ვართ... ეს ხშირად ხდება, ბევრისგან გამიგია.

იქ დარჩენილებსა და დევნილებს შორის განსხვავებაა. ეს ორი სხვადასხვა სამყაროა. ერთია სამყარო, რომელშიც იქ დარჩენილები ცხოვრობენ, შეგუებულნი იქაურ წესებს. ისინი, ზოგადად, ცხოვრებასთან უფრო მონური დამოკიდებულებით გამოირჩევიან. ხოლო აქეთ ვინც არის, უფრო რალაცნაირი მემბოხეები არიან, იქიდან გამომდინარე, რომ აქ მეტი თავისუფლებაა. აი, ეს განსხვავება შეინიშნება აქეთ გადმოსულებსა და იქ დარჩენილებს შორის.

## „იქ ეთნიკური ნიშნით ადამიანებს განასხვავებენ“

მე იმას ვიტყვოდი, რომ ჯერ არ გამიგია, გალში ვინმეს ადამიანის უფლებები დაეცვას. იქ უბრალოდ არ არსებობს იმის პირობები, რომ შენი უფლებების დარღვევის გამო ვილაცასთან იჩივლო. აქ კი შეიძლება უკანონოდ დაგიჭირონ ან სხვა რამ, მაგრამ შეგიძლია ადვოკატთან მიხვიდე, რომელიც გაერკვევა სიტუაციაში და დაგეხმარება. იქ არც ადვოკატი არსებობს, არც სათანადო სტრუქტურები, რომ სადმე განაცხადო. იქ მცხოვრები ადამიანებიც საერთოდ არ ფიქრობენ თავიანთი უფლებების დაცვაზე.

ადვოკატი რომც არსებობდეს, არა მგონია ქართველის უფლება დაიცვას. მე არ ვიცი ასეთი მაგალითი. იქ ეთნიკური ნიშნით განასხვავებენ ადამიანებს. ჩვენი, ქართული მოსახლეობა ვასალივით არის და დაბალი ფენის წარმომადგენლად მიიჩნევენ. ცოტა უხეში სიტყვაა, მაგრამ კასტური დამოკიდებულებაა, იქ როცა ხარ აფხაზი, უფრო მაღალ საფეხურზე დგახარ.

უამრავი ჩაგვრის ფაქტიცაა. გალის მასშტაბით, ჩემი გამოცდილებით ვიცი, ხიდზე გადასვლისას, რალაცას ქილიკობენ, ერთი სიტყვით, რაც მოუწდებათ, იმას გეუბნებიან და გაადრებენ.

ასეთი შემთხვევა მინდა მოგიხსროთ. გამწვავებული იყო სიტუაცია. მით უმეტეს, როცა ჯარის ასაკის ადამიანი ხარ, აფხაზების აგრესია განსაკუთრებით მატულობს. აფხაზეთიდან გადმოვდიოდი და მარტო დაბადების მოწმობა მქონდა. საბუთები რომ მთხოვეს, დაბადების მოწმობა ვაჩვენე. აფხაზმა მესაზღვრემ ალმაცერად შემომხედა და მკითხა: ეროვნებით ვინ ხარო?? დავფიქრდი. ამათ რომ ვუთხრა, ქართველი ვარ, ასპროცენტიანი ვიცი, შარს მომდებენ და შეიძლება დამაკა-

ვონ-მეთქი. ჩავთვალე, რომ ჯობდა მეთქვა, თითქოსდა, მეგრელი ვიყავი. თუ მეგრელი ხარ, ცოტა განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. მეგრელებთან უფრო ტოლერანტულები არიან, ვიდრე ქართველებთან. მერე ამ აფხაზმა მესაზღვრემ შემომხედა, მომცა ეს ჩემი დაბადების მოწმობა და კაი, კაიო, ირონიულად გაიცინა და გამომიშვა აქეთ.

ამ შემთხვევაში თავი ლაჩრად ვიგრძენი, მაგრამ მეორე მხრივ, მე არ შემეძლო რაიმეს თქმა ჩემი ეროვნების გამო. მთელი გზა აქეთობისას - ზუგდიდისკენ მომავალი ვფიქრობდი: რა სჯობდა, მეთქვა, რომ ქართველი ვიყავი თუ ის, რაც ვუთხარი? მაგრამ რა ვიცი, იმ სიტუაციაში სჯობდა ისევ ის მეთქვა, რაც ვთქვი. მაგრამ, ჩემდა თავად, სინდისი მეუბნებოდა, რომ მართალი არ ვიყავი.

## „კიდევ ერთი ჩაგვრის ისტორია..“

კიდევ ერთი ჩაგვრის ისტორია გამახსენდა. ჩვეულებრივი სალამო იყო, მთელი ოჯახი ვისხედით შინ, ტელევიზორს ვუყურებდით. უეცრად, უკანა კარიდან ბრაზხუნი გაისმა. მამაჩემი ადგა და კარი გააღო. მე წინა ოთახში ვიყავი და ვერ დავინახე, უკან რა ხდებოდა. ხმაურზე, შუა კარი გავაღე, ვხედავ, რომ მამაჩემს ავტომატის კონდახი ჩაარტყეს. უცებ აზრზე ვერ მოვედი, რა ხდებოდა, თურმე დაგვაყარაღეს. კონდახის ჩარტყმის შემდეგ, სანყალი კაცი წაიქცა, მერე ვნახე, რომ კბილებიც ჩამტვრეული ჰქონდა. უცებ წინა კარიც გაიღო და იქიდან ორი „მასკიანი“ ადამიანი შემოვიდა. ესენი დედაჩემს ეცნენ. შემდეგ მეორე ოთახში შემოიხედა ერთმა, რალაცნაიად, ინსტინქტურად ხელები ავნიე. ერთი მომიახლოვდა, უცებ წამებში, ნიხლი ჩამარტყა. ეს ყველაფერი წამის მეთხრათ, ისე ვლელავდი, რომ კარგად არც მახსოვს, რა როგორ მოხდა.



ფული, ოქროულობა და ძვირფასეულობა - ყველაფერი მოგვთხოვეს. სანყალი დედაჩემი ააყენეს სკამიდან, ერთმა მარნუხი გამოიტანა უკანა ოთახიდან, დედაჩემს ოქროს კბილი ჰქონდა, და დაემუქრა, კბილებს დაგაძრობო. კბილებს დაგაძრობო -ეს ახლა სათქმელად ადვილია, მაგრამ როცა დედას, მშობელს, გამზრდელს ვილაცა ამას ეტყვის, როგორ გუნება-განწყობილებაზე იქნები?... კბილს აძრობენ იმის გამო, რომ ის ოქროსია. ეს რაღაც წარმოუდგენელი შოკი იყო ჩემთვის... წარმოიდგინეთ, ამის შემყურე მე და მამაჩემს რა დაგვემართებოდა, როცა ქმარი და შვილი გიყურებს და ვილაცა კბილს გაძრობს? მანამდე ჩვენ გაგვკოჭეს და ტახტზე მიგვყარეს.

ნიღბიანები ოთხნი იყვნენ. ხოლო გარეთ რამდენი იყო, არ ვიცი. მერე ერთ-ერთი ღვთისნიერი აღმოჩნდა, არ ვიცი, როგორ გამოვხატო იმ ადამიანის მიმართ მადლიერება. იმას მეორეს, ვისაც ეს მარნუხი ეკავა, გამოართვა. საერთოდ, ყველას ღმობიერად გვექცეოდა. ამ მომენტში ჩვენთან ერთი კვირით იყო ჩამოსული ჩემი ბიძაშვილი, 12 წლის გოგო. გულის მანკით იყო დაავადებული. მერე, და არა ამ თავდასხმის დროს, გარდამეცვალა ეს ბიძაშვილი. წარმოიდგინეთ, 12 წლის გოგოს და თან გულის მანკით დაავადებულს, რა დემართებოდა „მასკიანების“ დანახვაზე. გულის შეტევა დაემართა. სამი ოპერაცია ჰქონდა მაგ დროისათვის უკვე გაკეთებული.

იმ პიროვნებას, ვინც ეს მარნუხი გამოართვა მეორე აფხაზს, დედაჩემმა უთხრა, ბავშვი ცუდად არის, გულის შეტევა აქვსო. აუხსნა, რომ გულის მანკი ჰქონდა. იმან ასეთი რაღაცა გააკეთა: ადგა, გავიდა, ჭიქით წყალი შემოიტანა ამ ბავშვს და მოფერება დაუწყო - ყველაფერი კარგად იქნება, ჩვენ მალე წავალთო. ბავშვიც დამშვიდდა რაღაცნაირად.

ჩვენ ვუთხარით, რომ ფული და ქონება არ გვქონდა. არადა, როგორი მომენტია? არა გაქვს და ითხოვენ. არა-და, გკლავენ იმის გამო, რომ არა გაქვს ფული. ეგონათ, რომ ვმალავდით და იძულებით გამოვიტანდით. ამის გამო ჩემი მშობლების წინაშე ამაყენეს, მაისური გამხადეს და მაგიდაზე დამანვინეს. ამასობაში, მეორე ყაჩაღმა მეორე ოთახიდან უთო გამოიტანა, ჩართო და ჩემი დაუთოება უნდოდათ. დგახარ შიშველი და უთოს გადებს ვილაცა, წარმოიდგინე, როგორი ჯალათი უნდა იყოს?

მე არ ვიცი, ალბათ ამით უნდოდათ ჩემი მშობლები აეძულებინათ, რომ ფული მოეტანათ. მერე დარწმუნდნენ, რომ მართლა არ გვქონდა ფული და გვითხრეს, რომ ჩვენ აქ, გარეთ ვიდგებითო ნახევარი საათის განმავლობაში და თქვენ არ გამოხვიდეთ, თორემ ყველას დაგზოცავთო, და გავიდნენ. რაღაცეები შეაგროვეს. ცოტა ფული, ერთი ოქროს ბეჭედი, ტელევიზორი, ტანსაცმელი - ასეთი რაღაცეები წაიღეს და წავიდნენ.

იმ ღამეს, მართლა ნახევარი საათით, თავი გარეთ არ გამოგვიყვია. მეორე დილით გავიგეთ, რომ მეორე სოფელში გადასულან, იქაც ვილაცა დაუყაჩაღებიათ და ვისაც თავს დაესხნენ, ქართველი ყოფილა, უგრძობია ყაჩაღების მისვლა და კარების ჩაკეტვა მოუსწრია. სახლში ორღუღიანი თოფი ჰქონია. როგორც კი ერთი ყაჩაღი შემოვარდნილა, პირდაპირ დაუხალა თვალგებში. კი არ მომკვდარა, მარა მერე გავიგეთ, რომ თვალები დაუზიანდა. მერე აფხაზებსაც საპასუხოდ უსვრიათ. ეს თავიანთი დაჭრილი ყაჩაღი გაუყვანიათ. იმ კაცს, სახლის პატრონს, ტყვია მოხვედრია ყბაში. თუმცა, ისიც გადარჩა.

ამის შემდეგ, არ ვიცი, როგორ მოხდა, ამ საქმეში გალის პოლიცია ჩაერია... ამაზე არ შეიძლება ოდეს უკვე თვალის დახუჭვა. ერთი

დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს, მეორე კიდევ დაიჭირეს. სულ ოთხნი იყვნენ. ეგ ფორ-მალობა იყო. ერთი კვირა იჯდა თურმე და მერე გაუშვეს. ჩვენი სახლიდან რომ გაიტანეს ტელევიზორი, თურმე გალის მილიციაში უყურებდნენ. მერე, ვინც იყო ჩვენთან შტაბში, აფხაზებმა გვითხრეს, წადით და თქვენი ტელევიზორი წამოიღეთო, მაგრამ მამაჩემმა თავი შეიკავა, ისინი რომ არ გაბრაზებულიყვნენ და ამის გამო შევატოვეთ.

დაჭერის შემდეგ გაირკვა, რომ აფხაზები იყვნენ. ეს მათ საუბარზე და ინტონაციაზეც ეტყობოდათ. უამრავი ასეთი მაგალითია და არა ერთი. იქ ოჯახები ორჯერ-სამჯერ არიან დაყაჩაღებული.

### **„ადამიანი...იმედით ცხოვრობს“**


რაც უნდა მოხდეს, მაინც ოპტიმისტი ვარ. ყველაფრის მიუხედავად, რაც ცხოვრებაში გადამიტანია, იმედი მაქვს, რომ ჩვენთან პირობები შეიქმნება, ნიჭიერი ადამიანი დაფასდება, რომ მან თავისი შრომით წარმატებას მიაღწიოს. კიდევ იმის იმედი მაქვს, რომ ჩემი ქვეყანა ისეთი გახდება, რომ ჩემი თავის რეალიზაცია შევძლებ. ადამიანი ყოველთვის იმედით ცხოვრობს.

ჩემთვის წარმატება ის იყო, რომ ვინც მე მიყვარს, ისიც გამომიტყდა სიყვარულში. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება და, ამავე დროს, წარმატებაც, მე მივალწიე იმას, რომ იმ ადამიანს თავი შევაყვარე.

საზოგადოებას ვეტყობდი, რომ ჩვენი პრობლემებით დაინტერესდნენ და დაგვეხმარონ, თუ რამით შეუძლიათ. აგრეთვე, მივმართავდი მათ, რომ ჩვენ, ხუმრობით რომ ვთქვათ, „ბანანის ქვეყანა“ არა ვართ. საკმაოდ ძლიერი პოტენციალის მქონე ნიჭიერი ხალხი ვართ და ითანამშრომლონ ჩვენთან.



# ინგა



ინგა 38 წლისაა. ის აფხაზია, მეუღლე კი ქართველი ჰყავს. ისინი ოთხ შვილს ზრდიან. უკვე 15 წელია, რაც ოჯახი, რომელიც ომამდე აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში ცხოვრობდა, დევნილობაშია... ინგასა და მისი ოჯახის ისტორია საომარი პერიოდის სიძნელებზე და პრობლემებზეა, იმაზე, თუ რა ძნელი იყო ახალ ადგილზე დამკვიდრება და პურის ფულის მოპოვება. ინგა საუბრობს ნოსტალგიაზე, თუ როგორ ენატრება მშობლიური სახლი, როგორ დარდობს მოხუც მშობლებზე, რომლებიც იქ დარჩნენ, და რომლებსაც ძალიან იშვიათად ხედავს. ეს ისტორია მოგვითხრობს მრავალშვილიანი ოჯახის ყოველდღიურ პრობლემებზე – მუდმივად სამუშაოს ძებნაზე, ფულის ნაკლებობაზე, შიშზე, არ დაკარგონ საცხოვრებელი ადგილი..

ისტორია ჩანერილია რუსულ ენაზე.

## „ეს ყველაფერი ომის ბრალია...“

აფხაზეთში დავიბადე. ოჩამჩირის რაიონში, სოფელ გვადაში ვცხოვრობდი. ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა – არც პრობლემა, არც რაიმე საზრუნავი არ მანუხებდა. პრობლემები მოგვიანებით შემექნა – მაშინ, როცა ომი დაიწყო.



ჩემს მეუღლეს, ჩემს ბედს, ჩემსავე რაიონში შევხვდი, თუმცა ის სხვა, მეზობელი სოფლიდან – კოჩარადან იყო. მე თვითონ აფხაზი ვარ, ცოლად კი ქართველს გავყევი. ჩვენს შეუღლებას არავინ შეინააღმდეგებია. იმის გამო, რომ ჩემი მომავალი მეუღლე ქართველი იყო, პრობლემა არ გამჩენია. მაშინ ეს არავის აღელვებდა. ეს მერე ომმა გამოიწვია... ყველაფერი ომის ბრალია...

ერთმანეთი შეგვიყვარდა და დავექორწინდით. ჩემს მეუღლეს დიდი და კარგი ოჯახი ჰქონდა – სამი ძმა, ორი და და დედ-მამა იყვნენ. მამა ომის დროს, 1992 წლის დეკემბერში მოგვიკლეს...

ახლა ოთხ შვილს ვზრდი. სამი გოგონა აფხაზეთში შემეძინა, ბიჭი კი აქ – თბილისში.

მე გვიამბობთ ომის დროს გადატანილ გაჭირვებაზე, როგორ ვშოულობდით პურს. ომის დროს მე და ჩემს მეუღლეს სამი ბავშვით მოგვინია ჩვენი სახლის დატოვება. ყოველ ექვს თვეში ჭერს ვიცვლიდით – ხან ერთ ნათესავთან ვცხოვრობდით, ხან – მეორესთან. ძალიან ძნელი იყო ასე ცხოვრება.

ჩვენი არაფერი არ გვებადა. ჩვენს ნათესავებსაც არ ჰქონდათ დიდი შემოსავალი, საკუთარი მეურნეობის ხარჯზე ცხოვრობდნენ. ამ დროს, უეცრად ჩვენ დავატყდით თავს. . პატარა ბავშვებით – მაშინ ისინი ორი, სამი და ოთხი წლისანი იყვნენ... ჯერ მარტივლში ამოვყავით თავი. ჩემი მამამთილის სამშობლოა. კვირაში ერთხელ ფოთში მივდიოდით პურის საყიდლად: უპუროდ ვერ გავძლებდით, ბავშვების გამოსაკვები სხვა საჭმელი არ გვქონდა. მაგრამ პურიც ხომ დეფიციტი იყო. ძალიან ძნელი იყო პურის შოვნა. და მაშინ



მე და ჩემმა ქმარმა გადავწვიტეთ ხორბალი გვეყიდა. ვიყიდეთ, მოვიტანეთ, დავსხედით, გადავარჩიეთ - ბრინჯს რომ ვარჩევთ ისე, ხელით. ნავილეთ ნისქვილში და დაფუქვით. რა საშინელი ხორბალი იყო - ნახშირით შავი! ის, რაც იმ ფქვილისგან ცხვებოდა, ლუმელიდან რომ ამოვიღებდით, მხოლოდ მაშინ, ცხელი, შეიძლებოდა გვეჭამა. ოდნავაც რომ გაცივდებოდა, ისეთი მაგარი ხდებოდა, რომ შეუძლებელი იყო ჩაკბენა. ხორბალი ხომ ძალიან უხარისხო იყო, მაგრამ გვიხაროდა, ეს მაინც რომ ვიშოვეთ. მთელი თვე ჩემი ბავშვები ამ პურს ჭამდნენ. უფროს გოგონას, რომელიც მაშინ ოთხი წლის იყო, მუცელი ასტიკვდა - ბავშვის ორგანიზმს უჭირდა ასეთი საკვების მონელება. მერე სიმინდის ფქვილი ვიშოვეთ და ვურევდით პურის ფქვილთან, ეკონომიას ვენეოდით, დრო გაგვყავდა, ვცდილობდით, რომ ფქვილი მეტ ხანს გვეყოფნოდა. მერე კი ყველით დავინყე ვაჭრობა...

### **„პურის საყიდლად, მთელი ღამე რიგში უნდა გაგეთენებინა“**

სოფელ ბანძაში კვირაში ერთხელ ბაზრობა იმართებოდა. ორი საათის განმავლობაში უნდა მოგესწრო საქონლის ყიდვა და სხვა სოფელში გადაგეტანა, რომ იქ უფრო ძვირად გაგეყიდა და შვილებისათვის რამე გეშოვა. ჰოდა, მე ვყიდულობდი 50 კილოგრამ ყველს, მერე ამას უფრო ძვირად ვყიდდი და, რაც მრჩებოდა, იმ ფულით ჩემებისთვის პურს ვშოულობდი. პურის საყიდლად, ფოთში, პურის ქარხანასთან, რიგში მთელი ღამე უნდა გაგეთენებინა. პურის ქარხანაში მამამთილის ნათესავი მუშაობდა - ის უკანა კარიდან მიშვებდა ხოლმე. 30-40 პურს ვყიდულობდი. მარტოს მიმქონდა 40 პური, ზურგით მივათრევდი. აბა, რა მექნა? სამი შვილი, რძალი, მაზლი, სახლის პატრონები, რომლებმაც შეგვიფარეს - 12 სული ამ პურს ელოდებოდა. ტომარაში

ვინახავდით, ორთქლზე ვატარებდით და ასე ვაძლევდით ბავშვებს საჭმელად.

### **„ჩვენი ცხოვრება ადვილი არა არის „**

ახლა ვცხოვრობთ ვაშლიჯვარში, კოლექტიურ ცენტრში. ჩვენ, იძულებით გადაადგილებული პირები, აქ 200-250 ოჯახზე ნაკლები არ ვართ. შენობა დიდია. კარგი, კეთილი მეზობლები გვყავს, ყველა ერთმანეთს ეხმარება. არც ომის დროს, არც ომის შემდეგ არავის უგრძობობინებია ჩემთვის, რომ აფხაზი ვარ. შეიძლება, მე გამიმართლა, რომ კარგი მეზობლები შემხვდა?

ჩვენი ცხოვრება ადვილი არა არის. თითქმის ყველა - უმუშევარია, მუდმივი სტრესის ქვეშ ვცხოვრობთ, გვეშინია, რომ გამოგვასახლებენ. არ ვიცით, რა მოგველის. ხომ ხედავთ, სხვაგან რა ხდება, ყველა ასეთი საცხოვრებლიდან დევნილებს ასახლებენ. ჩვენთან ოფიციალური პირები ჯერ არ გამოჩენილან, თუმცა პრივატიზაციაზე უკვე ლაპარაკობენ. ადამიანებს ეშინიათ, რომ მოატყუებენ, რომ ყალბ დოკუმენტებს მისცემენ... და მსგავსი რალაცეების. ჯერჯერობით, ინვესტორიც არ გამოჩენილა. თუ გამოჩნდება, შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, რაიმე გაირკვეს. ახლა კი, არ ვიცით, აქედან გამოგვასახლებენ, დაგვტოვებენ თუ კომპენსაციას მოგვცემენ? მთავარია, იმ ფულით, რასაც მოგვცემენ, რაიმეს ყიდვა მოვასწროთ. მახსოვს, თბილისში რომ გადმოვედით, 3-4 ათას დოლარად შეიძლებოდა ბინის ყიდვა. ახლა კი ფასები ისე გაიზარდა, რომ 7 ათასადაც ვერ შეიძენ. რასაც ჩვეულებრივ ინვესტორები სთავაზობენ დევნილებს, შეუძლებელია იმით რამის ყიდვა. ვერაფერს ვერ იყიდი. ოთხი შვილის დედა ვარ, ოჯახში ექვსნი ვართ, როგორ ვიცხოვროთ ექვსმა სულმა ერთ ოთახში? და, საერთოდაც: 7 ათასად შევძლებთ ბინის ყიდვას?

## „სულ დანაკარგი და დანაკარგი“

მე არსად არ ვმუშაობ, მეუღლე დადის სამსახურში დღეგამოშვებით, თვეში 15 დღეს, ყველანი მის ხელფასზე ვცხოვრობთ. საკუთარი საქმის დაწყებას ვცდილობდით. გავხსნიდით ჯიხურს, 3-4 თვე ვიმუშავებდით, დაგვხურავდნენ, აქ ვაჭრობა არ შეიძლებაო... ყოველ ჯერზე „მკვდარი,“ განერვიულებული მოდის მეუღლე შინ, ყოველთვის რალაც ხელს გვიშლის. ასე, სულ დანაკარგი და დანაკარგი, იმედი არ გვაქვს, რომ სტაბილური შემოსავალი გვექნება.

## „სულ იმაზე ვოცნებობ, რომ დავბრუნდეთ“

მე დედისერთა ვარ, ჩემი მშობლები იქ, აფხაზეთში, მარტონი დარჩნენ.. მე კი აქ ვცხოვრობ, თბილისში, ხოლო ფიქრებით იქ ვარ, სულ იქითკენ მიმინვეს გული, სულ მეჩვენება: აი, ახლა დაიწყება დაბრუნება და მე ისევ ჩემს სახლში ვიქნები. დღის განმავლობაში ბევრი საქმე მაქვს, საოცნებოდ არ მცალაია, ღამით კი – ვფიქრობ მხოლოდ წარსულზე, სულ იმაზე ვოცნებობ, რომ დავბრუნდეთ... ზაფხულში, როგორც კი საშუალება მომეცემა, ჩემებთან მივდივარ, ხან რამდენიმე დღით, ხან ერთი თვით, როდის როგორ მომიხერხდება. ჩემს ბავშვებსაც უყვართ ჩემთან ერთად იქ ჩასვლა. მშვენიერი ურთიერთობა აქვთ თავის თანატოლებთან აფხაზეთში. არავითარი დაძაბულობა არ არსებობს ნათესავებთან ურთიერთობაში, მხოლოდ სითბო და სიყვარულია. ჩვენი აფხაზი ნათესავები სულ გვეუბნებიან: ჩამოდით, დარჩითო. მაგრამ ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია იქ საცხოვრებლად გადასვლა. ის კი ძალიან მიხარია, რომ ჩემი შვილები თანდათან უფრო და უფრო უახლოვდებიან ჩემს ნათესავებს, ერთმანეთის მიმართ კარგი დამოკიდებულებით გამოირჩევიან, მიწერ-მოწერა აქვთ, ურეკავენ ერთმანეთს – ტელეფონით ურთიერთობენ.

## „ბავშვების გამო ვუძლებ ამ ყველაფერს“

ჩემი შვილები სკოლაში თბილისში წავიდნენ. უფროსმა უკვე დაამთავრა და ინსტიტუტში ჩააბარა, მეორე კურსზეა. მეორე ქალიშვილმა რამდენიმე დღის წინ დაამთავრა სკოლა, ისიც უმაღლესი სასწავლებელში აბარებს, მესამე გოგონა მეთერთმეტე კლასში გადავიდა. უმცროსი ბიჭი კი ჯერ პატარაა, სამი წლისაა, საბავშვო ბაღში დადის. ბავშვები გაიზარდნენ, სულ უფრო მეტი და მეტი სჭირდებათ. ყველაფერში ფული უნდა გადაიხადო – განათლება, მაგალითად, ძალიან ძვირი ჯდება. და კიდევ, ოთხი ბავშვი ხომ უნდა შევინახოთ და გამოვკვებოთ, ჩავაცვათ – ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. არ ვიცი, ასე რამდენ ხანს გავძლებთ. თავიდან, თბილისში რომ ჩამოვედით, რა თქმა უნდა, ძალიან გვიჭირდა, მაგრამ რალაცნაირად ძალა მოვიკრიბეთ, ფეხზე დადგომა შევძელით. ძალიან ბევრ რამეს ვასწრებდი, მაგრამ დრო გადიოდა და მერე ისევ ყველაფერი ინგრეოდა – სამსახურს ვკარგავდი, ოჯახურ ბიზნესს ვერ ვანყობდით... ყველაფერს ისევ თავიდან ვინწყებდით. მე დღესაც იმავე სიტუაციაში ვარ, როგორც ომის დამთავრების შემდეგ – არაფერი არა მაქვს! ხანდახან ნერვები მიმტყუნებს, მეჩვენება, რომ ძალა აღარ შემწევს. მაგრამ ბავშვების გამო ვუძლებ ამ ყველაფერს.

## „ბევრ რამეზე ვოცნებობ“

მე ბევრ რამეზე ვოცნებობ: მთავარია, რომ ჩემი ბავშვები ჯანმრთელნი, ბედნიერები იყვნენ და უკეთესი მომავალი ჰქონდეთ. ეს ყველა ქალის ოცნებაა – მისი ოჯახის ბედნიერება და კეთილდღეობა. კიდევ ვოცნებობ მუდმივ და სტაბილურ სამსახურზე, რომ ყოველი დღე არ იწყებოდეს ფიქრით იმაზე, სად წავიდე, სად ვიპოვო სამუშაო. მე მგონია, თუ ეს ოცნება ამიხდება, ყველა პრობლემა თანდათან მოგვარდება. ყველაზე მთავარი

კი – მშვიდობაა, ოღონდ ომი ნუ იქნება, რომ ქალები-დედები აღარ იტანჯებოდნენ, რომ აღარასდროს აღარ გააცილონ შვილები ომში და აღარ ნახონ საკუთარი შვილების უბედურება. მე მინდა, რომ ეს ოცნება მსოფლიოს ყველა ქალს აუხდეს – მე ამას ვუსურვებ მათ. მაშინ ყველა სიძნელის გადატანა შეიძლება. აი, ჩვენ – რამდენი რამ გადავიტანეთ. მე კიდევ ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი. მაგრამ მეტი აღარ შემიძლია, ძალიან ვნერვიულობ...





# თემური



55 წლის თემური<sup>1</sup> იძულებით გადაადგილებული პირია აფხაზეთის სოფელი ზემო ბარლებიდან. ამჟამად თემური ქალაქ ფოთში, კომპაქტური დასახლების ცენტრში ცხოვრობს. მისი ისტორია გაჯერებულია მოგონებებით ომამდე, საბჭოთა პერიოდის ცხოვრებაზე და უშუალოდ კონფლიქტზე. იგი, როგორც მეომარი, შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობდა. თემურის ისტორიაში მოთხრობილია დევნილობაში გატარებული ცხოვრება და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ისტორია ჩანერილია ქართულ ენაზე.

## „ეთნიკური პრობლემები მაშინ არ არსებობდა“

დავიბადე 1952 წელს სოფელ ზემო ბარლებში გლეხის ოჯახში, ათ წლამდე დედა მყავდა, ჯარიდან დაბრუნებულს მამა არ დამხვდა... ძმები, რძლები მყავდა, ვიზრდებოდი ოჯახში, სხვების მსგავსად, ვცხოვრობდით იმ ატმოსფეროში, რაც მაშინ, საბჭოთა კავშირის პერიოდში იყო გამეფებული. თითქოს არავინ იყო უკმაყოფილო, ყველას გვქონდა ნორმალური ცხოვრების პირობები... ეთნიკური პრობლემები მაშინ არ არსებობდა. ყველანი — ძმები, დები, ერთი ოჯახის შვილები ვიყავით, ვემსახურებოდით ერთ საქმეს და ამ საქმეში რალაცნაირად მართლები, გულწრფელები ვიყავით. ეს ასე უნდა ყოფილიყო, გვჯეროდა ყველას.

ყველაზე ტკბილი მოგონება იმ პერიოდს უკავშირდება, როცა ოჯახში ვცხოვრობდი... მაშინ ძმა და ოჯახი რალაცნაირი განუყრელი ურთიერთობა იყო, თითქოს ყველანი ერთად ვიყავით. ძმა იყო ძმა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ძმა იყო უფროსი, ის უკვე მამას უტოლ-

დებოდა... მისი ნება-სურვილის წინააღმდეგ ვერ ნახვიდოდი... უნდა დაგეჯერებინა, რომ მან მეტი იცოდა, მისი დარიგება ყოველთვის სწორი იყო. ამაში ეჭვს, მართლაც, ძნელად შეიტანდი. გაგებით, შეგნებით აღიქვამდი ამ ყველაფერს... ეს რალაცნაირ პირობებს ქმნიდა იმისთვის, რომ თვითკმაყოფილი, თვითდაჯერებული ყოფილიყავი და ცხოვრება მთლიანობაში ნორმალურად წარმოგედგინა.

მაშინ ყველაფერი ისე იყო აწყობილი, რომ ოჯახს მარტო ოჯახის თავი კი არა, სახელმწიფოც მართავდა, რაც გამიხატებოდა იმაში, რომ ოჯახის ყველა წევრმა იცოდა, რა უნდა ეკეთებინა. როდესაც დილით ადგებოდა, რა დროს სად უნდა ყოფილიყო, ამას მარტო ოჯახი კი არა, სახელმწიფოც წყვეტდა.

აუცილებელი იყო მამაკაცის სამუშაოდ გასვლა, დასაქმებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ოჯახის დიასახლისი ვალდებული იყო ოჯახისთვის მოეწყო. დილით გაეკეთებინა, რაც გასაკეთებელი იყო, მერე აუცილებლად კოლმეურნეობაში ან სამსახურში წასულიყო...



## **„ერთ იდეოლოგიაზე გაზრდილი ხალხი ადვილი სამართავი აღმოჩნდა“**

წინააღმდეგობის განცდა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ყოველთვის არსებობდა. იმიტომ, რომ ახალგაზრდული სული, როგორც იტყვიან, მემბოხება. ზოგჯერ, რალაცაში დაეთანხმები ვილაცას, ზოგჯერ — ვერა. ეს წინააღმდეგობა შეიძლება გამხდარიყო იმის საფუძველი, რომ მთელი გვარი ერის მოლაღატედ გამოეცხადებინათ. არადა, იყო მომენტები, როცა ერის გადარჩენისთვის თავს გადადებდი... ასეთი მომენტები იყო: ორმოცდათექვსმეტი წელი, 9 აპრილი... ყოველთვის იყო რალაცა, რაც აწუხებდა ხალხს...

დღეს ვხედავთ... როგორ დაუპირისპირეს სხვადასხვა ეთნიკური წარმომოშობის ხალხი ერთმანეთს. დღეს გამოჩნდა, რომ ეს ყველაფერი ჩვენდა საზიანოდ მოიმოქმედეს. მაგრამ ერთი პერიოდი ასე არ მიგვაჩნდა... ასე რომ, გარკვეულ პერიოდში, შეიძლება კაცმა ვერ აღიქვას ან ვერ გაიგოს რალაცა, მერე კი მიხვდეს, და ახლა, დღეს შეიძლება ჩვენ უფრო მეტს ვხედავდეთ ჩვენი წარსულის შესახებ...

კონფლიქტებს ვგულისხმობ. საერთოდ, ეთნიკური კონფლიქტებს მთელი კავშირის მასშტაბით. მაშინ საბჭოთა კავშირი იყო... ასეთი ეთნიკური კონფლიქტები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ძალიან ბევრია... მაგალითად, მოლდავეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, უკრაინა, საქართველო და, რა ვიცი, გინდაც, სომხეთი და აზერბაიჯანი აიღეთ... როგორც ჩანს, ერთ იდეოლოგიაზე გაზრდილი ხალხი ძალიან ადვილი სამართავია. ერთი წვეთი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებულიყვნენ ...

ამ ყველაფერს თავიდან ვერ აღვიქვამდით, რადგან იმ იდეოლოგიით ვიყავით აღზრდილები, რომ ჩვენ ძმები, მეგობრები ვართ... ხოლო ვილაცამ რომ თქვა, თქვენ ძმები კი არა,

მტრები ხართო, ეს ისე უცებ გაღვივდა, რომ ასე თესლიც კი ვერ აღმოცენდება სასურველ ნიადაგში... როცა მივხვდით, ეს დაუშვებელი იყო და არ უნდა გაგვეკეთებინა, გვიანი აღმოჩნდა. უკვე გადამეტებული გვექონდა...

## **„ეს... ძმათა კვლა იყო“**

ეს ომი ძმათა კვლა იყო... ამის გახსენებაც და მასზე ლაპარაკიც მიმიძიმს... ამაზე ადამიანმა ადამიანების კი არა, ღვთის წინაშე უნდა ილაპარაკოს... ღმერთი მიმტყვებელია, და ადამიანს ისეთ საქციელსაც აპატიებს, რომელსაც იგი სხვას ვერ აპატიებდა... ადამიანმა ღმერთთან უნდა ილაპარაკოს, რომ ეს ეპატიოს.

მასსოვს, მერაბ კოსტავას ილორში მოსვლა, გამოვიდა და თქვა: „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩვენი ჩართვა ამ პროცესში, იმიტომ რომ ეს არის ძმათამკვლელი ომის დასაწყისი.“ მაშინ ასეთი მანქანა იყო, „კრაზს“ ეძახდნენ, და იმის ფრთაზე შემდგარი ლაპარაკობდა, მე ამ მომენტს შევესწარი...

როგორც კი საშუალება მოგვეცა, ოჩამჩირეში გადავედი, ვინაიდან იქ ნათესავები მყავდნენ, და მისვლისთანავე იმათ ოჯახში ორი აფხაზი, მეგრელი, ქართველი და რუსი ერთად დავინახე. ნარდს თამაშობდნენ... ეს იყო ლალიძგას ხიდიდან დაახლოებით სამ-ოთხ კილომეტრში, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით, რომელსაც მაშინ ოჩამჩირეში მეცხრე რაიონს ეძახდნენ. მივედი და ღმერთმა აცხონოს, დაილუპა, ტარზანი მოვიკითხე: როგორ ხართ-მეთქი? რატომ, რა ხდებაო? ბიჭო, აგერ ხოცავენ ერთმანეთს-მეთქი. ნადი თუ ძმა ხარ, სულელები ერთმანეთს ხოცავენ, ჩვენთან რა საქმე აქეთო. ეს იყო მისი პასუხი.

## **„შეეცდით, ალბათ...“**

იქიდან გამობრუნებული, იგივე ხალხმა, ვინც იქით გამატარა, აქეთ აღარ გამომიშვეს... ყვე-

ლას თავისი აზრი ჰქონდა მაშინ, და ყველამ თავისებურად გაიგო ყველაფერი... აქეთა, ანუ საქართველოს მხარეს იდგა ნაღდად პატრიოტი ხალხი... ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი, მოხუცი, ახალგაზრდა. როცა ეს პატრიოტიზმი და სულისკვეთება მეორე მხარემ — აფხაზებმა დაინახეს, ოთხმოცდათორმეტ წლამდე სწორედ ამან შეაჩერა ეს ყველაფერი. რასაც გეუბნები, ოთხმოცდაცხრა წლის ამბავი იყო. რა ვიცი, შევცდით, ალბათ. ჩვენ შევცდით. ვგულისხმობ იმას, რომ მეც ეთნიკური ქართველი ვარ. იგივე აფხაზი, ოსი, მეგრელი, აჭარელი, რაჭველი, კახელი, ქართლელი, ყველანი შევცდით. ამაზე წამოვეგეთ... ჩვენ ყველა ერთად ვერ დავდექით იქ, სადაც უნდა ვმდგარიყავით. მთელი საქართველო ერთად უნდა ვყოფილიყავით, აფხაზი მეგრელის გვერდით, აფხაზი და მეგრელი იმერელის გვერდით, იმერელი, აფხაზი და მეგრელი ქართლელის გვერდით ... მაგრამ ეს ძალიან საშიში იყო იმდროინდელი იმპერიისთვის — საბჭოთა კავშირისთვის... როგორც დღეს არის საშიში. ოღონდ დღეს იმდენად დაქუცმაცებულები ვართ და იმდენი მტრობა დათესეს ერთმანეთში, რომ ამის აღდგენას დრო დასჭირდება. რომც აღდგეს, არ იქნება მაშინდელივით მტკიცე.

მაშინ აფხაზებმა მოითხოვეს, რომ გამოგვეყოფა აფხაზეთი, მაგრამ იმხელა სიმტკიცე და თანადგომა აღმოგვაჩნდა ერთმანეთის მიმართ, მსოფლიოს მესამედის მპყრობელ იმპერიას შეეშინდა ქართველთა ერთად ყოფნისა და თანადგომისა, და გაჩერდნენ.

### „სეპარატიზმი ყოველთვის იყო... ერში“

ახლა იძახიან, სეპარატიზმი, სეპარატიზმი. სეპარატიზმი ყოველთვის იყო და არის ერში... შესაძლებელია ადამიანმა ერთი წიგნი წაიკითხოს და ეგონოს, რომ ამ წიგნზეა აგებული მთელი ისტორია. არადა, ალბათ ეს ისტორიაც

რომ იწერება, მასშიც არის ის ნელმოქმედი ნაღმი ჩადებული, როცა დასჭირდება ვილაცას ასამოქმედებლად... აბა, რას ნიშნავდა, როცა პოლიტიკური მოძრაობის ლიდერები 1990-იან წლებში წერდნენ, რომ „საქართველო ქართველებს“ ... დღეს კი წერენ, საქართველო ქართველებს კი არა, საქართველო — ყველა ეთნიკურ წარმომადგენელს. რომელი ყოფილა მართალი, „საქართველო ქართველებს“ თუ საქართველო ყველა იმ წარმომადგენელს, რომლის წინაპრებსაც საქართველო დღემდე ხელით მოუტანიათ?... სეპარატიზმი ყველგან და ყოველთვის იყო...

როცა სინაგოგა და ეკლესია ერთმანეთის პირისპირ დგას, რატომ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ერთი ადამიანი ქრისტიანია, მეორე კი მაჰმადიანი... ჩემთვის, ყველაფერი ის, რაც ამ კონფლიქტების პერიოდში მოხდა, მტკივნეულია... იმ პერიოდში, ომის დროს მე წუთითაც არ შემეძლო იმის გაფიქრება, რომ ეს დადგმული სპექტაკლი იყო, ყველას ისეთი წარმოდგენა გვქონდა, იქ უნდა გადამწყვეტილიყო ამ კონფლიქტის ამბავი.

1998 წელს სამხედრო შენაერთში ვმსახურობდი, საერთოდ, მე პარტიზანი არასდროს ვყოფილვარ, თვითნებურად არსად წავსულვარ. ყოველთვის ვიყავი სახელმწიფო დაქვემდებარებაში, ისეთ სტრუქტურაში, რომელსაც სახელმწიფო მართავდა. კონფლიქტის ხელახალი ესკალაციის დროს, 1998 წლის მაისის მოვლენებიდან ოთხი თვით ადრე, ზუგდიდში ვიყავით, ვაკონტროლებდით, ეგრეთ წოდებულ, **ენგურისპირა** ადმინისტრაციულ საზღვარს აფხაზეთსა და საქართველოს შორის და ვიმყოფებოდით ანაკლიაში. მეთაურთან ერთად მანქანით მოვდიოდით ანაკლიიდან, ამ დროს ერთმანეთს რაციით ვუკავშირდებოდით. ენგურის ერთ-ერთ გადასასვლელზე ატყდა სროლა... რამდენად სერიოზული იყო, არ ვიცი...

იმ ადგილიდან, სადაც სროლა ატყდა, ასაკოვანმა ქალმა გვთხოვა დამგზავრება... მაშინ ტრანსპორტი ძალიან ჭირდა, არ დადიოდა, ჩვენ მაინც ორნი მივდიოდით, მე და მძღოლი. ამიტომ ეს ქალი მანქანაში ჩავისვით. იარაღიანები რომ დაგვინახა, დაიწყო ლაპარაკი, დამოძღვრა... მეც მივეცი საუბრის საშუალება... ამბობდა, რომ იარაღი საჭირო არაა, რომ იარაღი მკვლევლობის საშუალებაა... მე შევეკითხე, ქალბატონო, მართლა თუ იცით ამ იარაღის დანიშნულება, რომელიც ახლა ხელში გვიჭირავს-მეთქი? კიო, ეს მომკვდინებელიაო, ავუსხენი, ამ იარაღს მეორე დანიშნულებაც აქვს და ჩვენ ამას დაცვისთვის ვიყენებთ-მეთქი. ღმერთმა გამარჯვება მოგცეთო, გვითხრა ბოლოს... იცი, რატომ ვიხსენებ ამ ყველაფერს? ზოგმა იარაღი სულ სხვა მიზნით გამოიყენა, ზოგმა კი სულ სხვათი... ამ კონფლიქტის მიზეზი ისიც არის, რომ იარაღი ყველამ ვერ გამოიყენა იმ დანიშნულებისამებრ, რისთვისაც საჭირო იყო..

### „ომმა ყველა საკმარისად დააზარალა“

ნურავის ნუ ჰგონია, რომ აფხაზები გახარებულები იყვნენ ამ კონფლიქტით და ეს ყველაფერი ამ სიხარულის გამო მოგვივიდა. ვკითხოთ იქითა მხარესაც. ჰკითხეთ აფხაზს... ჩვენზე ნაკლებად არ არიან ეგენი დაჩაგრულები და ჩვენზე ნაკლები ზიანი არ მიუღიათ... ომმა ყველა საკმარისად დააზარალა. გააჩნია, ვინ როგორ ფიქრობს, როგორ აღიქვამს, ვის შეუძლია მიტევა და ვის ეყოფა პატიებისთვის ნებისყოფა და ინტელექტი, რომ ის დანაშაული აპატიოს ადამიანს, რაც ჩაიდინეს აფხაზების, აფხაზეთში მცხოვრები ქართველების, თუნდაც რუსების მიმართაც.

აფხაზეთში ერთი სოფელი იყო, ესტონკას ეძახდნენ, რადგან ძირითადად ესტონელები ცხოვრობდნენ. მათ რაღა დააშავეს— აფხაზებს შეებრძოლნენ თუ ქართველებს? ხომ

არ შეებრძოლებიან არც იმათ და არც ამათ? რატომ არიან განდევნილები აფხაზეთიდან? იკითხა ვინმემ? წარმოიდგინეთ, ესტონეთში ლტოლვილი ესტონელი კაცი, ოღონდ აფხაზეთიდან, საქართველოდან...

### „ვერ ვეგუებოდი იარაღის აღებასა და ბრძოლას“

უსტკამინოგორსკში ვიყავი იმ დროს და ტელევიზორში გამოაცხადეს, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის ომი დაიწყო. გეკითხები, როგორი წარმოსადგენი იქნებოდა ჩემთვის აფხაზეთსა და საქართველოს შორის ომი?... მაშინ არ იყო იმდენი კომუნიკაცია, რომ ერთმანეთს დავკავშირებოდით. გავიგე, რაც ხდებოდა და ნამოვედი, ჩემს სახლში დავბრუნდი. გამოცხადდა მობილიზაცია, მაგრამ ისეთი სიტუაცია იყო, ზოგი მიდიოდა, ზოგი არა. ჩემს ძმიშვილს საქართველოს ჯარიდან მოუვიდა უწყება, რომ უნდა წასულიყო სოხუმში საბრძოლველად... მაგრამ ძმიშვილის მაგივრად ჩემი ძმა წავიდა, შვილი როგორ გავნიროო. თავიდან ვერ ვწყვეტიდი ომში წასვლას აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობისა და სიყვარულის გამო. რაღაცნაირად, მაინც ვერ ვეგუებოდი იარაღის აღებასა და ბრძოლას. ამიტომ ცოტა ხანი გავჩერდი.

ქალაქში ვიყავით გასული და უეცრად მოვიდა კაცი და შეგვეხვეწა, სასწრაფოდ სისხლია საჭირო და საავადმყოფოში წამომყევითო. ვინ იტყოდა სისხლის გაცემაზე უარს, ომიანობის დროს, თუმცა, ახლა კონფლიქტს ეძახიან. რაც გინდა უნოდე, ხალხი კვდება, დაჭრილები არიან საავადმყოფოში. სისხლი უნდა გაგველო ყველას და წავედით... 14-15 წლის გოგონები მოიყვანეს რეკადან, ბავშვები გაუპატიურებული და ფეხმძიმეები იყვნენ, მშობიარობა არ შეეძლოთ და მათთვის სისხლს ითხოვდნენ... ამის შემდეგ გადავწყვიტე ომში წასვლა...

მაშინ **გალშიც** იყო ჩამოყალიბებული შენაერთი, ოჩამჩირეშიც, ტყვარჩელშიც, მაგრამ რადგან გადავწყვიტე წასვლა, იქ წავედი, სადაც ჩემი ძმა იყო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ შენაერთში ყველას გაუკვირდა ჩემი ჩასვლა. სხვათაშორის, სადაც მე ვიყავი, იმ შენაერთში, ჩვენ იმდენად სწორად ვუდგებოდით საკითხს, რომ ჩვენი ზედმეტი სახელი იყო „გალი.“ ალბათ მოვა დრო და ამას ვინმე მოიგონებს და თავის სახელს შეარქმევს. თუ ჩვენს შესახებ საუბარი გაიჟღერებდა - „გალი“ ასე მოიხსენიებდნენ.

რა ვიცი, ეს უბედურება საერთოდ არ მინდა გასახსენებლად. არა მგონია, ჩემზე და ჩემს გვარზე მეტად ვინმე დაზარალებულიყო ამ ომში... ჩემს ოჯახს, ამ კონფლიქტიდან, თითქმის ყველა თაობის ადამიანი დააკლდა: მოხუცი, ახალგაზრდა, ბავშვი, პატარა, ჩვილი. ისინი ცოცხლად დანვეს, მოკლეს და დანვეს... ძალიან ძნელია ამ ყველაფრის გახსენება.

### **„მკვლელებთან შეხვედრაზე მინდა მოვყვე...“**

მკვლელებთან შეხვედრაზე მინდა მოვყვე. ომის დროს სხვადასხვა დანაყოფი ერთმანეთისგან ორი-სამი კილომეტრით იყო დაშორებული, და ასე ასრულებდა ოპერაციებს... ერთ-ერთი ჯგუფი დახმარებას ითხოვდა... რადგან დაჭრილები, მკვდრები, ტყვეები ჰყავდათ უნდა გამოეყვანათ... ყველაზე ახლოს მათთან ჩვენი დანაყოფი იყო, და ჩავერთეთ ამ სიტუაციაში... უკვე ამბობენ, რომ *ничего страшного*, უკვე გამოვდივართო და, მართლაც, ჩვენგან ორას მეტრში ყოფილან, და გამოვიდნენ. ზოგი დაჭრილი იყო... გავიხედე და დავინახე ორი ხელშეკრული კაცი — ტყვეები მოჰყავდათ... გამოვედით სამშვიდობოს და ზუსტად იმ ადგილას დავდექით, რომელ ეზოშიც ჩემი ახლობლები მოკლეს, სახლში შეათრიეს და სახლთან ერთად დანვეს. ამ ჭიშკართან გავ-

ჩერდით. ტყვე, რომელზეც ეჭვობდნენ, რომ მონანილეობდა ჩემი ახლობლების მკვლელობაში, და რომელიც ხელშეკრული იჯდა, შემეცოდა, როგორც ადამიანი და ჭრილობების გასანმენდად მივანოდე წყალი, სპირტი, რადგან ნაცემი იყო.

როცა ადამიანს უჭირს და ეხმარებიან, რაღაც მხარდაჭერას, თანადგომას გრძნობს ალბათ. მან ალბათ იფიქრა, მხარს მიჭერსო და ავყევით ერთმანეთს საუბარში. მე ვუთხარი, ბიჭო, რა გინდათ, რას მოდიხართ, ხომ იცით, რომ აქ უბედურების მეტი არაფერი იქნება-მეთქი... რა ვქნა, ცოლ-შვილი მიკვდება მშვიერიო. ბიჭო, მეც მიკვდება ცოლ-შვილი მშვიერი, მარა ვართ სადღაც სასიკვდილეთში და თუ მოვდივარ, არ მოვდივარ იმაზე, რაზეც შენ მოდიხარ-მეთქი. ვგულისხმობდი ძარცვას. სხვათაშორის, მაშინ მათ დაყაჩაღებული თხილი მიჰქონდათ...

შევყევით საუბარს და ვუთხარი, ბიჭო, ჩვენ კი გასაყრელები ვიყავით, უძღურები ვყოფილვართ და გაგვყარეთ, კი ბატონო, მაგრამ ამ სახლებს რას წვავდით? ხომ თქვენი იყო-მეთქი? მე არ დამინვია, იქ მკვდარი რომ არის, იმან დანვაო... კარგი-მეთქი, ჯანდაბას, შენ არ დაგინვია. ის მოხუცები რატომ მოკალით, ამ ეზოში, ორნი რომ მოკალით-მეთქი? მე არ მომიკლავს, რუსმა მოკლაო. მოკლედ იქ გაირკვა, რომ მისი მოკლული არ იყო.

რა ვიცი, შურის მაძიებელი რომ ვყოფილიყავი, იარაღს ვესროდი... ბიჭებმა რომ გაიგეს, ეს კაცი მკვლელობაში ეჭვმიტანილი იყო... გაუსწორდიო, მეუბნებოდნენ. მაგრამ ვერა, ვერ შევძელი. მერე ის სახელმწიფომ — საქართველოს მაშინდელმა სამხედრო სასამართლომ გაასამართლა და დახვრიტა. სხვათაშორის, დახვრეტის წინ ვუკითხივარ. ეს მაშინ გავიგე, როდესაც იმ შტაბში მივედი, სადაც დახვრიტეს, ზოგიერთ სეირის მაყურებელს ამნისტიამ ვერ მოუსწროო. მე მაგისტვის ამნისტია



ვერ ვიქნებოდით, მაგრამ მაინც დამენანა, რომ დახვრიტეს.

### **„დამთავრდეს ეს კონფლიქტი და ჩვენ ისევ ის ხალხი ვიქნებით...“**

რამდენჯერ შევხვედრივართ მეომარ ბიჭებს აფხაზების ინიციატივით, ჩვენი კი არა, სწორედ იმათი ინიციატივით. რამდენჯერ გადმოსულან აქეთ და ერთმანეთთან გვისაუბრია. ახლა არ ვიცი, ვინ როგორ გაიგებს ჩემს ნათქვამს, მაგრამ მე ხომ ვიცი, რაზე იყო საუბარი... ამბობდნენ ხოლმე, ოღონდ დამთავრდეს ეს კონფლიქტი და ჩვენ ისევ ის ხალხი ვიქნებითო. ერთმა-მე ტაქსზე დაჯვადები, მეორემ- მე ჩემს მანქანაზე, მესამემ—მე ჩემი სპეციალობით ვიმუშავებ, ჩვენ საერთოს ისევ მოვძებნითო. იყო ასეთი საუბრები. მერე ეს ხალხი, ვინც ჩვენთან დადიოდა მოლაპარაკებაზე, დაილუპა... იმათ- დარჩენილმა აფხაზებმა - იციან, რომ ეს არაა ჩვენი ნამოქმედარი და ეს ყველაფერი თვითონ იმათი მხრიდან მოხდა...

ყველაფერი ეს მაძლევს იმედს, ვიფიქრო და მნამდეს, რომ არ არსებობს სხვა გზა, ჩვენ შევრიგდებით. ერთი წამითაც არ მინდა ვიფიქრო, მაგრამ თუნდაც აფხაზეთი გამოეყოს საქართველოს, ჩემი სურვილია, არ შეუერთდეს რუსეთს. გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, და თუ აფხაზეთს საქართველოსთან ყოფნა არ უნერია, მაშინ ღმერთმა ქნას, რომ დამოუკიდებელი იყოს. დამოუკიდებელიც რომ იყოს აფხაზეთი, რაც ნაკლებად მჯერა, ყველაზე უფრო ახლო მეზობლური და ნათესაური კავშირი მაინც საქართველოსთან ექნება. გინდა აფხაზი უძახე, გინდა თათარი, გინდა თურქი, ვინც გინდა უძახე, აფხაზეთში მაცხოვრებელი და აფხაზეთში დაბადებული ჩემთვის ყველა ქართულია.

### **„ძნელია...შენს სასაფლაოზე, რომ ვერ მიხვალ“**

დევნილობა არ არის სასურველი. ძნელია, როცა საკუთარ მიცვალებულს ვერ დაიტირებ, როცა შენს სასაფლაოზე ვერ მიხვალ... რა ვიცი, ნოსტალგიააო, იტყოდნენ და ჩემთვის ნოსტალგია იყო ყველაფერი, რაც გენატრება. ახლა კი ვიცი, რა არის ნოსტალგია. ღმერთმა საქართველოში მეტს არავის გამოაცდევინოს... ნოსტალგიაა, როდესაც ადამიანს შენი ეზოს ტალახიც კი მოგენატრება, ტალახიც...

როცა შენს ოჯახში ხარ და ყველაფერი კარგად არის, მაშინ არაა ყველაფერი ისე, შენ როგორც გინდა, და გაქცეულსა და დამალულს დევნილობაში, როგორ შეიძლება ყველაფერი როგორც გინდა, ისე წარიმართოს. უბრალოდ, ზოგჯერ გული გწყდება იმაზე, რომ რალაცნაირად ვერ გიგებენ... ალბათ ჩემზე უფრო მეტად გაუჭირდებოდა იმ კაცს, ვინც დევნილია და საქართველოში არ არის. ჰო, შეიძლება მეტად... მაძლარიც იყოს, მეტი საშველი გააჩნდეს, მაგრამ, მაინც საქართველოში არაა. მე თუ მენატრება ენგურს გაღმა ჩემი ეზო-კარი, ჩემი მიწა, ჩემი კუთხე, ახლა წარმოიდგინე, კავკასიის ქედს იქით გადახვენილი, შავი ზღვის მეორე მხარეს მყოფი ადამიანის განცდა. მე აფხაზეთი მენატრება, იმათ — თავისი კერა, თავისი აფხაზეთი და საქართველო. ავად თუ კარგად, მე მაინც საქართველოში ვარ... და ჩემს ენაზე ვლაპარაკობ და მისმენენ, იმიტომ რომ ესმით ჩემი და, როცა ლაპარაკობენ, ვუსმენ, იმიტომ რომ მეც მესმის. რამდენი ხალხი წავიდა აქედან, რუსეთში წავიდნენ ისე, რომ რუსული არ იცოდნენ...

### **„ყველას სიტყვა „ლტოლვილი“ მიაკერეს“**

ოჯახში თუ არის სამი-ოთხი კაცი, გინდა ორი, იქაც არის კარგი და ცუდი იმიტომ, რომ ყველაფერი შედარებითია. ყველაფერს რალაცას



ვადარებთ. როგორ შეიძლება სამასი ათასი გადმოსული დევნილი, ყველა ერთნაირი იყოს? სამასი ათასი დევნილი წამოვიდა, ზოგი მთით, ზოგი ბარით, ზოგი ზუგდიდით და ზოგი სვანეთის მთებით, ზოგი ზღვით და ზოგი რა ვიცი, ჰაერითაც კი. მიაკერეს ყველას სიტყვა „ლტოლვილი.“ ყველა ერთნაირად აღიქვა საქართველოს საზოგადოების უმრავლესმა ნაწილმა. „ლტოლვილი“ თითქოს არის ცუდი. როცა მშვიერი კაცი კარს მოგადგება ან როცა შენ ხარ მშვიერი, ძალიან ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იყო კარგი. ძალისხმევა და ნებისყოფა სჭირდება იმას, რომ შიმშილმა არ აჯობოს შენს ინტელექტს.

როცა მოსახლეობის უმრავლესობას საარსებო სახსარი არ ჰქონდა, დევნილებს სახელმწიფო დაეხმარა. ამ დახმარებამ ადგილობრივებში უკმაყოფილება გამოიწვია. ის, რომ შენ დევნილი ხარ და გეხმარებიან, ამ დროს მე შენზე უარესად ვარ, იმის მიუხედავად, რომ მაქვს სახლი, კარი და ჭერი. ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა ასეთი იყო: „შენ გემარებიან და კიდევ ნუნუნებ?“ ეს, დევნილი, ნუნუნებს იმაზე, რომ სახლი არ აქვს, და ის, ადგილობრივი, ჩივის იმაზე, რომ აქვს ეს ყველაფერი, მაგრამ არ აქვს საჭმელი.

ეს რთულია იმდენად, რამდენადაც იმას თავისი გასაჭირი აქვს და თავისას აფასებს, მე კი ჩემი გასაჭირი მაქვს და ჩემსას ვაფასებ. რომელია მეტი და რომელი ნაკლები, ამის გაგება თვითონ პიროვნებას შეუძლია. ამაზე დანესებული ზღვარი არ არსებობდა. აი, ასეთი იყო სიძნელებები...

ნებისმიერმა ქართველმა უნდა იცოდეს, რას ნიშნავს დევნილისთვის თავშესაფრის მიცემა. მისცე დევნილს თავშესაფარი, არ ნიშნავს მარტო ლოგინს და ჭერს, წარმოიდგინე, შენი შვილის ლუკმა უნდა გაუყო მოსულ კაცს.

## „ზუგდიდი... ეს არის დევნილთა თავშესაფარი ადგილი“

ზუგდიდი ხომ ეს დევნილთა თავშესაფარია. სამასი ათასმა ადამიანმა გამოიარა ზუგდიდი. სამასი ათასი კაცი რომ გადაივლის ზუგდიდის ქალაქის სიფართე ტერიტორიას ერთი გადასვლით, იქ ათი წელი ბალახი ვერ ამოვა...

ერთი ამბავი უნდა მოვყვე: ოთხმოცდაჩვიდმეტი წელია, თბილისიდან მივლინებით ზუგდიდში გამიშვეს. ისეთი სიტუაცია იყო, დევნილი ზუგდიდელს წყევლიდა, ზუგდიდელი დევნილს და იყო ერთი უბედურება. ქალაქში ჩავედი. ჩემი ძმა დევნილობაში იქ ცხოვრობდა. ქალაქში ფეხით მივდიოდი, მაშინ ტრანსპორტი ასე გამართულად არ მოძრაობდა. დედის სულს ვფიცავარ, მივდიოდი და ვხედავდი, ხელგანვდილი ადამიანის სიმაღლეზე, ნაყოფს თავი გაანებე, ფოთოლიც კი არ იყო ხეზე შემორჩენილი. ადრეული შემოდგომა იყო... დავინახე ადამიანი, ეზოს პატრონი ლეღვის ხესთან იდგა და ოდნავ მწიფესაც არჩევდა... თბილისში ბიჭები შემეკითხნენ, რა ხდება ზუგდიდში? შეჭამეს დევნილებმა ზუგდიდი-მეთქი. რატომო, მკითხეს. გზაზე მივდიოდი, კაცი იდგა თავის ეზოში და მკვახხე ლეღვს ჭამდა-მეთქი. მეზობელმა დაინახა და გადასძახა- ბიჭო, ჯერ მკვახხეა ეს ლეღვიო, აბა, რომ დამნიფდება, კბილებიდან ვერ ააცლი დევნილებსო, მიუგო მეორემ. ეს მერე ხუმრობად გავრცელდა...

## „ვილაცა ვერ გღებულობს...“

დევნილობის პირველ პერიოდში, პირველი ორი წელიწადი, ზუგდიდელმა კაცმა და, საერთოდ, ვინც დევნილების ნაკადი მიიღო, ნორმალურად თავის ოჯახში ხეხილის ნაყოფი ვერ შეჭამა... შეწუხდა ხალხი, საზოგადოება, შევწუხდით ჩვენც. როცა გრძნობ, რომ შენ ვილაცას აწუხებ, შენც წუხდები... ასე გგონია,

თითქოს საზოგადოების ნორმალური, სრულყოფილი წევრი ხარ, მაგრამ ვილაცისთვის აუტანელი ხარ. ვილაცა ვერ გღებულობს ისე, როგორც საჭიროა. ვერავის დაავალდებულებ, მაგრამ მორალურად ვალდებულია საზოგადოება, რომ მიგვიღოს. ჩვენ აფხაზეთიდან იმიტომ გამოგვყარეს, რომ ქართველები ვიყავით, იმიტომ კი არა, რომ ზედმეტნი ვიყავით?... სად გავიქეციტ, რუსეთში? თურქეთში? — საქართველოში. და აქ რომ მიუღებელი გახდები, რთულია... რა ვიცი. აიტანოს ნებისმიერმა, ვისაც არ გაუსინჯავს და მიხვდება.

### **„მაქვს უფლება, ვიფიქრო, რომ კეთილდღეობისკენ მივდივართ“**

ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს ღვთის წყალობის იმედი. უნდა იყოს ღვთის მოშიში... საბჭოთა რეჟიმის პერიოდში, სამოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენ გვინერგავდნენ, რომ ღმერთი არ არსებობს, რომ ადამიანი არის თავისი ბედის მმართველი. საერთოდ, ბიბლია სოფელში ერთ კაცს ჰქონდა და იმ ბიბლიიდან ამოკითხულ რაღაცას რომ იტყოდა, წინასწარმეტყველს ეძახდნენ... როცა ყველაფერი ეს ხელმისაწვდომი გახდა, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი ვერ წარმართავს თავის ბედს, თუ არა ღმერთი და თუ არა ღვთის წყალობა.

აი, ზუსტად, ამ ღვთის წყალობით გამოჩნდნენ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ დამხმარეები, რომ ქვეყანამ სწორი პოლიტიკა წარმართოს. ვხედავ, რომ გარკვეული წინსვლა დაინყო. სამსახური არის, როგორ შეიძლება ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რომელიც ძლივს ფეხზე დგება, პრეტენზია გქონდეს ხელფასზე... მთავარია, გყოფნის და ლუკმა პურს არ თხოულობ. ჩემი ოჯახისთვის საკმარისია ჩვენი შემოსავალი. იმედია, რაღაცაზე შეიძლება კიდევ ფიქრი,

რომ უკეთესობა იქნება. ყოველ შემთხვევაში, დღეს თუ არა, რაღაც პერიოდში მაინც.

შეიძლება დავილაღე ამ ყველაფრით და მეჩვენება, რომ ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ გინდა მოჩვენებითიც იყოს... მრჩება იმედი, რომ ყველაფერი გამოსწორდება. მეც დაბოლომილი, რაღაც მტრულად განწყობილი ვიყავი, სანამ ყველაფერს ჩავწვდი...

გაანალიზების შემდეგ მაქვს უფლება, ვიფიქრო, რომ კეთილდღეობისკენ მივდივართ და ალბათ, გამოსწორდება ყველაფერი.

მე თუ შემიძლია ასე ვიფიქრო, მე, რომელსაც ჯიში და ჯილაგი, ბავშვები და მოხუცები ამომინყვიტეს... რატომ არ შეუძლია იფიქროს იმან, ვინც კონფლიქტის მეორე მხარეა.

### **„კარგი იქნებოდა... დიალოგი გვქონდეს...“**

კარგი იქნებოდა, რომ დიალოგი გვქონდეს ერთმანეთთან. რაღაცნაირად მიგვესვლება ერთმანეთთან. ისე კი არა, რომ იქიდან გახსნიან გზას, აქედან დაკეტავენ, აქედან გახსნიან, იქიდან დაკეტავენ. არ შეიძლება ასე. აქედან წამსვლელი წავიდეს იქით, თუ გინდა დარჩეს აფხაზეთში, რა მოხდა ვერ გავიგე. იქიდან წამომსვლელი წამოვიდეს და თუ უნდა დარჩეს აქ, რა მოხდა ამით. აი, ასეთ ურთიერთობებში ხელი არ უნდა შეუშალონ საზოგადოებას. აფხაზურს, ქართულს, საქართველოში მაცხოვრებელს, აფხაზეთში მაცხოვრებელს. ამის მიუხედავად, როცა ვამბობ საქართველოს, აფხაზეთს ცალკე ვერ აღვიქვამ, მაგრამ დღეს აფხაზეთს და საქართველოს ცალ-ცალკე მოიხსენიებენ...

მიუშვი ეს ხალხი ერთმანეთთან სალაპარაკოდ. თავისებურად მონახონ ურთიერთობები, ეგენი ანი არ არიან იარაღით მოლაპარაკე ხალხი. ვაჭარი ვაჭართან მიუშვი... უბრალოდ, კაცი კაცთან მიუშვი, ქალი ქალთან და ბიზ-

ნესმენი ბიზნესმენტან. თუ ის კაცი აფხა-ზეთში სწორად აწარმოებს ბიზნესს, გაუშვი, რა გინდა, რას ერჩი. არის შემთხვევები, ღამე კონტრაბანდულად საიდანღაც ტრაქტორით და ბუქსირით ტვირთი გადმოაქვთ. გაუშვი ეს კაცი, იაროს თავისუფლად. გადაიხადოს გადასახადი და შემოიტანოს სიგარეტი. რა ამ რუსულ სიგარეტს ვერ მოვწევთ? მარტო გერმანული და ამერიკული უნდა მოვწიოთ? მოვწიოთ რუსულიც, თუ ეს ჩვენთვის მისაღებია. მაგრამ შემომტანმა გადაიხადოს გადასახადი.

იქედან- აფხაზეთიდან უფრო გადმოხვალ, მე არ ვიცი, არ გამომიცდია, მაგრამ, ვინც დადის, იმათგან ვიცი... აქედან- კონფლიქტის ზონიდან რომ მოდიხარ... გეკითხებიან, რა გინდა?

რა მინდა და საფლავი მაქვს იქ... ნათესავი მყავს, ნათესავი მომიკვდა და დასატირებლად მივდივარ. ან დაქორწინდა ნათესავი და ქორნილში მივდივარ, არ შემიძლია რომ წავიდე? რატომ მაფერხებ? ან იქიდან წამომსვლელს გამოგკითხავენ: „სად იყავი, არ გეშინია?“ მე უნდა მეშინოდეს, მშვიდობიანად რომ მივდივარ და შენ არ უნდა გეშინოდეს, აქ რომ დგახარ, იმათგან ორას მეტრში?... არ ვიცი, ვერ გავიგე, როგორ ხდება ეს. ეტყობა, ვერც გავიგებ, ისე მოვკვდები.

### **„ადამიანები, თითქოს თავის კუთხეში გრძნობენ თავს...“**

როგორც ყველგან, ალბათ, რაღაცის იმედით ვცხოვრობთ. ადამიანებს კომპაქტურ დასახლებაში უფრო ჰგონიათ, თითქოს თავის კუთხეში არიან და, იცი, რატომ? აქ მაინც ყველა ერთმანეთის ახლობელია, ყოფილი მეზობლები არიან, საერთო ადათ-წესი აქვთ... ოჯახს ულხინს თუ უჭირს, მეზობლებისგან დიდი თანადგომაა, შეიძლება ასე უფრო ადვილად ასატანია პრობლემები, ვიდრე იქ, სადაც ცხოვრობს ერთი ან ორი დევნილი ოჯახი...

კომპაქტური დასახლება იმით არის კარგი, რომ მაინც შენი კუთხის ზნე-ჩვეულებით, წესებით, ტრადიციებით არიან გაერთიანებული ადამიანები და ეს, რა თქმა უნდა, ცხოვრებას გიმსუბუქებს...

საჭიროა სწორად მივუდგეთ საკითხს... სახელმწიფო ყალიბდება, თვითონ სახელმწიფოს უჭირს და, რა თქმა უნდა, დევნილ კაცს უფრო გაუჭირდება... მე ვფიქრობ და მგონია, საქალაქოთუ რაიონის ბიუჯეტი მაინც ითვალისწინებს დევნილთა პრობლემებს, იმდენად, რომ ადგილობრივებზე უფრო მეტად დევნილებს სწყალობს. მე მგონი, მაინც უფრო პრიორიტეტი დევნილია. ყოველ შემთხვევაში, მე სადაც ვცხოვრობ, ასე ვგრძნობ და არა მგონია, სხვაგან სხვანაირად იყოს... იმიტომ რომ, ამ ხალხს უფრო უჭირს და მეტ ყურადღებას უთმობენ. ამის გარდა, არის ჰუმანიტარული დახმარება, რამდენად სწორად და რამდენად კეთილსინდისიერად ნაწილდება, ამაზე სხვა დროს და სხვანაირად ვილაპარაკოთ. მაინც, ბევრი რაღაცა კეთდება.

### **„ოცნება დაბრუნება“**


ოცნება, რომელიც დევნილობაში მინდა ამიხდეს, ერთია... ჩემი წინაპრებისგან გამიგია, არა შორეულისგან, არამედ იმათგან, ვისაც მოვსწრებივარ: ძველად სახლი რომ დაინვებოდა, ღმერთმა ყველას აშოროს, იმ სახლის ნამწვავ ადგილზე, თურმე კარგად ხარობდა კვახი... რა ვიცი, რომ დავბრუნდე იმ ჩემს დამწვარ მინა-წყალზე... იმდენი გადამწვარი ადგილია, ერთი წელიწადი კვახით გაიტანდა კაცი თავს. მაინც ალბათ ოცნება ის არის, რომ დავბრუნდე. ამაზე მეტი რა ოცნება უნდა მქონდეს...

## „ხომ შეგვეძლო, რაღაც-რაღაცეები დაგვეთმო...“

ადამიანი დამთმობი უნდა იყო. დამყოლს არ ვიძახი, დამყოლი, ჩემი გაგებით, სულ სხვაა. პიროვნებას უნდა დაუთმო, მაგრამ არ უნდა დათმო სამშობლო, ქვეყანა, არ უნდა დათმო ყველაფერი. დავუთმე და დღემდე ვერ მიპატიებია ეს ჩემი თავისთვის და ვერ მომიწინებია, მაგრამ, სანამ დაუთმობელს დათმობდე, დათმე ის, რისი დათმობაც შეგიძლია, რისი დათმობაც დაშვებულა ცხოვრებაში. ახლა მე უშუალოდ არ შემეძლო ამ ყველაფრის გაკეთება, მაგრამ ხომ შეგვეძლო რაღაც-რაღაცეები დაგვეთმო. ისე კი არა, აფხაზეთის დეპუტაციამ-იმდროინდელმა მთავრობამ რომ დათმო, დატოვა დარბაზი, გამოვიდა და მე რე დარჩენილებმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს. მათ ბოლომდე უნდა ებრძოლათ, უმცირესობაში იყვნენ თუ უმრავლესობაში, თავისი სიტყვა ეთქვათ, ასე უნდა მოქცეულიყვნენ... რატომ დათმეს? ასეთ დათმობას კი არ ვგულისხმობ, არამედ, ასეთს: გენყინა? განყენინეს? დათმე. რომ არ მოგინოს იმის დათმობამ, რაც ქვეყანაზე არ დაითმობა. ვგულისხმობ იმას, რაც ჩვენ დავთმეთ.

ჩემი შვილიშვილი, ობოლი ბავშვი იზრდება. ჩემთვის ყველაზე სასიხარულო ეს არის.. შვილი დაოჯახდა და რაღაც ხუთ თვეში თვითონ დაიღუპა. ფეხმძიმე მეუღლე დარჩა, მეუღლემ არ ისურვა მშობლებთან დაბრუნება, დარჩა ჩვენს ოჯახში, გააჩინა ბავშვი, ბიჭი, რომელიც ატარებს ჩემი დაღუპული ძმის შვილის სახელს. იზრდება გონებაგახსნილი ბიჭი, და ალბათ უბედნიერესი პიროვნება იქნებოდა, მამამისი ცოცხალი რომ ყოფილიყო. ჩემთვის გულის გამათბობელი ესაა.

ჩემს ნაფიქრალზე, ჩემს ნათქვამზე პასუხს ვაგებ. საიდუმლო არ მაქვს... საერთოდ, ადამიანს პასუხისმგებლობის არ უნდა გეშინოდეს... არც იმისი მერიდება, რაც ვთქვი...



# მზია



53 წლის მზია<sup>1</sup> დევნილი პედაგოგია გალიდან. ამჟამად ზუგდიდში, კოლექტიურ ცენტრში, დასთან ერთად ცხოვრობს. მზია გალიდან მაისის მოვლენების შემდეგ გადმოვიდა. იგი მოგვითხრობს აფხაზეთში მომხდარ ტრაგედიებზე. მზია ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა კონფლიქტის ზონაში, გალში, სადაც უკიდურესად დაძაბული და გაუსაძლისი პირობები იყო. იგი ახერხებდა და თავისი ინიციატივით დღეში თორმეტ კილომეტრს გადიოდა მარტო იმისათვის, რომ აფხაზეთში დარჩენილი ბავშვებისათვის სახლებში ჩუმად წერა-კითხვა ესწავლებინა. მზია ხშირად მეორე პროფესიას – ექთნობას იყენებდა, ექიმის და სამედიცინო მომსახურების უქონლობის პირობებში, პირველად დახმარებას უწევდა კონფლიქტის ზონაში დარჩენილ მოსახლეობას. ამ დამსახურებებისა და თავდადებისათვის მას „გერონია“ შეარქვეს.

ისტორია ჩანერილია ქართულ ენაზე.

## „ჩემთვის...მტკივნეულია, რომ ჩემს მიწაზე...არ ვცხოვრობ“

გალელ დევნილთა ცხოვრებაში მუდმივი ადგილი უკავია გალს. იმიტომ, რომ უამრავი რამ არის მასთან დაკავშირებული და გასახსენებელი. ჩემთვის კი ყველაზე მტკივნეული ის არის, რომ იმ ჩემს მიწაზე არ ვცხოვრობ და, უმეტეს შემთხვევაში, ვერც ვახერხებ იქ გადასვლას.

1993 წლიდან 1998-ის ჩათვლით, გალში ვცხოვრობდი და ყველაზე ტრაგიკულმა წუთებმა ჩემს თვალწინ გაიელვა.

ახლა, ამ ყველაფერს შორიდან რომ ვუყურებ, სათქმელად მარტივ ისტორიად მეჩვენება, მაგრამ როცა გამახსენდება, რომ ჩვენ მუდმივად, 6-დან ღამის 12 საათამდე ტყეში ვიყავით, მერე ღამურებივით გამოვდიოდით და ყველანი ერთად, ერთ ოჯახში ვიკრიბებოდით, და ეს სოფელი იყო მთლიანად 13-14 კაცი, საშინელი განცდა მეუფლება.

ვიხსენებ შიშს, რომელიც მუდმივად თან

ახლდა იქ დარჩენილთა ცხოვრებას, რაც სასოვნარკვეთილებას მგერის. ყველაზე მტკივნეული ჩემთვის 27, 28, 29 სექტემბრის, განსაკუთრებით კი — სოხუმის დაცემის დღის გახსენებაა, როდესაც კოლონები მასობრივად გადმოდიოდნენ. ამ კოლონებმა ჩემს თვალწინ გამოიარა, იმიტომ რომ ისინი ადმინისტრაციულ საზღვარზე — ენგურის ხიდით გადმოდიოდნენ, სადაც გალის ქვედა ზონის სოფლებია.

## „მე დავრჩი“

მე დავრჩი. მაშინ სრულიად გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, როგორ შეიძლება აქაურობას შეველიო-მეთქი, ჩემთან რა უნდათ, არ მიომია, არაფერი ცუდი არ გამოიკეთებია. დედამა, და – ყველანი აქ მყავს და როგორ შეიძლება ეს სახლი დავტოვო-მეთქი. თან უამრავი აფხაზი მეგობარი და ნაცნობი მყავდა. ასე ვფიქრობდი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მწარედ მოვტყუვდი. ეს ომი არ იყო იმაზე გათვლილი, რომ ჩვენ ადვილად დავბრუნებულყავით. ვინც ეს ომი თავს მოგვახვია, და ეს

1 სახელი შეცვლილია მთხრობელის მიერ

ვილაცას სურდა, იმათ ჩაფიქრებული ჰქონდათ, დაკარგულიყო ეს ურთიერთობები და თვითონ რალაცისტვის გამოეკრათ ხელი.

მე მოვცყუედი, საშინელება დატრიალდა ჩვენს თვალწინ. არ ვნანობ, რომ იქ დავრჩი, თუნდაც იმიტომ, რომ ერთ ვინმეს მაინც გავუნათე გონება და ვილაცა არ მოვაკვლევივინე პარტიზანებს, გინდ აფხაზების, გინდ ჩვენი მხრიდან. მე შევძელი, ვილაცის მაინც — თუნდაც ჩემზე ასაკით პატარა ბიჭის ამაში დარწმუნება. სხვათა შორის, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც შეძლეს ამის გაგება.

### „ჩემი სახლი ორმოცდათვრამეტჯერ გაძარცვეს“

ახლა რომ ვთქვა, მარტო ერთი მხარე იყო დამნაშავე და ორივე მხარე თანაბრად არ ხოცავდა და ერთმანეთს არ უთმობდა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ხოლო უშუალოდ მე,

1995 წლის გაზაფხულზე, ანუ პირველ პერიოდში, უფრო მეტად თავს ვარიდებდი იმ ადამიანებს, რომლებიც გახლებული მოდიოდნენ და, დაუფარავად თუ ვიტყვით, ქურდობდნენ და ყაჩაღობდნენ. მიწა-წყალს კი არ იცავდნენ, არამედ მთლიანად ძარცვა-გლეჯვით იყვნენ დაკავებული. ჩემი სახლი ორმოცდათვრამეტჯერ გაძარცვეს. ორმოცდათვრამეტჯერ შემოვიდნენ და ყოველთვის ახალ-ახალი ჯგუფები იყვნენ.

### „ჩვენ ვიმალებოდით...“

მე, რა თქმა უნდა, თავს არ ვაჩვენებდი. ჩვენ ვიმალებოდით, ვხედავდით, როგორ შემოდიოდნენ და მაშინვე სამალავისკენ გავრბოდით. ირგვლივ ტყე იყო და სამალავი არც იყო საძებნელი. ერთ ან ორ ნაბიჯს გადადგამდი და სამალავს წააწყდებოდი. ყველგან ასეთი ტყეები იყო.


მახსოვს, ჩვენ ორი საგვარეულო სახლი გვქონდა, ერთ-ერთში „სკორპიონის“ ჯგუფმა „პოვრები“ გააკეთა. ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ამოირჩია ეს სახლი და წარწერაც გაუკეთეს — „სკორპიონი.“

### „...მოვიდნენ სკორპიონელები?“

„სკორპიონი“ — ეს იყო აფხაზური დაჯგუფება — ალბათ, რომელიღაც ბატალიონის ზედმეტი სახელი.

ზუსტად არ ვიცი, ვინ იყვნენ, ისინი ასე უწოდებდნენ საკუთარ თავს. ჩვენ ყოველთვის ერთმანეთს ვეკითხებოდით — „მოვიდნენ სკორპიონელები?“ მათ წითელი ლენტის ეკეთათ ხოლმე. მერე ჭორად გავიგეთ, რომ სოფელ აჩიგვარას ცენტრში ნაძარცვით მიმავალი სკორპიონელები აუფეთქებიათ.

კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი რამ მახსოვს: ჩვენს სახლში ქართული ენციკლოპედიის თორმეტტომეული იყო. ერთხელაც, ჯგუფი





შემოვიდა, წიგნები გადმოყარეს, გადაქექეს. თაროებიდან მსოფლიო ლიტერატურამთლიანად წაიღეს. დიდი საბჭოთა ქართულენოვანი ენციკლოპედია კი გადმოიღეს და წითლად გახაზეს ზუსტად ის ადგილები, სადაც ლაპარაკი იყო აფხაზეთზე. ვილაცამ გულმოდგინედ წაიკითხა და კი არ გადახაზა, გახაზა. ის ინტელექტუალის წაკითხულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრბოს წარმომადგენლისას.

წიგნი დატოვა გაშლილად, რაღაცაზე მიგვანიშნა, იქნებ იფიქრა, რომ ასეთი მდიდარი ბიბლიოთეკის პატრონებს მივანიშნებ, რომ ეს ასე არაა, ისინი ხომ ჩვენ ისტორიაში გვედავებიანო.

### „ომს კანონები არა აქვს“

სულ ვფიქრობ, იქნებ ჩვენც რაღაცა გავაზვიადეთ ისტორიაში? იქნებ შევცდით? მე არა ვარ ისტორიის სპეციალისტი, იქნებ, რაღაც ერთმანეთს ვერ დავუთმეთ და იქნებ შევცოდეთ?

მახსოვს, ერთხელ კიდევ შემოვიდნენ. ზაფხულში ძალიან ბევრი პარტიზანი შემოდიოდა. შემოვიდნენ და მეზობლის ქალს კბილებს აძრობდნენ. დედაჩემის ხნის ქალის ყვირილზე მე და ჩემი და გავიქეციით იქ, სადაც მისი მეუღლე იმალებოდა. ეკალ-ბარდები ისე გადავთელეთ, მთლიანად დავსისხლიანდით ორივე, ვერ გავიკვლიეთ გზა. ქმარი მივიდა და უთხრა, კბილები არ დააძროთ და ხარს გაჩუქებთო. ოქრო გვინდაო, მაგრამ მერე ხარს დასჯერდნენ. თქვენ გგონიათ, რომ ეს იმ პოლიტიკის ნაწილი იყო? არა, ასეთი რაღაცეები ბრბოს დონეზე ხდებოდა. ომს კანონები არა აქვს, მაგრამ რაღაც ჰუმანური სამართალი არსებობს. დავით გურამიშვილის დროიდან ჩამოყალიბდა მტრის მიმართ სამართლებრივი ურთიერთობები, იმ დროს შეუძლებელი იყო ეს ბრბოს დონეზე მომხ-

დარიყო. ეს ყველაფერი ძალიან მძიმე გადასატანი იყო.

### „სისხლი სისხლით არ განბანილა...“

მე უარესიც მინახავს, მაგრამ არასდროს არ მოვეყვები. მე გულწრფელად არ ვიტყვი ყველაზე საშინელს, რაც მინახავს. ეს რომ ვილაცამ გაიგოს, შერიგება არასდროს მოხდება. ამიტომ წიგნსაც არასდროს არ დავწერ. ხუთი წელი იქ ვიყავი, წერა შემეძლია, მაგრამ ამას მე არ დავწერ, რადგან თაობებმა ის არ უნდა წაიკითხონ. ზოგიერთი შემოგედავება, წაიკითხონ, იცოდნენო. რას გააკეთებენ? სისხლი სისხლით არც განბანილა და არც განიბანება. ამიტომაც მე თვითონ მქონდა შემთხვევა. ჯგუფში 5 ბავშვი იყო ისეთი, რომელსაც ომში მამა მოუკლეს და ამ ბავშვებს დავანერინე „წერილი მამის მკვლელის შვილს.“ მე ვნახე, რომ ახალმა თაობამ მოვლენების გადაფასება დაიწყო, იმიტომ რომ დრო კურნავს.

არაჩვეულებრივი რამ დაწერეს, ვინც წაიკითხა, ყველა აღფრთოვანდა. აზრი ის იყო, რომ ეს ადამიანები ერთმანეთს არ იცნობდნენ და არავის მიუძღვის ბრალი მომხდარში, არც იმას და არც — ამას.

აფხაზეთში ამ მხრივ ნაკლებად მუშაობენ. მე ვიცი ერთ-ერთი კარგი სკოლის ძალიან კარგი პროექტი „აფხაზეთის მწერლობა.“ ეს არის აფხაზეთის დევნილთა სკოლა ზუგდიდში და პროექტი ძალიან წარმატებულია. ვებგვერდზე ამაღლელები ნაწერებია განთავსებული და ბავშვები გამოხმაურებას ითხოვენ, მაგრამ არც ერთი აფხაზი ბავშვი მათ არ გამოხმაურა. იქ განთავსებულია აფხაზური მწერლობის სკანირებული ვარიანტები, მათ შორის ქართულადაც, და ისეა შერჩეული, რომ საქართველოსთან კარგი ურთიერთობების ნამუშევრებია გამოფენილი. მიკვირს, რატომ არ უნდა გამოხმაურებოდნენ. ასევე,



წერილების კონკურსიც იყო გამოცხადებული, მიმონერა თანატოლებთან, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ქართველ ბავშვებს არავინ გამოეხმაურა.

ვისაც ინტერნეტის საშუალება აქვს აფხაზეთში, იმას მეორე პრობლემა აქვს, ქართული არ იცის, ვერ კითხულობს. ბავშვებმა მითხრეს, რომ ძალიან კარგი იდეა აქვთ, თავიანთი სკოლის ხელმძღვანელობას სთხოვენ, რომ აფხაზური ზეპირმეტყველების კურსი შემოიღონ და თვითონ ეურთიერთონ თანატოლებს.

### **„აფხაზური ცოტა მაინც უნდა გვცოდნოდ“**

მგონია, რომ აფხაზური ცოტა მაინც უნდა გვცოდნოდ. იქ რომ ვიყავით, მაშინ იცით, იმათ რა კარგად გააკეთეს. ვხედავდი, რომ აფხაზები ცუდად იქცეოდნენ, თუმცა ალბათ ჩვენი ბიჭებიც ასევე იქცეოდნენ. მაგრამ ტელევიზიით დიდი სიამოვნებით ვუყურებდი მათ აფხაზური ენის გაკვეთილებს. ზეპირმეტყველების გაკვეთილებს აფხაზური ტელევიზიით საღამოს საათებში უშვებდნენ. ბევრს არ ჰქონდა ყურების საშუალება, ტელევიზორი იქ სად იყო? მაგრამ მე ვუყურებდი. სულ ხუთი გადაცემა მოვისმინე და რამდენიმე სიტყვა ვისწავლე. ზოგჯერ აქ ვიტყვი ხოლმე და იცინიან, საიდან იციო. უბრალოდ, რაც უფრო მეტი ენა იცი, უკეთესია.

ჩვენ, მგონი, დავაგვიანეთ. იქ ცხოვრების დროს ჩვენს სკოლებში ითხოვდნენ, არ ასწავლოთ აფხაზურიო, ეს არ იყო სწორი.

### **„ჩვენ... გვინდა... შერიგების პოზიცია გვქონდეს“**

მე იქიდან 1998-ში გადმოვედი. მე ჩვენი მხრიდან ვლაპარაკობ, თორემ აფხაზების პოზიციები უფრო მკაცრია ჩვენს მიმართ. ასე მგონია, ქართველები ბუნებით უფრო ტოლ-

რანტები ვართ და ყოველთვის გვინდა, რომ შერიგების პოზიცია გვქონდეს. რამდენიმე ძალიან განათლებულ აფხაზს, რომელთანაც ძალიან კარგად ვიყავი, სოხუმში წაყვანა ვთხოვე. ჩემი ვიზიტი განათლების საკითხებს ეხებოდა. ახლა არ ვიცი, რას მეტყვიან, მაგრამ სამი წლის წინათ არ მირჩიეს, მითხრეს, რომ ჯერჯერობით ეს არ არის შესაძლებელი. მათაც ემინოდათ, ისინი უაღრესად განათლებული ადამიანები არიან, მაშინ თვითონაც ჩუმად იყვნენ.

### **„ეს იყო ხიდის მეორედ ჩატეხვა...“**

ჩვენი პოზიციიდან რომ გითხრათ, გულწრფელად, გადმოვედი, რადგან იქ გაჩერება უკვე აშკარად სიკვდილს უდრიდა. მოქნევას მოზომვა სჭირდება, 1998-ში ჩვენი ხელისუფლებიდან ვილაცამ ვერ მოზომა, როგორ უნდა მოექნია და ამიტომაც თითქმის დაბრუნებული გალი და მოსახლეობა დაიკარგა... სოფელში, სადაც მე ვცხოვრობდი, 500-ბავშვიანი სკოლა იყო და აქედან სკოლაში 240 მოსწავლე დადიოდა. სკოლა ფუნქციონირებდა. ამ მაგალითით სხვა სოფლებმაც იგივე გააკეთეს. ეს, ჩემი აზრით, ძალიან კარგი გზა იყო, რადგან ახალგაზრდების ინტეგრირების პროცესი დაიწყებოდა, მაგრამ მომხდარის გამო სკოლებიც დაწვეს.

ჩვენი არმია შევიდა. ხალხი აღფრთოვანებული იყო, გამოვიდნენ რეზერვისტები და მხარდაჭერა იქნებოდა, ამბობდნენ. სიმართლე გითხრათ, ჩვენ, იქ მყოფები, ძალიან შეწუხებული ვიყავით, რადგანაც ვიცოდით, რომ დასასრული ისეთივე იქნებოდა, როგორც იყო: მეორეჯერ ხიდის ჩატეხვა და ურთიერთობების გამწვავება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ კიდევ ასე გაგრძელდეს.

## „...თორმეტი კილომეტრი ფეხით წავსულვარ ვილაცის დასახმარებლად“

იქ როცა ვიყავი, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, თუკი ვინმე რამის სათხოვნელად შემოდიოდა, არაფერზე უარს არ ვეუბნებოდი. ისეც ყოფილა, რომ დილით ადრე ავმდგარვარ და თორმეტი კილომეტრი ფეხით წავსულვარ ვილაცის დასახმარებლად, რაღაც კარგი საქმის გასაკეთებლად. ეს იყო ჩვეულებრივი და არა პარტიზანული ურთიერთობები.

მახსოვს ასეთი შემთხვევა, ვერ გეტყვით, ვინ ჩაიდინა, ქართველმა თუ სხვამ. სრულიად უკაცრიელ ადგილას შეიარაღებული პირები შევნიშნე, უკვე გამოსული ვარ ჩემი სახლიდან და 6 კილომეტრი მაქვს გავლილი, კიდევ 6 უნდა გავიარო, მათ შორის 3 კილომეტრი დაუსახლებელი ადგილია, უკვე ნახევრად ტყედ ქცეული და ბალახებით დაფარული მინდვრებით. სწორედ ამ ადგილას მისვლისას, უცებ თავი გამოყო რაზმმა, რომლის წევრებიც კარგად ლაპარაკობდნენ რუსულადაც და მეგრულადაც. უკვე უნდა გზა გადაეჭრათ, როცა შემომხედა ერთერთმა მათგანმა, მე ალბათ ფერი არ მედო სახეზე, რუსულად მითხრა, დეიდა ნურაფრის ნუ შეგეშინდებაო. შენ ამ გზაზე პირველად არ მოდიხარ და ჩვენ შენთან არაფერი გვესაქმებაო. როგორც გინდა, ისე გეველოს, ვიცით, რომ ცუდი საქმისთვის არ მოდიხარო.

ეტყობა ის ჯგუფი ან იქ იყო დაბანაკებული ან ხშირად შემოდიოდა და ადრეც ნანახი ვყავდი. მე გამახსენდა ერთი შემთხვევა — კარგი საქმის გასაკეთებლად მიმავალს, ზემოდან რომ მიმიზნებდნენ, ჰაერში ისვროდნენ, ხორხოცებდნენ და მე მივრბოდი, ისინი დამცინოდნენ. მაგრამ რა ვქნათ, ომი ომია.

ეს კარგი საქმე ოჯახებში დარჩენილი ბავშვების უფასოდ სწავლება იყო. ჩვენ ამას ვაკეთებდით და ის ოჯახებიც საიდუმლოდ ინახავდნენ.

ვისაც ეს შეეძლო, იქ ძალიან ცოტანი იყვნენ. უკვე ორი წლის განმავლობაში 26 ბავშვი წერა-კითხვის შეუსწავლელი დარჩენილიყო, სკოლაშიც არ მიიღებდნენ. ამ საშიშროების დროს შინ ხომ ვერ მოვიყვანდი მათ, ამიტომ მათთან მე თვითონ დავდიოდი.

## „არ ვნანობ, რომ არ გადმოვედი...“

ინტელიგენცია — სუყველა აქეთ წამოვიდა, აფხაზეთში აღარავინ დარჩენილა. ეს ფაქტია. მე არავის ვაკრიტიკებ. იქ ჩემი დარჩენა მხოლოდ ჩემი სულელური გადაწყვეტილება იყო. ცუდი იყო თუ კარგი, იმ დღეებს პატივს ვცემ. ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სრულყოფილად იმ დღეებს ჩავთვლი, როდესაც ვილაცას ვეხმარებოდი.

მე მაქვს მეორე პროფესიაც, ექთანის ვიყავი და შემეძლო ვილაცას დავხმარებოდი. ბედნიერად მივიჩნევ თავს, რადგან ეს შეეძელი. დაფუშვით, ვილაცას თირკმლის შეტევა ჰქონდა და ტკივილის დროს დახმარება სჭირდებოდა. ექიმი კი არსად იყო. შეიძლებოდა 7-8 კილომეტრის მანძილიდან ვილაც მოსულიყო და რაღაცაში დახმარებოდა. როცა შეგიძლია მარტივი ხერხებით ტკივილი დაუამო ადამიანს, ხოლო ღამენათევს მისი ლოცვა-კურთხევა გამოგყვება, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია.

სოფელში გავრცელდა „ბოტკინი.“ რა უნდა გააკეთო ამ დროს? გამახსენდა ბებიაჩემის კარაბადინიდან სოფლის პირობებში როგორ უნდაუმკურნალოთაფლით, მრავალძარღვათი და რაღაც ბალახ-ბულახით. დაეხმარები მაინც და არ მოკლავ კაცს, სანამ ერთ კვირაში ექიმთან გადავა, მანამდე ცოტას დაუამებ. სულ არ ვნანობ, რომ არ გადმოვედი. პირიქით, იქ იმდენი კარგი საქმე გავაკეთე. ნორვეგიელი მწერლისა არ იყოს, ზღვის მიმოქცევის დროს თუნდაც ერთი ვარსკვლავი რომ გადაარჩინო, საკმარისიაო.

## „შენ „გეროინია“ ხარო“

ოთხი წლის წინათ გადავედი, ახლობელი გარდამეცვალა. 3 წლის წინათ კი ერთ-ერთ სატირალში<sup>2</sup> შევედი. მეშინოდა და ყველას თავს ვარიდებდი, ვიცოდი, რომ აფხაზები დამხვდებოდნენ. სოფელმა ისე მიმიღო, იმ აფხაზს ეგონა, თითქოს იქ მათი სახალხო გმირი შევიდა. ერთმა აფხაზმა მითხრა, გუდაველი დედა მყავს, მაგრამ მე თვითონ გუდაუთიდან ვარ, დედაჩემიც თქვენი ასაკის არის, ჩემს თვალში შენ „გეროინია“ ხარო. ადგა და მაკოცა. იმდენი ადამიანი მეხვეოდა, ჩემს ირგვლივ ადგილი აღარ იყო. იმ ახალგაზრდა კაცმა მითხრა, დედაჩემს აუცილებლად ვეტყვი, შენ რომ გნახეო. ამ აფხაზს ჩინი ჰქონდა მიღებული.

## „ომმა ოჯახები დაშალა“

ჩემს სოფელში აფხაზები არ ცხოვრობდნენ. ჩვენ გყავს აფხაზი რძლები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს თავიანთი შვილების, მათი ნათესავების და ქართველების სასარგებლოდ. რადგანაც ქართველების ცოლები იყვნენ, ისინიც იქ დარჩნენ. ასეთი სამი ქალი ჩვენთან ერთად დარჩა და იცით, რა გულისტკივილით მახსენდებიან? იმათ არც აფხაზები აფასებდნენ, ცუდად ექცეოდნენ, და არც ქართველები. თუ რამე უსიამოვნება შემხვედრია, მხოლოდ იმის გამო, რომ როდესაც ხანდახან მათ სრულიად უდანაშაულოდ რაღაც-რაღაცეებს ბრბოს დონეზე აბრალებდნენ, მე სალი პოზიცია მქონდა. ორი მათგანი დღეს იქიდან გაგდებულია, ჩემს თვალში ისინი ჭეშმარიტ აფხაზებად და ქართველი დედების სიმბოლოდ დარჩებიან.

ერთის გაგდებაში აფხაზის ხელი ერია, მეორეს კი — ქართველმა უმუხთლა. ექვსი შვილი გყავს მეგრელისგან და არ გაგახარებთო,

უთხრეს. ჩემთან მოვიდა, რამე მიშველეო, ნაცემი ქმარი იქვე ეგდო, მეც მცემესო,- სულ დასისხლიანებული იყო. ასეთ დროს, ასეთ ქალებს არც ჩვენები არ თანაუგრძობდნენ. ომმა ოჯახები დაშალა.

4-5 წლის წინანდელი ერთადერთი შემთხვევა მახსოვს, რომ აფხაზებმა გვიყარაულეს და რატომ, ვეტყვი. არ მინდა ტრაბახი გამოვიდეს, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვცხოვრობდით, შრომისმოყვარე ოჯახად ვითვლებოდით და ყველაფერი გვქონდა. არაფერი არ გვაკლდა. შემოვიდოდნენ, გადმოაბრუნებდნენ ყველაფერს, ჩვენ დავალაგებდით, გადმოაბრუნებდნენ, დავალაგებდით, თურმე დიდი ინტერესი ჰქონდათ, აქ ვინ ცხოვრობდა.

ჩვენი განწყობა კი ასეთი იყო- კაი, ნაიღეს რაღაცეები? მერე რა მოხდა, დაჯექი ტყეში და მოქსოვე. თუ თარო ნაიღეს, რაღაცა ხელით გააკეთე და იმას ის მოქსოვილი გადააფარე და გაალამაზე. ბოსტანი და ბაღიაც ყველაფერი მოვლილი გვქონდა. სხვათაშორის, თვითონაც ეშინოდათ, ისინი აუცილებლად გაისროდნენ მოსვლის წინ, იმათაც არ უნდოდათ იქ ზედმეტი ალიაქოთი. ერთი-ორს გაისროდნენ და მერე შემოდიოდნენ. სოფელში ერთს ან ორს შესაძლოა ჰქონდა იარაღი, მაგრამ ვინ გაბედავდა რამეს. ერთხელ გვიდარაჯეს, სანამ შინ დავბრუნდებოდით, ეს ერთადერთხელ მოხდა, გვითხრეს, გვანტერესებდა, ვინ ცხოვრობდა ამ სახლში, ამდენი შემოსვლისა და არევ-დარევის შემდეგ, ისევ ასეთი ლამაზი ხელი რომ ეტყობოდაო.

## „მიცვალეზულის წართმევის უამრავი შემთხვევა იყო“

გვერჩოდნენ, კბილი დააძვრეს ქალს, სახლს ცეცხლი მოუკიდეს, კაცები გამოვიდნენ და ჩაქრობა რომ მოინდომეს, მეორე ჯგუფი შემოვიდა და რვავე ჩახოცა. ეს შემთხვევა საღამო

2 ტრადიცია დასავლეთ საქართველოში მიცვალეზული ერთი კვირა ასვენია ოჯახში და მეძვიდე დღეს ასაფლავებენ, მთლიანად ამ რიტუალს დატირებას ეძახიან. ამ დროს ტრადიციულად გარდაცვლილის ახლობლები, ნათესავები მიდიან მის ოჯახში მწუხარების გასაზიარებლად და პატივსაცემად.

ყამს მოხდა. სახელდახლოდ დაჭედილი ფიცრები დავდეთ საზიდრებზე, ჩვენ რომ ტაჩკას ვეძახით. წყვილ-წყვილად დადებული კუბოებით ღამით გავიტანეთ სასაფლაოზე მიცვალებული, რომ არ წაერთმიათ. მიცვალებულის წართმევის უამრავი შემთხვევა იყო. ჩემთან, ტყეში ერთხელ დედ-მამა იმალებოდა, შვილი კი მათი სახლიდან გაათრიეს და გვამი წაიღეს შტაბში, ნაბაკევში. ამის მერე ის მშობლები თუნდაც მოეკლათ. ამაზე მეტი ტრაგედია რა უნდა იყოს? შვილი მოუკლეს და გვამი წაართვეს.

სხვათაშორის, იმ გვამის დაბრუნებაში გალის რაიონის ყოფილმა გამგებელმა რუსლან ქიშმარიამ ძალიან დიდი როლი შეასრულა. როდესაც გამწარებული დედა მიუვარდა, რუსლან ქიშმარიამ მეორე — დაჭერილი შვილიც თავად მიუყვანა, დააბრუნებინა.

როდესაც საქმე მძევლების ან ცხედრების დაბრუნებას ეხებოდა, მამები შინ რჩებოდნენ და დედები უფრო აქტიურობდნენ. შესაძლებელია იმიტომ, რომ მამაკაცებს აფხაზები უფრო ადვილად მოკლავდნენ, ცოლებს ამისი ეშინოდათ და არ უშვებდნენ, ეს ბუნებრივია.

ჩემი ყოფილი მასწავლებლის ეზოში შევიდნენ „ბეტეერით,“ ამ დროს დედა მისი გამოვიდა, იფიქრა, ალბათ, საქმელი უნდათო და, მეგრელებმა ხელის შემოვლება რომ იციან, ადამიანის დალოცვისას, ისე გააკეთა, აწეული ხელი შერჩა ქალს, იქვე დახვრიტეს.

**„...კარისკენ ზურგით მიდიოდა, იარაღი კი ხელში ეჭირა“**

ასეთი შემთხვევა უამრავია. კიდევ ვამბობ, ეს ყველაფერი ბრბოს დონეზე კეთდებოდა. თორემ, ერთხელ ჩემთან აფხაზი რომ მოვიდა გასაძარცვად, გაცოცხლებული დავრჩი იმ კაცის საუბრით. თავიდან მომეჩვენა, რომ ცუდი კაცი იყო, უხეშად მითხრა: სახლს ჯერ ალაგებთ და

მერე იმალებითო. მაგრამ მე მასთან გულახდილად ვისაუბრე, ვუთხარი, რომ ეს რომ არ მომწონდა, რომ ომში ჩვენ კი არა, სხვები იყვნენ დამნაშავეები, ვისაც ეს ხელს აძლევდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი და ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. მითხრა, რა კარგად ლაპარაკობო რუსულად, მაგრამ მე მეგრულად ვილაპარაკებ შენთანო. ის ძალიან კარგად ლაპარაკობდა მეგრულად. რუსულად აფხაზური აქცენტი ჰქონდა. აბსოლუტურად გეთანხმებითო, მითხრა, მე ვუთხარი, კამაჭიჭის შთამომავალი, როგორ ლაპარაკობ ქალებთან იარაღის ენით-მეთქი და მან მომიგო, შენმა სიტყვებმა იარაღი კუთხეში დამადებინაო. ჩემმა დამ უცებ მოინდომა მის წინ მუხლებზე დამდგომა, რომ ეთხოვა, ჩვენ ცუდი არაფერი გაგვიკეთებია და ნუ გვესვრი, დაუცველი ქალები ვართო. მაშინ სახლში 84 წლის ავადმყოფი ქალი გვყავდა, უპატრონო იყო. ჩვენ ის სახლში მოვიყვანეთ და ვთხოვდით, იმას ნუ შეგვიშინებო. იმ წუთას ადგა და თქვა, აქ ლაპარაკი დამთავრებულიაო. ჩემს სიცოცხლეში არ დამავინყდება — კარისკენ ზურგით მიდიოდა, იარაღი კი ხელში ეჭირა. მე ვკითხე, თქვენ რისი გეშინიათ-მეთქი? ამ ქალებში იმდენი ჭკუა დავინახე, ბოლომდე არ გენდობითო. ფრთხილი უნდა ვიყოო. ძალიან განვიცდი, რომ განუხებენ და იქნებ შეძლოთ, დღეს აქ არ გაჩერდეთ, ვინც ჩვენს უკან მოდის, ჩვენ პასუხს არ ვაგებთო. აქ ისეთი ჯგუფები დადიან, რომლის მართვაც ჩვენ არ შეგვიძლიაო. ამ ადამიანის სახელსა და გვარს არ დავასახელებ, იქნებ ცუდი აღმოჩნდეს მისთვის. თვითონ გვითხრა- ესა და ეს სახელი და გვარი იკითხეთ, მე თანამდებობა მაქვს და დაგეხმარებიან, რომ აქ არავინ შეგანუხოთ. რომ არ გიომიათ და აქ ცხოვრობთ, ამის დამადასტურებელ ცნობასაც მიიღებთო. არც ღალატი ერქმევა ამას, არც არაფერი, ეს იქნება ფორმალური საბუთი დევნილებისთვის აფხაზურ ენაზეო.

### „...ჩემი ერის სახელით ბოდიშს გეუბნებიო“

როცა მე იმ აფხაზს ვუთხარი, კამაჭიჭის შთამომავალი ამას რატომ აკეთებ-მეთქი? მან მიპასუხა, რომ მისი ოცნებაა ჩვენი ერთად ცხოვრება. აუცილებლად ვიცხოვრებთ ერთადო. დარწმუნებული ვარ, ჩვენ გვექნება პასპორტი, რომელშიც არც აფხაზეთის, არც საქართველოს მოქალაქე არ ჩაინერება. ჩვენი შთამომავლობა ამას მაინც მიაღწევსო? თუ თქვენისთანა ადამიანები იქნებიან იმ მხარეს, მე თქვენ მომაქციეთ და ჩვენი შთამომავლობა მაინც მიიღებს ასეთ პასპორტს. ეს იქნება იდეალური საზოგადოებაო,- თქვა მან. ეს ომი არ იყო არც შენი და არც ჩემი მოგონილი და მე ვწუხვარ ამის გამო, მე ჩემი ერის სახელით ბოდიშს გიხდით. მაშინ ეს ნათელი სხივი იყო ჩემში.

მე არ დამიჯერებია მისთვის და არ წავსულვარ, როგორც მან ჩემი არ დაიჯერა და სოფლის ცენტრამდე ზურგით წავიდა. ამ დროს ვიფიქრე, რომ თურმე ისინიც ისეთივე შიშის ქვეშ არიან, როგორშიც ჩვენ ვართ და ამ ადამიანებს ვილაცამ გზა-კვალი აურიბა. ვინმემ უნდა იმუშაოს ჭეშმარიტად ამაზე.

### „როცა კანონი იწერება დევნილებზე, მათი აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული“

მე მაინც მგონია, რომ მთავრობა მართავს ამ არასამთავრობოებს. ეს ჩემი აზრია. მაგალითად, დოკუმენტი დევნილთა ინტეგრაციის შესახებ<sup>3</sup> დევნილთა მასების ჩართვით არ შემუშავებულა. ის კანონი დევნილთა გარეშე დაინერა. როცა დევნილებზე კანონი იწერება, მათი აზრიც უნდა იყოს გათვალისწინონ. იქ კი ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც მთავრობას უნდოდა.

ერთ შეხვედრაზე მიმინვიეს, სადაც ასეთი დოკუმენტი იქმნებოდა. ვისაც ხელწინიფება

ეს საქმე, მან თავად თქვა, რაც გინდა, ის გააკეთე, მთავრობას მაინც ასე უნდაო. მე ვუთხარი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს შენი მთავრობაც და შენი არასამთავრობო ორგანიზაციაც-მეთქი. მე მგონია, რომ არასამთავრობო ჩემთვის ბერკეტი უნდა იყოს და მთავრობა მით უმეტეს.

### „ისინი უსმენენ ჩვენს საინფორმაციოებს“

აფხაზეთში მდგომარეობა იმისდა მიხედვით მწვავედება, რა მიდის აქედან საინფორმაციო საშუალებებით. ვილაცის მოუზომლად ნათქვამმა სიტყვამ შესაძლოა ძალიან იმოქმედოს. ისინი უსმენენ ჩვენს საინფორმაციოებს. არიან ოჯახები, სადაც არის ნორმალური ანტიენები, ისინი ძირითადად ზუგდიდიდან „ოდიშს“ უსმენენ.

ერთი ძალიან ჭკიანი და განათლებული ქალი აფხაზეთში ჩავიდა. მძიმე პერიოდი იყო, მაგრამ ოჯახური ტრაგედიის გამო ნებადართულად ჩავიდა გალში. ის ჰყვება: სადაც მე ვიყავი, ყველა ოთახში ტელევიზორი იყო, ადგილიც კი არ იყო კედლებზე დარჩენილიო. იქ მან ყველა საინფორმაციო საშუალება მოისმინა. არ ვიცი, სად წაიყვანეს, მაგრამ ვფიქრობ, სადღაც, ცენტრში მიიყვანეს. იქ, სადაც მას, ზუგდიდიდან გადმოსულს დაკითხვა მოუწყვეს. ასე რომ, ისინი არ ტოვებენ არცერთ საინფორმაციოს. ხოლო როცა აქედან ვილაცა გამოდის და მოუზომლად ლაპარაკობს, ამას ვიზამ, იმას ვიზამო, სწორედ ამის მერე მოდის აგრესია.

ვილაცა ფიქრობს, რომ აგრესიით საქმის გაკეთება შეიძლება. ამის მოსმენის შემდეგ იქით უცებ გზებს გადაკეტავენ, შემოდიან ოჯახებში და აშინებენ. ეს გაჭირვებული კაცი აქეთ ვერ გადმოდის და ყველანაირად იძაბება სიტუაცია. ან როცა ცხადდება, აფხაზეთის შუაგულში გავსხენით პატრიოტული ბანაკიო,

3 სახელმწიფო სტრატეგია დევნილთა შესახებ (დოკუმენტი დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წლის თებერვალში).



ჯერ ერთი განმუხური აფხაზეთის შუაგული არ არის და მეორეც, სწორედ მაშინ დაიწყეს ბიჭების დაჭერა აფხაზეთში ჯარში წასაცვანად და არც ერთს არ უშვებენ ბანაკში. ხომ შეიძლება ასეთი რაღაცა ყვირილის გარეშე გააკეთო, ასეთ დროს ვფიქრობ, მოუზომელი რაღაც-რაღაცეები ამწვავებს სიტუაციას.

მე გალში არ ვყოფილვარ და ამბობენ, რომ ახლა იქ უკეთესი მდგომარეობაა. მე ვყოფილვარ ენგურიდან 50 კილომეტრის მოშორებით, გალის მიმართულებით და გზად ერთი სახლი არ შემხვედრია. ახალგაზრდობა ძალიან ცოტაა, ასაკოვნები უფრო ბევრნი არიან და ყველას ძალიან უჭირს. კიდევ შეიმჩნევა რაღაც ზღვარის დაწესების ტენდენცია: აქაური და იქაური დევნილი. ჩემი აზრით, ეს სოციალური თვალსაზრისით არის გამოწვეული. ადგილი, სადაც მე ვცხოვრობ, იმ მთავრობამ, ან ჩვენმა რომ ნახოს, ხომ გული გაუსკდება: შეუღლესავი კედლები, საშინელი პირობები. ყველგან ასეთი მდგომარეობა... გუშინ მოკვდა ერთი დევნილი ფაიფურის დასახლებაში. საცოდავი, სხვის სახლში დაასვენეს. მათ ის ერთი ოთახიც კი არ ჰქონდათ, რომ მიცვალებული დაესვენებინათ.

### „...აშკარად გაყოფა“

ავილოთ სკოლები, ყველანაირი ყურადღება იქეთა ბავშვებს აქვთ, გალში რომ სწავლობენ. როგორ შეიძლება ასე გათიშო აქაური დევნილები. ბოლო პერიოდში ზუგდიდში მყოფ აქაურ დევნილებს ყურადღებას არ აქცევენ. არც ისინი არიან განებივრებულები, მაგრამ თუ დასასვენებელი ბანაკია ან ექსკურსიაა სადმე, აშკარად გაყოფაა. მე ყოველთვის მგონია, რომ ყველაფერი თანაბრად უნდა გაკეთდეს. აჩვენე, რომ ის შენი ძმია, ის შენ უნდა დაგხვდეს იქ. ინტეგრაციაზე ვლაპარაკობთ და ამგვარი პროექტებით ჩვენ იქეთა და აქეთა ბავშვები ისე დავაშორეთ, რომ არ ვიცი, აფხა-

ზეთში როგორ შეხვედებიან ერთმანეთს. მე მგონი, ამაზეც ღირს დაფიქრება. აი მაგალითად, ტრენინგები გალმელი - გალში მყოფი ექიმებითვის, კი, ძალიან კარგია, გალმელი პედაგოგებისთვის, მაგრამ ამგაომომელპედაგოგს და ექიმს არ სჭირდება გადამზადება? დაბრუნებისთვის არ ვემზადებით? იქ არ უნდა მივიდნენ ესენი? ეს არ არის რესურსი? ბოლო პერიოდში ეს აშკარად შეიმჩნევა.


ერთი ამბავია ატეხილი, რომ პატრიოტთა ბანაკებში ახალგაზრდები მიდიანო. სოციალური გრანტი რომ ყველა ბავშვს აქვს, ესეც ძალიან კარგია და მივესალმები, მაგრამ ამის პომპეზურად გადაქცევა არ ღირს.

მას შემდეგ, რაც 1993-1998 წლები ტყეში გავატარე, ყველა დღე ლამაზი და ნათელი გვირგვინით შემოსილია. იმდენად ლამაზია, რომ თურმე ვცხოვრობდი იდეალურ სამყაროში, რადგან არ ვიცოდი ომი. ყოველი დღე, დამერწმუნეთ, სიხარულია, ჩიტების ჟრია-მულია და ბედნიერებაა ჩვენთვის. თუნდაც მაშინ, ბავშვი ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა და მეგონა, ამის შემდეგ ცხოვრება აღარ გაგრძელდებოდა. გოგონებს განსაკუთრებულად უყვართ მამები და ასე მეგონა, იმის მიუხედავად, რომ ყველა დიდად თანამიგრძნობდა. მას მერე, რაც ომმა განმაცდევინა, ყველა დღე ძალიან ლამაზად მეჩვენება.

ვისურვებდი, სულ მალე ისეთი დრო დამდგარიყოს, ომის არც ერთი დღე არ გამხსენებოდეს.



# ალოქსანდრე



83 წლის ალექსანდრე<sup>1</sup> ცხინვალიდან დევნილია. ის ამჟამად გორში, ერთ-ერთ კოლექტიურ ცენტრში, მარტო ცხოვრობს. მას ჰყავს შვილები, მაგრამ ისინი თავიანთი ოჯახებით საქართველოს სხვა კუთხეში დასახლდნენ, თვითონაც დევნილები არიან და გაჭირვების გამო მამას ვერ ეხმარებიან. ალექსანდრე, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, შრომობდა და ახლა გულნატკენია, მოხუცებულობაში ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა.

ისტორია ჩანერილია ქართულ ენაზე.

## „არავის ხელში შემყურე არ ვიყავი“

მყავდა მეუღლე, მყავს ორი შვილი. მეუღლე 1965 წელს, იქ, ცხინვალში გარდაიცვალა. შვილები დაიზარდნენ. ქალიშვილი გავათხოვე, ვაჟი დღესაც ლტოლვილად არის ბორჯომში, თავისი ცოლ-შვილით.

ცხოვრებით უკმაყოფილო არ ვიყავი. არაფერი არ მაკლდა — საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელი, დასახური. ხარბი არ ვყოფილვარ და საშუალო დონის მაცხოვრებელს რაც სჭირდება, ყველაფერი საკმარისი მქონდა.

საკუთარ, ორსართულიან, საშუალო დონეზე კეთილმოწყობილ ბინაში ვცხოვრობდი და არავისი ხელში შემყურე არ ვიყავი. შეძლებისდაგვარად, ვეხმარებოდი ჩემს ახლობლებს, მეზობლებს და ჩემს კეთილ ხალხს. 1949 წელს დავამთავრე ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი. დავინყე მუშაობა ინსტიტუტში, ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე, ლაბორანტად... რამდენიმე წელიწადი კეთილსინდისიერად ვიმსახურე. ხელფასი ძალიან დაბალი იყო... ამიტომ ინსტიტუტი მივატოვე და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ერთ-ერთ პასუხისმგებელ ორგანიზაციაში დავინყე მუშაობა.

## „ისე წამოვედი, რომ გასაღებიც არ წამომიღია...“

თავიდან ეს კონფლიქტი სასაცილოდ მიმაჩნდა. ვერ წარმომედგინა თუ ასეთ მწვავე სიტუაციაში მოვხვდებოდი. მეცინებოდა, როგორ შეიძლებოდა ჩვენსა და ოსებს შორის ასეთი გამწვავებული ურთიერთობა დამყარებულიყო. მაგრამ იძულებული გავხდი წამოვსულიყავი... ღამეში სამჯერ-ოთხჯერ მოდიოდნენ ოსები... თუკი რამ გამაჩნდა, ყველაფერი: ღვინო, პური, საჭმელი, სასმელი, ყველაფერს გვთხოვდნენ და მიჰქონდათ. იძულებული გავხდით, რომ მიგვეტოვებინა სახლი, კარი და წამოვსულიყავით. ისე წამოვედი, გასაღებიც არ წამომიღია... მეგონა, ორ-სამ დღეში უკან დავბრუნდებოდი და ნორმალურ ცხოვრებას შევუდგებოდი. წამოვიყვანე შვილი, ოჯახი, მეუღლე. მეუღლის სიკვდილის მერე მეორედ დაექორწინდი. უკვე შვილიშვილები მყავდა. აქ, გორში რომ ჩამოვედით, თავშესაფარი ამ სასტუმროში ვიპოვეთ... არაფერი არ წამომიღია... ყველაფერი, რაც გამაჩნდა, ცხინვალში დარჩა.

მას შემდეგ მე აქ ვცხოვრობ. მეუღლე გასული წლის 11 ივლისს, ნერვიული ავზნების ნიადაგზე, გარდაიცვალა. ვარ ასე მარტო დარჩენილი, არაფრის გამკეთებელი...



## „ჩვენ ისევ ერთად უნდა ვიყოთ“

ყველაზე ძალიან გულს მტკენს ის, რომ ეს ამბავი მოხდა ჩვენსა და ოსებს შორის, ეს არ უნდა მომხდარიყო. ჩვენ არა ვართ ის ხალხი, რომლებიც აიძულებდნენ ამ ხალხს, აი, ასეთ მიუღებელ ვითარებამდე მისულიყვნენ. ეს მიკლავს გულს, ერთად შეზრდილ, დაძმობილებულ ხალხს, მთელი ცხოვრება ერთად რომ გაგვიტარებია, ბოლოს ასეთი რამ რატომ დაგვემართა.

არ ვიცი, მომავალში რა იქნება... არც მაქვს იმედი, რომ დაბრუნებას პირადად მოვხსნარები. ისე კი, როგორც ცხვირი პირიდან არ მოიჭრება, ასევე, ჩვენი, ქართველი და ოსი ხალხის, ურთიერთობა არ მოიშლება. ჩვენ ისევ ერთად უნდა ვიყოთ! ერთმანეთს უნდა ვაპატიოთ, ხელი უნდა გავუწოდოთ. გინდა თუ არ გინდა, ხელი უნდა გავუწოდოთ ერთმანეთს. იმიტომ, რომ ეგენი, სადაც ცხოვრობენ, ჩვენს ნასახლარს ვერ აიკიდებენ და ვერსად ვერ წაიღებენ! აქ

უნდა იყვნენ. აქ, ჩვენთან ერთად უნდა დაიხი-  
ცონ და ჩვენთან ერთად დაიმარხონ...

## „დავრჩი ამ პენსიის ამარა...“


ჩემი ფიქრით და გრძნობით დღესაც ჩემს სახლ-  
თან ვარ. სახლი ისე გაძარცვეს, რომ ფიცრის  
შიგნით აღარაფერი აღარ დარჩა. სულ გაზიდეს,  
გაიტანეს, დაანგრის. მარტო კედლები დგას,  
კედლები, მეტი არაფერი... აი, წელანაც გით-  
ხარით, ისეთი სულიერი ტრამვა მომაყენა ამ  
მდგომარეობამ, რომ სიცოცხლე აღარ მინდა.  
83 წლის კაცი ვარ და იქნებ, დროზე მომეღოს  
ბოლო, წავიდე... აღარ მაქვს ამ საშინელებისა  
და უბედურების ატანის ძალა... ასეთია ჩემი  
ტანჯული, ტანჯული ცხოვრება... ვარ ასე ჩაკე-  
ტილი. საქმე არ მაქვს არაფერი.

დავრჩი ამ პენსიის, 38 ლარის, ამარა. ძალიან,  
ძალიან გულდანწყვეტილი ვარ. დამინიშნეს  
სიღარიბის ზღვარზე მისული ხალხისთვის  
განკუთვნილი პენსია... მხოლოდ რამდენიმე  
თვე მაძლევდნენ. ამის გარდა სხვა შემოსა-  
ვალი არ მაქვს. ჩემს შვილებს თავიანთი თავი  
თვითონ გასჭირვებიათ, ეს დასამალი არ არის.  
ბიჭი აგერ ბორჯომში. იქ ცოლი, შვილები ჰყავს  
და დაზარდა. იმისგან რა დახმარებას უნდა  
ველოდე?... ჩემი ქალიშვილი, იქ, ახალგორში  
ცხოვრობს, იმასაც ოჯახი უჭირს... ჩემი დახ-  
მარება არ შეუძლიათ. ათასში ერთხელ თუ  
ჩამოვლენ, დახმარებენ და ეგ არის.

ასეთ გაჭირვებულ კაცს დახმარება მომი-  
ხსნეს. მოვიდნენ, ვითომ შესამონმებლად,  
როგორ ვცხოვრობ, რა გამაჩნია და მომი-  
ხსნეს დახმარება. ხანდახან ღამე გამელ-  
ვიძება და ვფიქრობ: ასეთი რა დავაშავე.  
ტელევიზორი და მაცივარი რად გაქვსო,  
მითხრეს.

ტელევიზორი, ჩემი შვილიშვილი რომ დაი-  
ბადა, მაშინდელი ნაყილია. ბიჭმა იყიდა... სხვა-  
გან ეგდო, თანაც მოშლილია, არ მუშაობს... სულ

## რ უ ს ე თ ი



## ს ო მ ხ ე თ ი

მოშლილია, გაოხრებული. გარეთ მტერს უბრ-  
მავებს თვალებს და შიგნით - მე. ეს ნაგდები,  
ძველი მაცვივარია, ნავილე, გავაკეთებინე, მაშინ  
მქონდა საშუალება, ვმუშაობდი, და აქ, გორში,  
გავაკეთებინე, 60 ლარი დამიჯდა. შენ, მაცვივარი  
გაქვსო. შე დალოცვილო, ამ მაცვივარში თუ რამე  
არ შეიტანე, აქედან ხო არაფერს გამოიტან?  
ამას ხო პროდუქტის შესაძენი ფული უნდა. ეს  
ტელევიზორი არ მასმევს და არ მაჭმევს. კიდევ  
მითხრეს, ცოლი რომ გარდაგეცვალა, ფართობი  
მოგემატაო. ეს რა საკადრისია, რა სათქმელია.  
სულ თორმეტი კვადრატული მეტრია, მეტი ხომ  
არ არის.

თბილისში ვაპირებდი ნასვლას და ჩივილს.  
მითხრეს, არ ღირსო, არაფერი გამოგივაო,  
რაც ჩაინერა, მორჩა, ეგ არისო. ამან ხომ სულ  
მთლად სულიერად და მორალურად დამცა.  
იმის მაგივრად, რომ რალაცა სტიმული მომ-  
ცენ, პირიქით, ნიხლით მდგებიან და მიწასთან  
მასწორებენ. ახლა მაქვს 38 ლარი პენსია და  
თერთმეტი ლარი ლტოლვილის დახმარება. აი,  
ეგ არის ჩემი შემოსავალი, სხვა არაფერი. ამით  
ცხოვრება შეუძლებელია... ყველა კაპიკი გათ-  
ვლილია. ოცდაათი-ოცდათერთმეტი დღე არის  
თვეში და, აბა, რა გინევს დღეში, გამოთვალე...  
თანაც, ძალიან მიჭირს კოლექტიურ ცენტრში  
ცხოვრება. ხმაური და ცუდი პირობებია...

### „სიმშვიდე მინდა“

ხშირად მიფიქრია, ნეტა, ისეთ ადგილას დამასა-  
ხლა, რომ კაციშვილი არ იყოს და, ჩემს ნებაზე,  
როგორც მინდა, დავჯდე, ავდგე-მეთქი...

შეიძლება ჩემი ასაკის ბრალიც არის, 83 წლის  
კაცი ვხდები და ვერ ვიტან ქალების ჩხუბს...  
მით უმეტეს, მეზობლების, ბავშვების ნაკიდე-  
ბას. სიმშვიდე მინდა, რომ სადმე პატარა კუთხე-  
კუნჭული მქონდეს და ვიყო ჩემთვის.

მე მინდა, რომ პირველ რიგში ყველაფერი  
ღროზე მონქსრიგდეს, ხალხი დაილალა ამდენი

ტანჯვა-წამებით. ზამთარში შუქი ჩვენ არა გვა-  
ქვს...

ვიხდით, ვიხდით, როცა არ გვეყოფნის, ყოველთ-  
ვის დამატებით ვაგროვებთ. შეგვაქვს თანხა,  
და შუქიც მოდის, მაგრამ ვაი, იმ გამოშვებას.  
როგორც უნდათ, ისე გვანვალებენ. ძალიან  
ცუდადაა საქმე, განსაკუთრებით ზამთრის  
პერიოდში. წყალი ხომ, წყალზე ლაპარაკიც  
ზედმეტია... სინათლე რომ აღარ გვეყოფნის და  
უკვე ამონურულია ჩვენი ლიმიტი, წყალსაც  
აღარ უშვებენ.

### „ინიციატივას ვერ ვიჩენთ... უძღურები ვართ“

ინიციატივას ვერ ვიჩენთ, რადგან უძღურები  
ვართ. არ მიგვინვდება ხელი... ძალიან ბევრი  
პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი, მეტი რომ  
არ შეიძლება. სახელმწიფო ადრე თითქოს გვეხ-  
მარებოდა, ხან რა მოჰქონდათ, პროდუქტი,  
ტანსაცმელი თუ რალაც... ამჟამად ყველაფერი  
შენყვეტილია. მე, 83 წლის კაცს, აბა, რისი შექმ-  
ნის თავი მაქვს. აღარაფერი აღარ მაინტერე-  
სებს. მარტო შვილები და შვილიშვილები მყავ-  
დნენ კარგად, ჯანმრთელად, ამაზე ვფიქრობ,  
სხვა არაფერზე...

და კიდევ, გული მტკივა, არ მოველოდი ამ  
ხალხისაგან-ოსებისგან ამ ამბავს. და მეორე, ის  
გოგო, შემომონებელი სახელმწიფო დახმარების  
პროგრამიდან, მოვიდა, პირიდან ლუკმა გამო-  
მაცალა და დამტოვა ისე.

აი, ამან მომიკლა გული! უკანონობამ... ის არ  
მეყოფა, რომ ცოლი მომიკვდა? ცოლი მოგიკვდა  
და ფართი მოგემატაო. ის არ მეყოფა, რომ არა-  
ფერი მაქვს? მაცვივარი ხომ გაქვსო. მაცვივარში  
თუ რამე არ შეიტანე, ამ ოხერმა, რა უნდა მოგ-  
ცეს, რა უნდა გაჭამოს, რა უნდა გასვას... ტელე-  
ვიზორი გაქვსო. თურმე, ტელევიზორი, მაცი-  
ვარი მაჭმევს, მასმევს, მაცმევს, მახურავს.  
ეს, ეს რამ ათქმევინათ?...



# ბოგა



65 წლის როზა<sup>1</sup> ცხოვრობდა გალში, საიდანაც ომის პერიოდში, იძულებული გახდა ხუთი შვილით წამოსულიყო, ქმარი იქ დაეღუპა. როზა ამჟამად, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, წყნეთში, კომპაქტურ ცენტრში ცხოვრობს. დროდადრო იგი კონფლიქტის ზონაში, საკუთარ სახლში ჩადის, რომელიც ნაწილობრივ დამწვარია. როზას ისტორია მოგვითხრობს კონფლიქტის დროს გადაადგილების დეტალებს, აგრეთვე, ცხოვრებას ომის შემდეგ კოლექტიურ საცხოვრებელში.

ისტორია ჩაწერილია ქართულ ენაზე.

## „ის კაცი... ძალმა და ღორმა შემიჭამა“

ქმარი იქ მომიკლეს. ჩვენ, ოჯახი, გამოგვაცილა და თვითონ დარჩა... მეორე დილას მომიკლეს... მითხრა, შენ წადი, ბავშვებს მიხედე და მე დავრჩებიო, ყველა აქ არისო და მე „ყყელი“ ხომ არა ვარ, რომ გავიქცეო?! ახალგაზრდა, 52 წლის კაცი იყო. მეც არა ვარ იმდენი ხნის, მარა მას შემდეგ დავბერდი, ისეთი რამ გამოვცადეთ და ვნახეთ.

ომის დროს, იბრძოდა თუ არა, განურჩევლად სჯიდნენ ყველას... ყოველთვის მახსენდება ქმრის სიტყვები: აფხაზური ცეკვები მიყვარს, ჩვენ აფხაზებთან არ ვართ ცუდად და რატომ მომკლავენო? აქეიქნები, ისინი, აფხაზები რომ შემოვლენ, მაგნიტოფონს ჩავრთავ და აფხაზურ სიმღერებს ავამღერებო... არ დასცალდა მაგნიტოფონის ჩართვა... უცებ ყველაფერი თვალწინ დაუნვეს და იქვე დაცხრილეს... არავინ ჰკითხა, რაიმე ბრალი ჰქონდა, ომობდა თუ არა.

ჩემი ქმარი ძალმა და ღორმა შემიჭამა... დაუმარხავი, საფლავიც არ გვაქვს... მეზობლებს შეუგროვებიათ რაღაცა ნაწილები მხოლოდ...

ეს ყველაფერი ასე მომხდარა ... სადაც ცეხი

იყო, იმ სარდაფში ქართველი მეზობლები, ოთხი ბიჭი შეკრებილა, იქ მაგიდა იდგა და, ვინც მოდიოდა, უმასპინძლებოდნენ... უკვე დილის საათები ყოფილა... ჩემს ქმარს გამოუტანია არაყი, ღვინო... უეცრად სარდაფის ფანჯრებზე კონდახი მიურტყიათ, მინა ჩაუმტვრევიათ და დაუნახავთ, ოთხი ბიჭი იჯდა და ჭამდა... შესულან და ჩემი ქმრისთვის მოუკიდიათ ხელი... მსუქანი კაცი იყო, იფიქრეს, ძალა ექნებაო და უთხრეს, ვილაცის სახლიდან წამოგვადებინე რაღაცეები, მანქანა დაგვატვირთინეო... ჩემს ქმარს უთქვამს: მე ის კაცი არა ვარ, სხვის სახლში შევიდე, ჩემს სახლში რაც არის, ის წაიღეთ და სხვის სახლში მე ვერ შევალო. მაინც ძალით გაუთრევით და წაუყვანიათ იმ სახლში.

## „მინდორში ჩაცხრილეს“

სანამ ისინი იქ რაღაცას ეძებდნენ... ამ მომენტში... ეს გამოქცეულა. მაგრამ ეს სანყალი, შორს არ წასულა, ისევ სახლში დაბრუნებულა. ბედი რომ უნდა ყველაფერს, მოძებნეს, ისევ დააბრუნეს უკან და მინდორში ჩაცხრილეს, მოკლეს... სანამ მოკლავდნენ, თურმე სახლს ცეცხლი მოუკიდეს... როგორ მოგწონს, ახლა, ამას რომ ვწვავთო? მართლა კარგად


გაკეთებული სახლი მქონდა. სულ კარგიაო — უთქვამს ჩემს ქმარს... პანლური დაურტყიათ მისთვის ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის ბავშვებს, ოთხნი ყოფილან... მაინც იცოდა, რომ მოკლავდნენ... პანლური როგორიაო, უკითხავთ, ძალიან კარგიაო — უთქვამს კიდეც. ბოლოს იმდენი ძალა მოუკრებია, მაინც მომკლავენო და გადაუგდია ასაფეთქებელი, რომელიც ჯიბეში ჰქონია დამალული. თუ ვინმე მოვა, მაინც მომკლავენ და მეც მოვკლავო, გაუფიქრებია... მართლაც, გადაუგდია ასაფეთქებელი, რომელიც არ გაიხსნა. ამის შემდეგ იგი დაცხრილეს...

მერე მეზობელი მოსულა და დაუმარხავს. სულ ათ სანტიმეტრზე იქნებოდა მინა გათხრილი. სადაც დამარხეს, ღორმა ამოიღო და შემიჭამა კაცი. მხოლოდ მისი შარვალი და ქაშარი შემოგვრჩა, რასაც კუბო გავუკეთეთ და ის დავმარხეთ, ვითომ ადგილი მივუჩინეთ. მეტი,

საერთოდ, არაფერი არ მაქვს მინაში, არც თავი, არც ქალა... ჩემი სახლის ეზოში მოკლეს და, სადაც მოკლეს, იქ მეტირება, ხოლო სასაფლაოზე რომ მივდივარ, იქ არ მეტირება, იქ არაფერი არ მაქვს დამარხული და რა უნდა ვიტყო... ვიცი, რომ ნამდვილად იქ, გალში, საკუთარ სახლში დაკლეს, მომიკლეს და ვტირი.

ათი კაცი მოკლეს იმ დღეს ჩემს ქუჩაზე — ერთი ქალი და ცხრა მამაკაცი. იმ დღეს გზაში ვინც შეხვდათ, ყველა მოკლეს... არაფერი დაუშავებიათ და ისე, უბრალოდ გამოასალმეს ნუთისოფელს... ჩემი ქმრის მოსაკლავად, კაი, მიზეზი ჰქონდათ, მაგრამ სხვებმა რა დააშავეს? ერთი ქალი მხოლოდ იმისთვის გაიმეტეს, რომ მისი ძმა მოკლეს და ამის გამო იკივლა...

სახელმწიფოსგან არავითარ დახმარებას არ ვიღებ, რადგან ქმარი არ იბრძოდაო, მომიგეს. გენოციდის დროს დაღუპვა განა საპატიო არ



არის?... თითქმის სიცოცხლეს გამოგვასალმეს მთელი ოჯახი. ამის შემდეგ ჩემი შვილი დადის დაღონებული, ოთხი ბავშვის პატრონი...

### **„შიშით ვერ ამხელენ... მკვლელის ვინაობას“**

კიდევ ერთი ისტორია. ცხრა წლის წინათ იქ, გალში და მომიკლეს, სანყალი, სამი თვით იყო აქეთ, ზუგდიდის რაიონში გადმოსული. ქმარი იქ დარჩა, ვერაფრით გადმოვიდა და მერე ისევ თვითონ შევიდა. ამის მერე მოკლეს... ისეთი ქალი იყო, ყველა იცნობდა, აფხაზებმა შემომითვალეს, გალის უფროსმა, გაეროც მოვიდა და მთარგმნელი მოჰყვა და მკითხეს: თუ იცით რამე მკვლელზე, „*НАМЕК*“-ით გაგვაგებინეთ, რომ მოვძებნოთ... მაგრამ ვის ეტყვი? რომ უთხრა, მოგკლავენ... ჩვენ ვუთხარით: აფხაზმა მოკლა თუ ქართველმა, არ ვიცით-თქო. ასე გავისტუმრეთ, რადგან ვერაფერს ვერ ეტყვი. თუ, მაგალითად, ვინმეს ხელი დაადე, ეს არისო, ღამე გაგანადგურებენ. სხვას „*აკაჰ*“-ს მისცემენ... ამიტომ რომც იცოდნენ, შიშით ვერ ამხელენ მკვლელის ვინაობას...

### **„ისეთი ამბავი გადავიტანეთ... სიცოცხლე არ მინდოდა“**

იმ დილას, როდესაც გალს ვტოვებდით, მეუღლე შინ დარჩა, ჩვენ კი ღამით აქეთ გამოგვაცილა. მანქანა სახლში დავტოვეთ ბენზინის პრობლემის გამო... სხვისი მანქანით წამომიყვანეს. გზად ტანკები შემოგხვდა... ბავშვები მოგვყავდა, სამი თვის შვილიშვილი ხელით მომყავდა, შეხვეული, ტანკზე ავტომატებიანები ისხდნენ, ათნი მაინც იქნებოდნენ, სულ სავსე იყო... ვთხოვე, ბიჭებო, ბავშვიანად დავრჩი გზაში და რამენაირად წამიყვანეთ-მეთქი, მაგრამ არ იყო ჩემი ადგილი... ვერსად ვერ ვნახეთ ადგილი, ამიტომ ნივთები, რაც მოგვქონდა, ყველაფერი იქვე დავტოვეთ და

რალაც მანქანით წამოვედით...

### **„ბავშვი შიმშილით კვდებოდა“**

ერთი ბავშვი სხვის მანქანაში დავსვი, მეორე და მესამე — სხვისაში. სამი თვის ბავშვი მე წამოვიყვანე. ბავშვები შიმშილით კვდებოდნენ. მოვედით **ხიღამდე**- ადმინისტრაციულ საზღვრამდე. ტანკი დააყენეს... გადაკეტეს გზა... ძლივს გადმოვედით სხვადასხვა მანქანით. მერე... მანქანა დავტოვეთ და ფხვით გადმოვედით აქეთ, გალმა, ზუგდიდის მხარეს, სოფელ რუხში... ბავშვი შიმშილით კვდებოდა. ბავშვის საჭმელიც არ მქონდა, რადგან შიშისგან უკან დამრჩა... ზუგდიდში ვილაცის სახლს მივაღებქით, ჩაი რომ მოეცათ ბავშვისთვის... ჩემი გოგო და ბავშვის დედა- რძალი საზღვრის იქით დარჩნენ, მე კი პატარა მანქანაში ბავშვიანად მომათავსეს... იმ დროს ისეთი ამბავი გადავიტანეთ, სიცოცხლე აღარ მინდოდა.

წვალეებით და ტანჯვით გადმოვედით... ბავშვი ამ დროს ოჯახში მყავდა მიბარებული. არავის არ ვიცნობდი, მაგრამ დავტოვე, რომ შიმშილისგან არ მომკვდარიყო და სითბოში ყოფილიყო... ძლივს მომიტანეს ბავშვის საჭმელი და მივუტანე... ამის მერე ჩემი რძალიც და ჩემი შვილებიც, ყველანი იქ მოვიდნენ. დროებით იმ სახლში გავჩერდი...

ჩემს ქმარსაც ველოდებოდით, მაგრამ ის არ მოვიდა... მერე დაგენევიტო, დაგვპირდა, მაგრამ არ მოვიდა...

ჩემი სიძეებიც აქეთ გამოიქცნენ. აფხაზებმა მოასწრეს და ტყვიაც ესროლეს, მაგრამ ცოცხლები გადმოვიდნენ. ძლივს.

### **„ამდენი ხანი ერთ ოთახში ვართ“**

კოლექტიურ ცენტრში ოთახი გვაქვს. ვითომ რალაცა გავაკეთეთ და ამ ერთ ოთახში ვართ ამდენი ხანი. ოჯახში შვიდნი ვართ... თერთმეტი ლარი რას გვეყოფა? ნევროზი გაუჩნდა

რძალს და საავადმყოფოში დადის. ბავშვებს ვფიცავარ, წამალში თვეში ორას-სამას ლარს მაინც ხარჯავს, ნერვიულობს ბავშვებზე. ასეთ მდგომარეობაში ვართ... ოთხ შვილს პატრონობა, სწავლა, ჩაცმა უნდა... სკოლაში სიარული უნდა...

დაამთავრა ერთმა ბავშვმა სკოლა, შინ არის და უმალღესში არ სწავლობს... მეორე ძლივს შევიყვანეთ უნივერსიტეტში. იმასაც, როგორ ვუხდით, არ ვიცი, ასეთ დღეში ვართ... ამდენი ტირილით და ნერვიულობით ნერვები მაქვს მოშლილი... ააა, ხომ ხედავ, რანაირად გავხდი, სასწაულად გამხდარი ვარ, მაგრამ რა ვქნა, ჯანდაბას ჩემი თავი. ჩემი ბიჭი წვალობს, ერთ დღეს ერთ სახლში მუშაობს, მეორე დღეს — მეორე სახლში, რალაცა მოაქვს ბავშვებისთვის...

ერთხელ ერთი ბავშვი გაჯიუტდა და გვიტხრა: რატომ დაგვბადეთ ამდენი, თუ კარგად არ გაგვზრდიდითო. ეს ბავშვი ოთხი წლის იყო, რომ გადმოვიყვანეთ და რა იცის, როგორ გვქონდა ჩვენ საქმე იქ - აფხაზეთში. ოთხს კი არა, ათს გაგვზრდიდით.

### **„მივედი და, შეძლებისდაგვარად, მომცა გაერომ გადასახური მასალა“**

ერთხელ გაერომ დამიძახა, შემომთავაზა, სახლს გადაგიხურავთო. ჩემი სახლი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ გადახურვა შეიძლებოდა... ვინც აფხაზეთში გვიცნობდა, მათი საშუალებით წერილები გამოგვიგზავნეს აქეთ გადმოსულებს.

შევედით გალში, ექვსი წლის წინათ... 2000-2001 წელი იქნებოდა. მე გალში ივნისში გადავედი. მივედი და, შეძლებისდაგვარად, მომცა გაერომ გადასახური მასალა. ჩემი სახლი დიდი იყო და ვერაფრით ვერ გადავხურე მათი მოცემული მასალით. 90 ცალი შიფერი მომცეს, ჩემს სახლს 150 ცალი უნდოდა... საკმა-

რისი არ იყო, ვუთხარი, არ გვეყო, ერთი მხარე დამრჩა და კიდევ გვინდა-მეთქი... შენ კლუბი გქონიაო, მითხრეს. მეტი ვეღარ მომცეს.

### **„გადახურულია დამწვარი სახლი და დგას“**

ჩემი გოგო მოსკოვში იყო, საწყლებმა ფული იქ შეაგროვეს და იქიდან გამოაგზავნეს... იმ ფულის გამო მომკლავენ-მეთქი, მეშინოდა, მაგრამ სანდო კაცმა მომიტანა. უცებ ვიყიდე შიფერი, არ მომკლან-მეთქი და გადავხურე... მეზობლები მეხმარებოდნენ, ჩემს ქმარს ყველასთვის პატივი ჰქონდა ნაცემი, როგორ არ მოგეხმარებითო, და ბავშვებს გეფიცები, ძალიან დაგვეხმარნენ – ასე გადავხურეთ ეს სახლი. მხოლოდ გადახურულია ეს დამწვარი სახლი და დგას, მეზობელი აქცევს ყურადღებას... თან იქ არემარეთი სარგებლობს.

ჩემი შვილი და სიძე დადიან გალში, ქალაქში. ჩემს გოგოს დედამთილი და მაზლი ჰყავს იქ. ძალიან ცუდად არიან, ორივე კიბოიანები ... საწყალი, იქ იყო და ახლა რეგისტრაცია რომ მიდის, შევატყობინეთ და დღეს ჩამოდის, უკვე გზაშია, მატარებელში...

ჩემი გოგოს ნათესავები ქალაქის ცენტრში ცხოვრობენ და არავინ არ ანუხებთ, არაფერს არ ერჩიან, არავინ არაფერს ეუბნება... ოღონდ თუ რაიმე გაქვს — ჭამ, თუ არადა, უყურებ ცას. რას იზამ, რას გაააკეთებ?

### **„ორმოცი წლის ნაშრომი სახლი დამწვარი იყო“**

პირველად რომ დავბრუნდი გალში, ვიცოდი, რომ ორმოცი წლის ნაშრომი სახლი დამწვარი იყო... მაგრამ იმ ადგილს მივჩერებოდი, სადაც ჩემი ქმარი დასაფლავეს... იმას ვუყურებდი და მერე ვიკივლე, ვიკივლე და ვტიროდი...

მეგონა, დასაფლავებული გვყავდა, ამოვიღეთ კუბო, გავხსენით და დავინახეთ... ნახერხით



სავსე იყო. მხოლოდ ქალღმერთებში გახვეული ძვლები, დაფლეთილი ნაწილები და გახვეული შარვალი იდო შიგ... ეს რომ დავინახე, არც სახლი მინდოდა და არც არაფერი...

ყველაფერს რომ ვიხსენებ, ასე იმიტომ გავხდი, სულ მთლად დავეცი, ჯანმრთელობა გამიუარესდა. ამაღამ ყველა დაიძინებს და მხოლოდ მე არ მძინავს, ყოველთვის იმას ვფიქრობ, რა მაქვს იქ, გალში, ოდესმე მელირსება თუ არა იმ სახლში მისვლა და იქ დამარხვა?...

### „გაქცევასაც ვერ მოვასწრებდი“

სახლი რომ გადავხურე, ორი თვით ვიყავი გალში... ტანისამოსი არ გამიხდია, ისე ვინეკი სხვის სახლში. ძალის ყეფის დროს ჩუმიად ვდგებოდი და ფანჯარასთან მივდიოდი, მეზობლები რომ არ გამეღვიძებინა, რადგან სხვის სახლში ვიყავი... ვფიქრობდი, ვინმე რომ შემოსულიყო, რა მოხდებოდა?... ვინმე რომც დამენახა, გაქცევასაც ვერ მოვასწრებდი... არავინ არ მოგცემს გაქცევის საშუალებას, თუ მოინდომეს, იქვე მოგკლავენ და „ვსიო“... რამდენი მოუკლავთ ასე, ოჯახში, ჩემი ასაკის ხალხი, უბრალოდ ლოგინში წოლის დროს... არავისთვის არაფერი რომ არ დაუშავებიათ...

ბევრი ცხოვრობს გალში... მეუბნებიან, დიმიტროვის კილომეტრიან ქუჩას მხოლოდ ხუთი ოჯახი აკლიაო, და მოდი, რატომ არ მოდიხარო? რისთვის მივიდე, მიჭირს იქ ჩასვლა, ქმარი მომიკლეს, ღორმა შემეჭამა. გულიც არ მიმინევს იქით, რომ მივიდე... იქ მარტო გავგიჟდები, ალბათ. სახლში რომ არ მოეკლათ, გავმაგრდებოდი და ჩავიდოდი... დღისით სახლში ვიქნებოდი, ღამე მეზობლებთან დავნებოდი...

რისთვის ჩავიდე, მე იქ ვერაფერს ვიშოვი. აქამდე, რაც მიშოვია, უკვე დამწვარია. ახლა ჩემს შვილებს ვუყურებ აქ, ან საჭმელს გავუმზადებ, ან სახლში რაღაცაში მივხე-

მარები, და ამის ფიქრში ვარ. ღმერთმა ქნას, გამიშვან აფხაზეთში, მეტი არაფერი მინდა.

### „ნეტავ ჩემი სახლი მაღირსოს ღმერთმა“

თუ კოლექტიური ცენტრიდან პრივატიზაციის შედეგად გამოგვყარეს, რაღაცა კაპიკებს მოგვცემენ. ამ კაპიკით რას ვიყიდით! იქ, გალში რომ მაქვს სახლი, ის მირჩენია ყველაფერს. ნეტავ, ჩემი სახლი მაღირსოს ღმერთმა! სახლს შვილები მოაწყობენ, შეკეთებენ. ერთი წელი თუ არ ეყოფა, ორ-სამ წელიწადში და... რამენაირად... იმ კაპიკებით იქმინც ვიქნებით... მაგრამ დაცული თუ ვიქნებით, აი ეს მაინტერესებს.

“Очистка“-ს არქმევენ სახელად და პოლიციელები შედიან თურმე სახლში, მოსახლეებს რაც აქვთ გოჭი, ქათამი თუ ინდაური, ყველაფერს ართმევენ... გალში, არც ისე, მაგრამ სოფლებში მაინც ხდება ცუდი... მაინც მიდიან... ვისაც უნდათ კლავენ...

ღამე ნიღბიანები დადიან... ალბათ, ადგილობრივები არიან, აფხაზს ვერ დაადებ ხელს, ღამე ისინი არ დადიან. ღამე ისევე ადგილობრივი დადის, მაგრამ ისე არიან გაბოროტებულები, რომ თავისიანებსაც კლავენ... გაძალღებულები, გამწარებულები არიან ცხოვრებით. ცხოვრებით უკმაყოფილოები რას სჩადიან, არ იციან. სამი წლის წინათ, ჩემი რძლის დედას შეუვარდნენ ოჯახში და კონდახით მოკლეს...

### „ვერ წავალ... თუ იურისდიქცია არ აღდგება“

ახალგაზრდებს კაპიკი შემოსავალი არა აქვთ... ასეთი ცხოვრებაა. ახლა რომ გალში გამიშვან, ვერ წავალ... თუ იურისდიქცია არ აღდგება... ქალაქში ბევრია დაბრუნებული, იძახიან მხოლოდ 3 პროცენტი აკლია გალსო...



როცა *სატირალში*<sup>2</sup> ჩავდივარ ან აქეთ ვნახავ ნათესავეებს, ისინი მეუბნებიან, ყველა აქ არის და შენც მოდიო! მაგრამ ჩემი შვილებისა და შვილიშვილების გარეშე მე იქ რა ვქნა... რა დამრჩა დამწვარ სახლში? ქვის მეტს ვერაფერს დავინახავ. იქ რას ვუყურო? აქ შვილებს მაინც ვუყურებ, სანამ ცოცხალი ვარ, მაინც ბევრი დრო არ მექნება დარჩენილი... შვილები და შვილიშვილების გარეშე ვერ ვივარგებ.

ჩემი შვილი ამბობს, მამა მომიკლეს, ღორმა შემეჩამა, აფხაზებს როგორ მოვეფეროო, ახლა იქ ვინც არის, გალში დარჩენილები ან დაბრუნებულები კი მათ ეფერებიან, იქაური ქუდი ახურავთ, მაგრამ მე ამ ქუდს ვერ დავიხურავო ... ვისაც მოკლული არ ჰყავს სახლში, ის ეგუება იქაურ ცხოვრებას.

ჩემი სიძეც ამბობს, იქ ვერ წავალო, მაგრამ მისი ძმა ისე კარგად ცხოვრობს იქ... აფთიაქი გახსნა... ცხოვრობს, სახლიც იყიდა, ცალკე დასახლდა და ყველაფერი აქვს... არავინ არ ერჩის. იცინა, რომ არ ომობდა... აფხაზებმაც შეისწავლეს მისი ისტორია და ძალიან კარგად ეპყრობიან.

როგორც ძმები, მეზობლებთან ისე იყვნენ და ახლაც ასეთი ურთიერთობა აქვთ მეზობლებთან. ერთხელ მივედი გალში მძახალის სანახავად, ცუდად იყო და ვინახულე... დავინახე მათთან სახლში აფხაზები და ქართველები მაგიდასთან ერთად ისხდნენ, ჭამდნენ და სვამდნენ.. კარგად ეპყრობოდნენ ერთმანეთს.

ერთი გოგო გათხოვდა და მოსკოვში დარჩა, მეორე გოგო ამ კორპუსში ზევით ცხოვრობს, მესამე გოგო სულ სხვის ბინაში, დაქირავებულში ცხოვრობს, ბინა საერთოდ არა აქვს. გვიან გადმოვიდა, სანყალი, და ბინა არ შეხვდა კოლექტიურში...

ჩემი ბიჭი აქ არის, ოთხი ბავშვი ჰყავს მისა-

ხედი... მე ვეუბნები, გავყიდოთ ის სახლი, თუ არ გინდათ გალში წასვლა-მეთქი. ისე, ვისაც იქაური პასპორტი<sup>3</sup> აქვს, ყველა დადის ახლა გალში, არაფერს არ უშლიან ქალაქში... საერთოდ, ფულსაც არ ახდევინებენ გადასვლაზე... გადასვლის უფლებას აძლევენ, ვინც გალში ჩანერილია...

### „დღეს გაგვყრიან თუ ხვალ, არ ვიცით“

აქ, კოლექტიურ ცენტრში, სიტუაცია რთულია, იმ დღეს მოვიდნენ და აღგვწერეს, აქედან რომ გავასახლდნენ. საპროტესტო აქციები გავმართეთ... რა იქნება, არავინ იცის... დღეს გაგვყრიან თუ ხვალ, არ ვიცით. აქ არ გვაქვს უფლება, რომ გავალამაზოთ აქაურობა და რალაცა გავაკეთოთ. ყოველ მეორე, მესამე თვეში გასახლების მოლოდინში ვართ. „შპალერი“ რომ გავაკეთოთ, ამაზეც კი ზედმეტია თანხების დახარჯვა. მეშინია, მუდმივად იმაზე ვფიქრობ, საჭმელი არ დაგვაკლდეს. დღეს რა ვჭამოთ, ხვალ რა ვჭამოთ?...

### „სივინროვეში ვართ“

სივინროვეში ვართ, ვერ ვეტყვი ამ ოთახში. ოთხი ბავშვი, ცოლ-ქმარი. ცოლ-ქმარს ცალკე სჭირდება ოთახი... ბიჭები დიდები არიან და ცალკე უნდა იყვნენ... გოგო ზევით პატარა „*кухня*“ ოთახში დარჩა, ერთი „*пробать*“ დადგა და იქ არის, ჩემი უმცროსი... პატარა ბიჭი რომ მომყავდა, ის ახლა მეშვიდე კლასშია, ისიც ზემოთ არის. ქვევით რალაცა სასწაული ოთახი მაქვს. საშინელი სინესტეა, მაგრამ ორი უფროსი ბიჭი ქვევით, ჩემთან წევს... სინესტეა და ფეხები მტკივა... *ჩოხით*<sup>4</sup> დავდივარ, ისეთ მდგომარებაში ვარ, მაგრამ მაინც მირჩევნია... რალაც რომ მტკივა, შვილებს არ ვაგრძნობინო, რომ არ შევანუხო... აი, ასეთია ჩვენი ცხოვრება.

2 ტრადიცია დასავლეთ საქართველოში მიცვალებული ერთი კვირა ასვენია ოჯახში და მეშვიდე დღეს ასაფლავებენ, მთლიანად ამ რიტუალს დატვირთვას ეძახიან. ამ დროს ტრადიციულად გარდაცვლილის ახლობლები, ნათესავეები მიდიან მის ოჯახში მწუხარების გასაიზრებლად და პატივსაცემად.

3 აფხაზეთის შიდა პასპორტი  
4 ცხვრის ბენვისგან დამზადებული წინდა

ძირითადად, 11- ლარიან დახმარებაზე ვართ... სამუშაო ადგილები არსად არის. ბავშვმა სკოლა დაამთავრა და მეუბნება, ჩემს შესატან სწავლის ფულს მე ვიშოვი, ოღონდ სამუშაო მომეცითო. არ მეშინია, ცუდს რომ არაფერს გააკეთებენ, ისეთი ბავშვები მყავს. უბრალოდ, მეცოდება ბავშვი, მუშაობა უნდა. მამას ეუბნება: მამა, მოგეხმარები, ან კეტს გავთლი ან ლურსმანს გაგიკეთებო... სანყალი ჩემი შვილი კარ-ფანჯრებს აკეთებს, სხვის ცეხში მუშაობს და ბავშვიც იქ ეხმარება... გამომუშავების 20 პროცენტს აძლევენ. თუ დაკვეთა იქნება, თუ არადა, ერთი-ორი თვე არის ისე...

### **„ცარიელი მიწა მირჩევნია აქაურ „ღვარეცებს...“**

აქ რა მაქვს? იქ აფხაზეთში ვცხოვრობდი, თუ ვცხოვრობდი... ახლა რომ გამიშვან, სიამოვნებით წავალ... ის ჩემი დამწვარი სახლი გადახურულია, გინდა სულ წაიღონ ის სახურავი, არაფერს არ ვითხოვ, ოღონდ გამიშვან. მიწა ჩემი სახლი ვნახო და იქ ვიყო... ჩემს შვილსაც ეს უნდა, სანყალი, ყოველთვის ამას ამბობს: იქ ხეები რომ დგას, მარტო ის მეყოფაო საცხოვრებლად. ახლა ჩვენ რომ გაგვიშვან ჩვენს სახლებში, ცარიელი მიწა მირჩევნია აქაურ „ღვარეცებს“.. იქ რომ მივიდე და ის დამწვარი აღვადგინო, იმის საშუალება არ მაქვს, მაგრამ ცარიელი რომ დავრჩე, მაინც ის მირჩევნია... ის ჩემი საკუთარია... ხოლო აქედან როდის გაგვყრიან, არ ვიცი...

ბავშვებს აქ ურჩევნიათ, იმიტომ რომ თხუთმეტი წელი აქ გაიზარდნენ. ჩემი ერთი შვილიშვილი, ახლა დაამთავრა სკოლა, იძახის, ბაბუას სახლს გალში არ დავკარგავო. მე არ დავკარგავ და სხვები, სადაც უნდათ, იქ წავიდნენო. იმედი აქვს, რომ როდისმე დამთავრდება ეს სიტუაცია და უკან გაგვიშვებენ... აქ უყვართ ბავშვებს, იმიტომ რომ არ იციან იქაური სიყ-

ვარული... ბავშვები ჩვიდმეტი, თვრამეტი წლისები არიან და რა იციან იქაური სიყვარული?

ოთხი წლის იყო შვილიშვილი, რომ აქეთ გამოვიყვანეთ და რა უნდა იცოდეს? მე ერთხელ წავიყვანე გალში, სანყალი კაცი, ჩემი ქმარი ვითომ რომ დავიტირეთ, მაშინ ნახა სახლი და გაგიჟდა ბავშვი: რამხელა სახლი მქონიაო.



# ელისო


27 წლის ელისო იძულებით გადაადგილებული პირია აფხაზეთიდან, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეიდან. 13 წლის იყო, როდესაც დევნილი გახდა, ამჟამად ზუგდიდში, კოლექტიურ ცენტრში, ცხოვრობს. კონფლიქტმა შეცვალა მისი ოჯახის ცხოვრება. ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, დედა რუსეთში წავიდა სამუშაოდ, ძმამ კი – ერაყში გადანყვიტა წასვლა. ელისო მუსიკალურ წამყვანად მუშაობს ადგილობრივ რადიოში და თავს წარმატებულ ადამიანად მიიჩნევს. ელისო საუბრობს იმ პროცესზე, რომელიც მან ინტეგრაციისაკენ გაიარა.

ისტორია ჩაწერილია ქართულ ენაზე.

## “მიწვედა სხვადასხვა სკოლებში სწავლა...”

3 წლის ვიყავი მაშინ, მე-7 კლასში. ყველაფერი კარგად მახსოვს, ზუსტად მახსოვს ის ღამეც, როდესაც წამოვედი. მანამდე იყო რაღაც კონფლიქტები, მაშინ ინტერვალებით გამოვდიოდი ხოლმე — ხან თბილისში ვიყავი, ხან წყალტუბოში. უცებ იტყოდნენ, რომ ჩანყნარდა, მშვიდობაა და უკან ვბრუნდებოდითო. მიწვედა სხვადასხვა სკოლებში სწავლა, რაც ძალიან ცუდი იყო. როგორია, სულ რაღაც ერთ წელიწადში 5-6 სკოლა გამოიცვალა.

ცუდი იყო ახალ გარემოსთან შეგუება. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ შორდებოდი შენს ამხანაგებს, ვისთანაც რამდენიმე წელი გაგიტარებია. ორივე ცუდი იყო – ის, რომ შორდებოდი და ის, რომ ახალ გარემოსთან გინევედა შეგუება. მე არ მაშინებს ახალ გარემოსთან შეგუება, მაგრამ ეს არ იყო სტაბილური. მიწვედა სამ-ოთხ თვეში გარემოს გამოცვლა და ჩემი ასაკის ბავშვისთვის ეს მეტისმეტი იყო. გარემოს გამოცვლა პირობებიდან გამომდინარე გვინევედა, ამას მშობლები წყვეტდნენ. ზოგჯერ თბილისშიც მიხდებოდა წასვლა.



გასაჩერებელ ადგილს შესაძლებლობების მიხედვით ვირჩევდით. მთავარი იყო, რა არის შესაძლებელი და არა ის, თუ სად - თბილისში, ქუთაისში თუ წყალტუბოში, გვინდა ცხოვრება. სკოლის პერიოდში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მეგობრებთან ურთიერთობა იყო. ამიტომ, მე ვერ ვიტყვი რომ გარემოსთან შეგუების დროს დისკომფორტს განვიცდიდი, მაგრამ მაინც რთული იყო.

საერთოდ, ძალიან მიზიდავს ურთიერთობები, ახალი ადამიანების გაცნობა, მაგრამ ბავშვობაში უფრო გულჩათხრობილი ვიყავი. ალბათ ჩემი ხასიათიდან გამომდინარე რაღაცეები ცოტა არ იყოს ნეგატიურად დამამახსოვრდა.

## “ვცხოვრობთ კომპაქტური ჩასახლებაში”


ახლა ვცხოვრობთ ზუგდიდში. გადმოსვლის შემდეგ, სოხუმის დაცემის მერე აქ ვცხოვრობთ, კომპაქტურ დასახლებაში. ჩვენ დასახლებაში ბევრი ოჯახი არ ცხოვრობს და ალბათ ესეცაა მიზეზი, რომ არავინ ყურადღებას არ გვაქცევს. სხვა დევნილი ოჯახები თუ

არიან „განებივრებული“ იმით, რომ მათ ეხმარებიან, რაღაცას უკეთებენ, ურემონტებენ, ჩვენგან ეს შორს არის. მიუხედავად იმისა, რომ მე საკმაოდ აქტიური ვარ, მივმართე სხვადასხვა ორგანიზაციას, რამდენჯერმე განცხადებაც დავწერე, მაგრამ ეს ყველაფერი უპასუხოდ დარჩა. მამაჩემი ამასთან დაკავშირებით მეუბნება — შენ ან არ სწერ ან არ მიგაქვს და გვატყუებო.

ვითხოვ, უბრალოდ შეგვიკეთონ სახლი და გაგვიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები. ფართი პატარაა და სასურველია, შეძლებისდაგვარად, რის გაკეთებასაც შეძლებენ, გაგვიკეთონ, მაგრამ გამოხმაურება ჯერ არსაიდან არ ყოფილა.

## “დევნილი ბავშვები სკოლაში...უკანა მერხებზე ისხდნენ”

გადმოსვლის შემდეგ ზუგდიდის მე-10 სკოლაში შემიყვანეს. აქაც სურვილი ნაკლებ როლს თამაშობდა. გადანყვეტილება სპონტანურად მივიღეთ, რადგან სკოლა ტერიტორიულად ახლოს იყო, ამ სკოლაში შევედი. ძალიან კარგი გარემო დამხვდა, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ვლაპარაკობ, ყველაფერი კარგად რომ მიხვდებოდა, ამას შევეჩვიე. როდესაც მეგობრები განსხვავებულ ისტორიებს მიყვებოდნენ, მიკვირდა. საერთოდ, ადამიანი ასეთია, რაც თავად არ განუცდია, უცხოდ ეჩვენება. ბიძაჩემთან მომიწია ჩასვლა, სამტრედიაში, იქ გოგონებს შევხვდი, რომლებიც სანატორიუმში ცხოვ-



რობდნენ. ერთ დღეს შევიკრიბეთ ფინჯან ყავაზე და ვიხსენებთ, ვინ როგორ გადმოვიდა, როგორ გავიცანი, შევეწყვეთ და შევეგუეთ აქაურ გარემოს. მე ზუგდიდი ძალიან კარგად დავახასიათე. სხვათაშორის გაუკვირდათ, რატომღაც ეგონათ, რომ ძნელად შესაგუებელი ქალაქია. ამ დროს პირიქით აღმოჩნდა, სამტრედიისში ამ თვალსაზრისით უფრო ცუდი სიტუაცია ყოფილა, დევნილი ბავშვები სკოლაში სულ უკანა მერხებზე იხდნენ. ახლა შეიძლება ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ბავშვები ძალიან მძაფრად აღიქვამენ მსგავს სიტუაციებს. ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ ყველაფერში ბოლო ადგილზე ვიყავითო.

ადამიანი, შეიძლება, თვითონ ქმნის გარემოს. მაგრამ მათ, ყველას, ერთი აზრი ჰქონდათ: — ამხანაგები ყველაფერში დაგვცინოდნენ, რადგან აფხაზეთიდან დევნილები ვიყავითო. თანატოლები ხშირად ეუბნებოდნენ, რომ თქვენ სახლი არ გაქვთ, კარი არ გაქვთო. ბევრმა ამის გამო სკოლაში სიარულს თავი დაანება.

როცა ვამბობ, რომ გამიადვილდა დევნილობის პერიოდი, ასე მგონია, ეს კარგიც არის და ცუდიც. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მე თვითკმაყოფილებას გამოვხატავ. მე კი ნამდვილად შევეგუე, შევეწყვე და კარგად ვგრძნობ თავს. მე ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი აქ გავატარე. 13 წლიდან იწყება ცხოვრება. თუმცა, შეიძლება სხვისთვის არ არის სასიამოვნო მოსასმენი ის, რომ თავს კარგად ვგრძნობ აფხაზეთის გარეშე.

მე თვითონ ძალიან თვითკრიტიკულად ვუდგები ჩემს თავს. სხვა კუთხიდან ვუყურებ ამ ამბავს. მერე მეგობრის ჩანანერი მოვისმინე, უფრო იმან დამაფიქრა, ის ამბობს, რომ დღემდე უკმაყოფილების გრძნობა აქვს და დღემდე განიცდის იმას, რომ მშობლები

აქ არიან, თვითონაც ვერ მიდის აფხაზეთში. უკმაყოფილების გრძნობა მაძლევსო ბრძოლის უნარს.

ცხოვრებას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, ამის თქმა მინდოდა. . .

### **“გადმოსვლის დროს სურათები წამოვიღე...”**

აფხაზეთში ცხოვრების პერიოდიდან ყველაფერი მახსოვს. განსაკუთრებით, ჩემი სკოლის ამხანაგები, ბალის ამხანაგებიც. ერთხელ თბილისში ვიყავი, მეგობარმა დაბადების დღეზე დამპატიჟა, ჩემს წინ დაჯდა ერთი ბიჭი, ვუყურებ ამ ბიჭს და ვფიქრობ, საიდან ვიცნობ და გამახსენდა რომ ჩემი ბალის ამხანაგი იყო. გადმოსვლის დროს სურათები წამოვიღე და ამან გამიადვილა ადამიანების გამოცნობა. ვკითხე, დათო ხომ არ გქვია-მეთქი, სახელები და გვარები ყველასი მახსოვს, სურათზე შემოიძლია ყველა ჩამოვთვალო. დიახ, დათო მქვიაო, თვითონ ვერ მიცნო, მე ვუთხარი, ვინც ვიყავი და მერე გავახსენდი. მოკლედ გადავვხვიეთ ერთმანეთს და სულ დავგავინწყდა, რომ დაბადების დღეზე ვიყავით. რა მოგონებები უნდა გქონოდა ბაღში, მაგრამ მაინც ბევრი რაღაც გავიხსენეთ, თუნდაც როგორ ვცეკვავდით და ვმღეროდით.

რა თქმა უნდა, ყოფილა ისეთი მომენტებიც, როდესაც მიფიქრია, რომ კარგი იქნებოდა, არ ვყოფილიყავი დევნილი. სხვანაირად წავიდოდა ჩვენი ცხოვრება და, ალბათ, უკეთესობისკენ. არ მოგვიწევდა ყველაფრის დაწყება თავიდან, ნულიდან. დღემდე ვცდილობთ, რომ ცხოვრება ავანყოთ. ადვილად არაფერი მიიღწევა თურმე

### **“საყვარელ საქმეს ვაკეთებ”**

დღეს საყვარელ საქმეს ვაკეთებ, ვმუშაობ რადიო „ათინათში“<sup>1</sup>, ვარ მუსიკალური ნამყ-

1 რადიოს დაფარვის არეალშია სამეგრელო, აჭარა, იმერეთი, გურია და აფხაზეთი (გალის რეგიონი).

ვანი და ძალიან მსიამოვნებს, რომ ამდენი ადამიანი მისმენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქს არ ვეკუთვნი, ჩემი სახელი და გვარი მაინც დაამახსოვრდება ხალხს.

ხშირად, როცა მწერენ აფხაზეთიდან, სულ სხვა სიტუაციას იგონებ. მე ყოველთვის ვამბობ, რომ აფხაზეთიდან ვარ, ვგრძნობ, რომ აფხაზ მსმენელზე ეს ძალიან დადებითად მოქმედებს, ისინი ყოველთვის თავს მახსენებენ.

გუშინ სუფრაზე ვიყავი, იქ იყო სტუმარი აფხაზეთიდან. ჩემი ინტერვიუ ჰქონია ნაკითხული, რომელიც გაზეთში დაიბეჭდა და სურათით მიცნო. მითხრა, თქვენით ვამაყობ და ყოველთვის გისმენთო. ისე მესიამოვნა, ლამის ტაში შემოვკარი.

ერთხელ გავოცდი, გუდაუთიდან დამირეკეს, სახელი და გვარიც კი მახსოვს: ხასიკ ჩაჩბა. აშკარად ეტყობოდა აქცენტზე, რომ აფხაზი იყო. რუსულად ლაპარაკობდა, მე თქვენს [ქართველები] დღემდე მიყვარხართო, თქვენს რადიოს ყოველთვის ვუსმენო. გისურვებთ, რომ მალე დაბრუნდეთო. მე რომ ვუთხარი აფხაზეთიდან ვარ-მეთქი. გისურვებ, რომ შენს სახლს დაუბრუნდეთ. აღრფთოვანებული ვიყავი და ყველას ამას ვუყვებოდი- აფხაზმა დამირეკა-მეთქი.

### “დიდი სიამოვნებით დავბრუნდები”

სადაც ვცხოვრობდი, მე იქ არავინ მყავს დარჩენილი, თუმცა გალის რაიონში ცხოვრობს ბაბუაჩემი, ბებიაჩემი, ბიძაჩემი, მაგრამ ერთხელაც ვერ გავბედე წასვლა. ჩემი და, ძმა, დედაჩემი და მამაჩემი - ყველა იყო ჩასული, მე უფრო მშობარა აღმოვჩნდი. ისე, ძალიან მაინტერესებს იქაურობა.

შესაძლებლობა თუ იქნება, დიდი სიამოვნებით დავბრუნდები. მე ვფიქრობ, რომ გავანანოვებ დროს, აქაც ვიქნები და იქაც.

ასე მგონია, რომ ამას შევძლებ. ისე დიდად არ მჯერა დაბრუნების, ალბათ ისევ ომით მოხდება თუ მოხდა. რაც ომით დაეკარგეთ, ის ომით უნდა დავიბრუნოთ. მშვიდობით როგორ უნდა დავიბრუნოთ? რა ვიცი, ვერ წარმომიდგენია. დავუშვათ, დავბრუნდით. წინასწარ ვიცი, იქ რა სიტუაცია დამხვდება: ქაოსი და არეულობა. ისევ ნულიდან უნდა დავიწყოთ ცხოვრება. ვერ წარმომიდგენია, პირველ წლებში როგორ უნდა ვიცხოვრო. ალბათ დრო დაგვჭირდება, რომ ნიადაგი მოვამზადოთ და მერე დავბრუნდეთ.

### “ღვენილობის კომპლექსი”

ჩემს თანატოლებს და მეგობრებს ნამდვილად აქვთ ღვენილობის კომპლექსი. პრობლემა ის არის, რომ სახლი არ გვაქვს და გვრცხვენია სტუმრის მიყვანა იმ პირობებში, სადაც ვცხოვრობთ. მაგრამ მე ამ დროს მახსენდება რევაზ ინანიშვილის არაჩვეულებრივი მოთხრობა: გოგო და ბიჭი არიან შეყვარებულები, გოგო ცხოვრობს ხელმოკლედ, ხოლო ბიჭი არის შეძლებული ოჯახიდან. ბიჭს უნდა, რომ გოგამ სახლში დაპატიჟოს, მაგრამ გოგო ვერ ახერხებს, რადგანაც სახლში უკიდურესად გაჭირვებული სიტუაციაა. ბიჭი ეკითხება, როდის უნდა გავიცნო შენი მშობლებიო. გოგო კი ყოველთვის თავს იკავებს. ბიჭმა რომ გაიგო მიზეზი, სწორედ ამიტომ მიატოვა: ასეთ რაღაცეებზე თუ ფიქრობდი, არ მეგონაო, თურმე სულ სხვა ადამიანთან მქონია საქმეო.

ყოველთვის მსგავსი რაღაცეებით ვიმშვიდებ თავს და, ასე ვთქვათ, ყოველთვის ზემოდან ვუყურებ ასეთ სიტუაციებს. ადამიანი, რომელიც მეყვარება, ის გამიგებს და, შესაბამისად, ღვენილობის კომპლექსიც არ მექნება. ისეთ ადამიანს, რომელთანაც კომპლექსი მექნება, მე მგონი, ვერ შევიყვარებ. ჯერჯერობით ასეთი სიტუაცია არ მქონია. სხვათაშორის, მეგობრებსაც თამამად ვეპატიუები სახლში.



ალბათ მეგობრები მყავს ასეთი და ამიტომ.

მე ვფიქრობ, რომ ყველაფერმა ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემი აზროვნების ჩამოყალიბებაში. პირველ რიგში, იმან, რომ ამჟამად დასაქმებული ვარ, ამის გარეშე ალბათ სხვანაირი ვიქნებოდი, მაგრამ როგორი, ამაზე არ მიფიქრია. თავისთავად, წარმატება დიდი პლუსია. ყურადღებას მაქცევინ და როცა ყურადღებას გაქცევინ, არ გიჩნდება რალაც კომპლექსები, განსაკუთრებით უარყოფითი.

უფროსების დამოკიდებულება განსხვავდება. მამაჩემის მაგალითი ავიღოთ. გადმოსვლის შემდეგ ამბობდნენ, ერთ კვირაში იქნება დაბრუნებაო, მერე ერთ თვეშიო, ორ თვეშიო. აი, 14 წელი გავიდა და დღესაც რომ ჰკითხო, გეტყვის, რომ ხვალ დაბრუნდებითო. საათში ერთხელ საინფორმაციო გამოშვებებს უსმენს, ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა მდგომარეობიდან. პირველი დღიდან როგორი დამოკიდებულებაც ჰქონდა ამის მიმართ, დღემდე ისე დარჩა. უფროსები უფრო განიცდიან, ეს უნდა ვალია, იმიტომ რომ მნიშვნელოვანი ასაკი იქ გაატარეს, ჩვენ კი უფრო შევიწვიეთ.

### **„კონფლიქტმა ძალიან იმოქმედა ჩვენს ოჯახზე“**

სახლში ვერ ვიტყვი, რომ იდეალური სიტუაციაა. კონფლიქტმა ძალიან იმოქმედა ჩვენს ოჯახზე. დედაჩემი მოსკოვშია, ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, მამაჩემს ფიზიკურად არ შეუძლია ოჯახი არჩინოს, ჩემი ძმა ჯარშია, „კომანდოსში“<sup>2</sup>, ჩემი და თბილისში სწავლობს და მე კიდევ აქ ვარ.

დედაჩემი სამი წელია არ ჩამოსულა რუსეთიდან. ჩვენ მივყავართ ხოლმე რიგრიგობით. ახლა ჩემი რიგი იყო და გზა ჩაიკეტა. გზა თუ გაიხსნება, წავალ, ვიზა უკვე გამიუქმდა. ჩემი ძმა ახლა ჯარშია, მერე გერმანიაში მიდის

სამი თვით და შემდეგ - ერაყში. სხვათაშორის, ოჯახისთვის არც უკითხავს ისე მიიღო გადანაცვლებები, ერთ ჩვეულებრივ დღეს ჩამოვიდა და განაცხადა, რომ ერაყში მივდივარ, ხელი მოვანერეო. ბიძაშვილმა თხოვა, არ წახვიდეო. მაგრამ ჩემი ძმა ამბობს, მთელი საგვარეულო რომ დამიდგეს წინ, ერაყში მაინც წავალ. ამის მიზეზი პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ფინანსური მხარეა და შემდეგ სურვილიც. ერთწლიანი კონტრაქტი აქვს, მაგრამ ჯერ სამთვიანი კურსები უნდა გაიაროს გერმანიაში. ერაყში სამშვიდობო მისია ექნება, დაახლოებით ისეთი ვარიანტია, საქართველოში რომ რუსეთის სამშვიდობო ჯარები დგას. ანაზღაურება დაახლოებით 700 თუ 1 000 დოლარია თვეში. აქ ვერსად ვერ დასაქმდა და ეს გზა აირჩია. სახელმწიფო ვერ გაქცევს ყურადღებას და იძულებული ხარ, რომ გარისკო, რომ გადარჩე.

დევნილებს ძალით რომ ასახლებენ კომპაქტური ცენტრებიდან, ამაზრზენია. ეს დიდად არ განსხვავდება აფხაზების და რუსების საქციელისგან. რაც რუსებმა გაგვიკეთეს, იგივეს გვიკეთებს დღეს ჩვენი მთავრობა. მე ჯერჯერობით გამოსახლება არ მემუქრება, მაგრამ მაინც ვლელავ.





# გ უ რ ა შ ი



16 წლის ზურაბი<sup>1</sup> გალის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს. იგი მათე კლასის მოსწავლეა. იხსენებს, კონფლიქტის მეორედ ესკალაციის შემდეგ, როგორ გადავიდა მისი ოჯახი დროებით ზუგდიდში და როგორ დაბრუნდა უკან-საკუთარ მინა-წყალზე, სადაც სახლი დამწვარი დახვდა და მხოლოდ გარაჟი შემორჩენილიყო. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ ეხმარება მამას ფიზიკურ შრომაში, რადგან ოჯახის ერთადერთი საარსებო საშუალება არის მინაზე მუშაობა. ზურაბი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მძიმე ფიზიკური შრომის გამო დრო აღარ ყოფნის სწავლისთვის.

ისტორია ჩანერილია ქართულ ენაზე.

## „სკოლაში ნასასვლელად ვემზადებოდი და სროლა დაიწყო...“

პირველი დევნილობის შესახებ არაფერი არ მახსოვს, რადგან 1993 წელს 2 წლის ვიყავი. ამიტომ ამაზე ვერაფერს ვერ გეტყვით. „მაისის მოვლენების“, ანუ კონფლიქტის მეორედ ესკალაციის დროს აფხაზეთში ვცხოვრობდი. ეს პერიოდი ბუნდოვნად მახსოვს. 1998 წელი იყო, სკოლაში, პირველ კლასში შევდიოდი და ომიც დაიწყო. მეცვა პერანგი, ჰალსტუხი მეკეთა, თუმცა უშარვლოდ ვიდექი, სკოლაში ნასასვლელად ვემზადებოდი და სროლაც დაიწყო. დედაჩემი ამ დროს საქონელს დევნიდა ეზოდან, რომ უეცრად მეზობელმა დაიყვირა, გადადევნა მოხდაო. მე ყველაფერი მესმოდა, დედაჩემმა მოირბინა და საბუთები, ტანსაცმელი თუ ფული, რაც გვქონდა, ყველაფერი ერთად ჩავტენეთ. შემდეგ ჩემი და გავადვიძეთ. ამასობაში მოვიდნენ მეზობლები.

მათ სახელებს ვერ ვიტყვი, თითქმის ნახევარი დაღუპულია. მივიხედ-მოვიხედე, ჩემი მშობლები არსად ჩანდნენ და მეზობლებს გაყვევი. ჩემი მშობლები კი თურმე მე მეძებდნენ, მეძა-

ხოდნენ, უფიქრიათ, რაღაც მოუვიდაო. აგერ ვარ-მეთქი, დავიძახე, მეზობლებმაც უთხრეს, აქ არისო. მეზობლის ლოზეზე გადავდიოდით და ერთ პარტიზანს მშობლები გაუფრთხილებია, ჩუმად იყავითო, ხმა არ ამოიღოთ, არ შეიძლებაო. ამის მერე მოვიდნენ ჩემი მშობლებიც და через черный ход, თუ რა ვიცი, რა ჯანდაბა ჰქვია, ბურჩებით და ასე, ხობვა-ხობვით გადავედით. მოვედით სოფლის ცენტრამდე, სადაც რუსი სამშვიდობოები იყვნენ. ისინი გაგვიმასპინძლდნენ, ზოგმა სკამი მოგვიტანა, ზოგმაც- წყალი, საჭმელი არ მოურთმევეათ, მაგრამ მაინც ყურადღება მოგვაქციეს.

ერთი შემთხვევა მახსენდება: მამაჩემი გაჰყვა მეზობელი კაცის ავტობუსს, ისინი ერთად წავიდნენ ტანსაცმელების მოსატანად, რომ სახლში დარჩენილი რაღაცეები აეღოთ. ნივთების ნახევარი ბურჩებში იყო. მამას მიუგნია იმ ბურჩებისთვის და წამოიღო რაღაცეები. ამ დროს ხმა გავრცელდა, მეზობლის ავტობუსი აფეთქდაო. თურმე შემცდარან, მეზობლის საბედნიეროდ, მისი ავტობუსი არ აღმოჩნდა. დედაჩემმა დაიწყო კივილი, მან ჯერ არ

იცოდა, რომ ის მეზობლის ავტობუსი არ იყო. მე და ჩემი და ვამშვიდებდით, ჩუმად, ჩუმად ნუ ყვირიხარ, სირცხვილია, მაგრამ გეკითხებით, სირცხვილს ომში ვინ ჩივის?... მერე დაბრუნდა მამაჩემი ჯემპრზე დიდი „*дырка*“ ჰქონდა, ხუთი თუ ოთხი ჯემპრი ეცვა და „*осколка*“ მოხვდა თურმე, სამი სალტო გაუქეთებია და გადავრდნილა „*канавა*“-ში.

**“გადავრჩით...”**

გადავრჩით... მერე მეზობელმა ავტობუსით ნაგვიყვანა ზუგდიდში. მამაჩემი აქ დარჩა. იქ ერთს ვიცნობდით, „პარიკმახერად“ მუშაობდა ზუგდიდის სადგურში, ჩვენი ნათესავი იყო. ცხოვრობდა ქითანყარში, ბინა ჰქონდა იქ, ისიც ლტოლვილების ბინა იყო, ყოფილი ბალი. ნავეყევით ამათ დაგლეჯილი, ეკალზე გამოდებული და დახეული ტანსაცმლით. მივედი იქ, ერთი-ორი თვე დავყავით, მერე დეიდაჩემი, მისი ქმარი მოვიდნენ, ჩვენთან წამო-

დი თო



— შემოგვთავაზეს. დეიდაჩემს ორსართულიანი სახლი ჰქონდა და ერთ სართულს დაგიტომბოთო. საქონელიც გადმოვდევნეთ, უფრო სწორად მამაჩემმა გადმოვდევნა. მე მაშინ შვიდი წლის ვიყავი.

გადავედით იქით — ზუგდიდში. დიდი მანქანა — გაზელი ავიყვანეთ, დავტვირთეთ ყველაფერი — ჩალა, თივა, ტანსაცმელები, მერე საქონელიც ავიყვანეთ ბორტზე. ეს ყველაფერი საქონელთან ერთად მოვათავსეთ, იმიტომ, რომ ადგილი არ იყო. ჩავედით იქ, ერთი ოთახი ყველას გვეყო. ჩვენ ოთხნი ვიყავით. მერე სკოლაში წასვლის დროც მოვიდა, იქ დავინყე სწავლა, პირველი კლასიც იქ დავამთავრე.

მამა მალევე დაბრუნდა გალში. ჩვენ დეიდასთან ზუგდიდში რომ წავედით, მამაჩემი იქ ვერ გაჩერდა, ნერვიულობდა და აქეთ, გალში წამოვიდა. სახლისთვის გაეროს დარიგებული შიფერი უნდა გადაგვეხურა. ეს შიფერი გავყიდეთ, პირველი ლტოლვილობის შემდეგ მეორე ლტოლვილობამდე პერიოდში (იგულისხმება 1993-1998 წლები). ამ ფულით მამაჩემმა „მოსკვიჩი“ იყიდა და ტაქსაობა დაიწყო ზუგდიდში. მაგრამ ძალიან ნერვიულობდა აფხაზეთისა და ჩვენი სოფლის გამო.

ზუგდიდის სკოლაში მასწავლებლები ძალიან დიდ პატივს გვცემდნენ. განსაკუთრებით ჩემი მასწავლებელი მასხოვს, რადგან უზომოდ მიყვარდა. ძალიან კარგი ქალი იყო. ისეთ მასწავლებელზე ახლაც არ ვიტყვი უარს. მეგობრებშიც გამიმართლა. კარგები შემხვდნენ.

პირველი კლასი რომ დავამთავრე, ოჯახმა დაბრუნება გადაწყვიტა. მოგვენატრა ჩვენი სოფელი. მოსავალი იქნებაო, თხილი გვქონდა დარგული, სიმინდს მოვიყ-

ვანთო და, რა ვიცი, ამისი გულისთვისაც ჩამოვედით. მოგვებურდა ზუგდიდში ცხოვრება. ჩვენი სოფელი მაინც უკეთესია და გადავწყვიტეთ დაბრუნება.

დავბრუნდით და სულ ორი მეზობელი დაგვხვდა. ერთი ბავშვი იყო და დანარჩენი მოხუცები. ამ ბავშვმა უცებ მოიბრინა და ჩემზე თქვა, აი, ახალი მეზობელიო, ახალი კი არა, ძველი ვიყავი, უბრალოდ არ ვახსოვდი. მეგრულს თანდათანობით ვიხსენებდი, დავინწყებული მქონდა. ზუგდიდში ჩასულმა ქართული არ ვიცოდი და იქ ვისწავლე. აქეთ რომ ჩამოვედი, მეგრული დამვიწყებოდა და ხელმეორედ ვისწავლე, ახლა ორივე ვიცი.

### „...გარაჟში ვცხოვრობთ“

ჩვენი სახლი დამწვარი იყო. მარტო ბაბუა-ჩემის აშენებული გარაჟი იყო გადარჩენილი. ახლაც იმ გარაჟში ვცხოვრობთ. რა ვქნათ, მეტი საშუალება არ არის. მამაჩემი მუშაობს, მეც ვეხმარები, ფულს ჩემს დას ვუგზავნით, რომელიც თბილისში, უნივერსიტეტში სწავლობს. ეროვნული გამოცდებით ჩაირიცხა.

მამაჩემი მანქანით ტაქსაობდა, ეს იყო მისი შემოსავალი. მერე მანქანა გავყიდეთ. გარაჟი შუაში გავყავით, ორ ოთახად გადავაკეთეთ. ერთი ოთახი მე დამითმეს და მეორე ოთახი - დიდებს, უფროსებს.

დაბრუნების დროს გზაში საშიშროება არ იყო, რადგან რუსი სამშვიდობოები იდგნენ. მამაჩემი რამოდენიმეს იცნობდა, ერთი კარგი მეგობარი ჰყავდა. რუსი იყო, მაგრამ... ამბობენ, რუსები ღორები არიანო, მაგრამ მთლად ასეც არ არის. არის პატიოსანი და გულკეთილი რუსიც. მე ახლაც ვიცნობ ერთ-ორ რუსს, რომლებიც უკვე ჩემი ძმაკაცები არიან, თუ სხვაგან არ გადაიყვანეს (გულისხმობს რუს სამშვიდობოებს, რომლებსაც საგუშაგო აქვთ სოფელში). ისინიც გვეხმარებოდნენ, ხანდახან. უცებ

რომ დავბრუნდით, საჭმელი არ გვქონდა და მოგვცეს „კილკა“, „ტუშონკა“, პური, მურაბის ან ჯემის გასაკეთებლად — ქილები. ასე ავანყეთ ბიზნესი და სახლიც.

გარაჟში ცხოვრება რთულია. ზამთარში სიცივე და სასწაული სინესტეა, ანუ „сырость.“ სიბინძურეც არის. შპალიერი ჩამოლპა. ზაფხულში კი ცხელა, კედელს ხელს ვერ მოკიდებ, ისეა გახურებული. მრცხვენია, ასე რომ ვლაპარაკობ ჩემს სახლზე, მაგრამ რა ვქნათ, ასეთია ცხოვრება

### „მუდმივად...სტრესის ქვეშ...“

ხანდახან კარებს ვაღებთ, წინათ გვეშინოდა ყაჩაღობის გამო, ახლა კი აღარ გვეშინია. ერთხელ, სადღაც ნოემბერი იყო თუ დეკემბერი, ზუსტად არ მახსოვს, მოვიდნენ ყაჩაღები და... კარი არ გავუღეთ. კვილი ავტეხეთ, ქალივით ვკიოდით ყველა — ბიჭი, ქალი, კაცი, გოგო. სროლა ატყდა... ერთი ტყვია ჩვენ გვესროლეს, რომელიც გარაჟის კარს მოხვდა და გამოვიდა მეორე მხარეს. კიდევ კარგი АКК-ის იყო, АКМ-ის რომ ყოფილიყო, ერთ-ერთი ადამიანი ჩვენს ოჯახში ალბათ დაიღუპებოდა, მაგრამ გადავრჩით. მერე მეზობლებიც მოცვივდნენ. მერე მე და ჩემი დაიკო მამიდასთან გადაგვიყვანეს., დაყაჩაღების მეორე დღეს, დედაჩემმა და მამაჩემმა აქეთ გამოგვიშვეს. ბავშვები არიან და შეეშინდებათ, იქნებ ისეც მოვიდნენო.

არ არის ადვილი, მუდმივად ასეთი სტრესის ქვეშ ყოფნა, ლამლამობით ყაჩაღობის შიშით.

### „რვა-ცხრა კილომეტრს ფეხით დავდიოდი“

სკოლა არ გვქონდა, მაგრამ მეორე სოფელში იყო და რვა-ცხრა კილომეტრს ფეხით გავდიოდით მე, ჩემი და და კიდევ რამდენიმე, სადღაც რვა ბავშვი. მე ყველაზე პატარა, მეორეკლასელი ვიყავი. იყვნენ მეოთხე, მეექვსე, მერვე კლასელებიც და ასე დავ-

დიოდით ფეხით. მე მარტო ვიყავი მეორე კლასში. სამი-ოთხი დღის შემდეგ, მოვიდა ერთი იქაური, იმსოფლელი გოგო და ერთად დავედიოდით სკოლაში. პირველ და მეორე კლასს ერთი მასწავლებელი გვყავდა, გაერთიანებული გაკვეთილები გვითარდებოდა. მერე ჩვენს სოფელშიც გაიხსნა სკოლა, რომელიც თავიდან სახლში მდებარეობდა, სადღაც სამი კილომეტრი უნდა გამეველო, მერე უფრო ცენტრში — საბჭოს შენობაში გადმოიტანეს. მეოთხე-მეხუთე კლასი იქ ვისწავლეთ. მეხუთე კლასის მეორე სემესტრში სკოლის ძველ ადგილსამყოფელში გადმოვედით.

გზაში თუ ცალ-ცალკე მოვდიოდით, გვეშინოდა, მაგრამ თუ ერთად ვიყავით, არაფრის გვეშინოდა.

### „სკოლის შენობაში რუსი სამშვიდობოები იყვნენ...“

სკოლის შენობაში წინათ რუსი სამშვიდობოები იყვნენ. მერე ისინი გადაიყვანეს. მათ გაყვანამდე ჯერ ერთ-ერთ ოჯახში გახსნეს სკოლა, მოგვიანებით კი — საბჭოს შენობაში. მერე მოვიდა ბრძანება რუსი სამშვიდობოების მიერ სკოლის გათავისუფლების თაობაზე, და სკოლა ააშენეს. მერე ისევ დაბრუნდნენ რუსი სამშვიდობოები და ახლა, სადაც კულტურის სახლი იყო, იქ არიან.

სკოლაში დავდივარ, ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ სწავლის რა მოგახსენოთ. ვმუშაობ და მამაჩემს ჩემს მეტი არავინ ჰყავს დამხმარე, ბიჭს ვგულისხმობ, თორემ გოგოც ჰყავს. მაგრამ გოგოს არ სცალია, ახლა უნივერსიტეტში სწავლობს და მე ვეხმარები. თუ არ ვარ იმდენად დაღლილი, მოვკიდებ წიგნს ხელს, თუ ძალიან დაღლილ-დაქანცული ვარ ან მეძინება და რაიმე მტკივა, მაშინ რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის, უბრალოდ ასეთია ცხოვრება. არც პირობები და არც ცხოვრება ხელს არ მიწყობს.

უნდა გამოვტყდე, მამაჩემს მიწის სამუშაოებში ვეხმარები, რაც გლეხისთვის სირცხვილი სულაც არ არის.

### „შრომა სირცხვილი არ არის“

შრომა და გლეხისთვის თოხის დაკავება სირცხვილი არ არის. თოხი, შეშა, ნაჯახი, ბარი, ცელი და რა ვიცი, რაც ხელში მომხვდება, ყველაფერს ვაკეთებ. ეს საქმე უფრო მდიდრისთვის და ვინც ქალაქში ცხოვრობს, იმისთვის არის სირცხვილი. ასეთი ხალხი იტყვის, ეს ბავშვი გლეხიაო... მაგრამ ჩვენ ამით ვირჩენთ თავს სოფელში და ახლა — ქალაქშიც...

სკოლაში ახლახან სტადიონი გავაკეთეთ. არ ვიცი, გაერომ თუ არასამთავრობოებმა მისცეს სკოლის დირექტორს 2000 ლარი თუ დოლარი. დირექტორმა ამ ფულით შეიძინა ცემენტი, მიწები, ბადე, ტრაქტორს მისცა ხრემის მოსატანად ფული. ოთხი-ხუთი მეტრი ბადით ავამალეთ, ბურთი რომ არ გადავიდეს მოედანს მიღმა.. მუშებს ჩვენ, ბავშვებიც დიდი სიამოვნებით ვეხმარებოდით და გავაკეთეთ სტადიონი. ახლა სტადიონი გვაქვს. ზაფხულში იმართება კონკურსები ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში და მაგიდის ჩოგბურთში. მეზობელ სოფლებსაც ვეჯიბრებით, სოხუმშიც კი იყო ჩვენი გუნდი, მაგრამ მე არ წავედი.

სოფელში ჩემი ასაკის სულ სამი ბიჭი ვართ. ჩემი ხნის გოგო კი ორია. კლასში რვა ბიჭი და შვიდი გოგო ვართ. სხვა კლასებში ცოტა უფრო მეტნიც არიან და ცოტა უფრო ნაკლებნიც. თავისუფალ დროს სტადიონზე ვთამაშობთ, ხან გოგოებიც გამოდიან და ვერთობით ასე.

დევნილების ნახევარი არ დაბრუნებულა, მაგრამ მეზობლები საკმაოდ მრავლად არიან. ახლა ზაფხულში ბევრი ჩამოდის, ერთმანეთს გავიცნობთ და ასე მივყვებით ცხოვრებას ახალგაზრდობა.

## „უღელს...სწავლა მირჩევნია“

სკოლის დამთავრების შემდეგ გეგმები მაქვს. პირველ რიგში, ვაპირებ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას. თუ უნივერსიტეტში ვერ ჩავირიცხე, კოლეჯში მაინც შევეცდები მოხვედრას. იურიდიული მქონდა არჩეული, მაგრამ მამაჩემმა, არაო, სტომატოლოგიური დაიწინა და მეც დამითანხმა. ჩემი დაც სტომატოლოგიურზე სწავლობს, ფულს ერთად გააკეთებთ და ცოტას ოჯახში შემოიტანთო— ამბობს მამა.

მე მოგზაურობაზე ვოცნებობ. მაგალითად, მინდა წავიდე ამერიკაში, რომ ვნახო საყვარელი მსახიობები. ჩემი საყვარელი მსახიობი ჯეკი ჩანია. ვგოყდები მასზე, რადგან სასაცილო ფილმებს იღებს. როცა ვუყურებ, სულ მეცინება. ისე, წარმოდგენების დადგმა მიყვარს, გამომდის ეს ხელობა და უარს ვერ ვამბობ. სკოლაში ხშირად ვმართავთ ღონისძიებებს. მრავალ ღონისძიებაში ვმონაწილეობდი. ფიზიკური შრომის უღელს სწავლა მირჩევნია.

ახლა კომპიუტერი აქ, **დაბალ ზონაში** —გალში არ არის. კომპიუტერი ჩვენთვის არის სათამაშო დენდი და სონი, მაგრამ ის არ არის სწავლისთვის. წიგნების ნახევარს სკოლაში გვირიგებენ და ნახევარს ჩვენ ვყიდევლობთ. ჩვენ ბიბლიოთეკაც გვაქვს, მაგრამ იქ დროის მიხედვით შეიძლება წიგნების გამოტანა. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ერთი კვირა ერთი წიგნისთვის არ მეყოფა, რადგან საკმაოდ დიდი წიგნებია და დრო არ მეოფნის, თანაც ბევრი სამუშაო მაქვს. აქეთ სამუშაოა, იქით — საგნები და, რა ვიცი, აღარ მეოფნის დრო წიგნის კითხვისთვის.

მუსიკალურ სკოლაში მხოლოდ პიანინოს ასწავლიან, ისიც სწავლის პერიოდში. კიდევ ცეკვასაც ასწავლიან, მასწავლებელი აქაურია... მე ქართული და აჭარული ცეკვა მაინცდა მაინც არ მიყვარს, უფრო რეპის თაყვანისმცემელი ვარ. რეპს ბიჭები უფრო მეტად სკოლაში ღონისძიების დროს ვცეკვავთ.

## „შენობები...დანგრეულია“

სპორტული მოედნის გარდა, სხვა გასართობი არაფერი გვაქვს. თუმცა, მეტი რა უნდა გააკეთო სოფელში. ყველა შენობა დანგრეულია. ყველაფრის ხელახლა აღსადგენად, დიდი თანხაა საჭირო, ამხელა თანხა კი ჩვენს სოფელში არ შემოვა. მოსახლეობას რომელიღაცა არასამთავრობო ეხმარება. მაგალითად, ახლა ხილს, თხილს, შემოსავალს მატლები, ეგრეთ ნოდებულები „ამერიკული პეპელა“ ასევე, წამალი დაარჩიეს. წინათ არიგებდნენ თოხს, ბარს, ცელოფანებს, შესანამლ აპარატებს, მაგრამ ახლა ყველაფერი შეწყდა.

ახლა დამწვარი სახლების აღდგენა მიმდინარეობს. ამბობენ, 15 ივლისის შემდეგ დახმარებას ოც ოჯახს მისცემენო.

აფხაზები დადიან სოფელში, მაგრამ აფხაზი პატიოსან ხალხს არ ერჩის. უბედურებს, ყაჩაღებს და ქურდებს კი იჭერენ, ნახევარი უკვე მოსპეს.

ახლა საბუთი მაქვს გასაკეთებელი, მაგრამ ასაკს ვიტყუები. ხანდახან ტყუილიც საჭიროა, რადგან თუ ზრდასრული ხარ, ჯარში წაგიყვანენ. იქ, მეორე სოფელში 17-18 წლის ბავშვები წაიყვანეს ჯარში და მსახურობენ. არ მინდა მეც იგივე შეცდომა გავიმეორო. ჯერ ჯარში ყოფნა არ მინდა, რადგან აქ—აფხაზეთში რა იქნება, არავინ იცის, და საკუთარ თავშიც დარწმუნებული არ ვარ. იარაღის ხმარება არ ვიცი. იარაღი ხელში არასდროს მჭერია და არც დამჭირდება, თუ ჯარში არ ვიმსახურებ. ჯარში წავალ 19-20 წლის მერე, 21 წელი რომ შემისრულდება. მანამდე კი ვეცდები, რომ დავემყოფო აფხაზებს. მოგვიანებით, თვითონ გადავწყვეტ, საით წავიდე, იქით—საქართველოს ჯარში თუ აქეთ—აფხაზეთის ჯარში.





# თამატი



მზ წლის თამარი<sup>1</sup> ამჟამად მარტო ცხოვრობს კონფლიქტის ზონაში, გალის რაიონის სოფელ ხუმუშქურში. მისი შვილი და შვილიშვილები არიან მოსკოვში, მათთან ნაკლები კონტაქტი აქვს. თამარის თქმით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად მთელი სოფელი დაცარიელებულია და მეზობლებიც აღარ ჰყავს, რაც ძალზე მძიმეა მარტოხელა მოხუცისათვის. თამარის ფიზიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. კონფლიქტის დაწყებამდე, ამავე სოფელში ცხოვრობდა, მხოლოდ სხვა ადგილას, საიდანაც, შექმნილი ვითარების გამო, იძულებული გახდა წამოსულიყო. მას რამდენჯერმე დაუწევს სახლი კონფლიქტის დროს, რომელიც თავიდან ააშენა. თამარის ისტორიაში აღწერილია მოგონებები ომის შესახებ, მისი ოჯახური ისტორია და, აგრეთვე, დღევანდელი ცხოვრება აფხაზეთში.

ისტორია ჩაწერილია მეგრულ ენაზე, ქართულად ითარგმნა გამიგვრის დროს.

## „ჩემი ცხოვრება რთული ცხოვრებაა“

ო, ჩემი ცხოვრება, რთული ცხოვრებაა. ბავშვობაც რთული მქონდა, როცა ჩვენ პატარები ვიყავით, მამაჩემი, როგორც ტროცკისტი, გადაასახლეს. ჰოდა, იქ დაგვეკარგა. მერე დედა გვზრდიდა ხუთ შვილს. ასე იყო თუ ისე, სკოლა დავამთავრეთ, სკოლის მერე დედაჩემმა თბილისში, ინსტიტუტში მომანყო. ინსტიტუტი წარჩინებით დავამთავრე, შემდეგ წამოვედი ჩემს ქვეყანაში—აფხაზეთში. აქ რომ ჩამოვედი, მაშინ განათლებამიღებული ხალხი ბევრი არ იყო, ამიტომ ერთი კი არა, ხუთი სამუშაო ადგილი მქონდა. სპეციალობითაც დავსაქმდი და სხვა სამუშაოც მქონდა. ცხოვრება წინ მიდიოდა. დიდებულად წარვმართე ჩემი ცხოვრება. მერე ბედიც გამოჩნდა და გავთხოვდი.

## „ამ კაცს ძალით გავეყარე“

ბავშვი გამიჩნდა ერთი, მეორე, მაგრამ ეს კაცი მეოჯახე ვერ გამოდგა, ლოთი იყო. დადიოდა, სვამდა... ძალიან ბევრს შოულობდა, თუმცა ოჯახში გამოუსადეგარი იყო. ოჯახზე არ ზრუნავდა, არ ფიქრობდა... წავედი სასამართლოში, შევიტანე სარჩელი, მოვითხოვე გაყრა და ჩემი შვილების გაზრდა საკუთარ თავზე თავად ავიღე ... ამ კაცს, რომ იტყვიან, ძალით გავეყარე. მერე მე და ჩემი შვილები ერთად ვცხოვრობდით. ვაგრძელებდით ცხოვრებას, სასმელი, საჭმელი გვქონდა... ორ-სამ ადგილას ერთდროულად ვმუშაობდი და ფულიც შემომდიოდა...

დღეს კიხედავ, რა დღეში ვარ? შვილი გავზარდე, საზოგადოებაში გავრიე, მუშაობდა და ამ არეულობის დროს ვაჟი ომის დროს დამელუბა. აი, ჩემი ცხოვრება, შვილი მინაში მისვენია, მე კი



აქ ვითომ ვკვივივარ. ეს ცხოვრებაა, იმ სანყალს თავი გააქვს „იმქვეყნად“ და მეც მის ზურგზე ვარ?... გამზრდელი შვილი მინაში მისვენია.. ასეთი მოკლეა ჩემი ისტორია. მარა რომ ვილაპარაკო, ათი დღე ვერ მოვრჩები.

### „ასე ვარ დაკარგული ქალი“

ამ დანყველილმა ომმა, ხედავ, რა გააკეთა? ღმერთმა იცის, არაფერი დამიშავებია, და სოფელში ყველაზე მეტად დაზარალებული მე ვარ. ჩემზე მეტი ვის დაეკარგა აქ, ვის? მე ერთ ოთახში რაც მქონდა, ერთ სახლს ამიშენებდა... რვა ოთახი მქონდა, რვავე ჭერამდე ქონებით სავსე.

ეს ყველაფერი ცეცხლმა წაიღო. ცეცხლმა წაიღო თუ კაცმა, მეც არ ვიცი, მე ეს არ

მინახავს, იმიტომ რომ მე „მომკლა“, დამჭრა და დამაგდო იმ კაცმა და რას ვნახავდი? დღემდე აქ ვწვალვობ, ბავშვები აქ ვერ ჩერდებიან, შიშობენ, ხან ვის იჭერენ და ხან – ვის. ხალხი იძულებული გახდა დევნილობაში საქართველოს სხვა მხარეს. ან საზღვრებს გარეთ გადახვეწილიყო... ვინვალე, ვიმუშავე.. აქ ავაშენე, რაც შეეძელი. სასწაულია, მაგრამ ვფიქრობდი, რომ მოვკვდე, ჩემი მახლის შვილს სახლი არ ჰქონდა, არც მე მქონდა და სად დამასვენებენ-მეთქი, და ამ პრინციპით, ეს სახლი ავაშენე. ეს თუ აშენებულა? ჰოდა, ვარ აქ...


ჩემი ცხოვრება რთულად მოსაყოლი ამბავია, ვერავის ვერ ვუამბობ და ამით ვერ დავლდი. ასე ვარ მე, დაკარგული ქალი, და დღემდე წვალვებით მოვდივარ. ზოგჯერ ცუდად ვხდები, იმ დღეს ეზოში დავეცი, წვიმდა, ქვეყანა იქცეოდა, ვერ ვდგებოდი... სველი, განუწული სალამომდე ვცახცახებდი, სანამ მეზობელმა ცხენით არ ჩამოიარა და ჩემი ყვირილის ხმა არ გაიგო. მოვიდა, ამათრია, სახლში შემათრია და იქ დამაგდო. ასეთი ცხოვრება მაქვს და რამდენი ხანი დავყო ასე? ათასი რალაცა გავსინჯე, მარა არაფერი გამომივიდა. აი, ეს თოკიც მძულს. ეს ყველაფერი დამცვივდება, ტანსაცმელი გამძვრება და შიშველი უნდა დაეკიდო იქ, მტერმა მნახა მე იქ შიშველი დაკიდებული.

ცხოვრება უკან-უკან მიდის, არავითარი წინსვლა არ არის... აი, ასეა ეს ყველაფერი.

### „მტერს ვერ ვუსურვებ, აქ რომ ამბავი იყო“

მტერს ვერ ვუსურვებ, აქ რომ ამბავი იყო.

## რ უ ს ე თ ი



რეფამდე იყვნენ მოსული აფხაზები, ქვეყანა იქცეოდა, მე კი ოჩამჩირიდან დისშივლები, სიძე — ყველა შეეკრიბე ჩემს სახლში. შემეშინდა, ეს ხალხი აქ არ ამომინყვიტონ- მეთქი... შინ შევირბინე, ხედავთ, რა ამბავია.. დაიწვა, მთლიანად სოფელი-მეთქი. მთლიანად ინვოდა რეფი. ცეცხლი ეკიდა ყველაფერს, შიფერები სკდებოდა ცეცხლისგან, საშინელი ხმა ისმოდა.. საშინელება იყო, საშინელება..

როდესაც პირველად გადაწვეს სოფელი, ჩვენ ტყეში ვიმალებოდით, სადღაც იქით, ბოკვეთში მე, ჩემი ქალიშვილი, მისი ქმარ-შვილით... ჩემმა სიძემ აიტაცა პატარა გოგო და მირბოდა. ჩვენც მივძუძუნლებდით, უეცრად ბავშვმა თავი გადააგდო, ამის დანახვაზე კინალამ იქვე მოვკვდი, მეგონა ცოცხალი აღარ იყო. ვიკვილე. ჩემმა შვილმაც დაინახა ეს, ვკვივართ ორივე და მივრბივართ. ბავშვს თავი გადმოგდებული ჰქონდა, მამამისი მიარბენინებდა...

### „ტყვია მაინც ესროლათ და მოეკლათ“

წყალზე გადავედით, სად ვიყავით, არ ვიცი. სველები, განუწულეები ტყეში შევჩერდით. ბავშვი ცოცხალი რომ დავგვხვდა, სული მოვითქვით. რამდენი ხანი ვისხედით იქ, ვინ იცის? სანამ არ დაღამდა და სროლები არ მიწყნარდა, სანამ ამ ხალხმა ბარლები არ გადალახა და არ წავიდა, ტყეში ვისხედით. ვინც აქ ერთხელ მაინც არ ყოფილა და ეს ყველაფერი საკუთარი თვალით არ უნახავს, სინამდვილეში რა იცის, რა ხდებოდა აქ... არავინ არ იცის, ვინც აქ ბოლომდე არ ყოფილა...

როდესაც ჩვენ ტყეში ვიმალებოდით, იმ დროს ძმები დაიჭირეს — მოსწავლეები, მე-10 კლასელები, წარმოშობით ქვემო ბარლებიდან იყვნენ, დაიჭირეს და ტყეში წაიყვანეს.. ტყვია მაინც ესროლათ და მოეკლათ, დაუკოდიათ ერთი ბავშვი. ბავშვი კიოდა თურმე და ძმას

ეხვეწებოდა, მიშველეო... ის ეუბნებოდა, მერა გიშველო, უარეს დღეში ვარო, ისიც დაასაჭურისეს, და მერე ორივე მოკლეს. ეს რისთვის ჩაიდინეს? სადისტობა არ იყო განა? აბა, რა იყო...

მეორე ისტორია ასეთია — კამეჩებივით უღელში შეაბეს ძმები, რამდენიმე კილომეტრი ტვირთი აზიდვინეს, მერე ისინი დახოცეს და წყალს გააყოლეს. აქ რომ ამბები დატრიალდა, ენა ვერ იტყვის... ვინ იცის, კიდეც რამდენი ასეთი ისტორია მოხდა...

### „მესმოდა, როგორ მორაკრაკებდა ჩემი სისხლი“

პირველად რომ მოვიდნენ აფხაზები ჩემს სახლში, ზევით აირბინეს.. იქ ყველაფერი გაანადგურეს, მიცვალებულის ნიშანი<sup>2</sup> იყო გაშლილი, ის მოშალეს.. სასმელი-საჭმელი აიღეს და ჩამოვიდნენ. დამიძახეს: „Накорми нас!~. ვუპასუხე: „Давайте, заходите~. შემოვიდნენ, გამოუფტანეს სასმელ-საჭმელი... დავსვი ესენი, გავაძღე... ხმელი, ნითელი სულუგუნი, შებოლილი ყველი მივუტანე. არაფერს არ ტოვებდნენ.. ყველაფერი მიჰქონდათ. ერთმა უთხრა მეორეს აფხაზურად, შენ დაინახე საიდან მოიტანაო?

მეორემ მიუგო, არ დავკვირვებივარო. რა სულელი ხარ, რატომ არ დააკვირდიო. მთელი ცხოვრება აფხაზეთში გავატარე და მესმოდა ენა... „Давайте пойдём, я покажу, нечего ругаться~, მივიყვანე, სადაც ყველი მქონდა დამალული და ვუთხარი: „Вот, говорю, заберите~. თურმე ამის წასაღებად ზურგჩანთა ნდომებია, და მითხრა, მომეცით ზურგჩანთა. Я говорю: „У меня такого нет, пожалуйста, возьми мешок~. როგორ მითხარი, არა მაქვსო? და გაგიჟდა. Я говорю: „У меня нету в семье боевиков, зачем мне вещмешок?~...

2 აფხაზეთში მიცვალებულის დასაფლავების მერე ერთი წელი მისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ტახტზე არის გაშლილი, ამას ნიშანს ეძახიან

შეიძლება ითქვას, ამ შელაპარაკებას გადავეყვი... და იმათ, აფხაზებმა დამჭრეს... პატარა ბიჭმა გაისროლა, მაგრამ კარგად ვერ ისროლა. თორემ იმ სიახლოვიდან ხუთ კაცს ერთად მოკლავდა.

ჩემი გოგო, მისი ქმარი და ბავშვები აქ იყვნენ, მარა უკვე ტყეში იყვნენ გაქცეული.. მე ჩემი სახლისა და ოდას შუა დამჭრა იმ კაცმა, იქ ვეგდე. ზევიდან ხმაური მესმოდა, იმიტომ რომ სახლიდან ყველაფერი გაჰქონდათ... ოღონდ წამოდგომის ძალ-ღონე არ მქონდა. როგორც კი დავეცი, ფეხები წამერთვა. მესმოდა, როგორ მორაკრაკებდა ჩემი სისხლი, მაგრამ ძალა არ მქონდა და ვეგდე, აბა, რა მექნა. ესენი ჩამოვიდნენ ზევიდან და ერთმა დაუძახა მეორეს, აქ მოდიო, ისიც მოვიდა.. მომკიდეს აქეთ-იქიდან ხელი და სახლში შემართიეს.

### „ყველაფერს ცეცხლი ეკიდა“

რა გეგმა ჰქონდათ, არ ვიცი, ოთახში პატარა ტახტზე დამაგდეს.. მე ამდენი სად შემეძლო, სისხლისგან ვიცლებოდი, გონება მეკარგებოდა და ვეგდე იქ. არ ვიცი, ესენი რა დროს წავიდნენ.. თურმე სახლისთვის ცეცხლი წაუკიდიათ... რალაცამ გაანათა და ამან გამომაფხიზლა. დავინახე ცეცხლი მძვინვარებდა, ყველაფერს ეკიდა- ზევით, ქვევით.. გულში ვფიქრობდი, ცოცხლად მწვავენ- მეთქი, მაგრამ ვერ ვინძრეოდი. ცეცხლი უკვე მოსული იყო ჩემამდე. ბოლო-ბოლო იმდენი ვქენი, რომ ცალი ფეხი ჩამოვაგდე, მერე... თავი ჩამოვიგდე.. ვფიქრობდი გარეთ გაღწევას...

ვიჯექი ერთ ადგილას და ვტიროდი, ამ დროს რალაცა საშინელი ხმაურით წამოვიდა და მაგიდაზე დაეცა... ძლივს დავწექი იატაკზე და გველივით ვავხოხდი, გაეჩოჩიდი... ამასობაში, დაიღუნა ყველაფერი და სახლი ცეცხლის ალში გაეხვია. აივნამდე გაჭირვებით მივედი

და ეზოში, სადაც დიდი მსხალი იდგა, იქამდე მივალნიე.. ძალა დამეკარგა და ცუდად გავხდი. ვიფიქრე, ვეგდები აქ -მეთქი, მარა წამოვიდა საშინელი ცეცხლი.. იმდენი მოვახერხე, რომ მუხლებზე დავდექი... და ცოტა ხნით დასასვენებლად ხეს შემოვხვნიე... ძლივს მოვისვენე, სული მოვითქვი.

### „იქიდან ამოსვლა იყო რალაც ჯოჯოხეთი“

ამასობაში, ირგვლივ ყველაფერი გახურდა... ვხედავდი, ცეცხლი როგორ მეკიდებოდა.. თავს ძალა დავატანე... ფეხზე დავდექი და ხეს მივეყუდე. ვიფიქრე, ცოტა სულს მოვითქვამ და ბოსელში წავიღებ როგორმე თავს- მეთქი.. საკმაოდ დავისვენე და წავედი, წავედი ისეთი ინერციით, რომ კარს მივეჯახე, ჩამოვიღე და ასე შევედი ბოსელში... საქონლისთვის ფინახარში საჭმელი გამზადებული მქონდა და იქ ჩავწექი. აჰ, ამის გახსენებაც მძულს. ვინეტი და თან ვფიქრობდი, აქ შემოვლენ და აქ დამწვავენ-მეთქი... მარა იქიდან ამოსვლა რალაც ჯოჯოხეთი იყო...

ცოტა ხნის მერე გავიხედე და მოშორებით ბოძი დავინახე, არ გინდოდა ამ ბოძამდე მისვლა?... იმდენი ვქენი, რომ ფინახარიდან ამოვძვერი და ამ ბოძამდე მივჩოჩიდი... ხელები შემოვხვნიე... კარგად დავისვენე, ინერციით წავედი მაზლის ეზოსკენ და ეზოს კარს მივეყუდე... მას დავუნახვიარ და იკივლა. მოვიდა სანყალი, შემათრია შიგნით და აივანზე დამაგდო. ასე დავაღნიე საშინელებას თავი.

ამ დროს ჩემები-ქალიშვილი, სიძე და შვილიშვილები ტყეში გაქცეულან, რალაც მილი უნახიათ და შიგ შემძვრალან. ჩემი გოგო თურმე ფიქრობდა, დამთავრებულია, ყველას-ოთხივეს დაგვხოცავენო, მაგრამ ღვთის წყალობით გადარჩნენ. როდესაც ჯარისკაცები მათკენ მირბოდნენ, ესენი ვერ დაინახეს, გადაირბინეს ხიდი და გაიქცნენ. როდესაც ოჯახის

ნევრები სახლში დაბრუნდნენ, ნახეს, ყველაფერი გადამწვარი იყო, მე კი განადგურებული და დაჭრილი.

### „რვა დღე სისხლისგან ვიცლებოდი“

დაჭრილი ვიყავი, ამიტომ ვერ გადავედით ზუგდიდში. გალში კაცი გაუშვეს, აუხსნეს ვითარება, ქალია დაჭრილი და გადასაყვანიო, მაგრამ არ წამოვიდნენ, ყველას ეშინოდა.. რვა დღე უწამლოდ სისხლისგან ვიცლებოდი, მუცელი გამებერა... ვკვდებოდი, მაგრამ საშველი არ იყო, **ენგურის** ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვესაც ვერ მიხვიდოდ.

ერთადერთი იმედი სიძის მანქანა იყო, რომელიც ჩაის ფოთლებში გადავმალე, მოჭრილი ჩაი ზევიდან ეყარა და არ ჩანდა... ეს ჩაი ბიჭებმა გამოიტანეს, გადაყარეს და მანქანა გამოიყვანეს, მაგრამ მანქანა ვერ დაიძრა. შემდეგ კამეჩებზე შეაბეს, კამეჩები საერთოდ ვერ წავიდნენ... მგონი, მეცხრე დღე იყო... მე საზიდარზე-ცხენზე შებმულ ურემზე, დამანვინეს, ბავშვები ზევით დასვეს, თვითონ სიძე არ დამჯდარა, ქალიშვილი ხან ფეხით მოდიოდა, ხან ჯდებოდა. კიდევ სოფლის რამდენიმე ქალი გამოგვეყვა, წამიყვანეს ღამით ზუგდიდისკენ. ენგურამდე ნელ-ნელა მივედით და ენგურს გაღმა გადავედით...

იქ, ზუგდიდში, ერთი ღამე ვილაცის ოჯახში გაგვარჩერეს.. შემდეგ მიმიყვანეს ჭითანყარის საავადმყოფოში, დამანვინეს და მეორე დღესვე ოპერაცია გამიკეთეს. ოპერაცია რას უშველიდა... რაღაც „ატვიორტკასავით“ ნეკნსა და ნეკნს შორის გამირჭო ექიმმა და იქიდან შპრიცით ამოჭქონდა დამპალი, შეგუბებული სისხლი.

ამის შემდეგ, ოთხმაისს ქალიშვილმა მოსკოვში წამიყვანა. იქ სამი თვე აპარატზე შეერთებული საავადმყოფოში ვინექი. ექიმი გაკვირვე-

ბული იყო, ამ მდგომარეობაში მყოფი ცოცხალი როგორ გადარჩიო?... ამის მერე ექიმთან უნდა მევლო, მაგრამ იქაურობას ვერ ვიმეტებდი, ვიცოდი, ვერ მივატოვებდი. მეგონა, ყველაფერი ძველებურად დამხვდებოდა. კი ვხედავდი, თავდასხმისას სახლში ყველაფერს ცეცხლი რომ ეკიდა და ნახშირად იქცა, მაგრამ ხომ იცით, როგორია ადამიანის ბუნება, ცუდს არ ვიჯერებდი და არ ვეგუებოდი.

### „ყველაფერი განადგურებული იყო“

მარტო დავბრუნდი... ჩემს მტერს, რაც მე იქ ვნახე, სად იყო უწინდელი სახლ-კარი? ნასახლარი და განადგურებული დამხვდა.

მე ზუგდიდში, ცოტა ხნით, სულ ორჯერ ვიყავი გადასული, მაგრამ იქ ვერ ვიცხოვრებ, არ შემიძლია... ვერაფრით ვერ გავჩერდი. თითქოს ყველანაირი განსხვავება ჩვენსა და იმათ შორის, ხალხიც სხვანაირია...

ცოტა ხანი დავრჩი ბავშვებთან, მერე ავდექი და წამოვედი. გზად, ენგურზე დამხვდა ინტერვიუს ამლები ერთი ჟურნალისტი და მკითხა, რომ მიდინარა, რა იმედით მიდინარა? რა იმედით და ვიცი, რომ ჩემი მეორე სახლიც დამწვარია, მარა მაინც მივდივარ.. მე აქ მაინც ვერ ვიცხოვრებ-მეთქი. რატომ, ცუდად ხომ არ გექცევიანო? მე ვის ვუშლი, მაგრამ მაინც არა-მეთქი, -ვუპასუხე. მერე მიგიღებენ იქითო? მე რაც მჭირს, უდანაშაულობაა და რომ არ მიმიღონ, ამისი უფლებაც არა აქვთ-მეთქი. ადვილად გამომიშვეს აფხაზებმა. ვთხოვე და ავუხსენი, რომ ცუდად ვიყავი, დიდხანს ფეხზე ვერ ვდგებოდი. გამიშვეს და მოვალნიე აქამდე.

### „მეორედ დანოკება“

**მაისის მოვლენებამდე**, ანუ 1998 წლის კონფლიქტის ექსკალაციაამდე, შვილიშვილების დახმარებით, ორსართულიანი, ღამაზი და

კობტა სახლი ავაშენე, მოსკოვიდან ჩამოვიდ-  
ნენ დასახმარებლად... იქაც დაგვანიოკეს. იმ  
დღეს ბავშვები ეზოს ალაგებდნენ და ნაგავს  
ყრიდნენ, უეცრად გავიხედე, ჩემს ბავშვებს  
უკან ავტომატიანები მოჰყვებოდნენ. კინა-  
ლამ მოვკვდი და დავეცი. მათი დედაც საშინ-  
ლად მშიშარაა, მათ დანახვაზე, არ მეგონა, თუ  
შიშისგან გული არ გაუსკდებოდა ...

შემოვიდნენ და გვშიაო. კაი დედის შვილი იყავი  
და, აბა, არ გაგეკეთებინა, რასაც გთხოვდნენ.  
ქათამი დავკალით, ლომი დავადგით, მარა ამ  
ქალს სახეზე ფერი არ ედო, ეშინოდა... მიხვდა  
ის მამაძაღლი. „Чего боишься?~ ჰკითხა. „Мы  
люди~.

### „კარგებიც ერივნენ მათ შორის“

კარგებიც ერივნენ მათ შორის... ხელალებით  
ყველას გალანძღვა არ შეიძლება. იქ კარგი  
ხალხიც იყო. გავუკეთეთ საჭმელი, დავსვით  
მაგიდასთან, ჭამის დროს შვილიშვილს დაუძა-  
ხეს: „Ты здесь хозяин, сядь~ და დასვეს. ჭამეს,  
სვეს, რომ გაძლენ, ნასვლა დააპირეს. უცებ  
ცხენი დაინახეს ეზოში, დაიჭირეს და გადაწყვი-  
ტეს წაყვანა. ეს ცხენი შვილიშვილმა გოგომ  
გაზარდა, ბავშვმა რომ დაინახა, მიჰყავდათ,  
გასკდა ტირილით. მე ვუთხარი, ამ ცხენით და  
საზიდრით კვირაში ერთხელ ბავშვები გალში,  
სკოლაში დადიან –მეთქი. ეს არის ამათი ტრან-  
სპორტი და ვთხოვე, არ წაერთმიათ. ერთ-  
ერთმა, რომელიც მათი უფროსი იყო, დანარჩე-  
ნებს დაუძახა და უთხრა: „Отпусти!~ და გააშვე-  
ბინა ცხენი. მათი წასვლის შემდეგ, ეს ბავშვი  
დასიებული თვალებით იდგა, თურმე ძალიან  
უტირია, მაგრამ მისთვის ვის ეცალა...

### „ვერასდროს დავამთავრე სახლების აშენება“

ველარ გავჩერდი იმ სოფელში, სადაც ადრე  
ვცხოვრობდი, დღისით აფხაზები დადიოდ-  
ნენ, ლამით— თავზე ნილაბჩამოცმული ვილაც

ყაჩაღები. არაფერს გვიტოვებდნენ, უკანას-  
კნელი ნივთიც კი მიჰქონდათ. ვიფიქრე, ამ  
ბავშვებს აქ შიშით გამინყვეტენ-მეთქი და  
წამოვედით. აქ ხუმუშქურში თავდაპირველად  
ახლობლის სახლში შევედით, იქ მცირე ხანს  
ვცხოვრობდით. ბავშვებისთვის უკეთესი იყო,  
თუნდაც სკოლის სიახლოვის გამო და დავრ-  
ჩით.

მერე ვიფიქრე, მე შეიძლება ხვალ მოვკვდე,  
ეს ბავშვები კი მინდვრად დამირჩება-მეთქი  
და სახლის აშენება გადავწყვიტე. სანყალმა  
ჩემმა მაზლმა ეზო მომიძებნა, მეზობელი  
სოფლიდან ტრაქტორი მოვიყვანეთ, გავწმინ-  
დეთ და შემოვლობეთ. ავაშენეთ სახლი, ისეთი  
კარგი გამოვიდა, არასდროს არ ვიფიქრებდი  
სხვაზე... ამ სახლსაც ცეცხლი წაუკიდა და  
ნაცარტუტად აქცია იმ აფხაზმა. მოგვიანებით  
აშენებული ეს მეორე სახლიც დამინვეს...

ამის მერე ჩემით გავაკეთე პატარა ფიცრული  
სახლის სადგომი. მეზობლის ბიჭებმა გადა-  
მიხურეს, რალაცეები მე თვითონ მივაჭდე,  
ვერასდროს დავამთავრე სახლების აშენება..  
ვიფიქრე, ეს ბოლოა და ცოტა უკეთესს გავა-  
კეთებ- მეთქი და მთლად საშინელება გამოვ-  
იდა, გული მიკვდება, რომ ვუყურებ..

### „მაისის მოვლენების შემდეგ არავინ არ დაბრუნდა“

მაისის მოვლენების შემდეგ არავინ არ  
დაბრუნდა.. არის აქ კარგი რამე, რომ ისევ  
დასახლდნენ? აქ ხალხს სახლებში უვარდე-  
ბიან, ცემენ, კლავენ. შეეშინდა ადამიანს და  
წავიდა. იქ, დევნილობაში ლუკმას მაინც ჭამს  
გემრიელად და არ ეშინია. აქ კი ვინ დაახრ-  
ჩობს და ვინ მოკლავს, არ იცის.

ახლახან ვილაცამ ხუთი წლის ხარი მომპარა,  
აი, აქ ეზოს კარებთან იდგა.. კიდევ ორი ცხენი  
ერთად დამეკარგა... სხვისთვის ვერ იმუშავებ.  
თუ ძროხას, ღორს, გოჭს ვერ გაზრდი, როგორ

უნდა იცხოვრო? რა არის ასეთი ცხოვრება?

**„ჩვენი ხალხისთვის არაფერი არ არის აქ“**

ჩვენი ხალხისთვის არაფერი არ არის. ვინც აფხაზებს არის მიკედლებული, მათ ყურადღებას აქცევენ. მაგრამ უკეთესი ნასასვლელი ადგილი არსად არა გვაქვს და ამიტომაც ვართ აქ.

ახლა ხშირად აღარ დადიან აფხაზი მეომრები, არავინ არ არის აქ. აფხაზები, აფხაზებით და ყველაფერი მათ რომ დააბრალო, ისიც არასწორია, იმიტომ რომ ჩვენები უარესს აკეთებდნენ.

გადასახადები ბევრია... ყოველწლიურად თითოეულმა ოჯახმა აფხაზებს ასი კილო თხილი უნდა ჩააბაროს. უნდა შეუგროვო, დაურჩიო და მისცე... თუ არ არის მოსავალი, მაშინ უნდა იყიდო და მისცე. სიმინდიც უნდა ჩააბარო... ოლონდ რამდენი, არ ვიცი. თუმცა, ჩემთვის ორი წელია არ გადაუხდევინებიათ, არავინ მოსულა, რადგან მე ვერ ვთოხნი..

სულ შინ ვზივარ და ვერსად ვერ დავდივარ. ამიტომ ის ვიცი, რაც გამიგია... მეზობელ სოფელში ამდენს არ იხდიან, რადგან პატრონი-კარგი გამგებელი ჰყავთ. ეს ჩვენი გამგებელი კი თვითონაც ხელებს ითბობს, თვითონაც ისაკუთრებს.. და რას ეტყვი. გაგატყავეს...

**„გაფუჭებულია ხალხი“**

მე იქ, სოფელში, სადაც უნინ ვცხოვრობდი, უკანასკნელ წელს ხუთას კილო თხილს ვაგროვებდი, შვილიშვილი აგროვებდა, თორემ მე რისი მაქნისი ვიყავი. კარგი მოსავლის დროს, ათასი კილოც გამოდიოდა. შარშან ორმოცდაათი კილო მომიტანეს. სხვამ შეაგროვა, ნაწილი აფხაზებს მისცა და დანარჩენი თვითონ წაიღო... აქ მოიტანა და დაყარა იმიტომ, რომ ვიცნობ და შერცხვა, თორემ იმ ორმოც-

დაათ კილოსაც არ მომცემდა.

მეტი არ შემიძლია. ყველაფერი ამათ უნდათ... შეშის ფულსაც ვიხდით.. მე წლევულს ერთი ცალი შეშა არ დამინვია. თანაც არავინ მყავდა, რომ დაეჭრა...

სად არის სოფელი, რომ ვაკვირდები, სულ აღარ არის დარჩენილი. სადაა ხალხი? სად არიან ადამიანის მსგავსნი? ადამიანი საერთოდ არაა. ჩვენი ხალხიც გაფუჭდა. არაფრით არ დაგინდობენ... აქ ტარიელივით ბიჭები ცხოვრობდნენ, იმათი შიში და რიდი ჰქონდათ, ახლა არავინ აღარ არის და, როგორც უნდათ, ისე დათარეშობენ. ძალიან ცუდად იქცევიათ... როგორ შეიძლება ყველაფერის განადგურება... აღარც სკოლა არის... დაანგრიეს, წაიღეს თავიანთ სახლებში და დაანყვეს.

**„ეს ქვეყანა მთლად ასე როგორ უნდა დაიკარგოს“**

ეს ქვეყანა მთლად ასე როგორ უნდა დაიკარგოს? ნუთუ პატრონი არავინ გამოუჩნდება? ახლა კი ვხედავ, თბილისში რა ამბებია, რა მონინაალმდეები ჰყავს სააკაშვილს. სააკაშვილმა თბილისი გაალამაზა, დედაქალაქს დაამსგავსა, ყველაფერს ერთად ხომ ვერ გააკეთებს? მაგრამ ხალხიც უნდა ამოუდგეს, ერთი იქით მიინევს, მეორე აქეთ, ასე არაფერი არ გამოვა...

ასე ყოველთვის არეულობა იქნება, თუ ვინმე მეთაური არ გამოჩნდა. მე სააკაშვილზე დიდ იმედებს ვამყარებდი, მაგრამ უთვალავი მონინაალმდეე გამოუჩნდა, უთვალავი.





# უკაცურინა



ეკატერინა გუბიევა 27 წლისაა. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებისას, ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ამიტომ მის მოგონებებში იმ წლების მოვლენების შესახებ ემოციები სჭარბობს, ისეთი ემოციები, რომლებიც მხოლოდ „ომის ბავშვებს“ შეიძლება ჰქონდეთ – მძაფრი და ძალიან სევდიანი... ეკატერინა ყვება მშობლების ტრაგიკულ ისტორიას, დედისას, რომელსაც, სამი ბავშვით ხელში, მარტოს მოუხდა კონფლიქტის ზონიდან გამოსვლა და მამისას, რომელიც სამხრეთ ოსეთის მთებზე რამდენიმე დღე გადმოდიოდა, და ეს რამდენიმე დღე მთელ ცხოვრებას უდრიდა. იგი ვადაარჩა, ყველა განსაცდელის მიუხედავად. ამ პერიოდში, იგი, ეროვნებით ოსი, შეხვდა ეროვნებით ქართველ ადამიანს, რომელმაც ცხოვრების ყველაზე საშინელ მომენტში დახმარების ხელი გაუწოდა; მას შემდეგ ისინი ძმებად მიიჩნევენ ერთმანეთს.

ისტორია ჩანერილია რუსულ ენაზე.

## „მეგობრულად, მხიარულად ვცხოვრობდით – ერთი დიდი ოჯახი „

ჩვენ გვარად გუბიევი ვართ. სახელად ეკატერინა მქვია, დედა რუსი მყავს, ამიტომ სახელიც რუსული მაქვს, ბებუის სეხნია ვარ. მამას ზახარი ერქვა. დედა რუსეთში გაიცნო. იქ ჩადიოდა ხოლმე სამუშაოდ. იქიდან ჩამოიყვანა დედა ჩვენს სოფელ არცევში. მყავს და-ძმა. და უფროსია, რუსეთში დაიბადა, მე და ჩემი ძმა კი – არცევში. მეგობრულად, მხიარულად ვცხოვრობდით – ერთი დიდი ოჯახი. მამაჩემს კიდევ ხუთი და-ძმა ჰყავს. დიდი სახლი გვქონდა. საქონელი და ფრინველი გვყავდა. მხიარული და გამორჩეული ბავშვობა გვატარებდა. ყველაზე ძალიან ტყეში სიარული და მარწყვის შეგროვება გვიყვარდა. კიდევ, თივის შეგროვება მიტაცებდა ძალიან.

როდესაც დედა სამხრეთ ოსეთში ჩამოვიდა, მალე შეეჩვია აქაურობას, რადგან ცხოვრება მაშინ მშვიდი, ნყნარი იყო. სამსახურში სპე-

ციალობით მოენყო. მუშაობდა სოფლის ამბულატორიაში. კიდევ, არაჩვეულებრივად კარგად უძღვებოდა მეურნეობას სახლში. რუსეთშიც სოფლად ცხოვრობდა. ამიტომ მაინდამაინც დიდი განსხვავება აქ არ უგრძობია. მით უმეტეს, რომ ჩვენთან კეთილგანწყობილი ხალხია.

ჩვენი სოფელი, არცევი ორ ნაწილად – ოსურად და ქართულად იყოფა, ანუ თითქოს ორი ნახევრისგან შედგება. ბავშვები მეგობრობდნენ, და, ასევე, უფროსებიც ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილნი იყვნენ, რა თქმა უნდა...


## „ჩვენი გეგმები ერთ ნაშში ჩაიშალა „

წლები გადიოდა, ჩვენ ვიზრდებოდით, მშობლებს უნდა ეფიქრათ ჩვენს მომავალზე, განათლებაზე. ვინაიდან მამა ქალაქში მშენებლობაზე მუშაობდა, მან გადაწყვიტა, ცხინვალში, ბინის მისაღებად რიგში ჩანერილიყო. მთელი ოჯახი მოუთმენლად ელოდა, როდის

# რუსეთი



# სომხეთი



მივიღებდით ბინას და გადავიდოდით საცხოვრებლად ცხინვალში. განსაკუთრებით, ჩვენ – ბავშვები. ჩვენ გვინდოდა, სხვა ბავშვების მსგავსად, კინოთეატრებში, პარკებში გვევლო, კარუსელზე გვეტრიალა. ვაი, რომ, ჩვენი გვეგები ერთ წამში ჩაიშალა. ნამდვილი ომი დაიწყო, ომი, და არა ოსურ-ქართული კონფლიქტი, როგორც ახლა მას უწოდებენ. ჩვენს თვალწინ დანვეს ჩვენი სოფელი. ჩვენ ტყეში ვიმალებოდით, ვხედავდით, როგორ იწვოდა ჩვენი და მამაჩემის მშობლების სახლი. ჩვენს გვერდით დედა იყო. მამა იმ დროს ქალაქში, სამსახურში იმყოფებოდა. და იქ დარჩა. რა გვექნა, სხვების მსგავსად, დედამაც გადანყვიტა ცხინვალში წავსულიყავით მთების გავლით.

ჩემი ძმა მაშინ ძალიან პატარა იყო. დედას ხელში აყვანილი მიჰყავდა, ჩვენ კი, რომ არ დავკარგულიყავით, მისი კაბის კალთას ვებლაუჭებოდით. ტყით მივიდიოდით, ზამთარი იყო. ძალიან გვეშინოდა, გვზაფრავდა. ჩვენ არ ვიცოდით, რა წინ გველოდა, ვერ ვხედავდით, სად მივდიოდით, რატომ მივიდიოდით, რატომ აღარ გვექონდა სახლი? როდესაც დედა დაილაღა და ბავშვის ხელით ტარება ვეღარ შეძლო, მან მოიხსნა თავშალი, შემოიხვია მკერდზე, შიგ ჩემი ძმა ჩასვა და გზა ასე განაგრძო... მერე, მე მგონი, მამის ნათესაებთან მივედი. აღარ მახსოვს, მაინც პატარა ვიყავი. მამას ვერსად ვპოულობდით. მახსოვს, დედა დარბოდა, ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა. როგორც დედა ჰყვება, სამი თვის განმავლობაში არაფერი ვიცოდით მამას შესახებ...

შემდეგ დედამ გამოარკვია, რომ მამა დაუპატიმრებია ქართულ პოლიციას, რომელმაც ომის პირველ დღეს დაიკავა ქალაქი – მამა თბილისის ციხეში აღმოჩნდა. დედა ცდილობდა, როგორმე დაკავშირებოდა, გამოეყვანა ციხიდან, მაგრამ უშედეგოდ. მერე,

ეტყობა, ღმერთმა გვიშველა. ცხინვალში დედამ გაიცნო ქართველი ქალი, რომელსაც მეუღლე ოსი ჰყავდა, მამამისი კი თბილისში მუშაობდა. ძალიან განათლებული, ინტელიგენტი ადამიანი აღმოჩნდა. თავისი ახალი მეგობრის დახმარებით, დედა დაუკავშირდა მას, მან კი, თავის მხრივ, თხოვნით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ალბათ, მისი წერილი ისეთი გულისშემძვრელი იყო, რომ იქ მიიღეს გადაწყვეტილება – მამა გაენთავისუფლებინათ. როგორც ამბობენ: „мир не без добрых людей“.

**„...კიდევ ერთხელ ვიტყვი: мир не без добрых людей!“**

მამა გაანთავისუფლეს და ახლა გვიამბობთ, როგორ მოაღწია მან ჩვენამდე. ციხიდან რომ გამოუშვეს, საბუთები არ ჰქონდა, ნაცემი იყო, ჩატეხილი ნეკნებით, ტანსაცმლის გარეშე. ცხადია, მას შეეშინდა პირდაპირი გზით - ქართული ქალაქებისა და სოფლების გავლით, ცხინვალში ჩასვლა და გადანყვიტა მთებით გადასულიყო, ისევე, როგორც ჩვენ. მამამ შემდეგ გვიამბო, რომ მიზნად დაისახა ჩასულიყო ყაზბეგამდე, ჩრდილოეთ ოსეთის მიმართულებით, საქართველოს სამხედრო გზით, იქიდან კი მთის ძალიან ვიწრო ბილიკით, რომელიც, ზუსტად არ მახსოვს, მგონი, სოფელ კევსელთში ჩადიოდა, სამხრეთ ოსეთში მოხვედრილიყო.

მამამ მოგვიყვა, როგორ ჩააღწია თბილისის გარეუბნამდე. მე მგონი, ნატახტარი ჰქვია, სოფელია თბილისთან ახლოს. იქ გზა იყოფა: ერთი გზა – სამხრეთ ოსეთისაკენ მიდის, მეორე კი – ჩრდილოეთი ოსეთისაკენ, ვლადიკავკაზისკენ, ფასანაურის, კობის, ყაზბეგის გავლით. ამ გზის გასაყარზე მამა ცდილობდა იმ მხარეს მიმავალი მანქანების გაჩერებას, მაგრამ უშედეგოდ. საღამოხანს,

ბედმა გაუღიმა, მანქანა გაუჩერა მამაკაცმა და დათანხმდა წაყვანას. მძღოლი ენაწყლიანი აღმოჩნდა. გააბებს საუბარი. მამამ უამბო, რაც თავს გადახდა. მძღოლი ქართველი იყო, დედა კი ოსი ჰყოლია. კიდევ ერთხელ ვიტყვი: „мир не без добрых людей!“ მან გულთან ახლოს მიიტანა მამაჩემის მდგომარეობა, მოატრიალა მანქანა და თავისი სახლისკენ გაემართა.

ამ კეთილ ადამიანს სანდრო ერქვა. მან მიიყვანა მამა თავის სახლში. ასადილა. გაათბო. ტანიდააბანინა. შემდეგ მაგარინახვევიდაადო გულმკერდზე, მამას ხომ ნეკნები ჰქონდა გატეხილი. დააძინა. მამას ორი დღე-ღამე ეძინა. მთელი ეს დრო სანდრო მას უვლიდა. დრო და დრო აღვიძებდა, რომ საჭმელი მიეცა. მამაზე კი, ეტყობა, სამთვიანმა დაღლილობამ იმოქმედა და გაღვიძება უჭირდა. როდესაც ამამ ღონე მოიკრიფა, სანდრომ საკუთარი მანქანით მიიყვანა ჩრდილოეთ ოსეთის გზაზე მდებარე ბოლო ქართულ სოფლამდე, ოღონდ სახელი არ მახსოვს. იქიდან კი მამას უკვე ფეხით მოუწია წამოსვლა.

### „ადამიანი... გადარჩენისათვის ყველაფერს გააკეთებს“

ნელა, მაგრამ იმედიანად განაგრძო მამამ გზა. თოვლიანი, სუსხიანი ზამთარი იყო. ძალიან დიდხანს მიდიოდა. როგორც ამბობს გაყინვის, დაცემის ეშინოდა, მაგრამ შვილების, ოჯახის ნახვის სურვილი მძლავრობდა. ამის გარდა, სად წაუხვალ სიცოცხლის წყურვილს?! როგორც იქნა, მიაღწია ზარის გზამდე<sup>1</sup>, რომელსაც დღეს ოსები „სიცოცხლის გზას“ უწოდებენ. მაშინ ეს იყო პატარა ბლიკი, რომელიც ზარის ტყეში გადიოდა. მამამ გადანყვიტა ცოტა ხანი შეესვენა და გზა შემდეგ განეგრძო, რადგან უკვე ბნელდებოდა. ტყეში მალე ღამდება. ყველაზე ახლოს მდებარე სოფლამდე – ზარამდე სულ არაფერი – თორმეტიოდე კილომეტრი

რჩებოდა, და მამამ უეცრად დაინახა, რომ მას მგლები ალყაში აქცევდნენ, მას კი ჯოხის გარდა არაფერი ჰქონდა თან.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ადამიანი ისეთი არსებაა, რომელიც გამოუვალ სიტუაციაში ყველაფერს აკეთებს გადარჩენისთვის. ჰოდა, მამამაც ამაზე უკეთესი ვერაფერი მოიგონა და დაიწყო მთელი ხმით ყვირილი, მთელი ღამე ყვიროდა. ხომ გესმით, მთელი ღამე ყვიროდა!.. არ ვიცი, როგორ იმოქმედა ამან მგლებზე. ისინი არ გაქცეულან, მაგრამ არც თავს დასხმიან. მხოლოდ გამთენიისას გამოჩნდა ადამიანების ჯგუფი, რომელთაც ამ „სიცოცხლის გზით“ ქალაქიდან ბავშვები გამოჰყავდათ. მათ თან იარაღი ჰქონდათ, ცეცხლი გახსნეს, შუაშინეს მგლები და მამაჩემი გადაარჩინეს. იმ ერთ ღამეში მამა გათეთრდა. სახლამდე კი თითქმის ერთი თვის თავზე მოაღწია... მამას ძალიან უნდოდა სანდროსთან შეხვედრა და მადლობის თქმა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ამდენი განსაცდელის შემდეგ, მამას საქართველოსკენ გამგზავრებაზე ფიქრიც კი არ შეეძლო. თუ არ ვცდები, 2000 წელს მამამ სანდრო ჩვენთან, ცხინვალში, დაპატიჟა. მაგრამ სანდროც მოერიდა სამხრეთ ოსეთში ჩამოსვლას და მაშინ მათ გადანყვიტეს ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ქალაქ ვლადიკავკაზში შეხვედროდნენ ერთმანეთს. დედამაც მოინდომა წასვლა და სანდროს გაცნობა, რათა პირადად გამოეხატა მადლიერება სიკეთისა და მამაზე ზრუნვის გამო. დედა და მამა ძალიან კმაყოფილები დაბრუნდნენ ვლადიკავკაზიდან, ეტყობა, შეხვედრამ კარგად, თბილად ჩაიარა.

ასე შეერთდა ჩვენი ოჯახი. ჩვენ, როგორც სხვა იძულებით გადაადგილებულნი, საცხოვრებლად ქართულ სახლში შევედით, სახლის პატრონმა, ქართველმა, ომის დროს ცხინვალი დატოვა. ომის დამთავრების შემდეგ, დედამ ცხინვალში სპეციალობით მუშაობა დაიწყო.

1 მოვლითი სატრანსპორტო არტერია, რომელიც აკავშირებს სამხრეთ ოსეთს ტრანსკავკასიურ ავტომაგისტრალთან (ტრანსკამთან), და გვერდს უქცევს ცხინვალს იქით განლაგებულ ქართულ სოფლებს

მამა თანდათან ცხოვრების ნორმალურ რიტმს დაუბრუნდა და ოჯახის შესანახად, მტვირთავად მოეწყო. მაგრამ გადატანილმა სტრესმა მის ჯანმრთელობას დალი დაასვა. იგი ტუბერკულოზით დაავადდა. უკვე ორი წელია, რაც ცოცხალი აღარ არის ...

### **„ცხოვრება გრძელდება“**

მაგრამ ცხოვრება გრძელდება. მე გავთხოვდი. ორი შვილი მყავს. ჩემი დაც გათხოვილია. ძმა კიდევასთან ცხოვრობს იმ სახლში, რომელშიც ჩვენ ჩავსახლდით. ჩემს ძმას ჰყავს საცოლე, მაგრამ ჯერ ცოლის მოყვანა გაუჭირდება. საცხოვრებელი პირობები და ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევს. დედა განაგრძობს მუშაობას. ორივეს – ძმასაც და დედასაც – აქვთ შემოსავალი, მაგრამ ეს არ ყოფნით, რომ გაფართოვდნენ. მთელი ფული მხოლოდ საჭმელზე მიდის. მამაჩემის დები და ძმები ჯანმრთელნი, ცოცხლები არიან. ორი მათგანი იძულებით გადადგილებული პირია და ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობს. ჩვენ, ცხადია, ვურთიერთობთ, ერთმანეთს მხარს ვუჭერთ ამ ჩვენს რთულ დროში...

### **„ჩემი ცხოვრების თილისმა“**

ჰო, იცით, მე მაქვს ჩემი პატარა თილისმა. ერთხელ, ბავშვობაში, მახსოვს, სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამ ყველას საჩუქრები ჩამოგვიტანა. მე თოჯინა და კიდევ სუვენირი – პატარა დელფინი მერგო. იცით, იმ დროს სათამაშო დელფინი ძალიან იშვიათი იყო და ამიტომ ძალიან მიყვარდა. ჰოდა, როდესაც მოვრბოდით აღმოდებულის ოფლიდან, მოვასწარი მისი უბეში ჩადება. თოჯინის წამოღება კი ვეღარ შევძელი – ალბათ, სახლთან ერთად დაიწვა. პატარა დელფინმა კი ჩემთან ერთად გამოიარა ყველა გზა და დღეს ჩემი თილისმაა. ჰოდა, მეც მას არ ვიშორებ...



# გ უბიკო



47 წლის ზურიკო<sup>1</sup> ეროვნებით ოსია, ამჟამად სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს, მეუღლე ქართველი ჰყავს. დაიბადა, გაიზარდა და სწავლობდა ქალაქ თბილისში - ქალაქში, რომელსაც თავის აკვნად მიიჩნევს, რომელიც ძალიან უყვარს და ჯერ კიდევ ენატრება. მშობლებთან და ბებია-ბაბუასთან ერთად, მას მოუხდა მშობლიური ქალაქის დატოვება. ცხრა წლის განმავლობაში თავისი ოჯახით უცხო სახლებს იყო შეკედლებული. ზურიკომ ბაბუამის სიკვდილისწინა სურვილი შეუსრულა, ყველაფერი გააკეთა, რომ მის ოჯახს საკუთარი ქერი ჰქონოდა. როგორც ნამდვილმა მამაკაცმა, ააშენა სახლი, გაზარდა შვილები და დარგო ხეები.

ისტორია ჩანერილია რუსულ ენაზე.

## „...თბილისი... ჩემი აკვანი იყო“

თქვენ შეგიძლიათ, ჩაინეროთ ჩემი ისტორია. მაგრამ ნუ ახსენებთ სახელებს, ნურც გეოგრაფიულ სახელწოდებებს. სიტუაცია აქ დაძაბულია. ჩვენ აქ კიდევ დიდხანს უნდა ვიცხოვროთ. ასე რომ, არ მინდა მომავალში პრობლემები მქონდეს, ხომ გესმით...

ეროვნებით ოსი ვარ, თუმცა ბებია-ბაბუა და მშობლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ საქართველოში, თბილისში. მეც იქ დავიბადე და გავიზარდე. საბავშვობალი, სკოლა, მუსიკალური სკოლა, ეროვნული ცეკვები, სპორტი – ეს ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობაა, რომელმაც ქალაქ თბილისში გავატარე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სანარმოო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტზე შევედი, ავიღე ინჟინერ-მშენებლის დიპლომი. ჩემი შრომითი საქმიანობაც თბილისში დავინყე. ძალიან გამიტაცა მუშაობამ, მიყვარდა ჩემი საქმე. ობიექტის ჩაბარების პერიოდში აზარტი მიპყრობდა. ზღვა სამუშაო მახრობდა, ზედნადებები, ქვითრები, განანესები

– ეს ყველაფერი მხრებზე მძიმე ტვირთად მანვა! მაგრამ რა ბედნიერი ვიყავი, სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოდიოდა კომისია და ჩვენ აშენებულ ობიექტს ვაბარებდით.

ასე ვცხოვრობდი ქალაქში, რომელიც ჩემი აკვანი იყო, უზომოდ მიყვარდა და მიყვარს ახლაც. დიდი სიამოვნებით ჩავიდოდი იქ, ხშირად. უბრალოდ, ვიხეტილებდი ქუჩებში, მოვინახულებდი იმ ადგილებს, სადაც მე და ჩემს მეგობრებს ერთ დროს ერთად დასხდომა გვიყვარდა, შევისუნთქავდი სმოგით გაჟღენთილ მის ჰაერს. ეს არის ქალაქი, რომელიც ძალიან მენატრება, რომელსაც ხშირად ვხედავ სიზმარში. ქალაქი ხომ არაფერ შუაშია, მას ბრალი არაფერში მიუძღვის. დამნაშავენი პოლიტიკოსები და ბოლო ორი ათწლეულის პოლიტიკაა.

ჩვენი ოჯახი რკინიგზის სადგურთან ახლოს ცხოვრობდა. დიდი ეზო და ძველი სახლი გვექონდა. ასეთ სახლებს ახლაც, ალბათ, იტალიურს ეძახიან... არ ვიცი, რატომ – ალბათ, თავის დროზე იტალიელებმა ააშენეს. ეს იყო სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები,



ყოველ სართულზე გრძელი საერთო აივნით, საერთო ტუალეტებით და საერთო სამზარეულოებით. ეზოში იყო სამრეცხაო-აბანო, ისიც საერთო მოხმარებისათვის, ოღონდ უკვე ერთი - სამივე სართულის მცხოვრებლებისათვის. ყოველ დილით მალვიძებდა ყვირილი: „Молоко!! Мацони!!“ - ეს ეზოში შემოდისოდა გამყიდვლების პირველი პარტია, რძის პროდუქტებს ჰყიდნენ, მათ მოყვებოდნენ მწვანის გამყიდვლები და გაიძახოდნენ: „მწვანილი-მწვანილი.“ ჩემი მეზობლები ქვევით, ეზოში, არ ჩადიოდნენ, აივანზე გადიოდნენ და იქიდან ხმამალა ეკითხებოდნენ: „რა ღირს?“ და იყო ერთი გადაძახილი. ეს გრძელდებოდა დილის შვიდის ნახევრიდან შვიდ საათამდე.


მე სანოლში ვიზმორებოდი და, როგორც კი

ძველი რადიომიმღებიდან გავიგონებდი დიქტორის მისალმებას: „დილა მშვიდობისა, ძვირფასო რადიომსმენელებო!“, წამოვხტებოდი სანოლიდან და ვინყებდი დილის გამამხნეველ ვარჯიშს, მუსიკისა და დიქტორის ზედმინეწით ზუსტი მითითებების თანხლებით, რომელიც იმავე რადიომიმღებიდან ისმოდა.

### „თითქმის შვიდმეტი წელი გავიდა...“

ასე იწყებოდა დილა თბილისში. აი, ახლა ვყვები, თვალწინ კი მიდგეს ჩვენი სახლი, ჩვენი ბინა ამ სახლში, ფანჯარა - მოკლე, თეთრი ქათქათა სელის ფარდებით და რადიო - ფართორაფაზე. თითქმის შვიდმეტი წელი გავიდა, მე კი დიქტორის ხმაც კი მახსოვს. ახლაც, მისი ხმა თითქმის უწინდელივით ჩამესმის. ჩვენს ოჯახს სამი ოთახი ჰქონდა. ერთი

## რ უ ს ე თ ი



ოთახი აივნის დასაწყისში მდებარეობდა, მისი ნომერი იყო 2, ხოლო დანარჩენი ორი – აივნის ბოლოს, მათი ნომერი იყო 8. მე-8 ნომერში, ორი ოთახიდან ერთი იყო დიდი, ცხრა მეტრი – სიგრძის, ექვსი მეტრი – სიგანის და ოთხი მეტრი და 80 სანტიმეტრი – სიმაღლის. მეორე ოთახი იყო ძალიან პატარა – სამი მეტრი სამ მეტრზე, მაგრამ ასევე მაღალი ჭერი ჰქონდა. პატარა ოთახში მშობლების საძინებელი მდებარეობდა. დიდ ოთახში ორ კედელზე, ერთმანეთის პირდაპირ, ორი სურათი ეკიდა. ერთზე წმინდა გიორგი იყო გამოსახული, მეორეზე მოჩანდა კავკასიის მთები, მთის სუფთა მდინარე, ქვაზე, მდინარის წინ, გოგონა უკრავდა ჩონგურზე და, მისი მუსიკის ხმაზე, დიდ კაჭარზე მოცეკვავე ახალგაზრდა ვაჟი.

მე საათობით შემედლო ამ სურათების ცქერა, ვიცოდი მხატვრის ყველა მონახაზი. ვცხოვრობდით ამ ოთახში, ყველა ერთად, მშობლებთან და ბებია-ბაბუასთან ერთად. ღამით კი ბებიასთან და ბაბუასთან ერთად მე-8 ოთახში ვიძინებდი. ეჰ, ეს ფართო ოთახი ორ ნაწილად იყო გაყოფილი – სასადილოდ და ჩემი და მოხუცების საძინებლად. ამ ოთახში იდგა ძველებური კარადა-ბუფეტი. მისი გაღებისას, იქიდან ვანილისა და მიხაკის სასიამოვნო სუნის მცემდა. იქ, ფანჯარასთან, ინკრუსტირებული სანური მაგიდა იდგა ორი პატარა, გამოსანევი კარადით. მაგიდა დაფარული იყო მწვანე მაუდით, ხოლო ჩემთვის უფრო მოსახერხებელი რომ ყოფილიყო მეცადინეობა, წერა, ბაბუამ მაუდზე შუშა დამიდო. იქვე, კუთხეში, ბებიის საკერავი მანქანა „ზინგერი“ იდგა, გადაფარებული ღამაზი სუფრით, რომელიც ბებიამ საკუთარი ხელით ამოქარგა. ყოველ კვირას ბებიას და ბაბუას სასეირნოდ ზოოპარკში ან საბავშვო პარკში მივყავდი. ამ პარკს „მუშტაიდი“ ერქვა. ბაბუა ყიდულობდა ჩემთვის ნამცხვრებს, ხილს, კანფეტებს... სტუდენტი რომ გავხდი, თანაკურსელებთან ერთად, უკვე დამოუკი-

დებლად გავიცანით და შევიცანით ჩვენი თბილისი. ინსტიტუტში ხუთი წლის განმავლობაში სიარულთან ერთად, ჩვენ კარგად შევისწავლეთ ქალაქი და მას საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობდით.

ის კი, ჩვენი ქალაქი, ამაყი, მკაცრი და ღამაზი იყო: ძველი თბილისით, ქალაქის ისტორიული ნაწილით, მტკვრით, გორგასლის ძეგლით! თბილისი ძალიან სტუმართმოყვარე ქალაქი იყო, ასევე, ამ ქალაქში მაცხოვრებელი ხალხიც გულისხმიერებით და გულკეთილობით გამოირჩეოდა... მე ამ მოგონებებით ვიცხოვრებ ჩემი სიცოცხლის ბოლომდე...

### **„ ჩემი, როგორც ოსის მიმართ, უარყოფითი დამოკიდებულება ვიგრძენი “**

მერე, თანდათან, არ ვიცი, როგორ მოხდა? გარკვეული დისკომფორტის გრძნობა გამიჩნდა. სამსახურში ვიგრძენი ჩემს, როგორც ოსის, მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. ჩემი უშუალო უფროსები მომმართავდნენ არა სახელით და მამის სახელით, არამედ ასე: „შენ, ოსო, დაამთავრე პირველი სართულის აშენება?“ ერთ წამში სადღაც გაქრა კულტურა, ტაქტი, მეგობრული განწყობა, კოლეგიალობა. გაჩნდა სიმწარე, ბოლომდე გამოუთქმელი გრძნობები, წყენა. მერე კი, დაახლოებით ერთი წლის თავზე, ომი დაიწყო, როგორც ამას ახლა უწოდებენ, ქართულ-ოსური კონფლიქტი. მეზობლებმა ხელი არ გვახლეს, პირიქით, ტიროდნენ, როდესაც ჩემი ოჯახი, ჩვენი ბინიდან ქართული ერის სისუფთავის თავზეხელაღებულმა დამცველებმა გამოგვაგდეს. ესენი ბანდიტები იყვნენ, რომლებიც საიდან გაჩნდნენ, არავინ იცის.

## „...ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩვენ ჩვენი საკუთარი ჭერი გვქონდეს“

ასე აღვმოჩნდით სამხრეთ ოსეთში, ცხინვალში. გავხდით **ლტოლვილები, იძულებით გადასახლებულები**. პირველ ხანებში სრულიად უცნობმა ხალხმა შეგვიკედლა. თბილად მიგვიღეს. ყველა დაგვამშვიდეს, განსაკუთრებით მოხუცები. თავისი ჭერი, ლუკმაპური გავგიყვეს. რამდენიმე თვის შემდეგ, ისევ ისინი დაგვეხმარნენ ახლომდებარე ცარიელ სახლში გადასვლაში, სადაც წინათ ქართველები ცხოვრობდნენ. იქ თითქმის ცხრა წელი დავყავით... ცხრა წელი... ამასობაში მოხუცები გარდაიცვალნენ. ერთ წელიწადს გარდაიცვალნენ. ბებია რომ დავასაფლავეთ, იმავე დღეს ბაბუაც გარდაიცვალა. მათ სიყვარულში და თანხმობაში გააატარეს მთელი თავისი სიცოცხლე და თითქმის ერთად, სამი დღის შუალედით გარდაიცვალნენ. მათი კუბოები უცხო ქართული სახლიდან გამოიტანეს... სწორედ მაშინ შევიგრძენი მწვავედ, რას ნიშნავს არ გქონდეს საკუთარი კუთხე, საკუთარი სახლი, საკუთარი ჭერი. ბაბუას უკანასკნელი სიტყვები იყო: „მთელი ჩვენი ცხოვრება მეც და მამაჩემიც ჩვენს სახლს თოთო ბავშვივით ვუვლიდით, და ახლა ვკვდებით, და სხვისი სახლიდან გასატანი გავხვდით“. საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი ჩვენი ჭერი რომ გვქონოდა, გინდა კუთხე ან ოთახი, მაგრამ ჩემი, საკუთარი, რომ ყოფილიყო. მუშაობა ისე დავინყე, თითქოს შემოლოცეს. თავიდან ნებისმიერ სამუშაოს ვეძგერებოდი. შემდეგ შევკრიბე სამშენებლო ბრიგადა — კალატოზი, შემდუღებელი, ელექტრიკოსი, მებათქამე-მღებავი, დურგალი, სანტექნიკოსი და კაფელის დამგები. ჩემი ხელოსნები მაღალკვალიფიციური სპეციალისტები იყვნენ. იმ დროისათვის ომი ჩაცხრობის ფაზაში შევიდა, ხალხმა დაიწყო სახლების შენება, რემონტი,

ყიდვა. მე და ჩემს ბრიგადას ძალიან ბევრი საქმე გვქონდა. შეკვეთები არ წყდებოდა. ადამიანებმა, რომლებსაც რალაც სახსრები ჰქონდათ, ქალაქგარეთ მიწის ნაკვეთების ყიდვა და საზაფხულო სახლების აშენება დაიწყეს. ჩვენ ასეთ შეკვეთებსაც ვიღებდით.

## „მე სახლი ვიყიდე“

სიკვდილის წინ ბაბუას წარმოთქმული სიტყვები მუდმივად მაფიქრებდა, ვფიქრობდი საკუთარ სახლზე და... მე ვიყიდე სახლი ქალაქის ცენტრში. მართალია, მას კაპიტალური რემონტი სჭირდებოდა, მაგრამ ეს უკვე მეორეხარისხოვანი იყო.. მშობლებს არაფერი ვუთხარი. მათ არაფერი იცოდნენ არც სახლის შეძენაზე, არც რემონტზე. სახლი გავარემონტე, მოვანყე, ყველაფერი შევიძინე ჭურჭლის ჩათვლით. შევუკვეთე ბაბუისა და ბებუის პორტრეტები და ისინი კედელზე დიდ ოთახში დავკიდე. ბებუისა და ბაბუის სიკვდილის ერთ-ერთ წლისთავზე კი ახალ სახლში გავშალე სუფრა.

წავედი მშობლების მოსაყვანად, ჩავსხი ისინი მანქანაში და მოვიყვანე ჩვენს საკუთარ სახლში. უსიტყვოდ გავუღე კარი, შევიყვანე მშობლები და ველოდი, როდის გააცნობიერებდნენ, რომ ეს ჩვენი სახლი იყო. თავიდან ისინი გარშემო იხედებოდნენ და კითხულობდნენ: „ვისი სახლია, შვილო? ეს სად მოგიყვანე?“. მაგრამ დიდ ოთახში რომ შევიდნენ, ორივე დადუმდა — მათ დაინახეს ბებუისა და ბაბუის პორტრეტები და მათ მოსაგონებლად გაშლილი სუფრა. დედას ცრემლები მოერია, შემდეგ დაფაცურდა, რამდენჯერმე შემოიარა მთელი სახლი, ყველაფერი დაათვალიერა, ხელით შეეხო, აღტაცებას გამოხატავდა. მამა კი — იდგა შუა ოთახში, მშობლების პორტრეტების წინ და... ტიროდა. ტიროდა და არ ერიდებოდა. შემდეგ, მოინმინდა ცრემლები და თქვა, რომ ტირის სიხარულისგან, რადგან ახლა

მისი და მამამისის ოცნება... კიდევ მან თქვა, რომ ღამეს გაათევს ახალ, საკუთარ სახლში და აქედან არსად არ წავა... ჩვენ დაფურეკეთ ახლობლებს, დავპატიჟეთ, ერთად დავსხედით სუფრასთან და ავნიეთ ჭიქები ბებიისა და ბაბუის სულების მოსახსენებლად...

### **„მე დავქორწინდი ჩემს პირველ სიყვარულზე, ქართველ ქალზე...“**

თბილისში დამრჩა ჩემი პირველი სიყვარული, ჩემი თანაკურსელი, ეროვნებით ქართველი. მასთან კავშირი არ გამიწყვეტია იმის მერეც, რაც ჩემს ოჯახთან ერთად ოსეთში გადმოვედი. თავდაპირველად ერთმანეთს ტელეფონით ვუკავშირდებოდით. ომი რომ შეწყდა, ჩვეულებრივმა ადამიანებმა საერთო ენა გამოიხატეს, ოსეთისა და საქართველოს საზღვარზე ერგნეთის ბაზრობა გაიხსნა. ჩემმა მომავალმა მამამთილმა ვაჭრობა დაიწყო. თბილისიდან ჩამოდიოდა ამ ბაზრობაზე, ყიდულობდა საქონელს და უკან ბრუნდებოდა. იქ, თბილისში ჰყიდდა ამ საქონელს. მაშინ, ამ ბაზრობაზე პირველადი მოხმარების საქონელი საბითუმო ფასებში ბევრად იაფი იყო, ვიდრე თბილისში. ასე შოულობდა ფულს და არჩენდა ოჯახს. ჰოდა, მისი შვილიც, ჩემი სიყვარული, ჩამოჰყვებოდა ხოლმე მას. მე მას ბაზრობაზე ვაკითხავდი და ვიდრე მამამისი საქმეებს აგვარებდა, ჩვენ ორი-სამი საათის განმავლობაში ვურთიერთობდით და ერთმანეთის ხილვით ვტკბებობით. გასაგებია, რომ ქალიშვილის ცხინვალში გათხოვების პერსპექტივა, თანაც ომის შემდეგ, ჩემი მომავალი მეუღლის მშობლებს არანაირად არ ხიბლავდა. მეორე მხრივ, მათ იცოდნენ, რომ ჩვენ ერთმანეთი სტუდენტობის დროიდან გვიყვარდა. ჩემი მეუღლე ლამაზი ქალია და ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ ის ყველას უარს ეუბნებოდა და არცერთ შეთავაზება არ მიუღია. საბოლოოდ, მშობლებმა

ჩვენს გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს და ჩვენ დავქორწინდით. მეუღლის მშობლები თბილისში ცხოვრობენ და ჩვენთან ხშირად ჩამოდიან. ახლაც, ჩემს მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად, ბათუმში, ზღვაზე არიან დასასვენებლად წასული. პირველი შვილი – ბიჭია, შემდეგ ორი ტყუპი გოგონა შეგვეძინა.

ამბობენ, მამაკაცმა სახლი უნდა ააშენოს, ხე დარგოს და ვაჟიშვილი გაზარდოსო. სახლი ვიყიდე ძალიან ცუდ მდგომარეობაში — ფანჯრები, კარები და სახურავიარ ჰქონდა. მარტო საძირკველი და კედლები იყო. ჩათვალეთ, რომ მე ავაშენე. შვილი - სამი მყავს. ხეებიც დავრგე, ბევრი ხე, მთელი ბაღი გავაშენე...

# ლექსიკონი

ა

## ადამონ ნიხასი

სახალსო ფრონტი, ოსური ნაციონალისტური ორგანიზაცია, რომელმაც მოითხოვა სამხრეთ ოსეთის ავტონომია და, საბოლოოდ, მისი გაერთიანება ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკასთან, რომელიც რუსეთის ფედერაციის ნაწილია.

ბ

## გალი/გალის რაიონი

გალი წარმოადგენს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად ქალაქს. აგრეთვე, ეს არის მიმდებარე რაიონის სახელი. ომის დაწყებამდე, 1992-1993 წლებამდე, გალის რაიონი ძირითადად დასახლებული იყო ქართველებით (მთელი მოსახლეობის 95%), რომელთა უმრავლესობამ მშობლიური კუთხე დატოვა 1993 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ ქართველი მოსახლეობის ნაწილი დაბრუნდა გალში, მაგრამ განახლებული შეტაკებების გამო მათ ისევე მოუხდათ აფხაზეთის დატოვება (1998 წლის მაისი). თუმცა დაბრუნების პროცესი არც ამის შემდეგ შეწყვეტილა და 2008 წლისთვის სპონტანურად დაბრუნებულთა რიცხვმა დაახლოებით 45, 000-ს მიაღწია. დაბრუნებულთა რაოდენობის ზუსტი გაადამონმება ვერ ხერხდება, აფხაზები და ქართველები სხვადასხვა რიცხვს ასახელებენ. აღნიშნული მონაცემი გამოიყენება საქართველოს მთავრობისა და ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ის მოიცავს იმ დევნილებსაც, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს სხვა რეგიონებში და გადადიან კონფლიქტის ზონაში, დროებით, წლის გარკვეულ დროს, უმთავრესად მინის დამუშავებისა და მოსავლის აღების მიზნით. ეთნიკურად

ქართველი დევნილებისათვის ჯერჯერობით შეუძლებელია აფხაზეთის სხვა კუთხეებში დაბრუნება.

## გალის დაბალი ზონა

ტერიტორია გალის რაიონში, მდებარეობს ენგურის გამშვები პუნქტის და ენგურის ხიდის ახლოს, ცნობილი იყო პარტიზანული მოძრაობით (1992-2000 წლებში).

## გალის მოვლენები ან მაისის მოვლენები

1998 წლის აპრილი-მაისის პერიოდში მოხდა კონფლიქტის ხელახალი ესკალაცია, როდესაც აფხაზი ძალოვანები შევიდნენ ქართულ სოფლებში სეპარატისტულ არჩევნების მხარდასაჭერად. მხარეებს შორის განახლდა შეტაკებები, რის შედეგადაც მოკლული იქნა ასობით ადამიანი. 20 მაისს მიღწეული იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

დ

## დევნილთა სკოლები (ოფიციალურად აფხაზეთის საჯარო სკოლები)

აფხაზეთის საჯარო სკოლები, რომლებიც ადმინისტრაციულად დევნილობაში მყოფი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ არიან. სკოლები გაიხსნა 1994-1998 წლებში, დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში, რადგან ადგილობრივ სკოლებში მოსწავლეთა დიდი რაოდენობის გამო დევნილ ბავშვებს საგანმანათლებლო შესაძლებლობები ნაკლებად ჰქონდათ. დევნილთა სკოლებში მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც ძირითადად იძულებით გადაადგილებული პირები არიან. სკოლები ფიზიკურად სეგრეგირებულია, თუმცა

ისინი საქართველოს ერთიანი ეროვნული საგანმანათლებლო გეგმით ხელმძღვანელობენ.

### **დევნილებით დასახლებული კოლექტიური ცენტრების პრივატიზაციის პროცესი**

კოლექტიური ცენტრების კერძო ინვესტორებზე გაყიდვა დაიწყო 2004 წლიდან. მთავრობას არ გააჩნდა განსახლების შეთანხმებული პოლიტიკა და დევნილთა ბევრ ოჯახს მოუხდა კოლექტიური ცენტრების დატოვება. პრივატიზაციის შედეგად დევნილთა გარკვეული ნაწილი იძულებით გამოასახლეს საცხოვრებელი ადგილებიდან, მაგალითად თბილისში სასტუმრო „ივერიიდან“ და აჭარის რეგიონის ზოგიერთი ცენტრიდან.

ინვესტორი შენობას ყიდულობს სატენდერო წესით, რომელიც კონტროლირდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ. იძულებით გამოსახლებული დევნილები ღებულობენ ფულად კომპენსაციას. 2004 წელს კომპენსაცია ერთი ოთახისათვის 7,000 აშშ დოლარს შეადგენდა. მომდევნო წლებში თანხა გაიზარდა, თუმცა ის მაინც არ არის საკმარისი შესაფერისი საცხოვრებლის შეძენისათვის.

### **3**

#### **ენგურის ხიდი**

გამყოფი ადმინისტრაციული პუნქტი აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ ნაწილს შორის, რომელიც გადის მდინარე ენგურის ხიდზე, მოქცეულია გალის რაიონსა და ზუგდიდს შორის. ოფიციალურად ეს არის გამშვები პუნქტი, თუმცა ცხოვრებისეული ისტორიების ბევრი მთხრობელი მას ხშირად მოიხსენიებს, როგორც საზღვარს.

### **ერგნეთის გამშვები პუნქტი (ბლოკპოსტი)**

სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის არსებული ადმინისტრაციული საზღვარი. პუნქტი კონტროლირდება რამდენიმე ორგანოს მიერ: საქართველოს მიერ კონტროლირებად მხარეს დგას საქართველოს უშიშროების სამინისტროს სპეციალური დანაყოფი, ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ნაწილზე — ოსური დანაყოფი, მათ შორის კი რუსეთის სამშვიდობო ძალები არიან განლაგებული.

### **0**

#### **იძულებით გადაადგილებული პირები**

იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საოკუპაციო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.

2005-2007 წლებში დაახლოებით 45, 000 იძულებით გადაადგილებული პირი დაბრუნდა გალის რაიონში (დაბრუნებულთა ზუსტი რაოდენობა არ არის გადამოწმებული, მოცემული ციფრი გამოიყენება საქართველოს მთავრობისა და ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ). აქ იგულისხმებიან ის დევნილებიც, რომლებიც ცხოვრობენ დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ წლის გარკვეულ დროს დროებით გადადიან კონფლიქტის ზონაში. გალის რაიონის მოსახლეობის უმეტესად ქართველებით არის დასახლებული (95%).



აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე დაბრუნება ქართველი დევნილებისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

სიტყვით გამოხატავს თავის გამძაფრებულ დამოკიდებულებას დევნილობაში ცხოვრებისა და გაუსაძლისი ყოფის მიმართ.

### 3

#### კომპაქტური დასახლება/კოლექტიური ცენტრი

სახელმწიფოს ან კერძო მფლობელობაში არსებული შენობა, სადაც აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან გადმოსული მოსახლეობა შესახლდა ან შეასახლეს. იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ისევ კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობს.

### 3

#### ლტოლვილი

1951 წლის კონვენციის მიხედვით, რომელიც ლტოლვილთა სტატუსს შეეხება, ლტოლვილად მიიჩნევა ნებისმიერი პირი, რომელიც იძულებული არის დატოვოს თავისი ქვეყანა საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან სურს ამგვარი შიშის გამო იქ დაბრუნება.

ლტოლვილს იძულებით გადაადგილებული პირისგან განსხვავებით გადაკვეთილი აქვს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი.

სეპარატისტული ტერიტორიებიდან გადმოსული იძულებით გადაადგილებული პირები ყოველდღიურ მეტყველებაში თავიანთ თავს ლტოლვილებად მოიხსენიებენ ხოლმე. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მათთვის უცნობია განსხვავება იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ლტოლვილებს შორის. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ზოგიერთი დევნილი ამ

### 7

#### ოცდასამი ნოემბრის მოვლენები

1989 წელს სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეერთებოდა ჩრდილოეთ ოსეთს. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება. 23 ნოემბერს, ათასობით ქართველი საქართველოს მომავალ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ოპოზიციის სხვა ლიდერებთან ერთად ცხინვალისაკენ გაემგზავრა შეკრების გასამართავად. ოსებმა გზები გადაკეტეს. საბჭოთა ჯარის შენაერთების ჩარევით დემონსტრანტებს შორის შეტაკება არ მომხდარა.









## IDMC

### ძმულეში ვადადეილები მონიტორინგი ცენტრი

ნარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც 1998 წელს დაფუძნა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ. ცენტრი ახორციელებს ძმულეში ვადადეილების მონიტორინგს, რომელიც კონფლიქტისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შედეგად არის გამოწვეული. ეს მანდატი მას მინიჭებული აქვს გაერთიანებული ერების სააგენტოებს შორის მულტიპლ მოქმედი კომიტეტის მიერ. ცენტრი აწარმოებს ინფორმაციას ძმულეში ვადადეილების შესახებ მონაცემთა ბაზის სახით, რომელიც 50 ქვეყანას მოიცავს.

შესაბამის ინფორმაციაზე დაყრდნობით მონიტორინგის ცენტრი ცდილობს დაეხმაროს მილიონობით დაუცველ და გაჭირვებულ ადამიანს მსოფლიოში იმ მიზნით, რათა დაცვა მათ უფლებები და ვადადეიანთა შორის მათი პრობლემები, რასაც საბოლოოდ მოგვება ამ ადამიანების თავიანთ სახლებში უხატრთხო დაბრუნება ან მათი ინტეგრაცია.

მონიტორინგის ცენტრის მიერ მომზადებული ინფორმაცია და ანალიზი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის: პოლიტიკოსებისთვის, ჰუმანიტარული ხელეწიერებისთვის და, ზოგადად, საზოგადოებისათვის. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია დროულად მიღებული იქნეს შესაბამისი ვადადეილებები საერთაშორისო სტანდარტების (მაგალითად, სახელმძღვანელო პრინციპები ძმულეში ვადადეილების შესახებ) მხედველად როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე. ცენტრი ატარებს ტრენინგებს ძმულეში ვადადეილებზე პირების უფლებების დაცვის თემაზე. ცენტრის მიზანია დევიდობა ხმა მიანდონის მიხედვით მსოფლიოს.

ცხოვრებისეული ისტორიების პროექტი მონიტორინგის ცენტრის ინიციატივას ნარმოადგენს და მისი განხორციელება ამ ცენტრის მუშაობით მოხდა.



### ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო

ნარმოადგენს ერთ-ერთს ნორვეგიის ხუთ უდიდეს არასამთავრობო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს შორის და ერთადერთს, რომელსაც მანდატი მოიცავს ძმულეში ვადადეილებზე პირდაპირ დახმარებას მსოფლიოს მანდატით. საბჭო ვუროპის, აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში მოქმედებს და მილიონობით დევნილსა და ლტოლვილს უწყვეტ თანხმობას. საქართველოში ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო 1994 წლიდან მუშაობს. ამჟამად საქართველოს ოფისი ახორციელებს სამ ძირითად პროგრამას ძმულეში ვადადეილებზე პირთათვის, ესენია: ინფორმაცია, კონსულტაციები და იურიდიული დახმარება, თავშესაფრის მშენებლობა და თემის მობილიზაცია, განათლება.



### პანოსი

პანოსი ლონდონი 1988 წელს დაარსდა. იგი ევროპული არამომგებიანი ქსელის წევრია, რომელიც ცდილობს მდობისა და კომუნიკაციის საშუალებით გაზარდოს ღარიბი და მარცხინაღური ადამიანების თანამონაწილეობა საერთაშორისო განვითარების საკითხებთან დაკავშირებულ დისკუსიებში. ზეპირი ინტორვიების მეთოდი ნარმოადგენს ცხოვრებისეული ისტორიების ჩანერგვას ფორმას, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისრობელის მაქსიმალურ ჩართულობასა და მისი პოტენციულის გამოვლენას. ეს მეთოდი ადამიანებს საშუალებას აძლევს თავად ისაუბრონ თავიანთ განცდებზე. ზეპირი ისტორიების პროგრამა ხელს უწყობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანას თავად განახორციელოს ცხოვრებისეული ისტორიების პროექტები.